

ი. შავრელიძე

**იაკობ გოგებაშვილი
და**

**ახალი ქართული ენა
სახელმძღვანელოები
ბრამევიჩის საკითხები**

მეორე უმჯობესებული გამოცემა

371 C.41) (09)

371 (47.922) (092) (გოგებაშვილი)

2 478

ნაშრომში გადმოცემულია ენის მიმართება სწავლებასთან. მასში მსჯელობაა გოგებაშვილის პედაგოგიურ შეხედულებებზე, ხელს უწყობს ამ შეხედულებათა შესწავლასა და გარკვევას, რითაც უდაოდ კარგ სამსახურს გაუწევს, როგორც პედაგოგებს, ასევე ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

430600000—009

M ————— 134—88

M-602 (08)—88

© გამომცემლობა „განათლება“, 1973

© ცვლილებებით გამომცემლობა „განათლება“, 1988

ISBN 5—505—00462—8

იაკობ გოგებაშვილი და ახალი სალიბერალური ქართული ენა

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი (1840—1912 წ.) იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, პუბლიცისტი, შესანიშნავი მეთოდისტი, ქართული და რუსული ენების ხანგრძლივმოქმედი სახელმძღვანელოების ავტორი და საბავშვო მწერალი.

1940 წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტ. 15 ოქტომბერს) შესრულდა ი. ს. გოგებაშვილის დაბადებიდან ასი წელი. ამ თარიღს დიდი იუბილე მიეძღვნა. 1952 წლის 14 ივნისს გარდაცვალებიდან 40 წელი და 1960 წელს დაბადების 120 წელიც საქმიანად აღინიშნა.

ი. გოგებაშვილის სახელი მიენიჭა რამდენიმე სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებას, კაბინეტს, ბიბლიოთეკასა და ქუჩას; საუკეთესო პედაგოგიური ნაშრომისათვის დაწესდა იაკობ გოგებაშვილის მედალი; პედაგოგის მშობლიურ სოფელ ვარიანში ყოველ წელიწადს ტარდება იაკობობა. ამავე სოფელს ბევრი რამ შეჰმატა გამოჩენილი შვილის სახელმა.

ი. გოგებაშვილის ცხოვრება-მოდვეწობისადმი სისტემატური ყურადღების შედეგად თითქმის მთლიანად დამუშავდა მისი პირადი არქივი და მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ეს საუნჯე ძირითადად შესულია იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ანტოლოგიაში (ტომები 1—10, თბ., 1954—1965), რომელიც დ. ლორთქიფანიძის, გ. თავზიშვილის, ვ. ქაჩიას და სხვათა ენერგიული შრომის შედეგად გამოქვეყნდა.

გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია¹ და მრავალი გამოკვლევა, წერილი და მოგონება. დაიბეჭდა ფრიად საკირო წიგნი „იაკობ გოგება-

¹ დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი (ბიოგრაფია), თბ., 1940. — იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული, თბ., 1940; დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1948 და 1960; გ. თავზიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1949 და 1952; Г. Тавашишвили, Яков Гогებაшвили, თბ., 1957; სპეციალურად ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ — ს. აბულაძე. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, თბ., 1950 და სხვ. (იხ. ქვემოდასახელებული ბიბლიოგრაფიაც).

შვილის ბიბლიოგრაფია (1865—1960)“, თბ., 1961. ეს ბიბლიოგრაფია კიდევ უფრო სრული სახით წარმოდგენილია გოგებაშვილის „თხზულებათა“ მე-10 ტომში (თბ., 1965).

უკანასკნელში 2187 სახელწოდებაა აღრიცხული. ცნობილია, რომ მასალის აბსოლუტურად ამომწურავი ბიბლიოგრაფია არ არსებობს. თუ აღრიცხულ მასალას 1960 წელს შემდეგ გამოქვეყნებულ ერთეულებსაც მივუმატებთ. დღეისათვის 2500-მდე სათანადო ბიბლიოგრაფიული ერთეულია გამოქვეყნებული.

ი. გოგებაშვილის 1940 წლის იუბილესა და ზოგჯერ მომდევნო წლებშიც ზოგიერთ საკითხთა განხილვის შემთხვევები წინამდებარე სტრიქონების ავტორსაც კჳონდა. იგიც სპეციალურ სამეცნიერო სესიებზე გამოვიდა და მთელი ნაკვეყის — „იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“ — შემოკლებული რედაქცია მაშინვე დაიბეჭდა კიდევ (1941)².

რედაქციის პირველად აღინიშნა მთელი ხმით, რომ ი. გოგებაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის სკოლაში, ლიტერატურასა და ცხოვრებაში ახალი ქართული ენის დამკვიდრების საქმეში (იხ. ქვემოთ), რომ იაკობი იღა კავკავაძისა და აკაკი წერეთლის ერთ-ერთი საყრდენი და საიმედო თანამებრძოლი იყო.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიური შეხედულებების საფუძვლებისა და სახელმძღვანელოების შედგენის პრინციპების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აჭარბებენ ის ავტორები, რომლებიც ჩვენი პედაგოგიის კლასიკოსს თვლიან დიდი რუსი პედაგოგის — კ. დ. უშინსკის (1824—1870) პირდაპირ მოწაფედ, მის განმეორებლად.

პრობლემის მეცნიერული შესწავლის ისტორიისათვის არა მხოლოდ ისაა საყურადღებო, თუ რა ითქვა, არამედ ისიც მნიშვნელოვანია. თუ როდის ითქვა, და კიდევ იმის გამო. რომ წინამდებარე წიგნის პირველ თავს. თეორიულის გარდა. პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს (იგი ქართული ენის მეთოდის შესწავლით დანიშნულსა და გამოადგებათ). მას აქაც ვაქვეყნებთ. მკითხველს საშუალება ეძლევა გა-

² წინამდებარე ნაშრომის ძირითად საკითხზე იხ. შოთა ძიძიგური. „იაკობ გოგებაშვილი და ქართული საერთო-სახალხო ენა“ (თბ., 1952 წ.), მისივე კრებული „მწერლის ენა“ (თბ., 1957, გვ. 58—102), მისივე — „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნაკვეყეები“ (თბ., 1974, გვ.136—161); ივ. ქავთარაძე. იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა (თბ., 1956; რეც. ზ. კუშბურაძე — „მნათობი“, 1956, № 10, გვ. 182—184). უფრო აღრინდელი — ზ. კიკინაძე. იაკობ გოგებაშვილი (თბ. 1900); ი. შენკელიძე. ი. გოგებაშვილი და ახალი სალიტერატურო ქართული ენა (პირველად — 1941 წ., უფრო ვრცლად — და იმავე სათაურით — ცხინვალი. 1952, 120 გვ., რეზუმეით — „Яков Гогобашвили и новолитературный грузинский язык“. იგივე — ცხინვალის პედ. ინსტ. შრომები, ტ. I, 1952, გვ. 53—113; რეზუმე რუსულ ენაზე — გვ. 114—120...



ეცნოს, რომელ საკითხზე რაა აქ ნაოქეამი, ზემოდსახელებულ ბიბლიოგრაფიაში კი ნახავს იმავე საკითხზე ვის რა დაუწერია შემდეგ. ასეთებსაც გაეცნობა და საკითხის ისტორია ნათელი გახდება.

დიდი პედაგოგისა და ნიჭიერა მეთოდისტი იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართულისა და რუსული ენების სახელმძღვანელოები თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იზმარებოდა ჩვენში. გარდა ამისა, რომ ავტორი მათ სისტემატურად გადამუშავებასა და სრულყოფას აუარებელ დროსა და ენერგიას ახმარდა, მასვე უხდებოდა მათი დაცვა, მოწინააღმდეგეებისადმი პასუხის გაცემა და აზრთა დასაბუთება.

ეს გარემოებები იაკობისაგან მოითხოვდა გრამატიკის საკითხებისა და მათი სწავლების მეთოდის შესწავლა-დაქუშავებას.

ამიტომ შემთხვევითი არაა. რომ ავტორი ქართული ენის გრამატიკის საკითხებსა და მათი სწავლების მეთოდის სპეციალურად სწავლობდა, რის შედეგადაც მან სხვაჯსხვა დროს, მრავალი საგულისხმო მოსაზრება გამოთქვა.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ი. გოგებაშვილის „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“ (იხ. მისი ტ. IX, თბ., 1962, გვ. 375—486) და წერილები: „ნაზოლარა“ („საგრამატიკო შენიშვნა“; 1894 წ.; იხ. ი. გოგებაშვილი, ტ. II, გვ. 410 და შემდეგი), „საგრამატიკო ბაასი“ და „მეორე საგრამატიკო ბაასი“ (რეცენზიები მიხ. ნასიძის სათანადო წერილების შესახებ ი. გოგებაშვილი, „რჩეული პედაგოგიური ნაწერები“, ტ. I, თბ., 1910, გვ. 159-191, ტ. 2, 1954, გვ. 89-101).

ი. გოგებაშვილის მოღვაწეობის ამ მხარესაც მიეჭა ყურადღება. მის შესახებ ქართულ პრესაში ბევრი რამ საინტერესო დაიბეჭდა. მათ შორის არსებობს ჩვენი წერილიც „გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხები ი. გოგებაშვილის ნაწერებში“ (ყურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1953 № 4, გვ. 88-91), რომელსაც აქაც ვიმეორებთ (იხ. ქვემოთ).

ვიმედოვნებთ, ი. გოგებაშვილის მოღვაწეობის იდეალიზაციად არ ჩამოგვართმევენ, თუ ვიტყვი, რომ მისი საქმიანობა არა მარტო ქართული ენის უფლებების დაცვით იფარგლება, არამედ საქართველოს საზღვრებსაც გასცდა. ი. გოგებაშვილი ებრძოდა რუსეთის რეაქციონერებს როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში, მოითხოვდა ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობას, ამტკიცებდა, რომ სასკოლო სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. ი. გოგებაშვილის მოთხოვნებს თარგმნიდნენ და სახელმძღვანელოებს იყენებდნენ მეზობელი ხალხებიც და სხვ. ყოველივე ამას მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ საქართველოს მდგომარეობაში მყოფ რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა მცირერიცხოვან ერებისა და ხალხებისათვის, კერძოდ კი მეზობელ სომხების, აზერბაიჯანელებისა და კავკასიის სხვა ხალხებისათვის.

საკუთრივ ქართული სინამდვილისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ი. გოგებაშვილის ნაწერები ქართული პედაგოგიკის, ლიტერატურისა და სხვა საკითხებზე. ასეთი რამდენიმე საკითხი წინამდებარე წიგნშია განხილული. ზოგიერთი მათგანი აღრევე დაიბეჭდა. მათგან „იაკობ გოგებაშვილი და რუსთველოლოგია“ (იხ. ჩვენი წიგნი „რუსთველოლოგები“, თბ., 1970, გვ. 109—112), ი. გოგებაშვილი აფხაზეთის შესახებ⁴ (იხ. ვაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1940 წ. 29 ოქტომბერი, № 252), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილოლოგიური საქმიანობის (ყურნ. „მნათობი“, 1959 № 7, გვ. 108—113), ნ. მარის ურთიერთობაზე ქართველ პედაგოგებთან (ყურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1965 № 3, გვ. 74—83), სამეცნიერო და სასკოლო გრამატიკის ურთიერთობის თაობაზე (ვაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1954 წ., 6 აგვისტო, № 154).

ჩვენი ნარკვევებიდან პირველად აქ იბეჭდება „ი. გოგებაშვილი — ბავშვთა მწერალი“ და „ი. გოგებაშვილი ოსების შესახებ“³; ადრე მოკლედ დაბეჭდილთაგან სრულადაა წარმოდგენილი წერილები: „გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხები ი. გოგებაშვილის ნაწერებში“ (ეურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1953 წ. № 4, გვ. 88—91) „დედაენის მიხედვით შედგენილი კიდევ ერთი სახელმძღვანელო“ (შდრ. — „კარგი სახელმძღვანელო“. — გაზ. „სახალხო განათლება“, 1974 წ. 25 ოქტ., № 86, გვ. 4) და ზოგი სხვაც რიგი დაზუსტებებითა და დამატებებით მეორდება. გოგებაშვილის მიერ შედგენილ ეპიტაფიებს (იხ. ქვემოთვე) ავტორის ბიოგრაფიისა და ნაშრომთა ბიბლიოგრაფიის სისრულისათვისაც აქვთ მნიშვნელობა. ამის გარდა, როდესაც ი. გოგებაშვილის ნაწერების სრული აკადემიური გამოცემა განხორციელდება, მასში ეს ეპიტაფიებიც შეიძლება შევიდეს.

ბოლოს წარმოდგენილია გამოკვლევები გრამატიკულ საკითხზე და წერილები მეტყველების კულტურასა და „გადმოცემები ბულბულზე“.

გამოკვლევათა და წერილებში ლიტერატურა მითითებულია მათი დაწერის დროს არსებული გამოცემების მიხედვით. მათ, ზოგიერთ საკითხთა განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, როგორც ზემოთ ითქვა, ახლა ვუმატებთ მითითებას ი. გოგებაშვილის თხზულებათა აბსტრაქტების მიხედვით⁴.

³ შდრ. Я. С. Гогобашвили. Избранные педагогические сочинения под ред. Н. А. Константинова, Москва, 1954. აგრეთვე ტ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი. ხ ა ლ ხ თ ა მ ე გ ო ბ რ ო ბ ის მ ე დ რ ო შ ე (იაკობ გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავის). — გაზ. „სახალხო განათლება“, 1975 წ. 25 ოქტომბერი, გვ. 1.

⁴ ქართულ ხალხთან აფხაზი ხალხის ისტორიული ურთიერთობის შესახებ ი. გოგებაშვილის მოსაზრებებს ამავრებს გამოჩენილი კავკასიოლოგის ნ. მარის ნაშრომები. იხ. კრებული Н. Я. Марр. О языке и истории афхазов, Москва — Ленинград, 1938.

⁵ ჩვენი წიგნის პირველმა გამოცემამ („განათლება“, თბილისი, 1973 წ.) დაიშახურა დადებითი რეცენზიები და გამოსხაურებანი: 1. პ. რ. ფ. ტ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი. მნიშვნელოვანი ნაშრომი იაკობ გოგებაშვილზე. — გაზ. „სახალხო განათლება“, 1973, XI.23. №94, გვ. 2. (მთელი ქველურა); 2. მ. ს ა ნ ა ძ ე. საყურადღებო ნაშრომი. — გაზ. „თბილისი“, 1973.30, №225, გვ. 3; 3. ო. გ ა რ ე ქ ე ლ ი. საინტერესო ნაშრომი. — გაზ. „სამშობლო“, 1974. 1, №2, გვ. 7; 4. რ. შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი — გაზ. „წიგნის სამყარო“, 1973.XII.11, № 23 (131), გვ. 2; 5. ანდ. შ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი — ეურნ. „დაწვევითი სკოლა“, 1975, № 1, გვ. 72—76; 6. ა. ვ ა წ ე რ ე ლ ი ა — „ლიტერატურული საქართველო“, 1974. II. 1, № 5, გვ. 1; 7. გაზ. „ქუთაისი“, 1973.X.31, № 213, გვ. 3; 8. გაზ. „თბილისი“, 1973. XI. 3, № 259, გვ. 4.

თ ა ვ ი

ი. გოგებაშვილის ძირითადი შეხედულებები ენის საკითხებზე

„ქართული ენა ისე მრავალფეროვანია,
როგორც არის ჩვენი ერის ისტორია“.
ი. გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილი ენათმეცნიერი არ იყო, მაგრამ იგი თავისი დროის ამ დარგის მიღწევებსაც იცნობდა. მან იცის გერმანული ენათმეცნიერების — ვილ. ჰუმბოლდტის (1767—1835), ე. ვუნდტის (1832—1920) და ავგ. შლაიხერის (1821—1868) ლინგვისტიკური შეხედულებები ენის ზოგადსაგანსახათლებლო მნიშვნელობის შესახებ. კიდევ უფრო კარგად ესმის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის რუსი ენათმეცნიერების — ა. ა. პოტეზნიას (1835—1891), ფ. ფ. ფორტუნატოვის 1848—1914), ივ. ბუდუენ დე კურტენეს 1845—1929), პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგების ნ. ვესელის, კ. უშინსკისა და სხვათა შეხედულებები დედაენის საგანსახათლებლო მნიშვნელობის თაობაზე.

უშინსკის უფრო თავისი მოღვაწეობის პირველ ნახევარში უხდებოდა ბრძოლა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის თავად-აზნაურული არისტოკრატისა და ბურჟუაზიული ზედაფენების ოჯახებში შექრილი სალონური ფრანგული ენის, მეცნიერებაში — გერმანული ენის. გაძლიერების წინააღმდეგ. ეს საფრთხე უვნებელყვეს თვით რუსეთის მრავალმილიონიანმა მშრომელმა მასებმა, რასაც დიდად შეუწყვეს ხელი რუსმა განმანათლებლებმა. — თვით უშინსკის მოღვაწეობამ და დიდმა მწერლებმა. სალონური ენის შებოჭვა და რუსული ენის საყოველთაოდ უფრო და უფრო გაბატონება რუსეთში განაპირობა კაპიტალიზმის განვითარებამ, თვით რუსეთის საერთო ყოფამ. უშინსკის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში სალონური ენა უძლური გახდა რუსული ენის წინააღმდეგ.

სულ სხვა ვითარება შეიქმნა საქართველო-

შ. ი. როგორც დიდი იმპერიის არარუსულენოვან სხვა ხალხებს შორის, ასევე ქართველებს შორის უფრო და უფრო მკვიდრდებოდა რუსული ენა; ამას, კანონს გარდა, რომ სახელმწიფო საქმეებისა და სასკოლო სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმოებულიყო, სხვა გარემოებებმაც შეუწყვეს ხელი... უფროს თაობას ასსოვს, რუსეთის მეფის მთავრობის დამხობის წინ, რევოლუციამდელი არარუსი ხალხების ყოფაში ადგილობრივი ენების როლი ძალიან შევიწროებული იყო და რომ მუგომარეობა არ შეცვლილიყო, ისინი კიდევ უფრო და უფრო შეიზღუდებოდნენ. უშინსკის უხდებოდა გამარჯვებისა და გაფართოებისაკენ წარმართული ენის კიდევ უფრო განმტკიცების აგიტაცია.

ი. გოგებაშვილს კი სჭირდებოდა თავდადება დაკნინებისაკენ დაქანებული ენისა და ენებისათვის, მცირერიცხოვანი ერებისა და ხალხების ოვითმყოფობის დაცვისათვის. ამიტომ იგი ებრძოდა რუს დიდმპყრობელებს, მაგრამ პატივს სცემდა იმავე ერის მრავალრიცხოვან ინტელიგენციასა და მშრომელ მასებს. მას ნ. მარი შემთხვევით არ უწოდებდა „ნამდვილ რუსულ განათლებაზე აღზრდილს“. ჩვენი პედაგოგი, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა ქართული სინამდვილე და გვერდში ედგა ეროვნულ განთავისუფლებისათვის მებრძოლთ, ეყრდნობოდა აგრეთვე არაქართველ პროგრესულ მოაზროვნეებს, მათ შორის, პირველ რიგში, თვით „რუსეთის უწარჩინებულეს მოღვაწეებს“ და წერდა: ამ ქვეყნის „საუკეთესო შვილნი დიდის მხნეობით ებრძვიან აქამად“ აზრის ჩამხშობთ, მომავალი „ბ ე დ ი რ უ ს ე თ ი ს ა ა მ ს ა უ კ ე თ ე ს ო შ ვ ი ლ თ ა ხ ე ლ შ ი ი ქ ნ ე ბ ა“, ჩვენ მათთან უიქნებით და „მშვიდობიანი გზით შევიწარჩუნებთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ეროვნებას“, სკოლები განთავისუფლდებიან რუსეთსა და კავკასიაშიცაო.

ი. გოგებაშვილის სათანადო ნაშრომებიდან ჩანს, რომ ავტორი უროვნული ენის ერთიანობის თვალსაზრისზე იდგა; ის დედაენის მთლიანობის დაცვით ერის მთლიანობას იცავდა¹. მას წერილში „დაურღვეველი კავშირი ქართული ტერიტორიისა და ქართველის ერის შორის“ ამ კავშირის ცენტრად, სულად და გულად, დედაენა მიაჩნია¹.

ი. გოგებაშვილის სიტყვებით ყოველ ერს „აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის დედა-ენად“, ხოლო „თემური კილოკავები იხმარებიან ადგილობრივ“, როგორც, მაგალითად, ქართული ენა საერთოდ ჩვენს

¹ ი. გოგებაშვილი. რჩული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, 1910 წ., გვ. 396—მისივე, თხზულებანი, ტ. 3, 1954, გვ. 308—311. ქვემოთ — შემოკლებით: ტ. I, 1910, და ავტორის შესავტორის ტომი, წლის ღნიშვნით, ვინაიდან ზოგიერთი ნაშრომის სხვა გამოცემებიც არსებობს.

ცხოვრებასა და სკოლაში და მეგრული და სვანური ადგილებზე (ტ. I, 1910, გვ. 385 ან ტ. 3, 1954, გვ. 323). მაშასადამე, ერის საერთო ენად მას ერთიანი სახალხო ენა მიიჩნია და მასვე თვლის სახელმწიფო და ზოგადსაგანმანათლებლო, სალიტერატურო და სასკოლო ენად. ამის გამო ებრძოდა ის მათ, რომელთაც ქართველთა დაქსაქსვა, დასუსტება სურდათ.

აღნიშნული საერთო ენის შესწავლის ძირითად საშუალებად იაკობი მწერლობას თვლის. გრამატიკა თვითონ ენაშია, მას უნდა სწორად გაგებაო, — ამბობს იგი.

ი. გოგებაშვილი ამ საკითხში ეყრდნობა ი. ჰეკეაძის დებულებას: „ენას კანონს თვით ენა აძლევს“, და მას ავითარებს; ენის ბუნიბუნიდან გამოდის, და ამიტომ ამბობს გრამატიკა „უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვით იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისასა“ (იხ. მისი ტ. I, 1910, გვ. 161 = ტ. 2, 1954, გვ. № 90; ხაზი ჩენია, მ. 8.).

ი. გოგებაშვილი წერს: „გრამატიკა ფილოსოფიაა ენისა“ და როგორც ყოველი ფილოსოფია, ისე გრამატიკაც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ი. გოგებაშვილს კარგად ესმის, რომ ენაზე ლაპარაკი არ ნიშნავს ენის მეცნიერულად ცოდნას. „ენა და მისი გრამატიკა უნდა შევისწავლოთ სპეციალურად“ (1886 წ.). მაგრამ ის გრამატიკას მაინც მხოლოდ დამხმარე საშუალებად თვლის. ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: „გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარე ლონისძიება, რომელიც სარჩულად ედება პრაქტიკულს ცოდნას“².

ენის შესწავლა უგრამატიკოდაც შეიძლებაო... (ტ. I, 1910, გვ. 160 = ტ. 2, გვ. 89). ამ თვალსაზრისით ძირითადში გრამატიკის მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობის გაგებაა წარმოდგენილი. ერთი ნაშრომის დასკვნებში წერენ: „ი. გოგებაშვილის მთელი გრამატიკული მოღვაწეობა განსაზღვრა პედაგოგიურმა მოთხოვნილებებმა“³. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მთლად ასე არაა, — ამ გრამატიკულ მოღვაწეობაში როლი ქართველი ერისა და ქართული ენის მთლიანობის დაცვის მოწოდებამ და საამისოდ ქართულის შესწავლამაც ითამაშა.

² ი. გოგებაშვილი. ტ. I, 1910 წ., გვ. 161. შტრ., ქვემოთ, სადაც ვწერთ, რომ ი. გოგებაშვილი უარყოფდა ცუდ გრამატიკას და არა გრამატიკას საერთოდ. ამასთანავე ცხადია, რომ ის, გრამატიკის პრაქტიკული მნიშვნელობის პრიმატის აღიარებით, სასკოლო გრამატიკითა უფრო დაინტერესებული. (სასკოლო და სამეცნიერო გრამატიკათა ურთიერთობის შესახებ იხ. ქვემოთ); აგრეთვე იხ. მ. თალაკვაძე. იაკობ გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგებულების პრინციპები, თბ., 1952 წ.

³ ვ. ახვლედიანი და ა. ფარეშიშვილი. ქართული გრამატიკის საკითხები იაკობ გოგებაშვილის შრომებში. — იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული, უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 1940, გვ. 65; ხაზი ჩენია, მ. 2.

სამაგიეროდ, იგივე ავტორები სწორად აღნიშნავენ: ი. გოგებაშვილმა „ქართული გრამატიკის სახნად აღიარა ახალი ქართული ხალიტერატურო ენა“, მან „უარყო ძველი გრამატიკების მეთოდი (ქართული ენის მოვლენების უცხო ენებით ზომეა)“; ქართული და მისი უახლოესი მეგრულ-ქანური და სვანური ცალკე კილოკავებად სცნო⁴, და წინ ქართული ენის მნიშვნელობა წამოიწია.

ვინც ჩვენს დედაენას ებრძვის, მისი კილოებთან გათანაბრება სურს, იგი ჩვენი მტერია და ჩვენს გადაგვარებაზე ოცნებობსო, — ამბობდა იაკობი და ამხელდა იმ ხრიკებს, რომლითაც მტერი ქართველთა დაჩაგვრას ლამობდა. იაკობს სწამდა, რომ შვერახმელები რუსეთის იმპერიაში უფრო მეტი კულტურის ხალხებს ებრძოდნენ, ვიდრე ისტორიულად ნაკლები კულტურის მქონე ხალხებს. ამიტომ იგი აცხადებდა: „ქართველნი უფრო დაჩაგრულნი არიან ყველა სხვა ჩაგრულთა შორის, უფრო უფლებაახდილნი არიან ყველა სხვა უფლებაახდილთა შორის“ (ტ. 4, 1955, გვ. 115).

ავტორი იმოწმებდა პროფესორ ნ. მარს: — „რანაირ შეუწყვიათ ხმა ერთმანეთისათვის ქართველთა საწინააღმდეგოდ და დასაჩაგრავად ორივე სასწავლო უწყებას — კავკასიის სასწავლო ოლქსა და საქართველოს საეგზარხოსოს...“ (იქვე, გვ. 131).

როგორც უფრო ვრცლად ქვემოთ დაეინახავთ, ი. გოგებაშვილი უსამართლობას მეფის სატახტო ქალაქშიც ებრძოდა, იქ გამოაქვეყნა მან ნაშრომი „Безправие грузинского языка и самих грузин в учебной области на Кавказе — (გაზ. „Разсвет“, პეტერბურგი, 1905 №112, 113, 116 და 119) — „შევიწროება ქართული ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში“⁵ ითარგმნა და თბილისშიც გამოაქვეყნდა (იხ. ქვემოთ), ჩვენ გვავიწროებენ იმ დროს, როდესაც უმრავლესობაც ვართო. „სულ რუსნი — , ამბობდა იგი, — ჭარბითურთ ამიერკავკასიაში 200.000-ია, სომეხნი — 900.000, ხოლო ქართველნი — მილიონნახევარი“ (ტ. 4, გვ. 119).

ჩვენში, — თვლიდა იაკობი, — არა მარტო ქართული ენა არ უნდა იყოს დევნილი, არამედ მისი დაცვის მთავარი იარაღი — ქართული ანბანიც ვერავინ უხდა შეავიწროოსო. იგი

⁴ იქვე, გვ. 66.

⁵ შტრ. იქვე.

⁶ ი. გოგებაშვილის ამ წერილს გზა გაუტყაფა აღრე იმავე ორგანოში დაბეჭდილმა ნ. მარის მიერ უბაღლო პოლემიკურმა ნაშრომმა „Грузинская нация. Ответ И. Восторгову“, (რაზსვეტ, 1905, 14—15 მაისი, №№ 68—69). იგი მაშინვე ითარგმნა ქართულად — „ქართველთა ეროვნება“. ქუთაისი, 1905; შტრ. ჩვენი წერილიდან „ნიკო მარის ცხოვრება და მოღვაწეობა“, — „მაცნე“, 1965, № 6, გვ. 290—294.

სიამაყის გრძნობით აცხადებდა: ქართულ ანბანს „გამოჩენილი მეცნიერი უსლარი აღიარებს უსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის“ (ტ. 4, გვ. 174); ეს სწორია და ქართულის მახლობელი ენები მხოლოდ ამ ანბანით უნდა სარგებლობდნო. იგივე ავითარებდა ლინგვისტურად სწორ აზრს, რომ ეს ანბანი ხატავს (გადმოგვეცემს) ყოველს ხმას ასეთი ენებისა, სადაც მარტო იგი იხმარებოდა საუკუნეების განმავლობაში, მათთან შეჩვეულნი არიან ამ ენებზე მოლაპარაკენი და მათ განათლების მიღებას უადვილებსო.

ი. გოგებაშვილი იცავდა ჩვენს უფლებებს, მაგრამ ისე, რომ სხვათა უფლებებს არ ბღალავდა; სწავლის საქმეში იგი მეზობელ ხალხებსაც ხელს უწყობდა.

„დედა-ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რეველი, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულსა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა...“

ი. გოგებაშვილი

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი იბრძოდა იმისათვის, რომ მასობრივად შეეგნოთ ქართველებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედაენას, ანუ მშობლიურ ენას, ერის მთლიანობის დაცვას. განმტკიცებისა და კულტურული ამაღლების საქმეში და მოეპოვათ უფლება ამ ენაზე სწავლისა. ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში მოძღვრებას დედაენის შესახებ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ი. გოგებაშვილმა უდიდესი როლი შეასრულა ახალი ქართული ენის ლიტერატურაში დამკვიდრებისათვის; მისი სახელმძღვანელოები იყო მძლავრი იარაღი ქართველი ერის მთლიანობისა და ქართული ენის დაცვის საქმეში. იაკობს კარგად ესმოდა რუსი მეცნიერის ფ. ი. ბუსლაევის (1816—1897) და კ. დ. უშინსკის დებულება, რომ „язык есть главный материал воспитательный предмет“. ამიტომ იგი თავდადებით იბრძოდა, რათა ქართული ენა ქართულ სკოლებში დამკვიდრებულიყო და სისტემატური სწავლების საგნად ქცეულიყო.

იაკობი შეუდრეკელი იყო და ქართული ენის დამოუკიდებელი სწავლების საგნად გადაქცევისათვის იბრძოდა იმ დროს, როდესაც ქართულს, სხვა ნაციონალურ ენებთან ერთად, ძალის ენას უწოდებდნენ.

იაკობი, მოითხოვდა რა ქართული ენის სასწავლო საგნად ქცევას, ამავე დროს განმარტავდა რუსული ენის შესწავლის დიდ მნიშვნელობას. იგი იბრძოდა ერთა და ენათა სწორუფლებიანობისათვის, გრძნობდა, რომ „რუსულ ენას პროგრესიული მნიშვნელობა ჰქონდა მრავალი საწყალი და ჩამორჩენილი ნაციებისათვის“, მაგრამ ისიც იცოდა, რომ იმავე რუსულ ენას „უფრო მეტი პროგრესიული მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ის იძულება არ ყოფილიყო“¹.

იაკობს ვერ მოეთმინა „შევიწროვება ქართული ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში“. იგი მუდამ ამოწვდილი

¹ ვ. ი. ლენინი, წერილი გ. შაუმიანს (1913 წ.). პირველად დაიბეჭდა 1922 წ. № 1-2 „Красн. летопись“-ში.

ხმალი იყო, როგორც პირველის, ისე მეორეს დაცვისათვის. ამიტომ ის ებრძოდა ისეთ რეაქციონერებს, როგორც იყვნენ: პურიშკევიჩი, ლეონტიევი, პობედონოსცევი, მემჰერსკი, სუვორინი, იანოვსკი, ლევიცკი, ზავადსკი, კატკოვი, კერსკი, სლავინსკი, სტერლეცკი, ხაზაროვი, კუვშინსკი, ლიხაჩოვი, იოანიკე, ოლოვეი, ჟელიაბოვსკი, ვოსტორგოვი და სხვები.

იაკობის პროექტის თანახმად: „ყოველს გუბერნიაში ვალდებით საგნათ უნდა ჩაირიცხოს მხოლოდ ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობს უმრავლესობა ამ გუბერნიის მცხოვრებლებისა. ეს მით უფრო სამართლიანი იქნება, რომ უმრავლესობის ხარჯით ინახება სასწავლებლები“ (ტ. II, 1940, გვ. 121 = ტ. I, 1955, გვ. 371).

იაკობი ამას მოითხოვდა იმ დროს, როცა მეფის რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ მცირე ერები, და მათ შორის ქართველები, გადაეგვარებინა, ქართველი ერისათვის სულიერი კულტურის უდიდესი განძი — დედაენა წაერთმია. ამ დროს ქართულს არასავალდებულო, კვირაში ორი და ისიც მეექვსე გაკვეთილის საგნად თვლიდნენ.

„ქართულს ენას, — ამბობს იაკობი, — მხოლოდ დაბალს კლასებში ასწავლიან მსურველთ. ისიც კვირაში ერთხელ-ორჯერ, ყველა სხვა გაკვეთილების შემდეგ, მეექვსე დამატებით გაკვეთილზე. მის მასწავლებლებს არ ეთვლებათ სამსახური და იღებენ ძლიერ მცირე ხელფასსა“ (ტ. II, გვ. 248). ან კიდევ: „ქართული ენის სწავლება ჩაყენებულია ყოვლად შეუძლებელს გარემოებაში“... „ქართულის ენისათვის დანიშნულია პირველს და მეორე კლასში ორ-ორი გაკვეთილი, მესამეში და მეოთხეში კი თითო-თითო. მეხუთე კლასიდან დაწესებული ქართული ენის ჭაჭანებაც აღარ არის“... „თვით დრო ქართულის გაკვეთილებისა ყოვლად შეუფერებელია. ქართულს ენას ნარგუნები აქვს დამატებითი მეექვსე საათი“² (1900 წ.).

1876 წლის 22 სექტემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა აფრთხილებდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს: ქართულს ორ. საათზე მეტი არ დაუთმონ კვირაში და ისწავლებოდეს რუსული ენით. ამის თაობაზე გოგებაშვილი წერდა: სად გაგონილა, რომ დედაენას სხვა ენით ასწავლიდნენ³ და სხვა გაკვეთილზეც

² იაკობ გოგებაშვილის წერილი, ხსენებული სათაურით იბ. მისი „ჩრეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ ტ. I-ში (თბილისი, 1910 წ. გვ. 504—526) ან მისივე „ჩრეული ნაწერების ომბტომეული, — პედაგოგიური თხზულებანი“, ტ. II (თბილისი, 1940 წ.). პროფ. გ. თაეზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, გვ. 458—485 = ტ. 4, 1955, გვ. 108—131, 152—157.

³ ტ. I, 1910, გვ. 390—391, ტ. II, 1940, გვ. 334 = ტ. 3, 1954, გვ. 334.

დედა ენა

ანუ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი
სახალხო უკოლმებისათვის

შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან..



ბამოცემა პირველი, სურათებით,
ფასი ექვსი შაური.

თბილისი

მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

1876

გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“.

ლეღა ენა

პირველი ნაწილი

ქართული ანბანი

პატარა მოთხრობებით, ლექსებით.

ხელწერებით და ლექსებით

ყველა სარწმუნოების ქართველთათვის



შედგენილია

მაკობ მოგებაშვილის-შიერ

ოც-და-შეცამეტე გამოცემა, მრავალი ხურათით და
ლექსით.

ფასი ორი შური, უღით ხამი შური.

თფილინი

ელპტ.-მბვდ. სტამბა ხ. ლოსაბერიძისა, მთავრე. ქ. ხაჯ. სახ. № 5.

1912.

„ლეღა-ენა“ საი. ზოგ. წიგნები.
ქართული ანბანი. პირველი ნაწილი. მრავალი ხურათით და ლექსებით. მაკობ მოგებაშვილის-შიერის შედგენილია. ოც-და-შეცამეტე გამოცემა. ფასი ორი შური, უღით ხამი შური.

მისი ხმარება აკრძალული იყოს. ამ საგანს 1873 წლიდან მასწავლებელს არ უნიშნავენ, ანდობენ მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს და რუსული ენის მასწავლებელს, რასაც 8 საათში უხდიდნენ, იმდენს ქართული ენის მასწავლებელს 12 საათში უნახდაურებდნენ. ისიც ამ 12 საათს ქართული ენის მასწავლებელი 6 კვირაში გამოიმუშავებდა (2 ს. კვირაში), რუსული ენისა კი — 8 საათს ერთ კვირაში...⁴.

„ბუნების კარში“ ვკითხულობთ: „გურიასი ორი ქალაქია: ოზურგეთი და ფოთი“ (1912 წ. გამოც., =ტ. 6, გვ. 625)⁵. მაშინ ფოთი გურიას ეკუთვნოდა, თუმცა მასში ბევრი მეგრელი ცხოვრობდა და მოწაფეთა უმრავლესობა მეგრელი იყო. გუბერნიის სასწავლო უფროს გადაეწყვიტა: მეგრელებს თავისი ენა აქვთ, ქართული რაღა შუაშია, მხოლოდ რუსულ ენას უნდა სწავლობდნენო, და მათ ქართული ენის გაკვეთილა მოუხსნეს. ამის გამო ი. გოგებაშვილი აცხადებს: ფოთი „ბევრს ეცადა აღედგინა ქართულის სწავლება საქალაქო სკოლებში, მაგრამ ვერას გახდა⁶. მით უფრო სამეგრელოსა და სვანეთში მცხოვრებ მეგრელებსა და სვანებს უკრძალავდნენ ქართული ენის შესწავლას. სასკოლო „მთავრობამ დაიწყო გაფაციცებით თვალყურის დევნა, რომ ქართული წიგნები არ ჩავარდნოდათ ხელში არც მეგრელებსა და არც სვანებს, სულ ერთია, ქალი იქნებოდა, თუ კაცი“⁶.

ამის საწინააღმდეგოდ იაკობი მოითხოვდა: „ქართული ენა უნდა გახდეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველთათვის, მიენიჭოს სრული უფლება საშტატო საგნისა და ისწავლებოდეს იმ დროს, როდესაც ისწავლება ყველა სხვა საგნები, ხუთის ნორმალური საათის განმავლობაში, და არ ებას სასწავლებლებს რაღაც უმნიშვნელო კუდად. მის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ იგივე ცენზი, იგივე სამსახურის უფლება და ეძლეოდეთ იმდენივე ჯამაგირი ხაზინიდან, რა ცენზიც მოეთხოვება, რა უფლებაც აქვს და რა ფასიც ეძლევა სხვა საშტატო საგნების მასწავლებელთა“⁷.

იაკობი ცნობდა ნევეროვის აზრს: „Нет образования без возможного знания своего родного языка, как орудия мысли,“ (იაკობის ტ. I, 1910 წ. გვ. 338 =ტ. 3, 1954, გვ. 331).

⁴ შდრ. გ. ხოხლენკო. მახარაძის პირველი საშუალო სკოლა, თბ., 1962, გვ. 79.

⁵ ტ. II, 1940, გვ. 459 =ტ. 4, 1954, გვ. 109.

⁶ ი. გოგებაშვილი. ტ. II, 1940 წ., გვ. 458 =ტ. 4, 1955, გვ. 108. ამ საკითხს ჩვენ ვრცლად ვეხებით ნაწილობრივ გამოქვეყნებულ წერილში. „ი. გოგებაშვილი მეგრელების, სვანებისა და აფხაზების შესახებ.“ — გაზ. „საბჭოთა“, „აფხაზეთი“, №252 (978), 29 ოქტ. 1940 წ. იხ. ქვემოთ; შეადარე ტრ. ხუნდაძის შრომა „ტარიხმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები)“. თბ., 1940 წ.

⁷ ტ. I, 1910, გვ. 391 =ტ. 3, 1954, გვ. 334; შეადარე იქვე, გვ. 87. ტ. II,

იაკობი ამტკიცებდა, რომ „დედაენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო სკოლის კურსისა და მის რიგიან შესწავლაზედ უნდა იყოს მიქცეული უმთავრესად ყურადღება“, „სწავლება ყველა საგნებისა მთელის კურსის განმავლობაში იქმნას მოწყობილი დედა-ენაზე“ (ტ. II, გვ. 529). ი. გოგებაშვილი გრძნობდა, რომ „ენა ადამიანთა ურთიერთობის ფრიად მნიშვნელოვანი საშუალებაა“ (ლენინი). „ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ყოფილს, აწმყოს და მომავალ თაობას ერისას“... „დედა-ენა შესძენს ბავშვის აზრს იმისთანა ლოგიკურს მოსაზრებათა და ფილოსოფიურს შეხედულებათა, რომელთაც მას ვერ შეაძენინებდა ვერც ერთი ფილოსოფოსი“ (ტ. II, გვ. 211), „დედა-ენა არის უდიდესი მოძღვარი ერისა“ (იქვე, 366).

„დედა-ენა უხსნის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა ვერც ერთი ბუნების მეტყველი“ (იგივე ტ. 2, გვ. 211) და ა. შ. მოყვანილისა და მსგავსი აზრების კვალობაზე იაკობი წერდა: „დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა“ (ტ. II, 1940, გვ. 368 = ტ. 2, 1954, გვ. 208).

ამ საკუთარს, შეიძლება ითქვას, ორიგინალურად გამოთქმულ მოსაზრებებს ი. გოგებაშვილი ამაგრებს ზემოხსენებული მოწინავე ენათმეცნიერებისა და პედაგოგების (თავი I) აზრებით.

1883 წელს მან დაბეჭდა „განმარტებითი წერილი, სამეურნეო სასწავლებლის გეგმისა, რომელიც არსდება სოფელს წინამძღვრიანთ-ქარში“⁸. აქ ავტორს დედაენის მნიშვნელობის შესახებ კ. უშინსკის შრომიდან მოაქვს ვრცელი ამონაწერი: „წაართვით ხალხს ყოველისფერი და ის ყოველისფერის დაბრუნებას შეიძლებს; მაგრამ თუ ენა წაართვით, ის თავის დღეში ვეღარ შეიქმნის მას; ახალს სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას კი ვეღარ; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც!“ ენა „არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, — ის არის თვით სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ჰქრება, — ჰქრება ხალხიც, ვიდრე, ენა ცოცხალია და ხალხი იმაზე ლაპარაკობს, — ხალხიც ცოცხალია“⁸. ენა რომ უკან-უკან წავა,

108 = ტ. 1, 1955, გვ. 270: „მასწავლებელნი ქართული ენისა და ლიტერატურისა უნდა იქმნენ ჩაირცხულნი შტატში და გათანასწორებულნი სხვა საგნების მასწავლებლებთან როგორც ქამაგირით, ისე ყოველგვარი უფლებით“.

⁸ ი. გოგებაშვილი ტ. I, 1910, გვ. 103-125, ან ტ. II, 1940, გვ. 145-168 ან კიდევ ტ. 2, 1954, გვ. 226-250.

ზრდას შეწყვეტს, „გალატაკდება, დაქენება, დაიმარხება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემქმნელ ერსაც“⁹.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კ. უშინსკი აგრეთვე აღნიშნავს; დასავლეთი ევროპის დიდმა ერებმა მცირერიცხოვან ხალხთა ენებზე მიიტანეს იერიში, რათა მათი გადაგვარება დაეჩქარებინათ¹⁰. ყოველივე ამას და მსგავს აზრებს ი. გოგებაშვილი იმეორებდა და აღრმავებდა წიგნშიც „ბურჯი ეროვნებისა“, მათ საქართველოს სინამდვილეს უსადაგებდა...

იაკობის გავლენა და სიტყვა იმდენად ავტორიტეტული იყო, რომ მას ფართო მასები მიჰყვებოდნენ და, საინტერესოა, რომ იაკობის მიერ გამოყენებული დედაენის მნიშვნელობის შესახებ კ. უშინსკის აზრები (ზოგჯერ გადაჭარბებული და მცდარიც კი) ვალექსა სიმონ გუგუნავამ¹¹.

... დედას რომ შვილი მოსტაო,
აღარ აჩვენო თვალითა,
შობლურის გრძნობით ნაწლავი
დაეწვის ცეცხლის ალითა;
ვერ შეუმძირებ სატანჯველს
ვერა ყინულის წყალითა,
მაგრამ მეორეს დაბადებს
ბუნებრივისა ძალითა.
... თუ ხალხს სამშობლო წართვით
განსდევნეთ სხვაგან ბნელშია,
ხალხი კვლავ ხალხად დარჩება,
არ დაინთქება ხერელშია: —

ან შეიქმს ახალ სამშობლოს,
უდაბურს ტყე და ველშია,
ან დაიბრუნებს თავისას,
მტერს გამოსტაცებს ხელშია.
რაცა აქვს, ყველა წართვით,
ნუ შეეხებით ენასა,
და როცა ენას წართმევთ,
დაჭარბავს ხელა-სმენასა!
ვერ დაიბრუნებს წართმეულს,
დაიწვიებს კბილთა დარტყნასა,
ბოლოს გაქრება, მოკვდება,
მოსპობს სულისა ქშენასა...¹²

არამშობლიური ენის მნიშვნელობა

იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა: სწავლება ყველა საგნისა უნდა მიდიოდეს დედაენაზე, მაგრამ მას არ დაეიწყებია „მნიშვნელობა ჩვენთვის ევროპიულის ენების შესწავლისა საზოგადოდ და კერძოდ რუსული ენისა“¹³. ამის გამო, ი. გოგებაშვილი ადგენდა როგორც ქართული, ისე რუსული ენის სახელმძღვანელოებს.

⁹ იქვე, ტ. I, გვ. 106—108. ტ. II, გვ. 148—149, ქართული თარგმანი იქვე: ტ. I, გვ. 108—109; ტ. II, გვ. 149—150—ტ. 2, 1954, გვ. 230—231.

¹⁰ იქვე, ტ. I. 1910, გვ. 108; ტ. II, 1940, გვ. 150; ხაზი ჩვენია; ი. შ.

¹¹ შლრ. იქვე, გვ. 108—109: უფრო ზუსტად და ვრცლად იხ. კ. დ. უშინსკი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1974, გვ. 149—150; შლრ. იქვე, გვ. 29—30—დ. ლ. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. მ. ს. წინასიტყვაობა.

¹² იხ. „პატარა ჩოგურნი“, გამოცემული სოსიკო მერკვილაძის მიერ, № 10, 1903. გვ. 3-7. ეს ლექსი უფრო ადრე დაბეჭდილი იყო ჟურნალში. შლრ. ი. მეგრულიძე, გუგუნაევი, ბათუმი, 1987, გვ. 39—41.

¹³ ტ. 2, 1954, გვ. 223-224; მისივე, ძირითადი უკულმართობა. თბ., 1892. გვ. 33.

„ევროპულ ენათა შესწავლასა და ცოდნას, — წერს იაკობი, — ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის და, განსაკუთრებით, ჩვენთვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია. კარლემ (sic! ე. შ.) მეხუთემ, ავსტრიისა და ისპანიის იმპერატორმა, რომელიც დიდს კმაყოფილებას ხედავდა ენების შესწავლაში, სთქვა: „როდესაც რომელსამე ახალ ენას ვსწავლობ, მე ისე ვგრძნობ ჩემ თავს, თითქო ახალი სული მიღებოდესო“. დიდმა პოეტმა და ბრძენმა გიოტემ ამას დაუმატა: „ვინც დედა-ენას გარდა არა ენა არ იცის, მან რიგიანად არც ეს დედა-ენა იცისო“ (ტ. 2, 1954, გვ. 222—223).

ჩვენი დიდი პედაგოგი ქართველისათვის რუსული ენის შესწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან, მისი თქმით, რუსული ენა არის: ენა, რომლითაც სხვის კულტურას ვეცნობით, ენა მრავალრიცხოვანი ერისა, ენა, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი აქვს, ენა ჩვენი ერთმორწმუნისა, ენა, რომელსაც ლიტერატურა შინაარსიანი და მიმართულებით ქართულის მსგავსი აქვსო¹⁴. მესამე მუხლის შესახებ წერს: რუსული „არის ენა ფრიად მრავალისა ერისა და მას მოვლის ბრწყინვალე მომავალი, ერთის მსოფლიოს ენათგანის როლი“¹⁵.

„ქართული ენა მეტყველ და მსმენელ არსებად ჰხდის ქართველს გლენხსა და მუშას მარტოოდენ ქართველთა შორის, ხოლო იმათ იშვიათად არა აქვთ საქმე არაქართველებთანაც, რომელთაც ქართული ენა არ იციან“¹⁶; ამიტომ „ჩვენ ხალხს სურს იცოდეს რუსული ენაც“, იგი ქართველმა იმიტომაც უნდა შეისწავლოს, რომ ეგვე ენა „მეტნაკლებად იციან კავკასიის სხვა ხალხებმაც“ და ამდენად „ხალხთაშორისო ენას წარმოადგენს“. ამავე აზრს ი. გოგებაშვილი აგრეც აზოგადებს, — „რუსული ენის ცოდნა უდიდესი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს მათ იყონ დიდი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და მთელი დედამიწის ერთ მეექვსედზე გაშლილი თავიანთი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე თავს გრძნობდნენ როგორც საკუთარ ოჯახში“¹⁷.

ყოველივე ეს საოცრად ეხმაურება ჩვენს თანადროულობას, — იგივე, კავკასიელებს გარდაც, ვრცელდება, საბჭოთა კავშირის არარუს სხვა ხალხებზეც. რუსული ენა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიერთობის ენაა და იგივე აკავშირ-

¹⁴ ი. გოგებაშვილი. ტ. II, 1940, გვ. 378-380 = ტ. 2, 1954, გვ. 223-225. ძირითადი უკუღმართობა, 1892, გვ. 43.

¹⁵ ძირითადი უკუღმართობა, 1892, გვ. 35; შლრ. ტ. II, 1940, გვ. 378; ხაზო ჩვენია; ე. შ.

¹⁶ ტომი, II, 1940, გვ. 379; გვ. 451 = ტ. 8, 961, გვ. 416.

¹⁷ ტ. III, გვ. 424 = ტ. 7., გვ. 555—556.

რებს ამავე ხალხებს უცხოელებთანაც, — ამენის მცოდნე ახლა უკვე გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყოველ კონტინენტზე.

თანამედროვე რუსული ენის ადგილი ენებს შორის კარგად ჩანს შემდეგი ცნობიდან: „ამჟამად მსოფლიოში 2795 ენა დასამიათასი დიალექტია. ყველაზე მეტად გავრცელებული ენებიდან ჩინურ ენაზე ლაპარაკობს 700 მილიონი, პინდისა და ურდუს ენებზე — 280 მილიონი, ინგლისურზე — 250 მილიონი. ესპანურზე — 150 მილიონი, რუსულზე — 130 მილიონი, გერმანულზე — 100 მილიონი, იაპონურზე — 100 მილიონი, ფრანგულზე — 80 მილიონი, ინდონეზიურზე — 80 მილიონი, პორტუგალიურზე — 80 მილიონი, არაბულზე — 70 მილიონი, ბენგალის ენაზე — 60 მილიონი, იტალიურ ენაზე — 60 მილიონი ადამიანი“.

იაკობის დროსაც დიდი იმპერიის სახელმწიფო ენა იყო რუსული. ამიტომ აყენებდა ავტორი საკითხს: „როგორ გავაუმჯობესოთ სახალხო სკოლა კავკასიაში“ და სათანადო ღონისძიებებსაც სახადა. ამავე დროს რუსულ ენაზევე ითარგმნება საბჭოთა არარუსი და საზღვარგარეთის ხალხების ლიტერატურისა და მეცნიერების საუკეთესო ნაწარმოებები, ცნობები ტექნიკის ყოველგვარ სიახლეებზე. ეს კი გვაკავშირებს მსოფლიო ცივილიზაციასთან, და, პირიქით, რუსული ენიდან, ყველაზე უფრო მეტად, ვიდრე საბჭოთა ხალხების სხვა ენებიდან, ითარგმნება წიგნები უცხოურ ენებზე; ეს ენაც ნობს უცხოელებს საბჭოთა ადამიანების აზრებსა და მისწრაფებებს, მიღწევებს, ამავე ხალხების კულტურულ ვითარებას.

რუსული ენა არარუსი ხალხების მეორე ენაა; რგი სულ უფრო და უფრო ვრცელდება, „ხელს უწყობს ყველა კონტინენტის ხალხთა მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებას“. ამიტომვე პროგრესული იყო ჩვენი სამოციანელების ზრუნვა, რათა ჩვენს ხალხს ეს ენაც სცოდნოდა; იგივე საკითხი ჩვენს დროში კიდევ უფრო აქტუალურია. მაგრამ, ცხადია, ვითარდება სხვა ენებიც და ერთის ზრდამ მეორის განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს. ეს ეხმაურება ვ. ი. ლენინის დებულებას: „მუშათა დემოკრატიის ნაციონალური პროგრამაა: სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას“¹⁸.

ი. ჰავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და მათი თანამებრძოლები სწორედ ამ სიბრტყეზე აყენებდნენ საკითხს — ლაპარაკობდნენ რუსული ენის შესწავლის აუცილებლობაზე და ამავე ენით აზრის გამოთქმის დიდ შესაძლებლობებზე. მაგრამ არ ივიწყებდნენ მშობლი-

¹⁸ ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 20 (თბ., 1951), გვ. 7; ხაზი ჩვენია; ი. მ.

ური ენის სინატიფეს. ამ მხრივ საყურადღებოა მ. ვ. ლომონოსოვის (1711—1765) შემდეგი გამონათქვამი: „რომის იმპერატორი კარლოს მეხუთე ბრძანებდა: ღმერთთან სასურველია ისაუბრო ესპანურ ენაზე, მეგობრებთან — ფრანგულზე, დუშმანთან — გერმანულზე, მანდილოსნებთან კი — იტალიურზე.

მაგრამ ის რომ რუსული ენის მადლს ყოფილიყო ზიარებული, მაშინ უეჭველად დასძენდა: — ამ ენაზე ყველასთან შეიძლება ისაუბრო, რამეთუ მასში აღმოაჩენდა სიღიადეს ესპანურისას, სიმკვირცხლეს ფრანგულისას, სიმტკიცეს გერმანულისას, სინატიფეს იტალიურისას და, კიდევ მეტი, სიმდიდრესა და გავომსახველობით სისხარტეს ბერძნული და ლათინური ენებისას“.

ამას პასუხობს გოგებაშვილის სიტყვები „ქართული ენის მრავალფეროვნების“ თაობაზე (იხ. ზემოთ, თავი I, ეპიგრაფი) და დიდი ენათმეცნიერას — ნ. მარის აზრი თავისი და ჩვენი დედაენის შესახებ: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება რაც დედა მიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდარა ენაჲ. აზრი არ მოიპოვება არც ერთს ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია“¹⁹.

ჩვენს წინაპრებს აღრევე უგრძენიათ ღირსებები ამ ენისა. ჯერ კიდევ იოანე ზოსიმემ (X ს.) დაწერა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ქართული კულტურის სიღიადისა და რევოლუციამდე სათანადოდ შეუსწავლელობის თაობაზე ისევ ნ. მარმა აღნიშნა: „ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას, მხატვრობას და საზოგადოდ ხელოვნებას მეცნიერების კვლევა აკლია და არა მაღალი ღირსება“.

იმავე კულტურის შესახებ გამოჩენილი რუსი მეცნიერი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე ა. ვ. ლუნაჩარსკი აცხადებდა: „საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანას შორის, თავისი კულტურის სიძველით, საქართველო არის სხვებთან შედარებით უფრო ძველცივილიზებული. ამ მხრივ მას მხოლოდ მისი მეზობელი სომხეთი თუ შეედრება“.

საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი სახელოვანი მშენებელი მ. ი. კალინინი ამავე საკითხზე ამბობდა: „ქართველი ხალხი კულტურის მხრივ ერთი უძველესი ხალხია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანაში. ოცი ვითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს კულტურებთან ურთიერთ-

¹⁹ Н. Я. Марр. Пособие для изучения живого грузинского языка, 1. И. В. Мегрелидзе, Иосиф Орбели, тб., 1987, გვ. 80. ლენინგრადი, 1926, გვ. 57. ხაზი ჩვენია; ა. 2.

მოქმედებაში. ეგონებ, ჩვენს ქვეყანაში არც ერთ კულტურას არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც ქართველ კულტურას“.

იაკობი ზრუნავდა დიდებული ქართული და რუსული ენების ჩვენი ბავშვების მიერ დაუფლებასა და ჩვენი კულტურის მათთვის გაცნობაზე. იგივე აყენებდა საკითხს, როდის უნდა დაეწყო ბავშვს მეორე ენის შესწავლა და იშველებდა კ. უშინსკის აზრს, რომ ის წინააღმდეგი იყო „ბავშვისათვის უცხო ენის სწავლების დაწყებისა მაშინ, როდესაც იგი ჯერ ცუდად კითხულობს მშობლიურ ენაზე“²⁰.

ავტორი იზიარებდა იმავე პედაგოგის აზრს: „უცხო ენის შესწავლა არას დროს არ უნდა იწყებოდეს ძალიან ადრე, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწყებოდეს მანამდის, სანამ არ შევამჩნევთ, რომ დედა-ენამ ღრმა ფესვები გაიდგა ბავშვის სულიერ ბუნებაში“. იგი ასკვნის: მეორე „ენის შესწავლა ბავშვს უნდა დავაწყებინოთ. მაშინ, როდესაც პირველს უკვე საკმაოდ თავისუფლად ფლობს“²¹.

ი. გოგებაშვილი წერს: „ბავშვმა მას უკან უნდა იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა“. „ბავშვს ერთს ხანაში საქმე უნდა ჰქონდეს ერთს სიძნელესთან“, „ბავშვს ჯერ დედა-ენა უნდა ასწავლო და მერმე უცხო ენა“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ი. გოგებაშვილი მიუთითებს კომენიუსზე (ტ. II, 371=ტ. 2, 1954, გვ. 216).

იაკობის აზრით „რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს პირველი წლის მეორე ნახევრიდან ზეპირ საუბართა საშუალებით, თვალსაჩინო ღონისძიებების და დედა-ენის დახმარებით“ (იქვე). ამას ავტორი სხვა კონტექსტშიც იმეორებს: — რუსული ენის სწავლების ყველაზე მიზანშეწონილ მეთოდად უნდა ჩაითვალოს იგი, რომელიც „მეცადინეობის დროს თვალსაჩინოებას და ზეპირ გადაცემას ემყარება“ მშობლიური ენის მოშველიებით. ამიტომაც, — განაგრძობს გოგებაშვილი, — „ადგილობრივი ბავშვებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს შემდგენელმა კარგად უნდა იცოდეს ბავშვთა მშობლიური ენა და ამ ორი ენის ურთიერთობა“. მეტიც, — რუსული ენის „სახელმძღვანელოს შინაარსიც უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის გარემომცველ სინამდვილეს“, რადგან ასეთის სახელწოდებას მოწაფე უფრო ადვილად იმახსოვრებს, ვიდრე მისთვის უცხო ნივთის სახელწოდებას (ტ. 3, გვ. 319—320).

ი. გოგებაშვილი აქაც იცავდა პედაგოგიურ პრინციპს: ბავშვს ის უნდა ასწავლო, რის ათვისებასაც შეძლებს. ასევე მისი თანამედროვე

²⁰ ი. გოგებაშვილი. ტ. 2, გვ. 404.

²¹ კ. დ. უშინსკი. რჩეული პედაგოგიური თხზ., თბ., 1974, გვ. 162—163.

დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა „კ ა ფ ი ა შ ი“ ურჩევდა საბავშვო მწერალ შიო მღვიმელს: „ასწავლე ბავშვებს ბავშვურად!“ მართლაც რომ ი. გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოებიც ქართული სკოლებისათვის ბავშვს ასწავლიდა ბავშვურად, — აწვდიდა დასაძლევ მასალას. საერთოდაც, როგორც ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ, სათანადო ადგილზე გვაქვს ლაპარაკი, ჩვენი პედაგოგი სკოლასა და ოჯახში საკითხავ წიგნებში ბავშვისა და მდაბიო ხალხის განვითარების დონესაც უწევდა ანგარიშს. იგი თვით ხალხში, ზეპირსიტყვიერებაში ეძებდა პედაგოგიურად მისაღებ მასალას ან მსგავს მასალას ცვლიდა, — აქცევდა ასეთად, თვითონვე თარგმნიდა და შექმნიდა რუსული ენის სახელმძღვანელოებშიც, ერთის მხრივ, როგორც რუსეთში „ნ ა რ ო დ ნ ი კ ე ბ ი“ და ჩვენში ხ ა ლ ხ ო ს ნ ე ბ ი ცდილობდნენ „ხ ა ლ ხ შ ი ს ი ა რ უ ლ ს“ და ხ ა ლ ხ თ ა ნ ს ი ა ხ ლ ო ვ ე ს, ხოლო შემდეგ, მეორეს მხრივ კი, ჩვენშივე თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ე ბ ი ისწრაფოდნენ ცხოვრებაში ახლის დანერგვისათვის, ასევე იქცეოდა ი. გოგებაშვილიც.

ამავე დროს ჩვენი პედაგოგი მოითხოვდა, რომ რუსული ენა ქართულ სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი“. დიდი პედაგოგი ამით ქართულ ენასაც იცავდა. „სიკვდილის გზას ადგია ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსა და სკოლაში... იზრდება, ძალით და ღონით ივსება ყოველი ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში“. აქედან ცხადია, თუ როგორი ყურადღებით ეპყრობოდა იაკობი ოჯახში მეტყველებას. აქაც ის ქართული ენის სიწმინდის დაცვას მოითხოვდა.

ახალი ქართული ენის დამკვიდრება ლიტერატურასა და სკოლაში

ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი საფუძვლად ედება ეროვნულ ენას და ვითარდება. მაგალითად, ძველი ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებისა და მისი ქართულ ეროვნულ ენად წარმოქმნის ისტორიიდან ცნობილია, რომ ძველი და ახალი ქართული ლიტერატურული ენები სხვადასხვა მოცულობის საწყისებს ეყრდნობა. ძველ ქართულ ლიტერატურულ ენას ქართლური დიალექტი, — მცხეთა-ბოლნისის მიდამოების მცხოვრებთა მეტყველება, — დაედო საფუძვლად. ამ ენამ გამოიყენა ქართული სხვა კილოების საუკეთესო ელემენტებიც და საერთო ქართულ ლიტერატურულ ენად იქცა.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად ენაც იცვლება და ვითარდება. ძველი ქართული შეიცვალა და საშუალო ქართული ენა წარმოიქმნა. შემდეგ უკანასკნელიც განვითარდა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძველს შეადგენს ქართული და კახური კილოები. ეს საფუძველები გამდიდრებულია მონაცემებითა და ყველა ამ კილოსა და ლიტერატურული ქართულის იმ საერთო ცოცხალი მარაგით, რომლებიც მათ მრავალსაუკუნოვანმა და დიდი კულტურის შემკველმა ძველმა ქართულმა ენამ უანდერძა.

ქართული ენის განვითარების ისტორია მაინც ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს და ამიტომაც იგი ერთი ენის ისტორიაა.

სალიტერატურო ქართული ენის განვითარების ისტორია სამ მთავარ პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდის ენას ძველი ქართული ეწოდება; იგი ქართული დაწერილობის ჩამოყალიბების დროიდან იწყება და მე-11 საუკუნემდე გრძელდება¹.

XI საუკუნიდან საშუალო სალიტერატურო ქართული მყარდება და იგი XIX საუკუნის პირველი ნახევრის გასვლამდე ბატონობს მწერლობაში. ამ მეორე პერიოდის დასასრულს იწყება მესამე, — ცხოვრებაში გაბატონებული ახალი სალიტერატურო ქართულის მწერლობაში დამკვიდრების ერა. იგი დღესაც აწესობს და წინვლას განაგრძობს.

პერიოდების ასეთი ქრონოლოგიური განსაზღვრა: I პერიოდი — V—XI საუკ., II პერიოდი — XI—XVIII ს. და III პერიოდი XIX-დან დღემდე, რა თქმა უნდა, პირობითია. ზუსტად იმის დადგენა, თუ რომელი პერიოდი როდის იწყება და თავდება, შეუძლებელია, რადგან თვით ძველსა და საშუალოს, ანდა საშუალოსა და ახალს შორის არ არსებობს ისეთი ზღვარი, რომ ვთქვათ, ამ წელს ის პერიოდი თავდება და ეს პერიოდი იწყება.

ამის მიუხედავად, ახალი ქართული ენის მწერლობაში შეგნებულად ხმარების თარიღად 1850 წელი ითვლება. ამ წელს დაიბეჭდა და

¹ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ბ. ტ. რუდენკოს „ქართული ენის გრამატიკაში“ (Грамматика грузинского языка, მოსკოვი-ლენინგრადი, 1940 წ.) წერია, რომ ძველი ქართული მწერლობა XI საუკუნის გასვლამდე ბატონობს (გვ. 12), და საშუალო XII ს. იწყება, მაგრამ ეს სადავოა და არ არის: 1) XI საუკუნის დასაწყისამდე სასულიერო მწერლობა ბატონობდა, ამ დროს საერო მწერლობაც გაძლიერდა და ცალკე წარმოდგა, 2) ამის გამო სამწერლო ენაში ხდება ცვლილება და ძველს (კლასიკურ საეკლესიო) ენაში შემოდის ახალი, საერო ლიტერატურისათვის უფრო დამახასიათებელი ელემენტები, 3) სამწერლო ენაში ირღვევა ე. წ. „ჰაემეტობის“ ნორმები. 4) მგლოვანი ან ნუსხური, ე. წ. „ხუტური“ დაწერილობის პარალელურად ხმარებაში შემოდის მხედრული ასოები; 5) საშუალო ქართულის XII საუკუნემდე საგრძნობლად არსებობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ქართველებს ერთი საეკლესიო და საერო ენა ჰქონდათ, და არა ორი, როგორც მაგ., რუსებს, საეკლესიო — სლავური და საერო — რუსული და 6) სხვა. ყოველივე ეს ძველი ქართული ენის ბატონობის ვრას XI საუკუნის აქეთ არ უწყევს და შეიძლება უკანაც კი დასწიოს, ე. ი. საშუალო ქართული ენის ელემენტების მწერლობაში შესვლის პროცესი უფრო ადრეც შეინიშნება.

პირველად დაიდგა ახალ ქართულ ენაზე დაწერილი გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“.

წინასიტყვაობის ავტორი პლატონ იოსელიანი წერდა, რომ ამ ნაწარმოებით „თავადმან გიორგი დავითისძემან ერისთავმან დაბადა ენა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის“, მწერლობის ენა ჩვეულებრივ სასაუბრო ენას მიუახლოვა, ენას, „რომელიც არის და უნდა იყოს ქვეშარიტი ენა ხალხისა“.

პ. იოსელიანი გამოთქვამდა იმედს, რომ გ. ერისთავს სხვებიც მიბაძავენ: „ახალნი მწერალნი, გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“. ასეც მოხდა, ოღონდ თვით პ. იოსელიანს არ მიუბაძავენ მისთვის, ძველი ტრადიციებით შეპყრობილებიც ბლომად აღმოჩნდნენ, და ისინი სასაუბრო ენის, — ცოცხალი ქართულის მწერლობაში დამკვიდრების წინააღმდეგ წავიდნენ, გ. ერისთავსა და მის თანამოაზრეებს თავს დაესხნენ და პირველად, თითქოს, გაიმარჯვეს კიდევ.

მაგრამ, აი, 1861 წლის აპრილის „ცისკრის“ ნომერში ილია ჭავჭავაძე ბეჭდავს წერილს. ავტორი არ იყენებს იმ ასოებს, რომელთა შესაფერი ბგერები ახალ ენაში აღარ გამოითქმებოდა, ამარტივებს ქართულ ანბანს.

იწყება ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში ცნობილი ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის, ბრძოლა, რომელშიც ე. წ. მამების მეთაური გრიგოლ ორბელიანი იყო და შვილებისა კი — ილია ჭავჭავაძე.

ენის საკითხი მამებსა და შვილებს შორის ბრძოლას ერთი უმთავრესი საკითხთაგანი იყო.

ამ ბრძოლის შედეგად მწერლობაში დამკვიდრდა ცხოვრებაში უკვე საკმაო ხნიდან არსებული, მოქნილი და საამო, უფრო ზოგადი ცოცხალი ქართული სალაპარაკო ენა.

ახალი სალიტერატურო ქართული ენის მწერლობაში დამკვიდრების ბრძოლის ისტორიის პირველი მიმოხილვა სერგი გორგაძეს ეკუთვნის. 1925 წლის №№ 1, 3 და 1926 წლის № 5-6 ჟურნალ „მნათობში“ მან მოათავსა მიმოხილვა „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“. ამავე საკითხს სხვა ავტორებიც შეეხნენ, 1929 წელს მას წერილები უძღვნეს და 1932 წელს საპეციალური გამოცემების ფურცლებზე განიხილეს იგი, მაგრამ 1941 წ. ჩვენს წერილამდე ი. გოგებაშვილი ამ აზრით თითქმის არავის მოპვონებია².

² ვ. თ. ფ. უ. ი. ა. ქართული ენა. გინაკვეთი №2. დაუსწრებელი პედინსტიტუტის გამოცემა, 1932, გვ. 133 და შემდეგი; შდრ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, თბ., 1950, გვ. 018—028, კერძოდ გვ. 026, სადაც ეს სწორად არის აღნიშნული.

ახალი ქართულისათვის ბრძოლაში ილია ჭავჭავაძეს ჰყავდა როგორც წინამორბედები, ისე თანამებრძოლები. ასეთებად იხსენიებოდნენ. გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, დან. ჭონქაძე, ლავრ. არდაზიანი, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ივანე მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები. მათ შორის იაკობ გოგებაშვილი მაშინ ერთხელაც არ იყო ნახსენები!

რუსეთიდან დაბრუნების დღიდან იაკობი მხარში ედგა ილიას. ილია და იაკობი შეერთებული ძალით იცავდნენ ქართველი ერის ინტერესებს და ქართული ენის დაცვის საქმეშიც განუყრელნი იყვნენ. საამისოდ საქმარისია თვით იაკობ გოგებაშვილის სიტყვები მოვიგონოთ: „როცა იანკოვსკიმ საქართველოში სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ აზრი გამოთქვა და გაზეთში დაბეჭდა — წერს იაკობი — პასუხის გაცემა რედაქციამ მე დამავალა, მაგრამ მე მივუგე: საქიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად, ილია ჭავჭავაძემ. ყველა საქირო მასალას მე თვითონ მივუტან; სამაგიეროდ როცა ამ დღეებში იანკოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი, და ასეც მოხდა. ასეთი განაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო. როცა გორის საოსტატო სემინარიიდან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხარად აგვეგდო, — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“ და კიდევ შევასრულეთ ორივემ და მახინჯი დედის მუცელში გაწყალდა“.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობის მოღვაწეობას და ქართული ენის დაცვას. ამიტომ არის, რომ ილია თავის „ორმხიან საახალწლო ოპერეტში“ სხვა მის თანამედროვეებს ამათრახებს, ხოლო იაკობს კი დიდი შოთა რუსთაველის სიტყვების შეკეთებითა თუ გამოყენებით ასე ალაპარაკებს:

„ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, რაცა მიქია;
დედა-ენა შიჩნს სახელად,
თავი არ გამიქიქია.

3. ი. გოგებაშვილი, ტ. I, 1910, გვ. 52, ან მისივე, ტ. II, 1940, გვ. 85—ტ. I, 1955, გვ. 211; შტრ. იაკობის ტ. I, 1910, გვ. 20, შენიშვ. 1. სხვა ფაქტებს აქ აღარ ვათავსებთ. დამატებით იხ. პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით გამოცემული „ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული“, თბ., 1938, გვ. 11.

იგია ფუძე ქართველისა,
მაგარი, ვითა ჭიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია...“⁴ და სხვა.

ამ „ორხმიან საახალწლო ოპერეტს“ ფსევდონიმი ეწერა და ილიას შიგ თავისი თავიეც ჰყავდა გამოყვანილი, რათა არ მიმხვდარიყვნენ, თუ ვინ წერდა; იგი, როგორც კარგად სჩანს, სწორედ იაკობს თვლის ისეთად, ვისაც „დედა-ენითა წვრთნა ყრმისა ბევრჯერ უთქვამს, უქია“. ილია განსაკუთრებით აფასებდა იაკობს და მისი სიყვარული ჰქონდა ისე, როგორც თავის მხრივ იაკობი სპეტაკად იცავდა ილიას სახელს. უკანასკნელისათვის საკმარისია დავასახელოთ იაკობის წერილები, ილიას ვერაგული მკვლევლობის გამო დაბეჭდილები: „შურისძიება ისტორიისა“ (იაკობის ტ. I, 1910, გვ. 492—493), „დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი“ (იქვე, გვ. 194—496), „მცირე განმარტება“. (იქვე, გვ. 196—498), „მეუწარგისა ჭორები ილიას შესახებ“ „სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა“ (იქვე, გვ. 549—550) და სხვა (ტ. 4, გვ. 55).

ი. გოგებაშვილს დიდი აკაკიეც ძლიერ აფასებდა. უკანასკნელს პირად წერილში იაკობისათვის ასეც კი მიუმართავს: „წარსულის შვილო, მომავლის მამე და მყოფადის გადიავ, ძმავ იაკობ“. თავის მხრივ იაკობიეც ისე აფასებდა აკაკის, რომ მის საიუბილეო წერილს ასე ასათურებს: „იალბუზი ქართული პოეზიისა“⁵. ისინი ეროვნულ ყოველ საქმეში ერთმანეთს შველოდნენ.

საშუალეაგვი ახალი ქართული მნის გამარჯვებისათვის

იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა ფრ. პაულსენის (1825—1898) დებულება: „ვისკენაც ახალგაზრდობაა, მომავალიც მისია“. იაკობი ცდილობდა, გამოენახა გზები, რომლითაც ახალგაზრდობა შეძლებდა შეესწავლა და დაუფლებოდა ახალ ქართულ ენას. ბავშვის მიერ დედაენის დაუფლების საქმეში იაკობი საკმაო მნიშვნელობას ოჯახს ანიჭებდა. ცნობილი პედაგოგები და ამ დარგის ისტორიკოსები: ფ. პა-

4 ი. ჰ ა ე ე ა ე ა ე . ხუთთომეულის I ტომი, თბ., 1937, გვ. 118.

5 ი. გოგებაშვილი ტ. I, 1910, გვ. 526-540=ტ. 4, 1955, გვ. 225-229. ამ სიყვარულისა და სიახლოვის გამო იყო, რომ იაკობი სახელმძღვანელოების ტექსტების გასწორების დროს აკაკის მიმართავდა ზოლმე. მაგ., როცა იაკობს უსაყვედურეს, რომ „დედა-ენაში“ დასავლელი ბავშვებისათვის გაუგებარი სიტყვებიაო, იაკობმა უპასუხა: „რამდენიმე წლის წინათ „დედა-ენის“ ანბანში აკაკის დახმარებით გამოეტრევეთ ყველა ის სიტყვები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში არ იხმარებინან; აგრეთვე გამოეტრევე სურათები, რომელთაც იქ სხვა სახელი ჰქვიათ“. ტ. I, 1910, გვ. 528=ტ. 4, 1955, გვ. 317.

ულსენი, ვ. მიუნხი, ა. მათიასი, ნ. სპერანსკი და სხვები იმ აზრისა იყვნენ, რომ სკოლას ოჯახი ბავშვის აღზრდაში საერთოდ უნდა ეხმარებოდეს. ვაკერნაგელი ოჯახს გადამეტებულ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდა. იგი მოითხოვდა, რომ ბავშვისათვის დედაენის სწავლება ოჯახს დაჰკისრებოდა; დედაენა მშობლებმა ასწავლონ ბავშვს შინაური ურთიერთობის დროს.

ი. გოგებაშვილს ვაკერნაგელისთვის არ მიუბაძავს, მაგრამ მოითხოვდა კი, რომ ოჯახს ხელი შეეწყო ბავშვისათვის დედაენის დაძლევის საქმეში.

„პირველად, დედა-ენა, — წერს იაკობი, — უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახში სრულიად და სავსებით და ყოველი პატარა ქართველი მხოლოდ მის ზეგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მთელის შვიდის წლის განმავლობაში. ყოველდღიური ვარჯიშობა დედა-ენაში მშობლებმა უნდა დააწყებინონ შვილებს მესამე-მეოთხე წლიდანვე. ქართული ენა მდიდარია მეტად მარტივი სახალხო ლექსებით და ზღაპრებით, რომელთა შეთვისება არ გაუჭირდებათ ჩვილ ქართველებსა, თუ დიდები გონივრულს ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ“.

იაკობი განაგრძობს, რომ „მარტო ოჯახის ერთგულება არა კმარა დედა-ენის გასაძლიერებლად. სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული ღონისძიება, უნდა ეპყრობოდეს ქართულს ენას სრული პატივით, როგორც უსაჭიროეს საგანს“ (ტ. II, 395=ტ. 2, გვ. 240).

ამიტომ იყო, რომ იაკობმა, მსგავსად კ. უშინსკისა, ისეთი სახელმძღვანელოები შეადგინა, რომლებიც წარმოადგენდა, როგორც სკოლაში სასწავლო, ისე ოჯახში საკითხავ წიგნებს⁶.

იაკობს სწორად ჰქონდა შეგნებული და სამართლიანად წერდა, რომ „სახელმძღვანელო წიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლების მსვლელობაში“⁷, თუ რომელიმე მიმართულება სასწავლო წიგნებში შევიდა, „იგი ღრმადა სდგამს ფესვებს, შეიძენს სიმტკიცეს და მისი აღმოფხვრა ძალიან ძნელი ხდება. ამ სახით სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთეც დასთესოს და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლის და ხალხის ცხოვრებაში“⁸.

⁶ ამ აზრის საბოლოო დამამტკიცებელი ფაქტი პ. ჰანიშვილის ერთ წერილშია გამოქვეყნებული; სახელდობრ ის, რომ იაკობს საოჯახო საკითხავი წიგნიც შეუდგენია; ამავე აზრს ამართლებს ს. უშინსკის „Родное слово“-ს დანიშნულება. იხ. К. Ушнинский. Руководство к преподаванию по Родному слову“, გვ. 2.

⁷ ი გ გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი სახელმძღვანელოების შესახებ (1883 წ.) ტ. II, 1940, გვ. 134=ტ. 1, 1955, გვ. 456.

⁸ იქვე.

ახალი ქართული ენის ლიტერატურაში დამკვიდრებისათვის მებრძოლი და სახელმძღვანელოებისათვის დიდი მნიშვნელობის მიმნიჭებელი იაკობი, სახელმძღვანელოებს, რა თქმა უნდა, ახალ ქართულ ენაზე ადგენდა. იგი არ ემზრობოდა იმ აზრს, რომ ახალი ქართული „დაშვებული“ ენაო და სწამდა, რომ ქართული ენა კავკასიის ბუნებასავეთ მდიდარია, იგი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის საქართველოს ისტორია, მაგრამ მას ყურადღება არ ექცევა. „ქათული ენა, — ამბობს იაკობი, — ამჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ჰხმარობს და ჟანგს აჰმევინებს. ამიტომ, ობიექტურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული ქართული ენა, სუბიექტურად, ჩვენს პირში, არის დატაკი, დღენაკლულს არსებას მოგაგონებთ“.

ი. გოგებაშვილი გმობდა მათ, რომლებიც „შვილებს ზრდიან გარეშე დედაენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის“ უქარგავენ თავის ქვეყანას მამულიშვილებს, ამცირებენ რაზმს საქართველოსას, აფუჭებენ თვით ბავშვის ნიჭს, დედაენის ნაცვლად, „რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება“, ძალად აჩერებენ „ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა“ (ტ. II, 363=ტ. 2, გვ. 208).

ი. გოგებაშვილამდე არსებული ქართული ენის სახელმძღვანელოები, გარდა იმისა, რომ ისინი უვარგისი მეთოდით იყო შედგენილი, დაწერილი იყო ცხოვრებიდან გასული, „დაძველებული“, მოწაფეობისათვის გაუგებარი ქართული ენით. რუსეთში ფ. ბუსლაევი და საქართველოში იაკობამდე არსებული ქართული ენის სახელმძღვანელოს ავტორები და გრამატიკოსები ფიქრობდნენ, რომ სკოლაში კლასიკური ენა, ე. ი. საექლესიო ლიტერატურული ენა უნდა ისწავლებოდეს. ამ იდეას ფ. ბუსლაევი თავისი წიგნის „О преподавании отечественного языка“-ს (მოსკოვი, 1844 წ.) პირველ გამოცემაში იცავდა. მეორეში კი (1867 წ.) ლიტერატურულ ენას უყურებდა, როგორც გზას ხალხური ენის ფართოდ გამოყენებისა და როგორც საშუალებას მისი ლიტერატურაში დამკვიდრებისათვის.

ჩვენში იზიარებდნენ ალ. ორბელიანის ცნობილ დებულებას, რომ ქართული სამწერლობო ენა უექველად საშუალო დარბაისლური ენა უნდა იყოს, რადგან ძველი ქართული ენის აღდგენა ძნელია და ახალი კი უვარგისი, რადგან ის გლეხური მდაბიო ენაა; მასზე „მაღალი საგანი რამ ვერ გამოვა რიგიანად“. მასაც სჯეროდა, რომ „გლეხკაცობის ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი“, მაგრამ წუნს დებ-

და. რომ გლახური, განუვითარებელი, „დაშვებული ენა“ არისო: მას დიშ. ყიფიანიც ეთანხმება და ამბობს, რომ „გლახური საუბარი ვერ შე-სძლებს მაღალთა საგანთა გამოხატვისა შუამავლობას“. ამ მოტივით ხელმძღვანელობდნენ ქართული ენის სახელმძღვანელოს ავტორები. პირველმა იაკობმა აუარა ამას გვერდი, იაკობს ესმოდა ერთი პედაგო-გის აზრი, რომ კარგი სახელმძღვანელოს ენა მუდამ მარტივი და გა-საგებია“ („Маяк хорошего учения всегда ясен и прост“). ი. გოგებაშვილი ხოტბას ასხამდა იმ მწერლებს, რომლებიც ახალი ენით წერდნენ; მაგალითად „რაფაელის ნაწერებს, — ამბობს იაკობი, — აქეთ ოთხი დიდი ღირსება: ორიგინალობა, ქართულის ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესაბამი კილო“⁹. „ცოცხალი და ნამდვილი ხალხური ენა შეადგენს ერთს უპირველესს ღირსებას თ. რა-ფაელის ნაწერებისას“.

ამავე დროს იგი უსაყვედურებს მას, რომ ზოგჯერ ძველს ენასაც ურევს ახალში და ეს არაა კარგო. „თ. რაფაელმა, — განაგრძობს იაკობი, — ზედმიწევნით იცის არა მარტო ცოცხალი ხალხური ენა, -- მას ძველებური, წიგნური ენაც მშვენივრად აქვს შესწავლილი, და ზოგჯერ ძველებურს წიგნების სიტყვებს და გამოხატულებას გამოუ-რევს ხოლმე იქ, სადაც უნდა იხმარებოდეს ცოცხალი სიტყვები და გა-მოხატულებანი. ეს გარემოება უსწორ-მასწოროდ, ხორკლიანად ხდის მის ენას, თუმცა კი ძალიან იშვიათად“ (ტ. I, გვ. 90).

იაკობმა სახელმძღვანელოებში შეიტანა ისეთი მწერლების ნაწარ-მოებები, რომლებიც ახალ ქართულ ენაზე წერდნენ და მათთან ერთად მდიდარი ხალხური სიტყვების მასალა წარმოადგინა. იაკობმა კარგად იცოდა, რომ მარტო ხალხური პოეზია არ იყო საკმარისი დედაენის დაუფლებისათვის, და სწორედ ამიტომ შეიტანა სახელმძღვანელოებში როგორც სხვისი, ისე საკუთარი პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნი-მუშები. მას სწამდა, რომ „ადამიანისათვის საუკეთესო სკოლა ცხოვ-რებაა“ და ამ ცხოვრებაში ხმარებული ენა უნდა იყოს სწავლებაში დასაყრდენი, მაგრამ როგორც ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საჭი-როა შეგნება და ცოდნა, მისი გაუმჯობესება, ისე ხალხურ ენასაც სჭირდება ლიტერატურული ენის სასარგებლო გავლენა. სახელმძღვანე-ლო უნდა შეიცავდეს, როგორც ხალხური პოეზიის, ისე ლიტერატუ-რის საუკეთესო მონაცემებს.

ახალი ქართული ენის ლიტერატურაში დამკვიდრებისათვის იაკო-ბი იმისათვისაც იბრძოდა, რომ მომავალი ქართველი დაბალი წოდები-

⁹ იაკობ გოგებაშვილის წერალი „იგავ-არაქნი, ვალეჟილი რაფ. ერის-თავისაგან“, ტ. I, 1955, გვ. 271-274.

სააო, „მდაბიო ქართველი ხალხი უფრო ნიჭიერია და შრომისმოყვარე, ვიდრე მაღალი წოდება“¹⁰.

„ვაქართა წოდება ჩვენში თითქმის არ არსებობს, თავადაზნაურობას, როგორც წოდებას, მომავალი არა აქვს“... „ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედობა დამოკიდებულია ამ წოდების (მშრომელი ხალხის: ი. შ.) აღორძინებაზედ, ხალხის წარმატებაზედ“ (იქვე, ტ. II, 167=ტ. 1, 1955, გვ. 249).

ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობა ლეღაანის უსწავლაში

რუსეთში კ. უშინსკი და საქართველოში ი. გოგებაშვილი პირველთაგანნი იყვნენ, რომლებმაც ბავშვებისათვის ხალხური პოეზიისა და ხალხური ენის შესწავლის აუცილებელი საჭიროება სცნეს.

კ. უშინსკი გაბედულად აცხადებდა, რომ სამოციან წლებამდე რუსეთში დაწერილ ყოველ საბავშვო მოთხრობაზე მიუწვდომლად უფრო მაღლა ზღაპრებს ვაყენებო („Я решительно ставлю народную сказку недосыгаемо выше всех рассказов, написанных нарочно для детей и образованною литературою“)¹. ამ იდეამ მეტი სარგებელი მოუტანა იაკობის სახელმძღვანელოებს და მათზე აღზრდილ ახალგაზრდობას იმითაც, რომ იაკობი ბრმად არ უცქეროდა ფოლკლორულ ნაწარმოებს. იგი არჩევდა მათში უმშვენიერესსა და ულამაზეს ნიმუშებს, შეჰქონდა შესწორებები და ცვლილებები, გამოწვეული საღი პედაგოგიური მოსაზრებებით². თქმულის ნათელსაყოფად საკმარისია გადათვალთვალულ იქნეს წერილი: „შენიშვნა სახალხო პოეზიის შესახებ“³.

დედაენის შესწავლაში ხალხურ სიტყვიერებას იაკობი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს; იგი წერს: „ყოველდღიური ვარჯიშები დედა-ენაში მშობლებმა უნდა დაწყებინონ თავის შვილებს მესამე-მეოთხე წლიდანვე, ქართული ენა მდიდარია მეტად მარტივი სახალხო ლექსებით და ზღაპრებით, რომელთა შეთვისება არ გაუჭირდებათ ჩვილ ქართველებსა, თუ დიდები გონივრულს ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ“⁴.

მაშინ გავრცელებული და დამკვიდრებული იყო ანდერსენის დე-

¹⁰ იქვე, ტ. 4, 1955, გვ. 120.

¹ კ. უშინსკი. Руководство к преподаванию по «Родному слову», ნაწ. I, გვ. 64.

² იხ. იქვე, გვ. 50.

³ ი. გოგებაშვილი. ტ. 4, 1955, გვ. 187-191, და მისივე „ივანე-არაკნი, გალექსილნი რაფ. ერისთავისაგან“, ტ. I, 1955, გვ. 211-273.

⁴ ი. გოგებაშვილი. ტ. II, გვ. 394.

ბულება, რომ „ზღაპარი და სინამდვილე არც იმდენად დაშორებულია ერთმანეთზე“. ეს იცოდნენ კ. უშინსკიმ და იაკობ გოგებაშვილმა; გრძნობდნენ, რომ ხალხური შემოქმედების ძეგლები უფრო ადვილად ისწავლება ბავშვების მიერ, ვიდრე ლიტერატურული. ა. დ. ალფეროვმა გაარჩია ხალხური „ბილინა“ სადკოს შესახებ და იმავე თემაზე აგებული ლ. ტოლსტოის „ბილინა“, და გამოიჩქვა, რომ „Народная былина проще, цельнее и деликатнее переделки Толстого“⁵. „სიმღერა ვაქარ კალოშნიკოვის შესახებ“ ლერმონტოვისა აგებულია ხალხურის რითმსა და ლექსურ წყობაზე. ავტორი ნაკლებ ანგარიშს უწევს ლექსის ლიტერატურულ ზომას, და ამიტომაც, რომ მას ადვილად ითვისებენ ბავშვები. გოგოლის „რევიზორი“ მრავალ ხალხურ გამოთქმას შეიცავს და ამიტომ ეწაფება მას ახალგაზრდობა. ჩვენში აკაკის ლექსების ბუნება ხალხურისებურია და ამიტომ მას ადვილად იმასსოვრებს ხალხი.

უშინსკისა და იაკობს სწამდათ, რომ ხალხური სიტყვიერება აცნობს ბავშვს მშობელი ერის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, და ამიტომ, ხალხურ პოეზიას განსაკუთრებული ადგილი უნდა ექიროს სწავლებაში.

კ. დ. უშინსკი წერდა: „Русские пословицы, поговорки, прибаутки и загадки... — это животрепещущее проявление родного слова, вылетевшее прямо из его живого, глубокого источника — вечно юной,ечно развивающейся души народа». Это едва ли не «лучшее средство принести дитя к живому источнику народного языка и внушить душе ребенка бессознательно такт этого языка»... «Может быть ничем нельзя так довести дитя в понимании народной жизни, как объясняя ему значение народных пословиц. В них отразились все стороны жизни народа: домашняя, семейная, польская, лесная, общественная; его потребности, привычки, его взгляд на природу, на людей, на значение всех явлений жизни»⁶.

კრავატივის მნიშვნელობა დედამისის შესწავლაში

ერთ დროს გავრცელებული აზრი იყო, თითქოს რომელიმე ენაზე ლაპარაკი ამ ენის ბუნების ცოდნას ნიშნავდეს, და, სამწუხაროდ, ზოგჯერ, ეს ახლაც პოულობს გამოხატულებას.

⁵ ა. დ. ალფეროვი. Родной язык в средней школе (опыт методики). Москва, 1971, გვ. 74.

⁶ კ. უშინსკი. Руководство к преподаванию по «Родному слову» №1. I, გვ. 60—61.

ენის მასწავლებლებსა და მეთოდისტებს შორისაც კი იყვნენ ისეთები, რომლებიც იზიარებდნენ აზრს, რომ სკოლაში დედაენის გრამატიკა არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან მოწაფეს ვერ გაუგია, რატომ ასწავლიან მას იმის გრამატიკას, რაც უგრამატიკოდაც იცისო. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, მაგ.; გილდებრანტი, დევი, ვირხოვი, ციგლერი; ნაწილობრივ: ლოკი, ბენი, ბუსლევი, ვაკერნაგელი, გუსფელდი, ოსტროვსკი, სპენსერი და სხვები.

ზოგიერთი მათგანი, როგორც, მაგ., დევი, გრამატიკას საჭიროდ თვლიდა მხოლოდ უცხო ენის შესასწავლად.

ი. დევი ამბობდა, რომ მას შიშის ზარს სცემს იმ მოწყენილობის მოგონებაც კი, რომელიც მას განუცდია მოწაფეობის დროს გერმანული ენის გაკვეთილზე. „ეს ერთადერთი გაკვეთილი იყო, — ამბობს დევი, — რომელიც ჩემში მთლიანსა და შინაგან სიძულვილს იწვევდა“. ეს იმ დროს, როცა მე ფილოლოგად გახდომაზე ვოცნებობდიო. მეცნიერ ვირხოვს უთქვამს, რომ სანამ ყველა გრამატიკა არ მოვიქნე და კუთხეში არ მივაგდე, მანამ ენა ვერ ვისწავლეო. ეს აზრები გვაგონებს, იაკობს, რომელიც წერს: როცა იოსელიანის გრამატიკას ვსწავლობდი, „ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ჭირივით მეზარებოდა ქართული ენის გაკვეთილები და რა სიძულვილი ჩამისახა გულში დედაენისა ამ გრამატიკამ იმ დრომდინ, ვიდრე იგი არ შემაყვარეს ჩვენმა მაღალმა ნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა“⁷. ამან და იაკობის მიერ გრამატიკის შესახებ წარმოთქმულმა სხვა სიტყვებმა „საბუთი“ მისცა მის ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს, რომ, თითქოს, იაკობი სრულებით უარყოფდა გრამატიკის სწავლების საჭიროებას, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. იაკობი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ცუდი გრამატიკის წინააღმდეგი იყო და არა საერთოდ გრამატიკის.

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგიკის ისტორიამ გრამატიკის სწავლების არა ერთი და ორი მოწინააღმდეგე იცის, საბოლოოდ მაინც ის აზრი იქნა მიღებული, რომ გრამატიკის სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მის სკოლაში სწავლების აუცილებლობას ცნობდნენ ისეთი პირები, როგორიც იყვნენ: ოლერტი, ლემანი, მატიასი, გიკე, ლანდსონი, სტოიუნ-ნი, უშინსკი და სხვები.

თანამედროვე ენათმეცნიერებასა და პედაგოგიაში⁸ გრამატიკის სწავლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ამ საგანს ღამცველები ფსიქოლოგებს შორისაც ჰყავს.

⁷ ი. გოგებაშვილი. ტ. 2. 1954, გვ. 89-91.

⁸ შტრ. პროფ. კ. ბ. ბარხინი და ე. ს. ისტრინა. Методика русского языка в средней школе, მოსკოვი, 1935, გამოცემა მე-2, გვ. 9 და შემდეგი.

ცნობილი ფსიქოლოგი ლ. ვიგოტსკი წერდა, რომ გრამატიკის სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ენისა და მთლიანად ბავშვის გონებრივი განვითარებისათვის.

გრამატიკის ცოდნის საშუალებით ბავშვი ახდენს მეტად რთულ ოპერაციებს ენობრივ ფორმების შეთვისებასა და სიტყვაწარმოებაში მამინ, როცა მან არც კი იცის, რომ გრამატიკის წყალობით ის ფლობს ასეთ ხერხებს. გრამატიკის ცოდნით ის შეუცნობლად ახერხებს რთულ ოპერაციებს. „გრამატიკა და წერა ბავშვს აძლევს საშუალებას ამოდლდეს უმაღლეს საფეხურამდე ენის განვითარებაში“ — „Грамматика и письмо дают ребенку возможность подняться на высшую ступень в развитии речи“⁹, კ. უშინსკი ცნობდა გრამატიკის საჭიროებას¹⁰, „მაგრამ მაინც ამბობდა, რომ ხალხური ენა იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანი, რომ „ყოველგვარი ხალხური ანდაზა დასციინის სასკოლო გრამატიკას“. („Всякая народная поговорка сместится над школьной грамматикой“). მდიდარი ენა ხალხსა და ლიტერატურაშია და არა გრამატიკაშიო. ამავე პრინციპს ადგა იაკობი; იგი წერდა, რომ უმთავრესი მნიშვნელობა ენის შესწავლაში პროზასა და პოეზიას აქვს. „ლიტერატურა არის ერთადერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის“.

იაკობი მოითხოვს თვით ენაში ენის კანონების ამოჩენას, მის აღწერას და არა შეთხზვასა და მისი ენისათვის თავზე მოხვევას.

იაკობმა შესწავლის ობიექტად სცნო მამინ ლიტერატურაში ოდნავ შესული ახალი ქართული ენა, ნაცვლად მის დრომდე არსებული გრამატიკოსების აზრისა, რომლის თანახმად, გრამატიკის საგნად ძველი და საშუალო სალიტერატურო ქართული ენა უნდა დარჩენილიყო.

ი. გოგებაშვილმა კარგად იცოდა რომ გრამატიკა მარჯვედ უნდა იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისა“, იგი ენის ბუნების ამსახველი უნდა იყოს, თორემ „უგრამატიკო გრამატიკა თვითონაც წაუხდენს, გაურყვნის მეტყველებას მოწაფეებსა და ლიტერატურასაც დაუშლის ენა გაუმდიდროს მათ. გამოვა ორგვარი ვნება“ (ტ. I, 1910, გვ. 161 = ტ. 2, 1954, გვ. 91).

მრავალი საღი მოსაზრება აქვს გამოთქმული ი. გოგებაშვილს გრამატიკის შესახებ სხვადასხვა წერილში, უპირველეს ყოვლისა კი „საგრამატიკო ბაასში“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის № 25, 26, 50, 51, 52 და 58-ში და გადაიბეჭდა ი. გოგებაშვილისავე „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში (თბ., ტ. I, 1910, გვ. 159—191 = ტ. 2, 1954, გვ. 89—101). ავ-

⁹ ლ. ს. ვიგოტსკი. Мышление и речь, Москва-Ленинград, 1934, გვ. 214.

¹⁰ კ. უშინსკი. Руководство к преподаванию по «Род. слову», ნაწ. II.

ტორი წერილში „ორაზროვანი კილო ჩვენს პრესაში საგრამატიკო შენიშვნა“, და სხვა ნაწერებშიც. მაშინდელი გრამატიკული აზროვნების მეცნიერულ დონეზე იდგა.

იაკობმა გარკვევით აღნიშნა, რომ ქართული ენა თავისებურია, იგი განსხვავებულია ევროპული ენებისაგან და მას მისი საკუთარი გრამატიკა უნდა დაეწეროს.

იაკობმა შეიგნო და გამოთქვა ქართულ ენაში ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმების ის წესი, რომელიც უფრო დაზუსტებით, ახლაცაა მიღებული. იაკობი წერილში „იგავ-არაკნი, გალექსილნი რაფ. ერისთავისაგან“ („ივერია“, 1882 წ.). უსაყვედურებდა რაფ. ერისთავს, რომ მის მიერ იგავ-არაკებში „ზოგ ადგილას ქართულის გრამატიკის კანონი არ არის დაცულნი“-ო და განაგრძობს: „ქართულს ენაში შესმენილი ხშირად მხოლოდითს რიცხვზედ ბოლოვდება, როდესაც ქვემდებარე მრავლობითის რიცხვისაა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ქვემდებარე ნიშნავს უსულო საგანს. მაგალითად, ვამბობთ: ხეები აწყვია და არა აწყვიან, მაგიდები სდგას და არა სდგანან. მაგრამ თუ ქვემდებარე სულიერს საგანსა ნიშნავს, მაშინ კი სრული გრამატიკული თანხმობა უნდა იყოს მის და შესმენილს შუა, და თუ პირველი მრავლობითის რიცხვისაა, მეორეც ამ რიცხვზედ უნდა იყოს დაბოლოებული“¹¹.

იაკობმა პირველმა დაიცვა ქართული ენის გრამატიკაში ბრუნვების ის რიცხვი, რომელიც ახლაც სწორ რიცხვად ითვლება. მისი „საგრამატიკო ბაასი“, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ამ ისტორიული მნიშვნელობის დებულებით მთავრდება: „ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამის შემდეგ ყოველი გონიერი ქართველი, ყოველი შეგნებული მასწავლებელი აღიარებს, ირწმენს არა ათს ბრუნვას ბროსესავით, არა რვასა ანტონი კათალიკოსის, მისი მიმდევრების და პროფესორის ჩუბინაშვილისავით, არა ექვსა პლატონ იოსელიანისავით, არა ოთხსა ბატონის დიმიტრი ივანესძე ყიფიანისავით და არც ხუთსა ბნასიძესავით, არამედ შეიღსა თანახმად ჩვენის საბუთებისა და მოსაზრებისა“¹².

იაკობი ასე გარკვევით და შეგნებულად იცავს, რომ ქართულ ენას შვიდი ბრუნვა გააჩნია და ასახელებს სწორედ იმ ბრუნვებს, რომლებიც, სხვა (პროფ. ა. შანიძის) რიგით, ახლანდელ ქართულ გრამატიკებში გვაქვს მიღებული. იაკობის მიხედვითაა:

¹¹ ი. გ. გ. ბ. ა. შ. ი. ტ. 1, 1952, გვ. 267, ამავე საკითხის შესახებ იხ. შ. ი. ს. ი. ე. ე. „საგრამატიკო შენიშვნები“, ტ. 2, 1954, გვ. 353-354.

¹² ტ. 2, 1954, გვ. 124.

სახელობითი — აღამიანი,
ნათესაობითი — აღამიანისა,
მიცემითი — აღამიანსა,
მოთხრობითი — აღამიანმა,
მოქმედებითი — აღამიანით,
ცვლილებითი — აღამიანად,
წოდებითი — აღამიანო.

ცვლილებითს¹³ იაკობი მიმართულებითს, ვითარებითს, უწოდებს და თანაც სამართლიანად შენიშნავს, რომ იგი დ-ზე უნდა ბოლოვდებოდეს (ტ. 2, 1954. გვ. 97).

გრამატიკის სწავლებას იაკობი, ისე როგორც უშინსკი, უმთავრესად პრაქტიკულ მიზნებს უსახავს.

თ ა ვ ი ი

ი. გოგებაშვილის დედანის სახელმძღვანელოები და მათი შედგენის მეთოდიკა

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის პასპორტში აღნიშნულია, რომ მისი პატრონი წოდებით არის „პედაგოგი, ლიტერატორი, წ—კ. (წერა-კითხვის) გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი“.

იაკობ გოგებაშვილი ხსენებული საზოგადოების მართლაც დიდი მოამაგე იყო და მას დიდი ენერგია მოახმარა: უანდერძა მნიშვნელოვანი ფულადი თანხა და საკუთარი ბიბლიოთეკაც.

საყურადღებო ისაა, რომ ი. გოგებაშვილი, მისი მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თვითონ იყო წერა-კითხვის მთავარი გამავრცელებელი საქართველოში.

არაა დასამალავი რომ იაკობ გოგებაშვილი, როგორც პედაგოგი და სახელმძღვანელოების ავტორი, უფრო დიდია, ვიდრე როგორც მწერალი, და ისიც ფაქტია, რომ იაკობის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების პირველი გამოცემები, შემდეგ გამოცემებთან შედარებით, სუსტი წიგნებია. მიუხედავად ამისა, ისინი მანამდე არსებული ქართუ-

¹³ კ. უშინსკი. Руководство к преподаванию по „Родному слову“, ნაწ. II, შედარე დ. კასრაძე. ი. გოგებაშვილი. ბიოგრაფია, თბ., 1940 წ. გვ. 17. მხ. უფრო ხელმისაწვდომი წიგნი: ა. ი. ვიძიძე. იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები), თბ., 1951 წ.

ლი ენის სხვა სახელმძღვანელოებს მაშინაც სჯობდნენ. იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ სახელმძღვანელო შემდგენლის მიერ მასზე სისტემატური მუშაობისა, მოწინავე პედაგოგების მითითებების გათვალისწინებითა და მრავალი მართებული კრიტიკის წყალობით თანდათან გაუმჯობესდა!

უკანასკნელ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მისი შემდგენელი ქართველ მოწაფეთა განვითარების დონის მცოდნე და მრავალმხრივ განვითარებული კაცი იყო. კარგი სახელმძღვანელოს ავტორია, უმთავრესად, შესანიშნავი პედაგოგი და საგნისა და მოწაფეთა კარგი მცოდნეა.

მართალია, იაკობი პირველად (1863 წ.) თავის სახელოვან პედაგოგიურ-მოდელს თბილისის სასულიერო სასწავლებლებში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლობით იწყებს, რადგან იგი ამ საგნების მასწავლებლობით იწყებს, რადგან იგი ამ საგნების მასწავლებლად დანიშნეს, მაგრამ აქაც და სასულიერო სემინარიაშიც, საითაც იგი მალე გააწესეს, ეს ახალბედა კაცი მოწაფეობის ყველაზე უფრო საყვარელი მასწავლებელი აღმოჩნდა. სარგებლობდა ამ მდგომარეობით და იაკობი ახალი ქართული ენის ცოდნის დიდ მნიშვნელობას უნერგავდა უკითხავდა წიგნებს, აინტერესებდა სხვა საგნებითაც.

იაკობის ერთ-ერთი ყოფილი მოწაფე იგონებს, რომ გოგებაშვილი სასულიერო სასწავლებელში, როგორც სკოლის ზედამხედველი და სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამგე, ურიგებდა შეგირდებს ისეთ წიგნებს, რომლებიც თითოეულისათვის „გასაგები და მისახვედრი ენით იქნებოდა“ დაწერილი.

თანახმად იმავე მოგონებისა, იაკობ გოგებაშვილმა იცოდა ხოლმე შემოწმება, ვინ რა წაიკითხა და როგორ გაიგო. „ეს ერთგვარი წამახალისებელი და წამაქეზებელი საშუალება იყო“.

აქედან ჩანს, თუ როგორ დაახლოებული ყოფილა იაკობი მის მოწაფეებთან და როგორ ცდილობდა იგი სწავლითა და განათლებით მათ დაინტერესებას.

იაკობმა მშვენივრად იცოდა, რომ მართო ორი სკოლის მოწაფეებს შორის მუშაობას არ შეეძლო გამოეღო ის ნაყოფი, რომელსაც საჭირო სარგებლობის მოტანა შეეძლო, და ამიტომ ეძებდა გზას². რომ-

1 შტრ. მ. თალაკვაძე. ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ., 1952 წ.

² იქვე.

ღარიბება

მასწავლებლისათვის
თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება
წერა-კითხვისა ქართულ ანბანში და პირველ
საკითხავ წიგნში

შედგენილი ი. შოგებაშვილისაგან

გამოცემა პირველი

ფასი დიდი მოძრავი ასოებით, ერთი შაურა

ბზილისი

მელიქიშვილისა და კაპ. სტამბაში

1872

ლითაც ესეც დაძლეული იქნებოდა. მან იქითკენ მიმართა შიმშილს, რომ მისი ეს სასარგებლო და ძლიერ საჭირო გავლენა ყოველ ქართველ მოწაფეს განეცადა. და აი, ამ გზას კიდევ მიაგნო.

ეს იყო მასისათვის გასაგებ ახალ ქართულ ენაზე საინტერესო შინაარსიანი სახელმძღვანელოს შედგენა, და ეს მან მალე განახორციელა.

ქართული ანბანის წიგნები იყო იაკობამდეც. მაგ., (გაიოზის მოზდოკი, 1805 წ.), პროკოპოვიჩის მოსკოვი, 1839), პლ. იოსელიანის (I გამოც. თბ., 1838), ივ. კერესელიძის მიერ რუსულიდან თარგმნილი მაქსიმოვიჩის ანბანის წიგნი „ყრმათა მეგობარი“ (1852), და თვით ივ. კერესელიძის (I გამოც. 1856 წ.), ს. მღვიანოვის (1863), დ. ფურცელაძისა (1863) და პ. უმიკაშვილის (1864), მაგრამ აღნიშნული ანბანის წიგნები შეიცავდა მოწაფეობისათვის არასაინტერესო მასალებს, დაწერილი იყო მოძველებული ენით და შედგენილი — უფარგისი მეთოდით.

ამ სახელმძღვანელოების შესახებ მ. თალაკვაძე აღნიშნავს, რომ „პ. უმიკაშვილის ქართული ანბანი“ ნაბიჯია წინ ქართული ანბანის სახელმძღვანელოთა განვითარების ისტორიაში³. მასში ანბანური მეთოდი შეცვლილია ბგერითი სინთეზური მეთოდით და შეგნებულობის პრინციპსაც იყენებს. მაგრამ, ცხადია, რომ იაკობის სახელმძღვანელოს მეტოქეობა ვერც პ. უმიკაშვილისამ გაუწია.

სხვა ავტორთა სახელმძღვანელო იაკობის წიგნის გამოცემის შემდეგაც დაიბეჭდა. მაგ., იაკობის „დედა-ენის“ გამოსვლის ერთი წლით ადრე თბილისში, 1875 წ. გამოიცა ლ. ისარლიშვილის „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად“, შედგენილი მთლიან სიტყვათა (ე. წ. ამცირკული) მეთოდით სწავლებისათვის, რომელიც, როგორც პ. ჭანიშვილი შენიშნავს, უნდა იყოს პირველი დასურათებული სახელმძღვანელო სასოფლო სკოლებისათვის: მაშინვე გამოიცა ანთიმოზ ჭულელის სახელმძღვანელოც (თბ., 1875 წ.) და სხვა დროს სხვა⁴, მაგრამ სკოლას ვერც ერთი ვერ შერჩა.

იაკობის სახელმძღვანელოების საქართველოში გამოსვლას ქართული სახელმძღვანელოების ისტორიაში პირველი ადგილი ეთმობა და აქვეთ პრინციპული მნიშვნელობა მით, რომ მათი შემდგენელი და ავტორი საქართველოში პირველი იყო, რომელიც იდგა მაშინდელი თე-

3 მ. თ. თალაკვაძე. ანბანის სახელმძღვანელოები ი. გოგებაშვილის „დედა-ენამდე“ — საქ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის „შრომები“, VI, თბ., 1950, გვ. 46. შტრ. ს. აბულაძე, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, თბ., 1950, გვ. 26.

4 ქრისტინე შარაშიძე. ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია, თბ., 1941 წ.; მ. თალაკვაძე. ანბანის სახელმძღვანელოები. ი. გოგებაშვილის „დედა-ენამდე.“ — საქ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის „შრომები“, VI, თბ., 1950.

ორიული პედაგოგიკის განვითარების სიმაღლეზე და ფლობდა ენის სწავლების მეთოდის თეორიას.

იაკობის მიერ შედგენილი პირველი სახელმძღვანელო — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ — გამოცემა თბილისში 1865 წელს; მისი მეორე გამოცემა 1867 წელს გამოვიდა. იგი შედგენილი იყო ანალიზური მეთოდით. უკანასკნელ მეთოდს იყენებდნენ: ფრიდრიხ გედიკე (1751—1803) და ჟან-ჟოზეფ-ჟაკოტო (1770—1840). ამ მეთოდით იყო შედგენილი სტუდიტსკისა და ზოლოტოვის რუსული ანბანის წიგნი, რომელსაც იაკობი იცნობდა კიდევ.

ანალიზური მეთოდით სწავლება იწყება მთლიანი სიტყვით და მერე გადადის მის ნაწილზე — მარცვალსა და ბგერაზე ან ასოზე. გზა მთლიანიდან მისი ნაწილებსაკენაა, ხდება მთელის ანალიზი და მისი ნაწილ-ნაწილად შესწავლა. ამ მეთოდის უპირატესობას სხვა მეთოდების წინაშე იაკობი თავისებურად ასაბუთებს კიდევ 1867 წელს გამოცემულ „ქართული ანბანისა და პირველი საკითხავი წიგნის“... „მასწავლებლეთათვის“ წამძღვარებულ მეთოდიკურ წერილში. აქ იაკობი წერს: „ყველა ახალი მამინ მიიღება, როდესაც ძველში ნაკლულოვანებას შეაჩინვეენ“, და აღნიშნავს, რომ ანბანური „მეთოდის პირველი და უმთავრესი ნაკლულოვანება იმაში მდგომარეობს, რომ ანბანი ასოებიდან იწყობა“.

იაკობს აბასიათებდა დიდბუნებოვანი ადამიანის თვისებანი: თუ უკეთეს გზას ნახავდა, ძველს უარს ეტყოდა და არ ემსგავსებოდა იმას, ვინც ცდებდა, „მაგრამ იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“. ამიტომ მან თავისი სახელმძღვანელოს — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ — მესამე გამოცემა (თბ., 1868) სრულიად გადაამუშავა, შეადგინა ანალიზურის საწინააღმდეგო სინთეზური მეთოდით სასწავლებლად.

იაკობის სახელმძღვანელოების შესახებ მრავალი დაწერილა და წერენ, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, თუ რატომ შეცვალა მან ანალიზური მეთოდი სინთეზურით, სხვებს არ აღუნიშნავთ.

სინთეზური მეთოდით, რომელსაც პენრიხ სტეფანის (1761—1850) აწერდნენ, სწავლება ცალკე ბგერით ან ასოთი, უმთავრესად ჯერ ხმოვნით და შემდეგ თანხმოვნით, იწყება; შემდეგ მარცვალზე და ბოლოს მთლიან სიტყვაზე გადასვლა ხდება.

5 ვ. რამიშვილი. ქართული ენის სწავლების მეთოდის საკითხები დაწყებით სკოლაში, თბ., 1952; მისივე — ქართული ენის სწავლების მეთოდია, თბ., 1953, გვ. 72—73. შტრ. ვ. ძიძიგუაი. ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში, თბ., 1950, მე-2 გამ. თბ., 1952.

ამ მეთოდს იაკობი იცნობდა ისეთი რუსი პედაგოგებისა და მეთოდისტების შრომებიდან, როგორც იყვნენ: ვახტეროვი, სოლოვიოვა და, განსაკუთრებით კი 60 წლებიდან რუსეთში სახელგანთქმული პედაგოგი, ნ. ა. კორფი (1834—1883).

6. კორფმა სინთეზური მეთოდით სასწავლებლად შეადგინა წიგნი „Пунктовое и отрывочное письмо по звуковому способу“ (1867). უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხსენებული წიგნით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ იაკობმა მისი სახელმძღვანელოს მესამე გამოცემა სანთეზური მეთოდით სასწავლებლად შეადგინა⁶.

6. კორფის მოღვაწეობას და, მაშასადამე, მის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოებსაც, იაკობი ისე კარგად იცნობდა და მას ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ ნ. კორფის გარდაცვალების შესახებ იაკობმა წერილიც კი დაბეჭდა შემდეგი სათაურით: „უ შ ი ნ ს კ ი და კ ო რ ფ ი⁷. წერილს იგი ასეთი შესანიშნავი სიტყვებით და კორფის წარჩინებულ პირთა რიცხვში ჩათვლით ამთავრებს: „კორფი მოკვდა ისევე უდროოდ, როგორც უდროოდ იხოცებიან რუსეთის საუკეთესო ავილები. არ შეგიძლიანთ არა სთქვათ: პუშკინები, ლერმონტოვები, ბელინსკები, გოგოლები, დობროლიუბოვები, უშინსკები, კორფები სიყმაწვილეშივე იხოცებიან და კატკოვები, ლეონტიევი, პობედონოსცოვები, სუვორინები, მეშჩერსკები და სხვა ბნელეთის მოციქულები მათუსაილის ეამს სცოცხლობენ და ყველას თავს აბეზრებენ⁸“.

იაკობი გრძნობდა, რომ თეორია ბრმა პრაქტიკის გარეშე და თავის სახელმძღვანელო პრაქტიკულ მუშაობაში შეამოწმა⁹. ერთის მხრივ, კორფის სინთეზური მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელოსა და

⁶ ეს შრომა დაწერილი გვექონდა, როცა გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნი „იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული, გ. კ. ი. ნაძის, გ. თავზიშვილის, დ. ყიფშიძის რედაქციით“ (თბ., 1940). მასში მოთავსებულია ზ. კიკნაძის წერილი, „იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ (გვ. 128—145); 132 გვერდზე მოყვანილი ფაქტებიც იმის შესახებ ღალადებს, რომ კორფის წიგნის კვალობაზე შეუდგენია იაკობს თავის სახელმძღვანელოს მესამე გამოცემა. ზ. კიკნაძე მიუთითებს კორფის წიგნის 1869 წლის გამოცემაზე, და აღბათ, ამიტომ ვერ ხსნის, თუ რატომ შეცვალა იაკობმა ანალიზური სინთეზური მეთოდით. საკითხის ამ ჩვენს ინტერპრეტაციას (ა. ს. პუშკინის სახ. სამასწ. ინსტ., „შრომები“, I, თბ., 1941, გვ. 54) იყენებს მ. თალაკვაძე (იხ. მისი „ი. გოგებაშვილი და ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“. — ნ. ბარათაშვილის სახელობის კორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, გორი, 1947, გვ. 231).

⁷ „დროება“, 1883 წ. №232, ან იაკობის ტ. I, 1910, გვ. 95—98, ან ტ. II, 1940, გვ. 136—39.

⁸ იქვე.

⁹ უდრ. მისი „წერის დედანი“.

მეორე მხრივ, პრაქტიკულ მუშაობაში მიღებული შთაბეჭდილების გამო მან მიიღო სინთეზური მეთოდი. მისი სახელმძღვანელოს მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში იაკობი წერდა, რომ მასწავლებლები ანალიზურს, ე. ი. ჩვენს წინანდელს მეთოდს „სკოლაშიაც კი ხეირიანად ვერ ხმარობენ. ამიტომ ანბანის მეთოდი შეეცვალეთ. ე. ი. უწინდელი მეთოდი წალმა მოვაბრუნეთ, ამ მეთოდით სწავლება ყველასათვის აღვილია“. ამ საკითხს იაკობი „დედა-ენის“ პირველი გამოცემის (1876 წ.) წინასიტყვაობაში უბრუნდება და ამბობს, თუ თავის დროზე რა მოსახრებებმა და გარემოებებმა აიძულა ის, ანალიზური მეთოდი სინთეზურით შეეცვალა. ასეთები იყო: „შინაური ხასიათი სწავლებისა და სრული უნეცრება ჩვენი სახლობის სფერისა სწავლების ხელოვნებაში; მცირე რიცხვი სკოლებისა, მათი მოუწყობლობა და მტკნარი უხეირობა მასწავლებელთ პერსონალისა, რომელიც შესდგებოდა პრიჩეტნიკებიდან და მღვდლებიდან¹⁰.

ვიმეორებთ, ჩვენის აზრით, მიზეზი მარტო ის არ ყოფილა, რაზედაც იაკობი მიუთითებს, არამედ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული კორფის ენის სახელმძღვანელოს გამოსვლაც იყო.

ალარც სინთეზურმა მეთოდმა დააკმაყოფილა იაკობი. მან კვლავ მთლიანად გადაამუშავა მისი უკვე რამდენჯერმე გამოცემული და შესწორებული „ქართული ანბანი და საკითხაეი წიგნი მოსწავლეთათვის“, — 1876 წელს მან გამოსცა „დედა-ენა“¹¹.

ეს ახალი სახელმძღვანელო ორი ნაწილისაგან შედგებოდა და პირველი და მეორე კლასისათვის იყო განკუთვნილი. 1906 წელს, პრაქტიკული მიზნების გამო, „დედაენა“ შემდგენელმა ორ ნაწილად გაპყო. პირველი ნაწილი წარმოადგენდა ანბანის წიგნს შესაფერისი მარტივი მოთხრობებითა და ლექსებით, მეორე კი — საკითხავს. „დედაენის“ პირველი ნაწილი 1876 წლიდანვე შედგენილი იყო არა ანალიზური ან

¹⁰ ი. გ. გ. ბ. შვილი სახელმძღვანელოს ისე ადგენდა, რომ იგი სკოლის გარეთ — ოჯახში სასწავლო წიგნადაც გამომდგარიყო. ასეთ სწავლებას ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამიტომ „სახლობაში სახმარებელი“ წიგნიც კი ვამოუცია (იხ. ქვემოთ), ამავე აზრის იყო. კ. უშინსკიც; იხ. მისი Руководство к преподаванию по „Родному языку“, ნაწ. I, ს. პეტერბურგი, 1906, გვ. 1 და 2.

¹¹ ზემოხსენებულ „იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო კრებულში“ (თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1940) მოთავსებულია პარმენ კანისვილის წერილი „ი. გოგებაშვილი და ქართული წ.-კ მეთოდის“ (გვ. 175—195). აქედან ვტყობილობთ, რომ, როცა „დედაენა“ გამოიცა, მაშინ იაკობის სახელმძღვანელოს — „ქართული ანბანი და პირველი საკითხაეი წიგნი მოსწავლეთათვის“ — მეშვიდე გამოცემა არსებულა, მაგრამ ამ უკანასკნელის ბეჭდვა მაინც არ შეწყვეტილა; იგი შემდგენელს უქცევია ოჯახში საკითხავ წიგნად. 1877 წ. გამოცემა ანერია „ქართული ანბანი და პირველი საკითხაეი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, მერვე ვრცელი და შეცვლილი გამოცემა“ (იხ. ტ. 10, გვ. 31; შტრ. ტ. 5, 1957, გვ. 5).

სინთეზური მეთოდით, არამედ ამ ორი მეთოდის შეერთებული — ანალიზურ-სინთეზური მეთოდით.

ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს იყენებდნენ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში: გრაზერი (1766—1841) და დისტერვეგი (1790—1866), ლუბენი (Лубен. 1804—1882), ფოგელი (1795—1862), ბომე (Боме 1816—1882); რუსი პედაგოგები პაულსენი (1825—1893), ვოდოვოზოვი (1825—1886), უშინსკი (1824—1870), უფრო გვიანდლები; ტიხომიროვი, ბუნაკოვი, ბობროვსკი, ფლეროვი და სხვები¹².

ეს მეთოდი გავრცელდა როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენში. ანალიზურ-სინთეზური მეთოდით სწავლება იწყება ფრაზიდან ამოღებული სიტყვებით, მარცვლის გზით დადის ბგერამდე ან ასომდე და შემდეგ ბგერების ან ასოების შეერთებით ვლბულობთ მარცვალს, მარცვლიდან სიტყვას, სიტყვებიდან წინადადებას. მაშასადამე, აქ მთლიანიდან ნაწილისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ¹³ და შემდეგ ნაწილიდან და უკვე ნაცნობიდან მთლიანისაკენ მივდივართ.

ანალიზურ-სინთეზური მეთოდის გამოყენებაში იაკობი უშინსკის ეყრდნობოდა, მაგრამ მას არ იმეორებდა. მისგან განსხვავდება მით, რომ იგი მნიშვნელობის მქონე, ე. წ. „ნორმალურ“ ქართულ სიტყვებს იღებდა და სწავლების პროცესს მასზე შლიდა.

იაკობი უშინსკის პირდაპირი მიმდევარი რომ არ იყო, ამას ისიც ამტკიცებს, რომ მან უშინსკისაგან დამოუკიდებლად მისი პირველი სახელმძღვანელო ანალიზური, ხოლო მისივე მესამე გამოცემა სინთეზური მეთოდით სასწავლებლად შეადგინა და მხოლოდ შემდეგ გადავიდა ანალიზურ-სინთეზურზე; ე. ი. მან უშუალოდ შეისწავლა მაშინ მისაღები მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები. იგი რომ უშინსკის პირდაპირი მიმდევარი არ არის, ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ უშინსკი „Подходящие слова“—ს იწყებს ხელნაწერი ასოებით და შემდეგ გადადის ნაბეჭდზე; იაკობი კი ნაბეჭდით იწყებს და ხელნაწერს შემდეგ აცნობს მოწაფეს.

ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს ქართული დაწერილობის სწავლებაში ხელსაყრელად ქმნის ის გარემოება, რომ ქართული დაწერილობა ფონეტიკური ხასიათისაა, ე. ი. მასში თითოეულ ბგერას თითოეული ცალკე პირობითი ნიშანი შეესაბამება წერაში. ეს ეტოდა იაკობმა, და რომ ქართული დაწერილობის ეს ღირსება სხვისთვისაც ჩაეგო-

¹² იხ. პროფ. პ. ა. აფანასევი (Афанасьев). Методика русского языка, მე-10 გამოცემა, მოსკოვი, 1934, გვ. 15; არსებობს მე-12 (1937) გამოცემაც.

¹³ იაკობის სიტყვებით ეს გზა იქნება „ფრაზების დაშლა სიტყვებად, სიტყვების დაყოფა მარცვლებად და მარცვლების დაყოფა ბგერებად“. იხ. მისი „დედაენა“. პირველი გამოცემის (თბ., 1876) წინასიტყვაობა—ტ. 5, 1957. გვ. 105—109.

ნებინა, პ. უსლარს ეყრდნობოდა: „Груаниский алфавит—сдана ли не-самый совершенный из всех существующих алфавитов“. იაკობი ამას უმატებდა: „გენიალური სიმარტივე და სიადვილე ქართული ან-ბანისა“ გახლავთ ის, რომ მასში „ყოველი ქართული ხმა გამოიხატება ცალკე ნიშნით, ასოთი, რომელიც ისევე (ერთი ნიშნით; ი. შ.) იწერება, როგორც გამოითქმის. ამის გამო ქართული მართლწერა არავისთვის არავითარს დაბრკოლებას არ წარმოადგენს“¹⁴.

ქართული დაწერილობის ამ თავისებურების გამო მოსახერხებე-ლი ხდება სიტყვის დაშლა ბგერა-ასომდის (ანალიზი) და პირიქით, შეიძლება ბგერა-ასოსაგან სიტყვის შედგენა (სინთეზი). ქართულში რომ ბგერას ასო შეესაბამება, როგორც სწორადაა შენიშნული, ეს გა-რემოება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ანალიზურ-სინთეზური მეთოდი-სათვის. აქ სიტყვის ბგერითი ანალიზი ემთხვევა მის ასოებრივ ანა-ლიზს და ბგერისა და მისი პირობითი წერითი ნიშნის გაცნობა შეიძ-ლება ერთსა და იმავე დროს.

ანალიზურ-სინთეზური მეთოდით წერა-კითხვის სწავლება წერისა და კითხვის ერთდროულად დაძლევის ისახავს მიზნად, და ამიტომ მას გერმანელები Schreib-Leseunterricht-ს უწოდებდნენ, ან კიდევ რუსე-ბი письмо-чтение მეთოდად თვლიდნენ. რადგან სწავლების გზად აქ გამოყენებულია ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, ამიტომ ზოგიერთ მე-თოდისტს ამ მეთოდის უფრო სწორ სახელწოდებად მიაჩნდა: анализико-синтетический метод совместного обучения письму-чтению (ანალიტიკურ-სინთეტიკური წერა-კითხვის ერთდროულად სწავლების მეთოდი¹⁵. ამავე-მეთოდს ზოგიერთები, და მათ შორის ხში-რად იაკობიც, სინკრეტულ მეთოდსაც უწოდებდნენ.

ანალიზურ-სინთეზური, ანუ სინკრეტული, მეთოდით წერა-კითხვის სწავლება იაკობმა დაიწყო და დაამკვიდრა საქართველოში. ეს ის მე-თოდია, რომელიც ჯერაც ძალაშია დარჩენილი და ამიტომაც, რომ ვერც ერთი დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოს ავტორი იაკობის სახელ-მძღვანელოს გვერდს ვერ უვლის და მითი სარგებლობს.

ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდის გამონახვა და დამუ-შავება იაკობ გოგებაშვილის დამსახურებაა. მისი ეს ღვაწლი პირველ ადგილს უთმობს მას ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდიკის ისტორიაში.

¹⁴ იხ. ტ. II, 1940, გვ. 482 ან ტ. 4, 1955, გვ. 154; შდრ. გრ. შენგელისა და გრ. გაბედავა. ქართული ენის მეთოდიკა პედსასწავლებლის მოწაფეთა და დაწ-ყებითი სკოლის მასწავლებელთათვის, თბ., 1939, გვ. 14.

¹⁵ იხ. სტახოვი (Стахов). Методика русской грамоты и начальных упражнений в русском языке, მე-14 გამოცემა, ხარკოვი, 1914, უვ. 13.

წერა-კითხვის ერთდროულად სწავლების საკითხში იაკობი ასეთ აზრს გამოთქვამს, რომ ბავშვი ჯერ ხალხური ლექსებით, ზღაპრებით და მის მსგავს მოთხრობებით ოჯახში უნდა დაინტერესოს, ოჯახი უნდა დაეხმაროს სკოლას, „პირველად, დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში“, „პატარა ქართველი მხოლოდ მის ზეგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მთელის შვიდი წლის განმავლობაში, ყოველდღიური ვარჯიშობა დედა-ენაში მშობლებმა უნდა დააწყებინონ თავის შვილებს მესამე-მეოთხე წლიდანვე“¹⁶. ამის შემდეგ, როცა „ბავშვი ჩადგება მეექვსე წელში, ქართული კითხვა უნდა დააწყებინოთ ჯერ დიდი მოძრავი ასაკების ხმარებით და მერმე მსხვილი ასოებით დაბეჭდილის წიგნის საშუალებით. წერა ძნელი პროცესია, ძნელი სავარჯიშოა და ამიტომ იგი უნდა დააწყებინოთ უფრო გვიან, ერთი წლის შემდეგ, როცა ბავშვი მეშვიდე წელიწადში გადადგება. მერვე წლიდან ქართული წერა-კითხვა ხელი-ხელ ჩაიკიდებული, ტოლად მიდის“¹⁷.

იაკობმა შეადგინა „ქართული წერის დედანი“, რომელშიც, იაკობისავე სიტყვით, „რიგი ასოებისა, მიღებული დედანში, ემორჩილება იმ წესსა, რომელზედ არიან ასოები დაწყობილნი ჩვენს დედა-ენაში. ამ სახით „დედა-ენა“ და „დედანი“ ერთიმეორის შემდეგ უნდა იხმარებოდნენ“¹⁸. მას სახატავებიც ჩაურთავს „დედანში, რადგან „ხატვა ძლიერ ეხმარება წერასა, უვარჯიშებს ბავშვებს ერთს გვარს შემოქმედების ძალასა და სასიამოვნო საგანს შეადგენს მათთვის“¹⁹.

იაკობმა „ქართული დედანი“²⁰ სურათებით გამოსცა 1882 წელს, მაგრამ გაუწია ანგარიში იმ გარემოებას, რომ ორი წიგნის ყიდვა გაუჭირდებოდა ქართველ მოწაფეობასო და ამიტომ, შემდეგში იგი შემოკლებით „დედა-ენაში“ შეიტანა.

იაკობის სახელმძღვანელოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს ის წარმოადგენს, რომ ისინი აგებულნი არიან მოწონებულ პედაგო-

16 იხ. მისი ტ. II, 1940, გვ. 394=ტ. 2, 1954, გვ. 239.

17 ტ. II, 1940, გვ. 395=2, გვ. 240.

18 ი. გოგებაშვილი. ქართული დედნის შესახებ. ტ. I, 1910, გვ. 197-ბ. 5, 1957, გვ. 678.

19 იქვე, გვ. 196, იაკობი, აქ კ. უშინსკის იდეით ხელმძღვანელობს. იხ. კ. უშინსკი. „Руководство к преподаванию по „Родному слову“, ნაწ. I, გვ. 99. დამატება — 3. „О первоначальном рисовании“.

20 იაკობის ქართული დედანი იმდენად კარგადაა გაკეთებული, რომ ახლა ქართული „ასოთა დაწერილობა და გადაბმის მთავარი შემთხვევები დაამუშავა კონიამ. წერის დედა მან საფუძვლად დაუდო იაკობ გოგებაშვილის მიერ დადგენილი დაწერილობა; მხოლოდ ზოგიერთი ასოს მოხაზულობაში შეიტანა ნიკოლოზი ცელიძე. იხ. „ქართული წერის დედანი“, შედგენილი ვ. თოფჩიას მიერ, თბ., 1949, გვ. 5.

გიურ პრინციპებზე: მოწაფე გადაჰყავს ნაცნობიდან უცნობზე. მართვიდან რთულზე, კერძოდან ზოგადზე, მაგრამ სათანადო მომენტებში არც პირუკუ გზას გამოირიცხავს. ამის ერთ-ერთი მაგალითს წერა-კითხვის სწავლებაში ანალიზურ-სინთეზური მეთოდის გამოყენებაც წარმოადგენს; იგი იღებს როგორც ანალიზს, ისე სინთეზს.

იაკობის სახელმძღვანელოებს მასალის განაწილებასა და მისი სწავლების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს და, საკვირველია, რომ ამ საკითხს სათანადო ლიტერატურაში შესაფერისი შეფასება არ მისცემია. სახელდობრ, იაკობის თითოეულმა სახელმძღვანელომ იციის დოზა, რამდენს ნაცნობში რამდენი უცნობის შერევა შეიძლება. ამ თვალსაზრისით რომ იაკობის სახელმძღვანელოებს უდგება კაცი და იგებს მის არსს, გაოცებული რჩება, როგორ მშვენიერად არის შეტანილი უცნობი მასალა ნაცნობში. პირველი ისეა შეპარებული მეორეში, რომ მოწაფეს მისი დაძლევა აღარ უჭირს. იაკობს სწამს, რომ „განმეორება არის სწავლის დედა“ და ამიტომ მისი სახელმძღვანელოების ახალი გაკვეთილი იმეორებს წინა გაკვეთილსა და ნაწილობრივ უფრო აღრინდლებსაც, ხშირად ახალი გაკვეთილი შეიცავს წინა გაკვეთილის უფრო ძნელი ნაწილების ახალ ფორმებში განმეორებას. ამ პროცესში აწვდის მოწაფეს ახალ ცოდნას, მოპოვებული ცოდნის ათვისების გამოცდილებითა და მისი გაგებით სათანადო ჩვევის გამომუშავების კვალობაზე, ადვილიდან და ერთი სახის სიძნელიდან უფრო რთულსა და ნაირსახეობაზე გადაჰყავს მოწაფე. ამ გადასვლებში იგი უმთავრესად ევოლუციურ გზას ირჩევს, მაგრამ სათანადო მასალის მიხედვით არც რევოლუციურს უვლის გვერდს, და თან მუდამ ახსოვს, რომ დღევანდელი გაკვეთილი გუშინდელის გაგრძელებაა, და მოწაფეს რომ ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთ სიძნელესთან უნდა ჰქონდეს საქმე, მეორეზე გადასვლა, მხოლოდ პირველის დაძლევის შემდეგ შეიძლება. იმავე დროს ყოველი ახალი გაკვეთილი ახალი ცოდნის ზუსტსა და საკმაო რაოდენობას იძლევა.

ამ მხრივ იაკობის მიერ წარმოდგენილი სწავლების და მოწაფის მიერ ცოდნის შეძენის გზა მოგვაგონებს დაგორეიულ იმ თოვლის გუნდას, რომელიც განაგრძობს გორვასა და მას ახალ-ახალი ფენები ემატება, ახალს ქვეშ ძველიც ახალთან ერთად მოძრაობს და თოვლის პატარა გუნდა ხომ შემდეგ მთად წარმოგვიდგება.

იაკობი ცდილობს, რომ მასალაც ისეთი გამოიჩინოს და სახელმძღვანელოში შეიტანოს, რომ მისი ადვილად დამახსოვრება შეიძლებოდეს, და თან ახალი სიტყვა, ცნება, ნაცნობში ისე იყოს ჩაქსოვილი, რომ ბავშვს ნაცნობსა თუ უცნობს შორის ახოცდაციის დამყარება შეეძლოს. ამავე დროს ცდილობს, რომ ახალი ცოდნა სწავლების პრო-

ცესში, ერთი გაკვეთილის მონაკვეთშიც კი მეორედბოდეს, რადგანაც ამ გზით მოწაფე მას უფრო მტკიცედ დაიმასხოვრებს²¹.

ამ პრინციპის გამართლებების ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია იაკობის „დედაენის“ მეორე ნაწილის დასაწყისშივე მოთავსებული ხალხური სიმღერა (გ:დაკეთებული) „თხა და ვენახი“.

ნაშენობის მიხედვით მის ანალოგიურ მასალას კ. უშინსკის საყვარელი რუსული ხალხური ზღაპარი „Репка“ წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ იგი ი. გოგებაშვილმა შეიტანა მის მიერ შედგენილს „Русские сказки“-ს მეორე წიგნში.

ქართული და რუსული ხალხური შემოქმედების აღნიშნულ ნიმუშებს აქვე ვათავსებთ, რათა მკითხველს მათზე უშუალო დაკვირვების შესაძლებლობა მივსცეთ, აბა, დააკვირდით მათში სიტყვებისა და სახეების თანმიმდევრობას!

„თხა და ვენახი“

(ხალხური სიმღერა)

მოდო, ვნახო ვენახი, რამ შეჰამა ვენახი?
მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჰამა ვენახი.

მოდო, ვნახო თხაო, რამ შეჰამა თხაო?
მიველ, ვნახე თხაო, მგელმა ჰამა თხაო;
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჰამა.

მოდო, ვნახო მგელი, რამ შეჰამა მგელი?
მიველ, ვნახე მგელი, თოფმა ჰამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჰამა.

მოდო, ვნახო თოფი, რამ შეჰამა თოფი?
მიველ, ვნახე თოფი, ჟანგმა ჰამა თოფი.
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჰამა.

²¹ ამ პრინციპით ისევე შეგნებულად სარგებლობდა ი. გოგებაშვილი, როგორც კ. უშინსკი. ბავშვს, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად კითხულობს, გამეორებული და ნაცნობი სიტყვების ტექსტში შეხვედრა უადვილებს კითხვას, ეჩვევა იგი სიტყვის სწორ წარმოთქმას და ახალსებს მას, წელში მართავს, სურვილს აძლევს მეტი იკითხოს. ასეთი გამეორება პირველდაწყებით სწავლებაში სხვა მხრივაც სასარგებლოა. ამიტომ იყო, რომ კ. უშინსკი წერდა: ჩემს „Родное слово-ში“ я поместил повторяющиеся сказки именно потому, что они легки и полезны для самого первоначального чтения, таковы: Репка, Колобок, Мена и др.». იხ. მისი „Руководство к преподаванию по „Родному слову“, ტ. I, გვ. 65.

მოდი, ვნახო ჟანგი, რამ შეჰკამა ჟანგი?
მიველ, ვნახე ჟანგი, მიწამ ჰკამა ჟანგი.
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჰკამა.

მოდი, ვნახო მიწა რამ შეჰკამა მიწა?
მიველ, ვნახე მიწა, თავგმა ჰკამა მიწა.
თავგმა მიწა, მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჰკამა.

მოდი, ვნახო თავგი, რამ შეჰკამა თავგი?
მიველ: ვნახე თავგი, კატამ ჰკამა თავგი.
კატამ თავგი, თავგმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჰკამა“²².

ამას შევადაროთ ქვემოთ მოთავსებული რუსული ზღაპარი:

РЕПКА

Посадил дед репку. — выросла большая, пребольшая. Стал дед репку из земли тащить: тянет потянет, вытянуть не может.

Позвал дед на помощь бабу. Бабу за дедку, дедка за репку: тянут-потянут, вытянуть не могут.

Позвала бабу внучку. Внучка за бабу, бабу за дедку, дедка за репку: тянут-потянут, вытянуть не могут.

Кликнула внучка Жучку. Жучка за внучку, внучка за бабу, бабу за дедку, дедка за репку: тянут-потянут, вытянуть не могут.

Кликнула Жучка Машку. Машка за Жучку, Жучка за внучку, внучка за бабу, бабу за дедку, дедка за репку: тянут-потянут, вытянуть не могут.

²² იხ. დედ ა-ე ნა. მეორე ნაწილი. საკითხავი წიხი ანბანის შემდეგ სკოლებში სახმარებელი, შედგენილია იაკონ გოგებაშვილის მიერ. 23-ე გამოცემა. თბილისი, 1908, გვ. 3—4=27-ე გამოცე., 1912=ტ. 5, 1957, გვ. 331—332.

Кликуლა Маишка мышку. Мышка за Маишку, Маишка за Жучку, Жучка за внучку, внучка за бабку, бабка за дедку, дедка за репку: тянут-потянут, вытянули репку»²³.

ასევე დიალოგიურია და სიტყვა-სახეთა განმეორებებს შეიცავს „ღედა-ენაში“ დაბეჭდილი საკითხავი „რწყილი და ჭიანჭველა“. ისინი დამბობილდნენ, წავიდნენ, მიადგნენ რუსა. რწყილმა ისკუბა, გადახტა; ჭიანჭველამ ისკუბა, წყალში ჩავარდა. „შეეხვეწა რწყილსა: ძმობილო, მიშველე!“...

რწყილმა გადაწყვიტა: ღორს გამოართვას ჯაგარი, დაგრიხოს თოკი, ბაწარი; გადაუგდოს ჭიანჭველას და ამოიყვანოს. ვისაც კი რწყილმა მიმართა, ყველამ სანაცვლო რაიმე მოსთხოვა. ბოლო მიმართვიდან რომ დავიწყოთ, ეს რიგი ასეთია: „ძროხავ, მომე რძე, რძეს მივეუტან კატასა, კატა დასთმობს თაგვსა, თაგვი დასთმობს ორმოსა, ორმო მომცემს ფეტვსა, ფეტვს მივეუტან კრუხსა, კრუხი მომცემს წიწილსა, წიწილს მივეგერი ყვავსა, ყვავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა, რკოს მივეუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა, დავეგრეს თოკსა, ბაწარსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან ჩემს ჭიანჭველა ძმობილსა“.

ყოველივე ეს, თითქოს, აგრეც მოხდა. რწყილმა დაგრიხა თოკი ჩაუგდო „წყალში ჭიანჭველასა, რომელიც ბალახს მოსკიდებოდა. ჭიანჭველა ბაწარზედ შექდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ჭიანჭველა ნაპირს გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა.—მერმე ისევ ძმურად გაუდგნენ გზასა“.

თხრობა მთავრდება დამრიგებლობითი ანდაზით: „ძმა ძმისთვინა, შავის დღისთვინა“ (ტ. 5, გვ. 341—344; რუსული თარგმანი იხ. ტ. 7, გვ. 136—139).

დიალოგის გარეშეც, სიტყვათა გამეორებებია „ღედა-ენაში“ შეტანილი. მაგალითად, ასეთია: „ჩიტი და ფეტვი“.

ორმოში ფეტვი ჩვეყარე შესანახადაო;
ორმოში წყალი ჩასულა დასალპობადაო;
ორმოდგანა ამოყვარე გასაშრობადაო;
ჩიტი ღობეზედ შემოქდა ასაკენკადაო;
ჩიტსა ჯოხი წამოუესვი მოსაკლავადაო;
ჩიტი ბატონთან გაიქცა საჩილელადაო;
ჩიტმა კაცი მოიყვანა დასარბევადაო;
იმან სრულჲად წამართვა, რაც რამ მებადაო“. (ტ. 5, გვ. 351).

აღნიშნულ ფორმათა საბავშვო სავარჯიშოები გავრცელებულია საქართველოს ყოველ კუთხეში. მაგალითად, ჩვენ მიერ 1930 წელს

²³ Яков Гогобашвили. Русское слово или учебное руководство к русскому языку для грузинских школ. Часть вторая. Книга для чтения. Издание седьмое т.б., 1900, გვ. 9-10=ტ. 7, 1960, გვ. 85-86, 345—346.

გურიის ხიდისთავში ჩაწერილი ტექსტი, ლიტერატურული ენის ორ-
თოგრაფიით რომ წარმოვადგანოთ, ასეთია:

„ოდელა, ოდელა“

ოდელა, ოდელა, გოგამ თხაი მოდენა: პატარძალმა მოწველა,
დიდმა რძალმა ჩაკვეთა; დედამთილმა შეინახა, ციციუნამ მოიპარა.

- ციციუნა რა იქნა?
- ხიდზე გავიდა;
- ხიდი რა იქნა?
- წყალმა წაიღო;
- წყალი რა იქნა?
- შზემ დააშრო;
- შზე რა იქნა?
- მუხას ეფარება;
- მუხა რა იქნა?
- ცულმა მოკრა;

- ცული რა იქნა?
- მკედელმა წაიღო;
- მკედელი რა იქნა?
- მიწამ ჩაყლაპა;
- მიწა რა იქნა?
- წყალმა წაიღო;
- წყალი რა იქნა?
- შზემ დააშრო;
- შზე რა იქნა?
- დაბნელა“.

ასეთივე დიალოგი გურიიდან დაშორებულ სვანურ ფოლკლორ-
შიც გვხვდება.

„ნეზვო, ნეზვო“...

- ნეზვო, ნეზვო,
ნეზვი რა იქნა?
- ზღვას შეუერთდა.
- ზღვა, ზღვა რა იქნა?
- სახლში წავიდა.
- სახლი რა იქნა?
- დაინგრა.
- ნანგრევი რა იქნა?
- კალოზე ყრია.
- კალო რა იქნა?
- ყანას შეუერთდა.
- ყანა რა იქნა?
- ქედს შეუერთდა.

- ქედი რა იქნა?
- მდინარეში ჩაიქცა.
- მდინარე რა იქნა?
- შზემ შეწრუპა.
- მზე, მზე რა იქნა?
- ღრუბელს მიეფარა.
- ღრუბელი რა იქნა?
- წვიმად იქცა.
- წვიმა რა იქნა?
- ყანაში დაეშვა.
- ყანა, ყანა რა იქნა?
- დგას და მომავალს უცდის“²⁴.

ყოველივე ეს მართლაც შეეფერა ბავშვის გონება-აზრს, ვაჟა-
ფშაველას ზემოხსენებულ ნათქვამს: „ას წ ა ვ ლ ე ბ ა ვ შ ვ ე ბ ს ბ ა კ-
შ ვ უ რ ა დ!“... დიდი აზრია ამ თქმაში.

²⁴ სვანური ზღაპრები, კრებული შეადგინა და შენაშენები დაურთო უჩა ცინ-
დელიანმა, თბ., 1975, გვ. 8.

ასეთივე საბავშვო ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები დაბეჭდილია რუსული ენის უშინსკის სახელმძღვანელოებში, აგრეთვე ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოში“ და კიდევ უფრო მეტი დიალოგური მასალაა შეტანილი ჩვენივე პედაგოგის სხვა სახელმძღვანელოებში.

ზოგიერთ ხალხურ ლექსში იაკობს ცვლილებებიც შეუტანია, რათა ის პედაგოგიურად უფრო გამართლებული და მისაღები ყოფილიყო²⁵.

იაკობის მიერ აშენებული სწავლების პრაქტიკის და სასწავლო მასალის განაწილება შეფარდებულია მოწაფის ასაკთან და მის გონებრივ შესაძლებლობებთან. იაკობი მოწაფეს იმის საშუალებას აძლევს, რომ მან მიღებული ცოდნის განვითარება დამოუკიდებლად შეძლოს, და, რაც მთავარია, ბავშვს შეძენილი ცოდნის განვითარების ინტერესს აღუძრავს და უღვიძებს.

როგორც კ. უშინსკი²⁶, ისე იაკობი ენის სახელმძღვანელოში დიდ ყურადღებას აქცევს მოწაფის ირგვლივ არსებულ რეალურ გარემოზე დაკვირვებებსა და მისგან მიღებული შთაბეჭდილებების შესწავლას. იგი აყენებს მოწაფეს ისეთ პირობებში, რომ მან ამ შთაბეჭდილებების კლასიფიკაცია მოახდინოს და ასეთი ვარჯიშით დაბავს ბავშვის ენერგიას, ნიჭსა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს საერთოდ, რომ ისინი ყოველმხრივ გამოვლინდნენ და განვითარდნენ. იგი მოწაფეს განუმტკიცებს ნებისყოფას, აჩვენებს მოთმინებას, კრიტიკულ აზროვნებას, უმკვიდრებს ლექსიკურ მარაგს, და გზადაგზა ახალს ათვისებინებს, აყენებს ისეთ პირობებში, რომ მან ახალი უეჭველად უნდა შეისწავლოს, აგრძნობინებს ამის საჭიროებას და უქმნის სათანადო ინტერესს.

იაკობ გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865) და 1876 წელს გამოცემული „დედაენა“, რომელიც 1906 წლიდან ორ წიგნად (პირველი ანბანისა და მეორე — საკითხავი) გაიყო, არის ის წიგნი, რომლის პირველი ნაწილი ცალკე წიგნად 1907 წ. გამოვიდა და 1925 წლამდე 45-ჯერ გამოიცა.

60 წლის განმავლობაში (1865—1925) „დედაენის“ პირველი ნაწილის 1.300.000 ცალი გამოცემულია, მეორე ნაწილი 36-ჯერ გამოიცა; მისი უკანასკნელი გამოცემა 1920 წელს გამოვიდა. აქედან ნათელია, რაოდენ დიდი დამსახურება მიუძღვის ამ სახელმძღვანელოს შემდგენელს საქართველოში წერა-კითხვის გავრცელებისა და ქართველი ერის განათლების საქმეში.

²⁵ ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ი. გოგებაშვილის ტ. I, 1910, გვ. 486—489, ან მისივე ტ. II, 1940, გვ. 489—493—ტ. 4, 1955, გვ. 187—191.

²⁶ ა. დ. ალფეროვი. Родной язык в средней школе. (Опыт методики), Москва, 1911 წ. გვ. 53.

ეს სახელმძღვანელოები ახლაც საინტერესოა. 1912 და 1916 წლების გამოცემების მიხედვით გ. თავზიშვილის ხელმძღვანელობით აღდგენილი და შესწორებული ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ პირველი ნაწილი თბილისში 1940 წელსაც გამოიცა. ამავე „დედა-ენის“ პირველი და მეორე ნაწილი საფუძვლად უძევს ჩვენში ახლა მოქმედ სახელმძღვანელოებს.

იაკობის მიერ ქართველ მოწაფეობაზე მზრუნველობა პირველი და მეორე კლასით არ განისაზღვრებოდა: იაკობის „დედა-ენით“ ქართულ წერა-კითხვაში გაწვრთნილი ბავშვი, უფრო მაღალ კლასებში, ისევე იაკობის სახელმძღვანელოზე იზრდებოდა, მით ლებულობდა ახალს ცოდნასა და თვითცნობიერდებოდა. ეს იყო იაკობის მიერვე შედგენილი მდიდარშინაარსიანი და წარმტაცი, ენციკლოპედიური წიგნი „ბუნების კარი“, რომლის პირველი გამოცემა 1858 წელს გამოვიდა და „დედა-ენის“ პარალელურად, 1918 წლამდე იცემოდა. ამ 50 წლის განმავლობაში (1868—1918) „ბუნების კარი“ ოცდაშვიდეჯერ გამოიცა.

უკანასკნელ გამოცემას აწერია: „იაკობ გოგებაშვილი. ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი მესამე და მეოთხე წლისათვის. ოცდამეშვიდე შემოკლებული გამოცემა (169.000), თბილისი, 1918 წ.“ (მდრ. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 6, 1958). ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ ნაწილობრივ კ. უშინსკის „Детский мир“-ის მასალებზეა აგებული, ხოლო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ და „დედა-ენა“ შედარებით უფრო ორიგინალურ ნაწარმოებებს წარმოადგენს. კ. უშინსკის „Родное слово“-ს ჩამოჰგავს „დედა-ენაც“; ეს გარემოება ი. გოგებაშვილს ვერ დაამცირებს.

იაკობი ბევრს შრომობდა თავის სახელმძღვანელოებზე. იგი, თითქმის ყოველ გამოცემას ამუშავებდა; რომელი ნაწილისათვისაც მზა მასალას ვერ პოულობდა, თვითონ წერდა და შექმნიდა სახელმძღვანელოში. ამავე დროს იცავდა თვალსაჩინოების პრინციპსაც, იქვე სათანადო სურათებს ათავსებდა. იაკობი წინდახედული იყო; მან აკაკი წერეთლის დახმარებით თვით გამოტოვა „დედა-ენიდან“ „ყველა ის სიტყვები, რომელნიც დასავლეთ საქართველოში არ იხმარებიან“, აგრეთვე ის სურათები, რომელთაც დასავლეთ საქართველოში „სხვა სახელი ჰქვიათ, მაგალითად ლოჭო, რომელსაც იქაურად ლღავი ეწოდება“ (ტ. 4, გვ. 317).

ამიტომ იყო, რომ იაკობი არა მარტო ცალკეულ სიტყვას ასწორებდა, არამედ ასწორებდა ხალხური პოეზიის ნიმუშებსაც. როგორც თვით იაკობი აღნიშნავს, მას ასეთი ცვლილებები ხალხური სიტყვიერების მასალებშიც შეაქვს სრულიად გარკვეული პრინციპული. პედაგოგიურად უძველესად გამართლებული მოსაზრებოთა და ლიტერატურული

ენის სიწმინდის დაცვის მიზნით. (შდრ. მისი «Крайне неумелая переработка рассказов и басен Вольтером» (ტ. 8., გვ. 110).

ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ასეთსავე წინდახედულებას იჩენდა იაკობი „ბუნების კარის“ შედგენისას და კიდევ მეტსაც, რადგან შემდგენელმა იცოდა, რომ ამ წიგნზე იზრდებოდა და ვითარდებოდა არა მარტო ქართველი ახალგაზრდობა, არამედ საშუალო ქართველი მკითხველიც²⁷.

ამ საკითხში იაკობიც იმ აზრისა იყო, როგორისაც ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საბავშვო ლიტერატურა ისე უნდა იწერებოდეს, რომ ის დიდებმაც სიამოვნებით წაიკითხონო („Хороша та детская книга, которую с удовольствием прочтет и взрослый“)²⁸.

რასაც ა. დ. ალფეროვი უშინსკის სახელმძღვანელოს შესახებ ამბობს, იგივე შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ იაკობის „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ კ. უშინსკის მიერ შედგენილი ენის სახელმძღვანელო „Родное слово“ მხოლოდ ნაწილობრივ არის ენის სახელმძღვანელო. ამ დანიშნულებასაც ძლიერ კარგად ასრულებს და ამავე დროს იგი არის „ბავშვთა საერთო განვითარების ენციკლოპედია. ენა აქ მიჰყვება და ვითარდება ბავშვის განვითარებასთან ერთად“ („Что есть энциклопедия общего образования ребенка. Язык здесь следует и развивается попутно с развитием ребенка“).

„დედა-ენის“ მრავალი მასალა მოწაფეს არ მოჰყოლია სკოლაში; იგი მას სკოლის მიერ ეძლევა და ისიც, რაც მოწაფეს თან მოჰყვება, ყველა მისი წარმოდგენითურთ, მთელი ცოდნა და განვითარება მოწაფისა, სკოლისავე მიერ ვითარდება და სისტემაში მოდის. მართალი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მცოდნე და მოსიყვარულე არტურ ლაისტი, რომელმაც თავის წიგნში „Georgische Dichter“ — იაკობის სახელმძღვანელოების შესახებ აღნიშნა, რომ ისინი შეიძლება შედარებულნი იქნენ დასავლეთ ევროპის ხალხთა საუკეთესო სახელმძღვანელოებთანო (შდრ. იაკობ გოგებაშვილი. ტ. 3, 1954; გვ. 220).

„დედა-ენა“ და „РУССКОЕ СЛОВО“

ქართველი ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენითა“ და „ბუნების კარით“ იწვრთნებოდა და ვითარდებოდა; ამ წიგნებით ღებულობდა იგი ზოგად განათლებას. და სწავლობდა მშობლიურ ქართულ

²⁷ შდრ. მ. ჩიქოვანი. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1925, გვ. 148—149.

²⁸ ბ. ბელინსკი, შდრ. მ. ზანდუქელი. იაკობ გოგებაშვილი, როგორც მწერალი. — იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული, თბ., 1940, გვ. 93.

ენას, მაგრამ მასზე იაკობის მზრუნველობა ამითაც არ თავდებოდა. იაკობისავე სახელმძღვანელოთი სწავლობდა იგი მისთვის აუცილებელ საჭირო რუსულ ენას. ეს წიგნი იყო იაკობის მიერ შედგენილი პირველი და მეორე ნაწილი „Русское чтение“, სახელმძღვანელო, შედგენილი დაწყებითი სკოლებისათვის, სახელმძღვანელო ორიგინალური და პედაგოგიკის პრინციპებით გამართლებული. მან მასში რუსული ენა ქართულ ენასა და ქართული ცხოვრების სინამდვილეს დაუკავშირა. ამით ქართველი მოწაფე დაინტერესა და გაუადვილა მას სხვა სისტემის, რთული რუსული ენის შესწავლა.

დედაენის სწავლებას იაკობი, სრულიად სამართლიანად. უცხო ენის შესწავლის გაადვილებასაც უსახავს მიზნად, და, მეორეს მხრივ, უცხო ენის შესწავლის საშუალებით დედაენის უკეთ გაგებას ცდილობს.

იაკობი წერდა, რომ „ერთი ძირითადი კანონი პედაგოგიკისა ითხოვს მკიდრო კავშირს ყველა საგანთა შორის, რომელნიც კი ისწავლებიან სკოლებში. ეს კავშირი ისე უკიდურესად არსად არის საჭირო, როგორც დედაენისა და უცხო ენის სწავლებაში, მეტადრე დაბალს სასწავლებლებში. ამის გამო, რუსული ენის სახელმძღვანელო. შედგენილი ქართულის სკოლებისათვის, უნდა იყოს აშენებული ქართული ფონეტიკის, ქართული ანბანის, ქართული ყოფა-ცხოვრების, ქართული გრამატიკის და მეტადრე ქართულის სახელმძღვანელოების მიხედვით. ცნობილი ენა უნდა უკაფავდეს, უნათებდეს გზას უცხო ენასა, და ამით თავის სიმკვიდრესაც აძლიერებდეს სკოლის კურსში“ (ტ. 4, 1955, გვ. 20).

ამ მოთხოვნილებებს ამართლებს იაკობის „Русское чтение“. სწორედ ამრიგად, ამ მეთოდით არის შედგენილი ჩემი „რუსსკოე სლოვო“, — წერს იაკობი და განაგრძობს, — „მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ რუსული ენა ზოგი მხრივ ემსგავსება ქართულსა. ზოგი მხრივ კი დიდად განსხვავდება მისგან. შინაარსი ჩემი რუსულის სახელმძღვანელოსი ისეა დალაგებული, რომ მსგავსი ფორმები წინ უძღვიან არა მსგავსს ფორმებსა. კერძოდ: ლექსიურს განყოფილებაში წინ არიან მოქცეულნი რუსული სიტყვები, შემდგარნი იმისთანა ხმებისაგან, რომელნიც ქართულს ენაშიც არსებობენ, და რუსული ფრაზები, რომელთა გრამატიკული შენობა შეესაბამება ქართულის ენის აგებულებას. „რუსსკოე სლოვოს“ ანბანი მკიდროდ არის დაკავშირებული „დედაენის“ ანბანთან მეთოდით, სურათებით, შინაარსით და, ასე გასიჩქეთ, წერითაც კი. მეორე ნაწილი „რუსსკოე სლოვოს“, რომელიც იპყრობს საკითხავ წიგნს, საეხებით შეესაბამება „დედაენის“ პირველ საკითხავ წიგნსა მოთხრობებით, ლექსებით, სასაუბროებით, სავარჯიშოებით. ბევრს რუსულ მოთხრობას და ლექსს ქვეშ უწერია, რომელი

შსგავსი მოთხრობა, ან ლექსი იცით ქართულს ენაზე? გადათარგმნეთ რუსულად ქართულადა და სხვ. საინტერესოა გოგებაშვილის კიდევ ორი ცნობა: 1. „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნახევარი და ნაწილიც მეორე ნახევრისა სავსეა „დედა-ენიდან“ „გადაღებული მოთხრობებით. არაკებით, სასაუბროებით“. 2. უკანასკნელნი „ჩინებულად არიან ნათარგმნი საგანგებოდ“ ამ წიგნისათვის თხორევესკისა და მისი მეუღლის მიერ, რომელნიც „რუსეთის მგოსანთა შორის ცნობილნი არიან ფსევდონიმით „Иван да Мария“ (ტ. 4, გვ. 432; ტ. 7, გვ. 558).

„ერთი სიტყვით „რუსსკოე სლოვო“ წინ იმძღვარებს ქართულის ენის, ქართულის წერა-კითხვის, ქართულის მოთხრობების და ლექსების შესწავლასა და ჰხდის „დედა-ენას“ აუცილებელ საგნად, ორგანულ ნაწილად სასკოლო კურსისა. ამის გამო, ვისაც ქართულის ენის გაუქმება უნდა ჩვენებურს სკოლაში, უსათუოდ უნდა გააძევოს უპირველესად ყოვლისა ჩემი „რუსსკოე სლოვო“ (ტ. 1, 1910, გვ. 453—454 = ტ. 4, 1955, გვ. 21).

ხსენებულ სახელმძღვანელოს წინ უსწრებდა ცნობილი პედაგოგის — გ. ს. კალანდარიშვილის (1836—1874) „Начальный курс русского языка для грузин по практическому методу“. იგი ავტორის სიცოცხლეში ხუთჯერ გამოცემულა. შემდეგ შეუსწორებია ი. გოგებაშვილს და თავისი რედაქციითა და წინასიტყვაობით სამჯერ გამოუქვეყნებია²⁹.

ი. გოგებაშვილის სიტყვებით, გერასიმე კალანდარიშვილი იყო „იშვიათი ნიჭის. მხნეობისა და პატიოსნების კაცი; მასთან იგი თვითონ ასწავლიდა რუსულ ენას თოთხმეტი წლის განმავლობაში სასწავლებელში, რომლის მმართველადაც იგი იყო დანიშნული. როგორც თეორიით, ისე პრაქტიკით მას კარგადა ჰქონდა შესწავლილი ეს საგანი... ამ-ტომაც სახელმძღვანელო მისი აღმოჩნდა სისტემატურად შემუშავებული და პედაგოგიურად დაღაგებული“³⁰.

ძიუხედავად წიგნის შემდგენლისადმი დიდი პატივისცემისა და საერთოდ იმავე სახელმძღვანელოს მოწონებისა, ჩანს, მას ი. გოგებაშვილი ვეღარ დაუქმაცყოფილებია³¹. წიგნში ჯერ შესწორებები შეუ-

²⁹ გამოც. I—1866; II—1868; III—1869; IV—1871 და V—1872 წ. აღრინდელი ვითარების შესახებ იხ. ს. ვ. გამსახუაძისა. სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975; ვ. ვაგუა. სახალხო განათლება XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ., 1974.

³⁰ მე-6 გამოცემა — 1879, VII—1883 და VIII—1885.

³¹ ტ. 8, გვ. 556—557, — ვ. ქაჯაიას შენიშვნები.

თვითონ გ. კალანდარიშვილი, ნ. ლომოური, ნ. ცხვედაძე და სხვები კ. უშინსკისთან სწავლობდნენ და მეგობრობდნენ. იხ. კ. დ. უშინსკის რჩეული პედაგოგები, თბ., 1974, გვ. 52—53, — დ. ლორთქიფანიძის წინასიტყვაობა.

ტანია და მე-5 გამოცემის შემდეგ კიდევ სამი გამოცემა განუხორციელებია. დაბოლოს, მაინც იაკობს შეუდგენია ეს სახელმძღვანელოც ისე, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, იგი სავსებით პასუხობდა გოგებაშვილისავე ქართული ენის სახელმძღვანელოს და მასაც არსებობას უმტკიცებდა.

კიდევ რატომ შეცვალა გოგებაშვილმა კალანდარიშვილის ეს წიგნი მისი პირველად გამოსვლის შემდეგ? „პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური აზროვნება რუსეთში სწრაფი ტემპით განივითარდა, შეიცვალა რუსულ ენის სახელმძღვანელოს შედგენისა და სწავლების პრინციპები“, გამოქვეყნდა ახალ-ახალი სასკოლო სახელმძღვანელოებიც და, ცხადია, გ. კალანდარიშვილის „რუსული ენის დაწყებითი კურსი...“ თავისი შინაარსითა და მეთოდით უკვე „ველარ აკმაყოფილებდა ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების მოთხოვნებს“ (ტ. 7, გვ. 557).

მთავარი მაინც ი. გოგებაშვილისათვის ის იყო, რომ გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს უშუალო კავშირი არ ჰქონდა „დედაენასთან“, რომელიც იმ ხანებში გამოიცა (ტ. 2, გვ. 180).

ადრინდელი სახელმძღვანელო, გოგებაშვილის თვალსაზრისით, ვერ აკმაყოფილებდა მთავარ პედაგოგიურ მოთხოვნას — „ადვილიდან ვადადი ძნელზე!“ (ტ. 7, გვ. 557).

რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის გამოსცეს აგრეთვე ლ. აღნიაშვილმა 1883 წელს და ივ. როსტომაშვილმა 1886 წელს, მაგრამ ვერცერთმა ი. გოგებაშვილი ვერ დააკმაყოფილა; ბოლოს მან თვითონ შეადგინა ასეთი სახელმძღვანელოც: 1887 წელს დაიწყო ბეჭდვა და იგი 1888 წელს სკოლებში იხმარებოდა. ამ გამოცემას ეწერა: «Русское слово или классное руководство к русскому языку для грузинских школ. Год первый, второй и третий (Мадж. Кавказской книжной торговли, Тифлис, 1887 г.).

სახელმძღვანელო არ მოიწონეს, მაგრამ შემდგენელმა იგი ბრძოლით დაიცვა, გააუმჯობესა და ამის შემდეგ პირველი რეცენზენტი კრუპენნიკოვი³² ახალ რეცენზიაში აღნიშნავს: შენიშვნები ძირითადად გათვალისწინებულია, — „сделаны многие существенные улучшения“. I ნაწილი ახლანდელი სახით შეიძლება სახელმძღვანელოდ დაიშვასო და იგი გამოიცა კიდევ მეორედ 1889 წელს (ტ. 7, გვ. 574), III — გამოცემა დაიბეჭდა 1891 წ., IV — 1896 წ., VI — 1897 წ.; მე-

³² ი. გოგებაშვილსა და მის გამომცემლებს უწერიათ კრუპენნიკოვი სახელით ი. ნ. (ტ. 7, გვ. 574, შტრ. იქვე — 581); ზოგი მისევე ადაც ბეჭდავს! (ი. იოვანიძე, იაკობ გოგებაშვილი. დოკუმენტური მასალები, თბ., 1951, ა—გვ. 118, აქვე—გვ. 99, ბ—გვ. 117, 121, 128, 134). ესაა ი. კრუპენნიკოვი.

ორე ნაწილი (საკითხავი წიგნი) IV გამოც. — 1896 წ. და ა. შ. შემდგენლის მიერ მომზადებულ გამოცემაზე იკითხება: «*Никои Гогобашивили. Русское слово или учебное руководство к русскому языку для грузинских школ. Часть вторая. Книга для чтения. Издание шестнадцатое....*» Тифლის, 1913.

ამავე სახელმძღვანელოს ორივე ნაწილი შემდეგაც რამდენიმეჯერმე გამოქვეყნდა. იგი იხმარებოდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აფხაზეთის, ოსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანის (განჯის გუბერნიის), სომხეთის, ყაზანისა და რიგ სხვა სკოლებშიც.

იგივე წიგნი, სათანადოდ „შეკრებილ-გადამუშავებული ს. ფურცელაძის, ვ. ავალიანისა და ლ. ჯაფარიძის მიერ“, 1945—1946 სასწავლო წლიდან მიღებულია რუსული ენის სტაბილურ სახელმძღვანელოდ ქართულ სკოლებში. მას დიდი უპირატესობა ჰქონდა და აქვს სხვა ასეთ წიგნებთან შედარებით, რადგან შემდგენელი მასალას უკავშირებს ქართულ ყოფაცხოვრებას, პედაგოგიურად მართავს და ითვისების წინებს მოსწავლეოთ ფსიქოლოგიას (შდრ. ტ. 7, გვ. 621).

ი. გოგებაშვილის „Русское слово“ (ორ ნაწილად) ის სახელმძღვანელოა, რომლის შესახებაც მაშინდელი დიდი ეურნალის „Филологическая библиотека“-ს რედაქტორი და სპეციალისტი ლიბერმანი წერდა: „Редко можно встретить среди массы учебных руководств, составленных для изучения русского языка нашими инородцами, такой прекрасный и талантливо составленный учебник, как труд г. И. Гогобашивили“³³.

პედაგოგიურ ეურნალ „Начальное образование“-ს 1905 წლის ნომერში დაუწერიათ, რომ ი. გოგებაშვილის „Русское слово“, რომლითაც ქართველები რუსულ ენას სწავლობენ, „остается пока единственным руководством, составленным согласно требованиям новейшей методики“³⁴.

იგი ახლაც ანგარიშგასაწევი სახელმძღვანელოა³⁵.

იაკობი ებრძოდა მეფის რუსეთის შავრაზმელებს, წერდა ისეთ წერილებს, რომ მათ მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ საქართველოსათვის

³³ ი. გოგებაშვილი. ტ. I, 1910, გვ. 454—ტ. 4, გვ. 21; შდრ. მისივე, «Русское слово», ნაწ. II, მე-7 გამოც. წინასიტყვაობა, გვ. 3—4 (1900).

³⁴ შდრ. ზ. კიკნაძის წერილი ი. გოგებაშვილის ტ. II, 1940, გვ. 35.

³⁵ შეადარე სავლე აბულაძე. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის გამოყენებისათვის რუსული ენის სწავლებაში. თბ., 1939. იხ. მისივე „იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები“, თბ., 1950; იაკობის რუსული ენის სახელმძღვანელოებს შესანიშნავსა და მისაბაძს უწოდებს პროფ. გ. ს. ახვლედიანი.

დაჩაგრულ სხვა ქვეყნებისათვის და ადგენდა სახელმძღვანელოებს, რომლებსაც იყენებდნენ, ან რომლის პრინციპებითაც მეზობელი ხალხები ადგენდნენ თავიანთი დედაენის სახელმძღვანელოს და სხვ.

ყოველივე ამით **ო. გოგებაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა** სცილდება საქართველოს საზღვრებს. იაკობი დიდი პედაგოგი და კარგი მეთოდისტიც არა მარტო საქართველოსათვის, არამედ უფრო ფართო მასშტაბით. მან რუსული ენის არარუსულ სკოლებში სწავლების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების გადასაწყვეტად და გასაშუქებლად დაწერა:

1. «Методическое руководство для учителей и учительниц к преподаванию русского языка по учебнику того же автора «Русское слово».

2. «Разбор учебных руководств по русскому языку».

3. «Государственный язык в грузинских начальных школах».

4. «Очерк сравнительной грамматики грузинского и русского языков».

5. «Правда о Тифлисе».

6. «О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения» და სხვა (შდრ. ტ. 7 და 8).

მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ მის მიერ ქართველ ახალგაზრდობისათვის დაწერილი მოთხრობები „ივანანამ რა ჰქმნა“ და სხვა ითარგმნებოდა მეზობელი ხალხების ენაზე. მისსავე კალამს ეკუთვნის წიგნები და წიგნაკები: „ხომლი“, „კონა“, „კოკორი“³⁶, „თავდადებული ქართველი“, „სხივი წარსულისა“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ და სხვ.

იაკობის მოთხრობები ცალკე წიგნებადაა გამოცემული და მათზე აქ აღარ შეეჩერდებით³⁷.

36 ამ წიგნის შესახებ იაკობი შენიშნავს: „კოკორი“ წარმოადგენს შემოკლებულს „დედა-ენასა“, რადგან მასში მოქცეულია საუკეთესო ლექსები და მოთხრობები. გარდა ამისა „კოკორში“ მოვითავსე იმისთანა საკულისხმიერო რამეები, რომელიც არ მოხერხდა „დედა-ენაში“. იხ. ა. იოვ იძე. **ო. გოგებაშვილი** (დოკუმენტალური მასალები), თბ., 1951, გვ. 182; **ო. გოგებაშვილი**, ტ. 9, გვ. 356.

37 **ო. გოგებაშვილი**, მოთხრობები მოზრდილთათვის, თბ., 1950. მისივე მოთხრობები მცირეწლოვანთათვის, თბ., 1951. მათ შესახებ იხ. **გ. თავზიშვილი**. **ო. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება**. ამავე საკითხს ეხება **თ. მ. ბეგიაშვილი**ც (მოხსენება. გამოცემა ხელნაწერის უფლებით, თბ., 1951). იგივე მოთხრობები შესულია ავტორის მე-9 ტომსა (გვ. 5—175) და სახელმძღვანელოში.

ქართველი ხალხის განვითარებასა და წინსვლაში საერთოდ დიდი როლი შეასრულა იაკობის წიგნებმა და, კერძოდ, მისმა სახელმძღვანელოებმა: „დედა-ენამ“ და „ბუნების კარმა“. ამ სახელმძღვანელოების შინაარსის სიმდიდრე და ენის სისადავე, მათი კარგი შედგენილობა და მიმზიდველობა შეიქმნა იმის პირველი თავდები, რომ ეს სახელმძღვანელოები ხალხმა შეითვისა. ი. გოგებაშვილამდე არსებულ სახელმძღვანელოებს თუ იშვიათად იცნობდა ქართველი მოსასწავლო, იაკობისას ძლიერ ახლოს გაეცნო; „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, სკოლის გარდა, ოჯახშიც ძვირფასი და საინტერესო საკითხავი წიგნები გახდა. აქრტომ იყო, ჩვენმა ერმა ამ წიგნების მსგავსი პოპულარული მეორე წიგნი არ იცოდა. ხშირად, როცა ვინმე ვისმეს არიგებდა, ან მოსწრებულ სიტყვას ეტყუოდა, დაუმატებდა, რომ ეს ასე „დედა-ენაში“ წერიაო. ბევრჯერ შეგვხვედრია შემთხვევა, რომ ამ წიგნისათვის ისეთი სიბრძნე (ხშირად ანდაზა) მიუწერიათ, რომელიც მასში არ წერია, მაგრამ რადგან მთქმელის იდეალი ეს წიგნი იყო და რაკი მას უმნიშვნელოვანეს, უძლიერეს, უნიჭიერეს წიგნად „დედა-ენა“ მიაჩნდა, ამიტომ „დედა-ენას“ ასახელებდა; ეგონა, რომ მან იგიც სიბრძნის წყაროში, ე. ი. ხსენებულ „დედა-ენაში“ წაიკითხა ეს წიგნის ძალიან დიდი გამარჯვებაა.

„დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შემდგენლის, იაკობ გოგებაშვილის დიდს პედაგოგობას, ოსტატობასა და ნიჭიერებას, მის შორისმკვრეტელობასა და დიდი შრომის უნარს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ქართველმა ხალხმა ეს წიგნები შეიყვარა. ამან ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ ამ წიგნებმა დაამკვიდრა ახალი ქართული ენა მწერლობასა და სკოლაში, რომ ამ წიგნებმა გააძლიერა და გაამდიდრა ახალი ქართული ენა ცხოვრებაში.

იაკობ გოგებაშვილი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყო ქართველი მოწაფეების აღმზრდელი და მათი მშობლების განმანათლებელი. მისი სასარგებლო გავლენა შემდეგშიც დიდი იყო და არის ჩვენს ხალხზე.

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის მიერ ნაანდერძევი მდიდარი, კულტურული მემკვიდრეობის სასარგებლო ნაწილის სრული ათვისება ქართული პედაგოგიკის წმინდა მოვალეობაა.

ი. გოგებაშვილი საქართველოსა და ქართული ენის მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში

მას შემდეგ, რაც ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ გაიპარჯვა და მცირე ხალხებისა და ერების შევიწროებას ჩვენში ადგილი აღარ აქვს, გამოცემულია მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომები ეროვნულსა და ეროვნული ენის საკითხებზე, — უკვე ადვილია ეროვნულსა და ენობრივი პოლიტიკის საკითხებში სწორი პოზიციის დაქერა, მაგრამ მეფის რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის პირობებში ი. გოგებაშვილის აზრები და მისი შესაფერი მოქმედება ძალიან სასიკეთო იყო.

იაკობ გოგებაშვილს „დედა-ენის“ მეორე ნაწილში შეტანილი აქვს სპეციალური განყოფილება „საქართველო“; იქვე მოთავსებულია „პატარა ქართა საქართველოსი და ახლო ადგილებისა“¹. მასში იაკობ გოგებაშვილი წერს: „ყველა იმ სოფლებს და ქართველებს და იმ მიწა-წყალსა, სადაც ქართველები ცხოვრობენ, საქართველო ჰქვიან“ (იქვე, გვ. 220), ავტორი შემდეგ განაგრძობს: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ერთისა და იმავე მშობლების შვილებს გვარი ერთი აქვთ, მაგრამ სახელები კი სხვადასხვა ჰქონიათ; როგორც ღვიძლ ძმებსა და დებსა სხვადასხვა სახელებს უწოდებენ ხოლმე“, ისე საქართველოს კუთხებდაც თავისი სახელები აქვთ: „კახეთი, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, სვანეთი“ (იქვე, გვ. 121 = ტ. 5, გვ. 548—549).

შემდეგ ასახელებს თითოეულის ცალკეულ ნაწილს, ეხება მათ ზნე-ჩვეულებებს და ამ ნაწილების ერთიანობის აზრს იცავს. ის სხვა ხასიათის წერილებშიც ქართველი ერისა და ქართული ენის მთლიანობისათვის იბრძვის.

1878 წელს ბერლინის ხელშეკრულების საფუძველზე აქარა საქართველოს დაუბრუნდა და ამით აღტაცებული იაკობი წერილში „შინაური მიმოხილვა“ 1879 წლის პირველ იანვარს წერს:

„ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირსაზსოვარია; ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავის ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი. ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა...“ (ი. გოგებაშვილი, ტ. I, 1955, გვ. 168).

¹ დავასახელოთ მავალითად უფრო სრული გამოცემა იაკობ გოგებაშვილის წიგნისა „დედა-ენა“. მეორე ნაწილი, საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ სკოლებში სასმარებელი“. თბ., 1908, გვ. 222 ან ტ. 5, გვ. 550.

იაკობმა დაიწყო ბრძოლა იმისათვის, რომ აჭარის თავისუფალ მიწა-წყალზე ქართველები დასახლებულიყვნენ და არა სხვანი.

იაკობი აღნიშნავს, რომ გურულები, იმერლები, ლეჩხუმლები და მეგრელები განიცდიან მიწის სივიწროვეს იმ დროს, როდესაც რუსეთში 1 კვადრატულ მილზე 500 სული ცხოვრობს, ჩვენში საშუალოდ 1000 ცხოვრობს, ე. ი. ორჯერ მეტი. კერძოდ კი: სამეგრელოში 1 კვ. ვერსზე 1800 სული ცხოვრობს, გურია-იმერეთში 1200—1300.... ი. გოგებაშვილი მოითხოვს, რომ შავი ზღვის სანაპიროს თავისუფალი მიწები უმიწაწყლო ქართველებს გადაეცეს. იგი ჩვენს გლეხებს უფრო სჭირია და ამას ისიც ერთვის, რომ „თავისუფალი მიწები ბათუმის მაზრისა და აფხაზეთისა შეადგენენ ჩვენს ძველ საკუთრებას და დასახლებული იყვნენ უმეტეს ნაწილად ქართველთა ტომებით“.

მისივე თქმით, ქართველებს, ძველს დროში, აუარებელი სისხლი დაუღვრიათ მტრისაგან მათ დასაცავად და ახლაც ქართველებს უნდა მიეცეს ეს მიწები. სათათრეთში ჩარჩენილ ძმათა დაკარგვას „არასგზით არ უნდა დაეუმატოთ მეორეც — ძველის ჩვენის ტერიტორიის ხელიდან გაშვება, დაკარგვა, უცხო ტომთა სასარგებლოდ“.

იაკობი იბრძვის საქართველოს მთლიანობისათვის და განსაკუთრებით მეგრელებისა და სვანების ამ მთლიანობაში დარჩენისათვის. მეფის პოლიტიკა ყველაზე მეტ საფრთხეს, პირველ რიგში, სწორედ მეგრელებსა და სვანებს უშხადებდა.

იაკობი ამბობდა, რომ მეგრელებისა და სვანების ნამდვილი სულიერი და კულტურული განვითარება შეიძლება მხოლოდ განუწყვეტელ კავშირში მრავალსაუკუნეობით შექმნილ საზოგადო ქართულ ნაციონალურ კულტურასთან და მწიგნობრობასთან ერთად. ის აღნიშნავდა, რომ ქართული კულტურა მეგრელებისა, სვანებისა და ყველა სხვა ქართველი ტომის საერთო კულტურაა².

იაკობი იცავდა ქართველი ერისა და ქართული ენის ინტერესებს, მაგრამ არ უცდია სხვისი შებღალვა და ქართული ენის იმ ხალხებისათვის თავზე მოხვევა, რომლებსაც საკუთარი დედაენა გააჩნდათ, „ჩვენ ვთხოვლობთ მხოლოდ ჩვენს ჩვენ საკუთარ ქვეყანაში“, — წერდა იგი. იაკობი იბრძოდა აფხაზებისა და ქართველების მჭიდრო კავშირისათვის, ცნობდა რომ აფხაზებს დედაენა გააჩნიათ და ცდილობდა, რომ აფხაზ ბავშვებს აფხაზური „დედა-ენის“ კარგი სახელმძღვანელო ჰქონოდათ³. რაც შეეხება მეგრელებს, გინდ სვანებს, იაკობს ღრმად სწამდა, რომ ისინი ტომობრივად ქართველები არიან, — თუმცა

² იხ. მისივე, ტ. 1, 1910, გვ. 387 ან ტ. 3, 1954, გვ. 321.

³ იხ. მისი წერილი „პოლიტიკანობა აფხაზეთში“. — ნაწერების ტ. 1, 1910, გვ. 492—501=ტ. 4, 1955, გვ. 176—177.

ლაპარაკობენ ქართველისაგან განსხვავებულ ენასა თუ კილოზე, მაგრამ მათთვის ქართულიც დედაენაა და მათთვისაც ჯობს, თავიდანვე ქართულს ენაზე ისწავლონ. მათთვის ქართული ისეთ სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც აფხაზებისათვის. თვით მეგრელების, გინდ სვანების კეთილდღეობა მოითხოვს, რომ მათ ქართულს გვერდი არ აუარონ.

ამიტომ იყო, რომ იაკობი წერილში „ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ“⁴ შეებრძოლა იმ გზადაცდენილ მცირე ჯგუფს, რომელიც ქართული ენის გვერდის ავლას შეეცადა და შავრაზმელების წისქვილს მიუშვა წყალი მით, რომ შესაძლებელ საქმედ ჩათვალეს სამეგრელოსა და სვანეთში სწავლება ადგილობრივ ენებზე დაეწყოთ და მალე მთლიანად რუსულით განეგრძოთ.

იაკობმა მათ დაჰკვივლა, რომ სადაც ერთიანი ერია, მას ყველგან ერთი სალიტერატურო და მამასადამე, ერთი სასკოლო ენა აქვს; ჩვენში კი, — წერდა იაკობი, — გამოჩნდნენ იმისთანა ჰკუთით გლახაკნი, რომელთაც გაბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედაენა უნდა იქნას გამოირიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივ კილოკავებსა ხმარობსო (ტ. I, 1910, გვ. 387 ან ტ. 3, 1954, გვ. 321).

იაკობი ერს ადარებდა იმ მოზარდ ხეს, რომელიც კარგს ნიადაგზე ხარბად იზრდება, იფურჩქნება და ძლიერდება; ცალკეულ ტომებს კი — იმ ტოტებს, რომლებიც მხოლოდ ამ ცოცხალ ხეზე ხარობს. „სამეგრელოსა და სვანეთის მოწყვეტა, მოშორება საერთო ნიადაგიდან, საერთო სამშობლოდან“ დაღუპავს თვით სამეგრელოსა და სვანეთს, მათ უკან დაახევინებს და გააფუჭებსო.

„ნაწილი ერისა, — ამბობს იაკობი, — რომელიც მოშორდება საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლად გამხრწნელი პროცესისა“ (იქვე, გვ. 388=ტ. 3, გვ. 322).

„ღიახ, განცალკევება ასუსტებს ეროვნულს ხესაც და მისგან მოშენებულ ტოტებსაც ღუპავს სრულიად“ (იქვე).

იაკობს კარგად ესმოდა, რომ ერის ძალა და გამძლეობა მის მთლიანობაშია; საქართველოს დაქუცმაცება და ტომების ურთიერთისაგან დაშორება ერს აუძლურებს, თვით მეგრელებსა და სვანებს, ისე, როგორც მათ დანარჩენ მოძმე ტომებს — ქართველებს საერთოდ, — უნდა ამოძრავებდეს ერთიანი ეროვნული ინტერესი.

⁴ „ივერია“, 1902 წ. №186 ან ნაწერების ტ. I, 1910, გვ. 385—388=ტ. 3, 1954, გვ. 320—322.

იაკობის აზრით, ერთი ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანი სულიერი კულტურა უნდა იყოს საბაზი დედაენაში ერთიანობის შენარჩუნებისა; ქართველ ტომებს უნდა ჰქონდეთ ერთი სახელმწიფოებრივი ენა და სასკოლო სწავლებაც ერთ ქართულ დედაენაზე უნდა წარმოებდეს. ამის დასაცავად დაწერა მან წერილიც „К вопросу о единстве нашей школы. ამ წერილში დიდი იაკობი რისხვად მოეყვინა დიდმპყრობელ დეკანოზ იოანე ვოსტორგოვს, — ცხრაასიან წლებში საქართველოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურეს, რომელმაც შეადგინა სასწავლო გეგმა სამეგრელოს სკოლებისათვის და მოითხოვდა რომ მათგან ქართული ენა გაძევებულიყო...

ამ გეგმას დეკანოზი ვოსტორგოვი „ასაბუთებდა“ იმით, რომ ქართული მეგრელებისათვის არაა მშობლიური ენა!

ამით იგი იწყებდა მეფის რუსეთის შავრაზმული გეგმის განხორციელებას, რომლის თანახმადაც ქართული დედაენა, და ასევე სხვა მცირე ერების დედაენები, სკოლებიდან უნდა გაძევებულიყო.

ხსენებული შავრაზმული პოლიტიკის. ცხოვრებაში ერთ-ერთმა გამტარებელთაგანმა, — მთავარმა სასულიერო სამმართველომ, მხარა დაუჭირა მისი წარმომადგენლის, დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტს: 1902 წლის 26 იანვარს, მაშინ უწმინდესად წოდებულმა სინოდმა, იგი დაამტკიცა და შემოიღო ცხოვრებაში სამეგრელოს სამრევლო სკოლებისათვის. იაკობი წინ აღუდგა ქართველი ერის დაცემის მოსურნეთა მთელს ამ საშინელ ბრბოს; ის არ შეუშინდა მტრის სიძლიერეს, რომელსაც მხარს უჭერდა და ამაგრებდა მაშინდელი რუსეთის თვითმპყრობელი მეფე, დაწერა ვრცელი და გამანადგურებელი წერილი „Весь Кавказ“-ისათვის, მაგრამ რუსეთის „ოხრანკის“ ცენზურამ დაბეჭდვის ნება არ დართო.

იაკობმა მოახერხა გაზეთში „Петербургские ведомости“ მისი დაბეჭდვა. ამის შემდეგ იაკობმა სცადა მისი ცალკე ბროშურად გამოშვება, მაგრამ კავკასიის საცენზურო კომიტეტი მას კვლავ წინ აღუდგა: ბოლოს მაინც მოახერხა მისი პეტერბურგშივე გამოცემა. ამ ღონისძიებებმაც ვერ უშველა საქმეს. „სამეგრელოსა და სვანეთის სამრევლო სკოლებში ქართული წიგნის გაქაჩანება... სამოსწავლო მთავრობას ნამდვილ დანაშაულად მიაჩნდა“⁵. იგი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა, რომ „ქართული წიგნები არ ჩაეარდნოდათ ხელში არც მეგრელებსა და არც სვანებს, სულ ერთია, ქალი იქნება თუ კაცი“ (იქვე). საწინააღმდეგო წერილი იაკობმა 1905 წელს პეტერბურგში გაზეთ „Рассвет“-ში დაბეჭდა.

⁵ იხ. მისი ტ. I, 1910, გვ. 504—505, ან მისივე ტ. II, 1940, გვ. 458—ტ. 4. 1955, გვ. 109 (ჩაზი ჩვენია; ი. შ.).

აღნიშნულმა წერილმა დამმონავებელი პოლიტიკის ლაქიებს არ შეარჩინა არც ერთი დებულება, რომელიც საქართველოსათვის არახელსაყრელად გამოიყურებოდა.

ყოველივე ამაში დარწმუნდება ის, ვინც წაიკითხავს აღნიშნულ ნაშრომს, რომელიც მაშინვე ქართულად თარგმნეს და დაბეჭდეს უურნალ „განათლებაში“. შემდეგ იგი დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების პირველ ტომსა (თბ., 1910, გვ. 504—526) და მისივე რჩეული ნაწერების ოთხტომეულის მეორე ტომში (პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით, თბ., 1940 წ. გვ. 458—489 = ტ. 4, 1954, გვ. 108)⁶.

ამ დიდსა და სახითათო ბრძოლაში იაკობი, რაღა თქმა უნდა, მარტო არ იყო. იგივე დეკანოზი ვოსტოროგოვი უფრო ადრე ნ. მარმა გააშიშვლა. დაამტკიცა მისი სრული უფიცობა და გაბედულად უჩვენა მკითხველს, რომ ქართველ ერს მაღალი და ბრწყინვალე კულტურა გააჩნია⁷.

იაკობი ხაზს უსვამს, რომ ძალა ერის მთლიანობასა და მის უახლოეს მეზობლებთან კარგ განწყობილებაშია. ამიტომ იყო, რომ იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ქართველი ერის ცალკეული ტომის და კერძოდ მეგრელებისა და სვანების ყოველ სასოკეთოსა და საჭირბოროტო საკითხსაც.

დასკვნები

1. უდიდესი ქართველი პედაგოგის იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის (1840—1912) მოღვაწეობა სცილდება საქართველოს საზღვრებს. იგი გაცილებით ფართო მასშტაბის მოღვაწეა, ვიდრე ამას ზოგიერთი ავტორი ამჩნევდა.

ი. გოგებაშვილი იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელთაგანი, პუბლიცისტი, პედაგოგი-მეთოდისტი,

⁶ იქვე, ტ. 1910, გვ. 125; ტ. II, 1940, გვ. 167; იქვე შეიძლება შეენიშნოთ, რომ ი. გოგებაშვილის „რჩეული ნაწერების“ ოთხტომეულის II ტომზე (თბ., 1940) დართულ რედაქტორის „შენიშვნებში“ (გვ. 535—547) შეპარულია შეცდომებიც: მაგ., ანტონ კათალიკოსი 1714 წელს დაბადებულად და ვახტანგ მე-6-ის ძმადა წოდებული (გვ. 537); ნამდვილად კი იგი 1721 წელს დაიბადა და ვახტანგ მე-6-ის ძმისწული იყო.

დ. ჩუბინაშვილის მთავარ ნაშრომში არ იხსნება მისი „ქართულ-რუსული ლექსიკონი“.

3. უსლარის მთავარ ნაშრომად დასახელებულია „აფხაზური ენა“ (თბ., 1887, როცა მისი მთავარი ნაშრომია „ავარული ენა“ (თბ., 1889) და სხვ.

7 იხ. ქვემოთ — „ნიკო მარი და ქართველი პედაგოგები“, შდრ. თედო უორდანიანი. ქართული ენისათვის ბრძოლა 1882—1910 წლებში..., ქუთაისი, 1913.

სახელმძღვანელოების ავტორი და საბავშვო მწერალი (მისი ნაწერები მეზობელი ხალხების ენებზედაც ითარგმნებოდა).

ი. გოგებაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა იმითაც სცილდება საქართველოს საზღვრებს, რომ იგი მოითხოვდა ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობას, ამტკიცებდა, რომ სასკოლო სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე; — „ყოველს გუბერნიაში ვალდებით საგნად უნდა ჩაირიცხოს მხოლოდ ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობს უმრავლესობა ამ გუბერნიის მცხოვრებლებისა“, ის იბრძოდა დედაენა სისტემატური სწავლების საგნად გამხდარიყო და მას უპირველეს ადგილს ანიჭებდა სკოლაში; განმარტავდა დედაენის მნიშვნელობას საერთოდ, ამყარებდა სწორ ურთიერთობას დედაენასა და უცხო ენების სწავლებას შორის.

უკანასკნელთა შორის, საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამოსული, განსაკუთრებულ მნიშვნელობას რუსული ენის შესწავლას ანიჭებდა; „რუსული ენა აუცილებელია ქართველისათვის, რადგან იგი არის მრავლისა ერისა ენა და მას მოელის ბრწყინვალე მომავალი, ერთი მსოფლიო ენათაგანის როლი“. ამიტომ ადგენდა, ერთის მხრივ, დედაენის და, მეორეს მხრივ, რუსული ენის სახელმძღვანელოებს, აქვეყნებდა ქართული ენისა და რუსულის შესწავლისათვის საჭირო მეთოდოლოგიურ წერილებს, და რაც მთავარია, ებრძოდა დიდმპყრობელური რუსეთის რეაქციონერებს, იბრძოდა გამარჯვებული პოლიტიკის წინააღმდეგ, იცავდა ქართველი ხალხის უფლებებს როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში.

2. დედაენის მნიშვნელობის გაგებაში ი. გოგებაშვილი კ. უშინსკისა და სხვა მაშინდელი პედაგოგებისა და ენათმეცნიერების აზრებს ემყარებოდა; ზოგჯერ მათ მცდარ დებულებასაც იმეორებდა, მაგრამ იაკობი არც ორიგინალობას იყო მოკლებული, იჩენდა საკითხისადმი თავისებურ მიდგომას, განმარტავდა მათ მაშინდელ საქართველოს სპეციფიკურ პირობებთან შეთანხმებით.

ხალხური ერთიანი ეროვნული ენისა და ლიტერატურული ენის კილოკავებისა და ენის ურთიერთობის, ენის შინაგანი კანონების, გრამატიკის რაობისა და მისი მნიშვნელობის განმარტების, ენის ლექსიკური შედგენილობის და სხვა საკითხების გაგებაში ი. გოგებაშვილი სწორ გზაზე დგას.

დედაენის სკოლაში დამკვიდრებისა და ცხოვრებაში განმტკიცების საშუალებად იაკობს მიაჩნდა: ოჯახი, სკოლა, სახელმძღვანელო (აგებული პედაგოგიურად გამართლებულ ზეპირ და წერილობით ლიტერატურულ მასალებზე) და გრამატიკა.

3. დედაენის შესწავლათ ი. გოგებაშვილი უცხო ენის შესწავლის გაადვილებასაც ისახავდა მიზნად, და, პირიქით, უცხო ენის შესწავლათ დედაენის დაცვისა და განმტკიცებისათვის იბრძოდა.

ი. გოგებაშვილის დედაენისა და რუსული ენის სახელმძღვანელოები ერთმანეთის დამატებას წარმოადგენდა. ორივე ერთად ახალი ქართული სალიტერატურო ენის და ქართველების მიერ რუსული ენის შესწავლის დიდ საქმეს ემახურებოდა.

ი. გოგებაშვილის ლოზუნგი იყო — მთლიან საქართველოში ერთიანი სალიტერატურო ენა. ენის დაცვით იგი ერის მთლიანობას იცავდა.

მას სწამდა, რომ მდაბიო ქართველი უფრო ნიჭიერია და შრომისმოყვარე, ვიდრე მაღალი წოდება, მთავარი მამოძრავებელი და წინაშეაღი ძალა სწორედ ეს წოდებაა, „ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედობა დამოკიდებულია ამ წოდების აღორძინებაზედ; ხალხის წარმატებაზედ“, და ამიტომ, მისი აზრით, ყურადღების ცენტრში ეს ხალხი უნდა იყოს.

4. ი. გოგებაშვილამდე არსებული ქართული ენის სახელმძღვანელოები, გარდა უეარგისი მეთოდისა, დაწერილი იყო საშუალო ქართულ ენაზე. ი. გოგებაშვილმა პირველმა უარპყო ეს გზა; მან სახელმძღვანელოები ახალ ქართულ ენაზე შეადგინა.

სათანადო გამოკვლევებში ახალი ქართული ენის ლიტერატურაში დამკვიდრებისათვის მებრძოლი რაზმის მამამთავრად ილია ქავკავაძე ითვლება. ასახელებდნენ ამ საქმეში ილიას წინამორბედთა და თანადროულთა წყებას, მაგრამ მათ შორის ი. გოგებაშვილი არ იყო მოხსენებული (1941 წ.). ეს იმ დროს, როცა სწორედ იაკობი იყო ის, ვინც პირველმა ახალი ქართული ენის ლიტერატურაში საბოლოო გამარჯვებისათვის საჭირო ნიადაგი მოამზადა და რომლის სახელმძღვანელოებმა საშუალო ქართულზე ახალი ქართულის საერთო გამარჯვება დააჩქარა.

5. ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდის გამოჩახვა, ძირითადში მისი დამუშავება და ქართული წერის დედნის შედგენა ი. გოგებაშვილის დამსახურებაა. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ პირველი გამოცემები (1865—1867 წ.) ისე, როგორც სტუდენტისა და ზოლოტოვის რუსული ანბანის წიგნები, შედგენილი იყო ანალიზური მეთოდით სასწავლებლად, მაგრამ მისი შესამე გამოცემა (1868 წ.) ი. გოგებაშვილმა შეადგინა სინთეზური მეთოდით, მსგავსად ნ. ა. კორფის მიერ 1867 წელს გამოცემული წიგნისა „Руководство к обучению грамоте (по звуковому способу)“. დიახ, სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ი. გოგებაშვილმა ანალიზური მეთოდის მაგიერ სინთეზური გამოიყენა, და არა ის, რომელზედაც სათანადო წერილების სხვა ავტორები მიუთითებენ.

ბუნების კარი.



ს ა ხ მ ა წ ვ ი ლ ო წ ი გ ნ ი,
დაბალ კლასებში სახმარებელი

შ ე დ გ ე ნ ი ლ ი

ი. გოგებაშვილისაგან

ხ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა რ ტ ი თ.



ვინც რომ სამშობლო ენას
ივიწყებს და არ ეძებს,
ძრიულ კარგიც რომ იყოს,
ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ფასი 65 კოპ.

ტბილისი.

მელიქიშვილის და კამ. სტაბბაში.

1868.

გამოცემა ქუთათური ამხანაგობისა № 15.

ს კ ი მ - ე

ანუ კრებული

საემაწვილო მოთხრობათა.

დაწერილი

იაკობ ბოგებაშვილის მიერ.

შანი სამი შაური.

ორასი წიგნაჲს შემოსაჲლი მიემატება იმ ფულს,
რომელიც იყრიბება მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის
გასახლებლად

თბილისი, 1901 წ.

სტამბა მ. შარაძისა და აბხ.

ი. გოგებაშვილის მიერ 1876 წელს გამოცემული „დედა-ენის“ ანალიზურ-სინთეზური მეთოდით შედგენის მთავარი მიზეზი იყო კ. უშინსკის სახელმძღვანელო „Родное слово“ და ცალკე აღებული ორივე მეთოდის დადებით-უარყოფით მხარეთა გათვალისწინება.

6. ი. გოგებაშვილს სწამს, რომ „განმეორება სწავლის დედაა“ და მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები ისეა აგებული, რომ ხშირად ახალი გაკვეთილი ძველის, უფრო ძნელი ნაწილების განმეორებას შეიცავს. თვით გაკვეთილის პროცესშიც ახლის განმეორება ხდება და სახელმძღვანელოს მასალებიც საამისოდ აქვს შერჩეული. მაგ., ხალხური სიმღერა „თ ხ ა და ვ ე ნ ა ხ ი“, „მოდო ენახოთ ვენახი“ (გადაკეთებული), „ჩ ი ტ ი და ფ ე ტ ვ ი“, „რ წ ყ ი ლ ი და კ ი ა ნ კ ვ ე ლ ა“ (გადაკეთებული) და სხვ.

სწავლების პროცესში, გაკვეთილიდან გაკვეთილზე გადასვლაში ი. გოგებაშვილი ევოლუციურ გზას ირჩევს, მაგრამ, საკითხის სიაღვილის მიხედვით, არც რევოლუციურს უვლის გვერდს.

ქართული ენის ახლა მოქმედი სახელმძღვანელოები „დედა-ენა“ ნაწ. I და II ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძისა, როგორც ეს წიგნების ყდაზეცაა აღნიშნული, „შედგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ მიხედვით“. ეს წიგნები უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მრავალჯერ გამოიცა. აგრეთვე იცემა ი. გოგებაშვილის მოთხრობები ცალ-ცალკე მცირეწლოვანთა და მოზრდილთათვის.

ჩვენი ეპოქა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის მოწინავე იდეებს შემოქმედებითად ითვისებს და ავითარებს.

განხორციელებულია და ცხოვრებაში იმარჯვებს იაკობ გოგებაშვილის საუკეთესო ნატვრანიც.

„საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში“.

ე. გოგებაშვილი

დიდ პედაგოგთა უმრავლესობა ცნობილი არის აგრეთვე, როგორც მწერალი საზოგადოდ და კერძოდ — საბავშვო მწერალი. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილიც. იგი ძირითადი — პედაგოგიური მოღვაწეობის შესაბამისად ეწეოდა მწერლობასაც, პუბლიცისტობდა კიდევ, ისტორიკოსობდა, ბუნებისმეტყველების საკითხებზეც წერდა და პრაქტიკულ საქმეებსაც მზურნველობდა.

სწორადაა აღნიშნული, რომ ჩვენი სამოციანელების თანამებრძოლი ე. გოგებაშვილი ხელმძღვანელობდა ი. ჭავჭავაძის აზრებით: „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“; „ჭეყენის მყოფადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალთაობას“, „ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა“, „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ და სხვ.

ე. გოგებაშვილის პედაგოგიური ნაშრომები და მხატვრული პროზაც მაშინდელი ახალი ცხოვრების მოთხოვნებს ეხმაურება. უდავოა, რომ ზოგადი ლიტერატურის ტონი წარმართავს საბავშვო ლიტერატურის ტონს. ჩვენმა დიდმა პედაგოგმა საყმაწვილო ლიტერატურაში „ჩააქსოვა ის მოტივები და მისწრაფებანი, რომელნიც ახასიათებდა ქართულ აზროვნებასა და ლიტერატურასაც 60—80-იან წლებში“¹.

ე. ჭავჭავაძე წინ იხედებოდა, — „ქართველის დედას“ მომავლის სამსახურის იდეითაც სკვალავს და ლექსს „ნ ა ნ ა ს“ დედათაგან ბავშვთათვის მუდმივ საგალობლად წერს, უძღვნის „ყოველს ნამდვილ ქართველის დედას“, იძლევა საბავშვო მწერლობის ნიმუშებსაც, მათ შორის ღრმავაზროვან ლექსს „ბაზალეთის ტბას“, ხოლო ე. გოგებაშვილმა აკი აამაღლა და გაათავართოვა ამ დარგის ჩვენი

¹ მ. ი. ზანდუკელი. იაკობ გოგებაშვილი, როგორც მწერალი. — საიუბილეო კრებული „იაკობ გოგებაშვილი“, თბ., 1940, გვ. 93; შტრ. თ. ჯიბლაძე. იაკობ გოგებაშვილი. საბავშვო ლიტერატურის შესახებ. — კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, 1955, ტ. IX, გვ. 387—397.

მწერლობა, ფაქტობრივად იგი არის ამ ეტაპზე მისი ფუძემდებელიც.

როგორც სათანადო პოლემიკური წერილებისა და ფოლკლორული მასალების გადამუშავება-შესწორებებიდან ჩანს (იხ. ქვემოთ), ჩვენი პედაგოგ-მწერალი არის ფუძემდებელი არა მხოლოდ ახალი ქართული საბავშვო მწერლობისა, არამედ არის აგრეთვე მისი კრიტიკოსიც².

ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების საფუძველი რეალიზმია. მ. ზანდუკელი სწორად აღნიშნავს: ჩვენი ამ „პედაგოგ-მწერლის შემოქმედებას პუბლიცისტური ხასიათი აქვს, რომელშიც დიდაქტიკაში საკმარისი დოზითაა ჩაქსოვილი“. ავტორის „მსოფლმხედველობა და მიმართულება საბავშვო ლიტერატურაში გამომხატველია მხატვრული რეალიზმისა“. მის პროზაში დიდაქტიკური ელემენტი ორგანულად არის შერწყმული „მხატვრულ რეალიზმთან, მათში ცოცხალი სინამდვილის მაჩვენებელი სახეები გასაგებ და მისაწვდომ ფორმებშია მოცემული“.

ჩვენ ამას დავუმატებთ, რომ ი. გოგებაშვილის მხატვრულ პროზასა და დამრიგებლურ გამოთქმებში არ არის მხოლოდ მენტორული, შიშველი დამრიგებლობა; აქ დიდაქტიკური აზრი გამომდინარეობს მოთხრობის მთელი შინაარსიდან, დასკვნებიდან. ჩვენი პედაგოგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზნეობრივ აღზრდას, რაც გულისხმობს ბავშვში ჰუმანიზმის, ინტერნაციონალიზმის, გამბედაობის, სიმართლისათვის თავდადების, მეგობრობისა და რაღა თქმა უნდა, უანგარობის თვისებების შთანერგვას.

ჰეგელი თვლის, „დიდაქტიკური პოეზია არ შეიძლება მიეკუთვნოს ხელოვნების ნამდვილ ფორმებს“, მის მხატვრულ იერსა და შინაარსს შორის არ არის ორგანული კავშირიო. ამის თაობაზე სწორად შეუნიშნავთ, რომ ეს, მაგალითად, პორაციუსისა და მის მსგავსთა მიმართ ზოგადად შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ ამავე აზრის განზოგადება არ შეიძლება, — ძველთაგან მოყოლებული დღემდე დიდაქტიკური მწერლობის მრავალი ნიმუში ინარჩუნებს მაღალ მხატვრულ ღირსებებსაც³. ასეთებად ითვლებიან: ეზოპეს, რაბლეს, ბუალოს, საბა ორბელიანის, ლაფონტენის, კრილოვისა და სხვათა რიგი იგავ-არაკები, საუკეთესო ქმნილებანი ისეთი გამოჩენილი საბავშვო მწერლებისა, როგორიც იყვნენ: სერვანტესი, სვიფტი, ვოინიჩი, დეფო, ანდერსენი, ჩისტიაკოვი, შიო მღვიმელი, სხვადასხვა ხალხის არა ერთი და ძმათა

² გ. ქიზლაძე. ილია ჭავჭავაძე, თბ., 1966, გვ. 287.

³ გ. თავიშვილი ბაკობ გოგებაშვილი, თბ., 1952, გვ. 188, შდრ. იქვე — 33-225.

გრიმების ზღაპრები, დ. გურამიშვილის, პუშკინის, ვ. ჟუკოვსკის, ლერ-
მონტოვის, გოგოლის, ტურგენევის, ჩეხოვის, ა. წერეთლისა და სხვათა
დიდაქტიკური მხატვრული ქმნილებანი. ვფიქრობთ, ვერავინ იტყვის,
რომ „ივენანამ რა ჰქმნა“, „საშინელი სასჯელი მოლალატისა“ და ზოგი
სხვაც მაღალმხატვრული ნაწარმოებები არ არისო.



ი. გოგებაშვილი სათანადო ანგარიშს უწევდა საბავშვო ლიტერა-
ტურის უარის, სტილისა და ენის თავისებურებას. ჩვენი უდიდესი
პედაგოგი მხატვრულ პროზას უსახავდა მიზნად ბავშვის არა მხოლოდ
გონებრივად, ზნეობრივად და ესთეტიკურად განვითარებას, არამედ
კუთხურ კილოზე თუ ქალაქის უარგონზე მოლაპარაკეთა ლიტერა-
ტურულ ენაზე ამეტყველებას. ამიტომ, უპირველეს
ყოვლისა, თვითონ გოგებაშვილი წერდა ბავშვისათვის საინტერესო, გა-
საგები, ცოცხალი, დახვეწილი წინადადებებით, მდიდარი, მაგრამ მსუ-
ბუქი, კეთილზმოდანი, ხატოვანი ენით. ი. გოგებაშვილი ისე აღწერს სა-
განს, რომ ქმნის სურათს, მას სიტყვიერად ხატავს, აფეროვნებს, ცნე-
ბებსაც კი მხატვრულად გადმოსცემს.

ი. გოგებაშვილმა შესანიშნავად იცოდა ბ. ბელინსკის გამონათ-
ქვამი: „საგანი ბავშვთათვის იგივეა, რაც დიდ-
თათვის, მხოლოდ გადმოცემული უნდა იყოს ბავ-
შვთა შეგეცნების შესაბამისად“⁴. ამასთანავე იგი
უნდა შეეფერებოდეს ბავშვის მოძრავ, პლასტიკურ ბუნებას. იაკობი
თვითონ ახორციელებს ამას და საბავშვო მწერლებსაც ურჩევს: „ერიდ-
ნენ გრძელ აღწერას“. ბავშვის მოძრავი ბუნება „სრულიად ვერ ით-
მენს დიდხანს შეჩერებას გრძელის, გაჭიანურებულის“ სურათების კი-
თხვასა და გაგებას; უნდა კითხულობდეს იმაზე, რაც თვალთ უნახავს
და ნაცნობიდან უცნობზე გადავიდეს⁵. ამავე დროს თხრობის საგანი
უნდა იყოს ასაკისათვის შესაფერი, სახილველი და თვალსაჩინოების
პრინციპის გამოყენებაც შეიძლებოდა.

ამავე პრინციპებით, ზნეობრივ-აღმზრდელითი და მასალის ეს-
თეტიკური ღირსებების გათვალისწინებით არჩევდა ჩვენი უკვდავი პე-
დაგოგი სახელმძღვანელოებში შესატან მასალას.

სყურადღებოა ის გარემოება, რომ ი. გოგებაშვილი სახელმძღვა-
ნელოებს ადგენდა არა მხოლოდ მოსწავლეთა ასაკის შესაბა-

⁴ ა. ჩაიხბაია. ქართული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერა-
ტურის საკითხები, თბ., 1974, გვ. 32.

⁵ მ. ზანდუკელი. გამოკვლევა ზემოციტ. კრებულში — „იაკობ გოგებაშვი-
ლი“, 1940, გვ. 95.

მისად, და აგრეთვე წერდა მხატვრულ პროზასაც, — სახელმძღვანელოებშივე შესატან მცირესა და მოზრდილ მოთხრობებს, არამედ, ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, ანგარიშს უწევდა მაშინდელი ქართველი მოწაფეობის სარწმუნეობრივად განსხვავებულ ფენებსაც.

„დედაენის“ პირველ-ოცდამეერთე გამოცემებს (1876—1906 წლები) აწერია „დედაენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“. მეექვსე გამოცემიდან — სახალხო სკოლებისათვის მაგიერ — ვკითხულობთ: სკოლებში სახმარებელი, 1888 წ.

ოცდამეორე-ოცდამეთექვსმეტე გამოცემებზე (1906—1922 წლები, 31—36, 38, 42 გამოცემების გამოკლებით) კი წერია: „დედაენა: ნაწილი I. ქართული ანბანი პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით ყველა სარწმუნოების ქართველთვის“...

რატომ ყველა სარწმუნოების?

იმიტომ, რომ მაშინ ამას მნიშვნელობა ჰქონდა და გოგებაშვილმა ამოიღო სახელმძღვანელოდან სარწმუნოებრივი შინაარსის სტატიები. შემდეგ კი, როდესაც ეს საკირო გახდა, ქართველთათვის საერთო სახმარებელი გოგებაშვილისეული სახელმძღვანელო საერთო დარჩა, და მაჰმადიან ქართველთათვის ცალკე სახელმძღვანელო გამოიცა. მას აწერია: „დედაენა. პირველი ნაწილი. ქართული ანბანი, პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერით და დედნით. შესწორებული გამოცემა მაჰმადიან ქართველთათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. ოცდამეჩვიდმეტე გამოცემა, მრავალი სურათით... 1916“.

ესეც შემდგენლის ანდერძის საფუძველზე მოხდა.

აქვე უნდა ითქვას, ი. გოგებაშვილმა საკლასო წიგნებში პირველმა დაუთმო ფართო ადგილი ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებს, მეტი გასაქანი მისცა ასეთ მასალას ნაცვლად ადრე სხვათა მიერ ვრცლად გამოყენებული ბიბლიური წიგნებიდან ამონაწერებისა. ამით მან დიდი სამსახური გაუწია, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ფოლკლორს, სათანადო მასალების ფიქსაციით გადაარჩინა მრავალი მუსალა, მკითხველს კიდევ უფრო შეაყვარა ზეპირსიტყვიერება და ბავშვებს განუეითარა სათანადო ფანტაზია. ყოველივე ეს მით უფრო იყო საკირო, რომ მდიდარი და ფრიად მრავალმხრივი ქართული საბავ-

ნ ამიტომაც მოგვხვდა თვალში, რომ „ქართული ფოლკლორის ლექსიკონში“ (იხ. „ქართული ფოლკლორი“, I, თბ., 1974 წ.) ი. გოგებაშვილი არ იხსენიება!.

შეო ფოლკლორი⁷ მანამ, ქართულ სასწავლო წიგნებში სათანადოდ არ იყო ასახული.

ი. გოგებაშვილი იყენებდა აგრეთვე აღრინდელი და მასი თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო ქმნილებებს. რომელ საკითხზეც დამაკმაყოფილებელ ნაწარმოებს ვერ პოულობდა, არსებულს შეაკეთებდა ხოლმე ან, უფრო ხშირად, სათანადო მოთხრობებს თვითონაც წერდა.

ამგვარად, ი. გოგებაშვილის მიერ სახელმძღვანელოებში შესატანად, პრესაში გამოსაქვეყნებლად თუ ცალკე გამოსაცემად საგანგებოდ დაწერილი მხატვრული პროზა წიგნიერ და ხალხურ ზღაპართა, ნოველათა და ლექსთა გადაკეთებანი, — პედაგოგიურად ისე არიან გამართულნი, რომ ისინი ავითარებდნენ და მორალურად ამალვებდნენ არა მხოლოდ მოზარდ თაობებს, — მოწაფეობას, არამედ უფროსი თაობის წარმომადგენლებსაც ი. გოგებაშვილი ამართლებდა ბ. ბელინსკის ცნობილ აზრს: კარგია ის საბავშვო წიგნი, რომელსაც დიდიც სიამოვნებით წაიკითხავსო.



ი. გოგებაშვილი რომ ხალხური სიტყვიერების მასალებს გაუაზრებლად, მექანიკურად არ იმეორებს, ამას თვითონვე გვაუწყებს სპეციალურ ნარკვევში „შენიშვნა სახალხო პოეზიის შესახებ“. აქ ავტორი წერს: ჩვენ „დედა-ენაში“ შეტანილი ხალხური ლექსებისა და ზღაპრების დიდი ნაწილი „დავბეჭდეთ სწორედ ისე, როგორც გავიგონეთ ხალხისაგან. ზოგში კი ცვლილება შევიტანეთ. ეს ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგს ლექსს, ფორმით მშვენიერს, შეუსაბამო და მავნე შემეცნება აფუჭებს და უვარგისად ჰხდის ბავშვებისათვის. ჩვენ ეს შემეცნებანი პედაგოგიური მოსაზრებით გამოვტოვეთ და მათ მაგიერ ჩავურთეთ შესაბამი და სასარგებლო შემეცნებანი. ხოლო აგებულია ლექსისა, მისი კალაპოტი, ცეზურა და რითმა ხელუხლებლად დავტოვეთ“. იგივე ავტორი გვაფრთხილებს: ამ ლექსების ჩვენი რედაქციები „ველარ მოექცევა სახალხო ნაწარმოებთა კრებულში“⁸.

⁷ ქსენია სიხარულიძე. საბავშვო ფოლკლორი, თბ., 1938; ანა დენიანიშვილი. ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან. თბ., 1972, მასალები „ქართული ხალხური სიტყვიერება ბავშვებისათვის“, გვ. 151—193 და ქართული საბავშვო ზღაპრების კრებულები.

⁸ ი. გოგებაშვილი. ტ. I, 1910, გვ. 486—ტ. 4, 1955, გვ. 187.

ლექსთა ორივე რედაქციაც ი. გოგებაშვილს აქვს შეპირისპირებული. მაგალითად, მას აუღია ხალხური ლექსი:

„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
წითელ ნუნუას⁹ ვაჟაკის
გული გაუხარებია“.

უკანასკნელი ორი სტრიქონი ასე შეუცვლია:

„ყმაწვილსა კარგი სწავლითა
სახლი გაუხარებია“.

ან კიდევ ხალხურად ითვლება:

„ბიკო, ვისი ხარ მალხაზი,
ლაურჩა დედაშენსაო.
საქმე რომ არა მქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო.“

მოგიხდი წითელ ღვინოსა,
მეც მოგიძღები გვერდსაო,
დავლევ და დავალევინებ
პატარა აზარფემსაო“.

მეორე სტროფი პედაგოგს აგრე შეუქეთებია:

„გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ძველსაო.
ვიმღერ და შენცა გამღერებ,
ლექსებს გასწავლი ბევრსაო“.

აგრეთვე ხალხურად ითვლება:

„კურდღელი ჩამოცანცალდა
ფეხმორტხილი, საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი, —
თუნგნახევარი შაქარი“.

ი. გოგებაშვილს პედაგოგიურად გაუმართლებლად მიაჩნია აქ მაჟორის ხსენება; თანაც იგი ითვალისწინებს ბავშვის მახვილგონივრულ ცნობისმოყვარეობას; შეიძლება, ბავშვს გაუკვირდეს კიდევ: კურდ-

⁹ ხალხში აგრეც იტყვიან: ღვინოსა; ა. შ.

დელს რად სჭირდება მაჰარი?! და ჩვენსავე პედაგოგს ამ ხალხური
ლექსის ბოლო ორი პწკარი აგრე შეუცვლია

„ზურგზე ეკიდა საგზალი —
კომბოსტო ნორჩი, ახალი“.

ი. გოგებაშვილი ამ ცვლილების ასეთ საგულისხმო დასაბუთება-
საც იძლევა: ხალხურ ლექსში აქაცა და ხშირად სხვაგანაც „ჩაჩხირუ-
ლია ეს ნუნუა, სადაც სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს“. ცხადია,
ფეხმოტეხილ კურდღელს თუნგნახევარი მაჰრის აკიდება და ზიდვა არ
შეუძლიან. და თუნდაც რომ შეეძლოს, რისთვის წაიღებს, როცა მაჰა-
რი მას არც საკმელად გამოადგება და არც სასმელადა“.

ხალხური ლექსი „მოდო, ვნახოთ ვენახი“... რომელიც
ი. გოგებაშვილს 80 წლის მოხუცის სიტყვებით ჩაუწერია, იწყებოდა
თურმე, სიტყვით „ია“. „ია ვნახოთ ვენახი“, — შენიშნავს ჩამწერი, —
„თვით ჩვენთვის დღემდინ გაუგებარია... მით უმეტეს ვერ გაიგებს მას
პატარა ბავშვი, ამიტომ შევცვალეთ იგი გასაგებ სიტყვაზე — მოდი“¹⁰.

აგრეთვე ი. გოგებაშვილს ჩაუწერია ზღაპარი „ტილი და ქი-
ანკველა“. ჩამწერს მასში ტილი შეუცვლია რწყილით.
რატომ? თვითონვე განმარტავს: „ტილი ისეთი საზიზღარი სულდგმუ-
ლია, რომ ამ სიმპატიურს ზღაპარს ანტიპატიურს ელფერს სდებდა“...
ეს შემდეგ ცნობილი ზღაპარი „რწყილი და ქიანკველა“ არის.

მის მიერვე ფიქსირებული ზღაპარი „მებადურის შვი-
ლი“ ზოგს „დედაენიდან“ გადაუბეჭდავს, როგორც „მეთევზის შვილი“.
ი. გოგებაშვილი შენიშნავს: „მეთევზე ჰქვია თევზის გამყიდველს;
დამჭერს კი ხალხი მებადურს უწოდებს; ეს ზღაპარიც „მებადურის შვი-
ლად“ უნდა იბეჭდებოდესო (იქვე).

იაკობი იცავს უცხოური არაკის ღირსებასა და კრილოვის სახელ-
საც. წერილში „იგავ-არაკი გალექსილნი რაფ. ერისთავისაგან“ (1882,
ტ. I, 1952, გვ. 271 და შემდეგი) ავტორი აღნიშნავს: „რაფაელის ნაწე-
რებს აქვს ოთხი დიდი ღირსება: „ორიგინალობა, ქართული ცხოვრების
ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესაბამისი კილო“. მაგრამ ეს არ
ჩანს მის მიერ თარგმნილ იგავ-არაკებში. კრილოვით, — წერს იაკო-
ბი, — „მოკლედ და მარჯვედ გამოხატავს აზრს“, მის თქმაში „ერთ
მეტს სიტყვასაც ვერ იპოვნით“, მოკლედ მოჭრა და სიტყვის მარილი-
ანობა „თანდათან მატულობს კრილოვის იგავ-არაკში და ბოლოს თავ-
დება იმისთანა მარჯვე, მოსხვეპილის და შეკუმშულის ლექსით, რომ
ბევრი ამ ლექსთაგანი რუსეთში სახალხო ანდაზად გადაიქცა. სამწუ-
ხაროდ, თ. რაფაელის თარგმანში კრილოვის იგავ-არაკებს ეს ღირსება
მეტ-ნაკლებობით დაუკარგავთ“.

¹⁰ ი. გოგებაშვილი. ტ. I, 1910, გვ. 488 = ტ. 4, 1955, გვ. 489.

ი. გოგებაშვილი სახელმძღვანელოებში შესატანი მასალის სტრიქონებსა და სიტყვებს სცვლიდა არა მხოლოდ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში, არამედ ცნობილი პოეტების ქმნილებებშიც. იგი მათშიც აზუსტებდა სიტყვებსა და მათ ფორმებს, აწესრიგებდა პუნქტუაცია-საც. ამის თაობაზეც თვითონ შემდგენელი წერს: არა ერთი ლექსია ჩართული ჩვენს „ბუნების კარში“ შემოკლებით ან ცვლილებით; მაგალითად, „დედის დარიგება“ ჭალადიდელისა, „ჩიტი“ ჭავჭავაძისა, „შაშვი“ ჩიქოვანისა და სხვანი. ცახელის ლექსები იმდენად შეეცვალეთ, რომ ავტორს „არც კი უნდოდა თავისად გამოეცხადებინა ეს ლექსები, მაგრამ ჩვენ მაინც იმის სახელი მივაწერეთ...“¹¹.

თუ როგორი ხასიათისაა ეს ცვლილებანი დავასახელებთ რ. ერისთავის ლექსის სტრიქონს:

„— მერცხალმაც კი იჭიკჭიკა,
არ დააცხრო ტკბილი ენა“.

აქაო, — ამბობს იაკობი, და ა ა ც ხ რ ო შეუსაბამო სიტყვაა. მერცხალს ღამე ეძინა; მან არ დააცხრო კი არა, აჯობებს კვლავ გ ვ ა ს-მ ი ნ ა მისი ენაო. აგრეთვე უვარგისია ფრაზაცა: „...და მწყერ-ჩიტა ცაში გალობს!“ იგი „ბუჩქების პირს არ სცილდება“, მისი გალობა არავის სმენია, ძლივს წრიბინებსო (ტ. 2 — „ნობათი“ პირველი).

რ. ერისთავს ლექსში უწერია: „რა ხანია მამლახინჩამ...“ იაკობს შეუცვლია „რა ხანია(,) მამლაყინწამ...“ (ტ. 6, გვ. 758). ი. ჭავჭავაძის ლექსის სათაური „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ „ბუნების კარში“ დაუბეჭდავს სათაურით „სიმღერა ამხანაგებისა“ (იქვე, გვ. 780) და სხვ.

სიტყვათა ფორმებს იგი გრამატიკული ნომრების მიხედვით სცვლის.

ი. გოგებაშვილის მოთხრობები თემატიკურად მრავალგვარია. მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილი ასახავს სამშობლოს სიყვარულს, მისადმი თავდადებას, რაც, როგორც ითქვა, სავსებით შეესაბამება ჩვენი სამოციანელების მთავარ საზრუნავს — მამულის სიყვარულის

¹¹ ი. გოგებაშვილი, ტ. 6, 1958, გვ. 721.

მასებში შთანერგვას; იაკობსაც სამშობლოსათვის თავდადება ღვთიურ ვალად მიაჩნდა. სწამდა დიდი ილიას სიტყვები:

„უკუდავი არის შვილი
მამულისთვის მკედარა...“

პატრიოტულია იაკობის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი და მრავალგზის გამოქვეყნებული მოთხრობა „ასპინძის ომი“, რომელშიც, მოკავშირეთა ღალატის მიუხედავად, ათი ათას ოსმალ-ლეკთა წინააღმდეგ იბრძოდა ორი ათასი ქართველი და მტერზე გაიმარჯვა (1770 წ. 20 აპრილი).

ნაწარმოებში „სამასი თავდადებული გლეხი“ 1795 წელს ყველანი წყდებიან და მტერს არც ერთი მათგანი არ ნებდება.

ამავე შინაარსისაა „ცხრა ძმანი ზერხეულიძენი“. მასში დედაც გაჩნდება ბრძოლის ველზე და როცა სასიკვდილოდ დაჭრილ ერთ შვილს „ხელიდან ქართული დროშა გაუვარდება“, მას დედა აიტაცებს და მეორე შვილს გადასცემს... დაიხოცნენ ცხრანივე, თავიანთი „გმირული სული დალიეს ბრძოლის ველზე“, მაგრამ უკუდავება მოიპოვესო, — გვეუბნება ავტორი.

მოთხრობაში „საშინელი სასჯელი მოღალატისა“ ავტორი ხატავს შთამბეჭდავ სურათს: დამშეული მგლები მძორს მიადგნენ. „დასუნეს და შეიტყეს, რომ ეს იყო ლეში“ სამშობლოს „მოღალატე ყორღანა-შვილისა; ზიზღით აივსნენ, პირი არ დააკარეს. უკანვე გაბრუნდნენ და ისევ სიმშობლი ირჩიეს, ვიდრე პირის წაბილწვა ამ იუდას ლეშის ქამითა“.

აგრეთვე პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული იაკობის მოთხრობები „გლეხი ბოსტაშვილი“, „თავდადებული იოთამ ზედგინიძე“, „სხივი წარსულისა“, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, „ქართველი მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“ და ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“.

პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთების შთანერგავია ი. გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა და მათ შორის თარგმნა ავტორის თანამედროვემ, სომხური პედაგოგიკის ფუძემდებელმა, განმანათლებელმა და საბავშვო მწერალმა ლაზაროს ალაიანმა (ლაზარე კარაპეტიანი, — გარდაიცვალა 1911 წ.)¹².

ამ ნაწარმოებით ავტორმა ხაზი გაუსვა, რომ ბევრი ეროვნულ კულტურაზე უნდა აღიზარდოს, მაგრამ უყვარდეს სხვა ხალხიც ისევე,

¹² ლ. მელიქსე თ-ბ ე გ. ი. იაკობ გოგებაშვილი და ლაზაროს ალაიანი. — კრებული „იაკობ გოგებაშვილი“, 1940, გვ. 68—70.

როგორც იავნანათი გამოფხიზლებულმა ქეთომ შეიყვარა ლეკები. ქართველებსა და მეზობელ ხალხებს შორის უნდა იყოს ისეთივე მცგობრული განწყობილება, როგორც იყო ეს ძველად. — ქართველები და მეზობელი ხალხები საერთო ძალით რომ ებრძოდნენ შორიდან მოსულ თავდამსხმელებს¹³.

ი. გოგებაშვილი ყმაწვილებს პირველად ბუნების ისეთ მოვლენებსა და არსებებზე მოუთხრობს, რომლებსაც ბავშვები ასე თუ ისე იცნობენ და შემდეგ აცნობს ჯერ კიდევ საკუთარი თვალთ არანახულს. ამ ვზით ავტორი უკეთ გასაგებად „ხდის პატარა მკითხველისათვის ბუნების მოვლენათა კანონზომიერებას, ფრინველთა, მწერთა და სხვადასხვა ცხოველის მავნებლობა-სარგებლიანობას“¹⁴.

მწერალი-პედაგოგი სწორად მიმართავს ბუნების მოვლენებისა და უენო არსებათა გაადამიანებას, მათ ამეტყველებას. მის მხატვრულ პროზაში ისინიც „ცხოვრობენ, გრძნობენ, ლაპარაკობენ, მოქმედებენ“¹⁵. იმარჯვებს კეთილი, მარცხდება ბოროტი; ჰუმანიზმის პრინციპი აქაც ყველგან დაუტულია, მონათხრობი დამაჯერებელია.

„ი. გოგებაშვილის ერთ-ერთი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ჩვენში ერთმა პირველთაგანმა მკაფიოდ შეიგნო და მოინდომა სხვებისთვისაც შეეგნებინა, რომ საბავშვო ლიტერატურა სასარგებლო წყაროა ადამიანის მორალური ფორმირებისათვის, იგი „ხელს უწყობს ბავშვის მსოფლმხედველობის გამომუშავებას“¹⁶.



სწორია თვალსაზრისი, რომლითაც ი. გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები „ახლაც საბჭოთა ქვეყნის სინამდვილეში, გამოსადეგი და სასურველია ჩვენი ბავშვებისათვის. ამ მოთხრობებში ბევრია: სალი, ღრმა, აღმზრდელობითი ელემენტი, როგორც ბუნების მოვლენების შესწავლის, ისე ბევრ შემთხვევაში მათი მხატვრულად გაფორმების მხრითაც“. აგრეთვე საყურადღებოა ადამიანის გრძნობებსა და განცდებზე მოქმედი ისტორიულ თემებზე შექმნილი მოთხრობები:

მნიშვნელობა არ დაუკარგავს ჩვენი დიდი პედაგოგის თეორიულ აზრებს საყმაწვილო მხატვრული ლიტერატურის შესახებ. საამისოდ საკმარისია გავიხსენოთ ზემოაღნიშნული მაგალითები, თუ როგორ ას-

¹³ შტრ. მ. ზანდუკელი, ციტ. კრებული, გვ. 108.

¹⁴ იქვე, გვ. 96.

¹⁵ იქვე, გვ. 98.

¹⁶ იქვე, გვ. 96.

წორებდა იგი ფოლკლორულსა და ცნობილ პოეტთა ლექსებსაც კი და დამატებით დავასახელოთ ავტორის თუნდაც მხოლოდ კრიტიკული წერილები ყრმათათვის საკითხავი ყოველთვიური ჟურნალი „ნობათის“ შესახებ (1881, ტ. 2, 1954, გვ. 10—33).

აქ ი. გოგებაშვილის თეორიული მოსაზრებით, „საყმაწვილო ლიტერატურა არის... საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა“. პირველი „შთაბეჭდილებანი ჰყრიან საძირკველს მიდრეკილებისას, მიმართულებისას“ ბავშვისა; ამიტომ ისინი უნდა იყვნენ ყოველმხრივ გაპართლებულნი. ბავშვში მამულიშვილურ გრძობათა შთასანერგავად და გასავითარებლად, — ლაპარაკობს ჩვენი პედაგოგი, — „სასარგებლო არაა ხელოვნური აღწერა გმირების მთელი ცხოვრებისა და მოქმედებისა“, არამედ სჯობს „ცალ-ცალკე ეპიზოდების მოთხრობა ცოცხლად და მარილიანად. რასაკვირველია, ეს ისტორიული პატარა მოთხრობები უნდა უმეტესად ამოღებული იქნან სამშობლო ისტორიიდან, თუმცა საზოგადო ისტორიიდანაც შეიძლება ზოგიერთი მეტად შესანიშნავი შემთხვევების ამორჩევა“.

ავტორს ხალხური ლეგენდების და ლექსების საბავშვო ჟურნალში შეტანაც სასარგებლოდ მიაჩნია, ოღონდ შენიშნავს: „ღირსეულ ლეგენდას ხალხისას ღირსეული კალამი“ სჭირდება. როგორი ლეგენდა და ლექსი არ შეიძლება შევიდეს ჟურნალში და მით უფრო — სახელმძღვანელოში, ამის ნიმუშსაც თვითონვე კრიტიკოსი ასახელებს და მას იქვე არჩევს. ჩვენი პედაგოგი, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, — ეს ცალკე საუბრის თემაც შეიძლება იყოს. აქ მხოლოდ აღნიშნულით დავკმაყოფილდებით და ვასკვნით: „იაკობ გოგებაშვილი — იყო აგრეთვე საბავშვო ლიტერატურის კრიტიკოსი და თეორიულ საკითხებზეც მსჯელობდა დროისა და მაშინდელი საერთო თეორეტიული დონის შესაფერად.“

„ვეფხისტყაოსანს შეუდარებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენს ლიტერატურაში“.

ი. გოგებაშვილი

ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები, საბავშვო მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები გვარწმუნებენ, რომ მათი ავტორი თავისი დროის ლიტერატურის მკოდნეობის სიმაღლეზე იდგა, იცნობდა ამ მწერლობის ძველსა და ახალ ძეგლებს, მათ ავტორებსა და საქართველოს ისტორიას. საყურადღებოა მისი გამოთქმა: ჩვენი ხალხი ჩვენმა ლიტერატურამ „კულტურული ერების სიმაღლემდე“ აიყვანაო.

ამიტომ ქართველ მწერლებს ი. გოგებაშვილი დიდ ადგილს უთმობს თავის სახელმძღვანელოებში; ს. ხუციშვილმა გამოაქვეყნა წერილი: „მხატვრული ლიტერატურა „ბუნების კარში““.

ეს უბაძლო პედაგოგი „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა მკოდნე იყო. იმ მიზნით, რომ ჩვენი მგოსანი და მისი ქმნილება მოსწავლეთათვის გაეცნო და შეეყვარებინა, მან სათანადო ნარკვევი დაწერა. სასკოლო სახელმძღვანელოსა და საერთოდ საკითხავ წიგნ „ბუნების კარში“ შეიტანა, მის მიერვე შედგენილ რიგ სახელმძღვანელოებსა და წიგნებშიც არაერთხელ გამოიყენა რუსთაველის აფორიზმები.

„ბუნების კარის“ მესამე გამოცემაში (თბ., 1876) შემდგენელმა შეიტანა თავები „ვეფხისტყაოსნიდან“; „როსტევეანის ამბავი“, მისი „სანადიროდ წასვლა“, „წყლის პირს უცხო მოყმის პოვნა“ და სხვ.

ი. გოგებაშვილი რუსთაველის ბიოგრაფიასა და შემოქმედების მნიშვნელობაზეც ლაპარაკობს. სახელდობრ, იმავე „ბუნების კარის“ მეხუთე გამოცემაში (თბ., 1885) ათავსებს შენიშვნებს: „ორიოდე სიტყვა მეხუთე გამოცემის შესახებ“. მასში ვკითხულობთ: ამ გამოცემაში „ცოტათი შევამოკლეთ პირველი განყოფილება (ბუნებისმეტყველება), ჩავურთეთ ახალი სურათები, ლექსები, ქრესტომატია გავადიდეთ და წიგნი შევავსეთ ახალი — ისტორიული განყოფილებით, რომელშიაც მოვაქციეთ ციოგრაფიები საქართველოს ისტორიის უმთავრესი პირებისა“.

ხსენებულ ისტორიულ განყოფილებაში პირველადაა შეტანილი „მოთხრობანი საქართველოს წარსულიდან“ და „შოთა რუსთაველი“¹.

¹ ი. გოგებაშვილი. „ბუნების კარი“. — თბულებანი, ტ. 6, თბ., 1958, გვ. 221, 679—680 (მდრ. მისივე, ტ. 11, 1940, გვ. 339, შნშ. 1).

ი. გოგებაშვილი „ბუნების კარში“ ჩამოთვლის საქართველოს კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პირებს და შოთა რუსთაველზე წერს: „იგია წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთა ერის გონების ძალისა, შემოქმედებისა, გენიოსობისა“. იაკობი აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსანს“ შეუდარებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენს ლიტერატურაში“, განვლო საუკუნეებმა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ დღემდის „შეადგენს უძვირფასესსა და უკეთეს საუნჯეს ქართველის გონებისა და გულისათვის. ამგვარი დაუმკენარი მნიშვნელობა ყოველთვის ყოფილა მხოლოდ გენიოსის ხედვრი და რუსთაველიც ყველგან აღიარებულია გენიოსად“.

ი. გოგებაშვილის თქმით, ჩვენი პოეტი დაბადებულა მესხეთის რუსთავეში და ამიტომ ეწოდა მას რუსთაველი. იგი აღრე დაობლებულა, აღუზრდია მწიგნობარ ბიძას, უსწავლებია ტბეთისა და იყალთოს სასწავლებელში, გაუზზავნიათ ათინაში, „სადაც შეუსწავლია: ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, პოეზია, მჭერ-მეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა, შეუთვისებია ბერძნული და ლათინური ენები“; ის სამშობლოში დაბრუნებულა „თამარის შუა მეფობაში“; მეფეს შოთა დაუნიშნავს მოლარეთუხუცესად, ეს თანამდებობა დიდი იყო, მაგრამ სრულიად არ შეუტყუვედა პოეტს მყუდრო ცხოვრებასა და მწერლობაში ხელს არ შეუშლიდა.

რუსთაველმა დაწერა პოემა, რომელშიც გამოხატა „თამარის თავისი მშვენიერებით, სათნოებით და სიბრძნით. საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და თვისებანი ქართველთა ერისა, რადგანაც თანამედროვე პირების პირდაპირ დასახელება მოუსერხებელი იყო, ამიტომ პოემას მისცა არაკის ფორმა, მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში, მოქმედნი პირნიც ამავე ქვეყნებიდან დასახა“ ტარიელს ვეფხისტყავე იცვია და ამიტომ ავტორმა პოემას „ვეფხისტყაოსანი“ უწოდა.

აქვე ი. გოგებაშვილი რუსთაველის ბიოგრაფიას ამდიდრებს ხალხური გადმოცემებითაც, კერძოდ, იყენებს იმ თქმულებას, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ წაითხული იქნა თამარ მეფის მიერ გამართულ სპეციალურ ნადიმზე, პოემა ყველამ ფრიად საუცხოო ნაწარმოებად ჩათვალა. „თამარმა წაიძრო ხელიდან ძვირფასი ბეჭედი და უბოძა ავტორს ნიშნად მადლობისა და წყალობისა: მისმა მეუღლემ დავითმა მოიხსნა ხმალი და თავის ხელით შემოარტყა (პოეტს). დამსწრე საზოგადოებამ (მასვე) საჩუქრად მიართვა ძვირფასს ქვებში ჩასმული კალამი...“

საყურადღებოა ი. გოგებაშვილის ეს თქმაც: „მაღე მოიფინა ქება რუსთაველისა და იმისის „ვეფხისტყაოსნისა“. საუბრისა და ბაასის დროს, დასამტკიცებლად თავისის აზრისა, ქართველებმა იწყეს მოყვა-

ნა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებისა... ამის გამო ბევრი ნათქვამი რუსთაველის მშვენიერ ანდაზად გადაიქცა“.

~ პოემის დიდებასა და ხალხში გავრცელებას იმანაც შეუწყო ხელი. — ამბობს ი. გოგებაშვილი, — რომ „ისტორიკოსის ბარათაშვილის გამოკვლევით, რუსთაველი იყო უმშვენიერესი ვაჟაკი, ფრიად ზრდილი, დარბაისელი, სავსე ჭკუითა და მიმტაცებლობით, და ამასთან ისეთი სწავლული, რომ ტოლი არა ჰყავდა მთელს სამეფოში“.

„ვეფხისტყაოსანი“, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — „ამტიციებს, რომ რუსთაველი იყო არა მარტო უნიჭიერესი პოეტი, არამედ ბრძენი, რომელიც აზროვნებით ბევრად წინ უსწრებდა თავის დროსა“ (შდრ. ქვემოთ — ს. იორდანიშვილი).

ყოველივე ამისა და მსგავსთა შემდეგ, ი. გოგებაშვილი წარმოადგენს რუსთაველის რამდენიმე აფორიზმს განმარტებებით.

იმავე „ბუნების კარში“ შემდგენელმა დაბეჭდა ხალხურად ცნობილი „ლექსი ავთანდილისა“ (ავთანდილ გადინადირა...)², რითაც მან დიდად შეუწყო ხელი ამ ლექსისა და „ვეფხისტყაოსნის“ ხალხში კიდევ უფრო გავრცელებას.

თუ გაეხსენებთ, რომ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე იზრდება ქართველი ახალგაზრდების თაობები, 1863—1925 წლებში თითოეული ამ სახელმძღვანელოთაგანი ათეულჯერ გამოცემულა, კერძოდ, „დედაენა“ 1925 წლამდე 45-ჯერ და „ბუნების კარი“ კი 1918 წლამდე 27-ჯერ გამოიცა, გასაგები იქნება, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი იყო მათში რომელიმე პოეტის შესახებ ცნობების შეტანა.

როგორც ზემოთაც ითქვა, ი. გოგებაშვილი „ბუნების კარის“ გარდაც, წიგნებსა და წერილებშიც ლაპარაკობს რუსთაველზე, ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის დიდებაზე, როგორც ქართული სინამდვილის ანარეკლზე, რომ ამ პოემის გმირები ბუნებით არიან ქართველები (მაგ., მისი „ბურჯი ეროვნებისა“, მისივე თხზულებანი, ტ. II, III და სხვ.).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ი. გოგებაშვილი არავის არ ზოგავდა რუსთაველის დიდების დაცვის დროს. ის ქართველთ სიამაყედ თვლიდა ნიკო მარს, ეს მეცნიერი ჩვენი გლეხი ქალის შვილია, იგი იმდენად ნიჭიერია, რომ მას „ზოგიერთი რუსის სწავლული აღმომავალ ვარსკვლავს ეძახის“, მაგრამ როდესაც ნ. მარმა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულობაზე დაძრა სიტყვა, ი. გოგებაშვილმა არც იგი დაინდო და გააკრიტიკა ნ. მარს აქ მისი ახალგაზრდა მოწაფე ივ. ჯავახიშვილი გამოეხარჩლა³; ჩვენმა პედაგოგმა არც ის დაზოგა. მანვე

² ი. გოგებაშვილი. ბუნების კარი, ტ. 6, გვ. 221.

³ ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904.

გააკრიტიკა ნ. ჯაბადარი, რომელიც ქართული კულტურის მიმართ ნიჰილისტურად იყო განწყობილი.

ი. გოგებაშვილი ამბობდა, რომ აღმოსავლეთისა და კერძოდ სპარსული ლიტერატურის დიდი მკოდნე გულაკი, გერმანელი მეცნიერი სუტნერი და სხვები ამტკიცებენ, რუსთაველის აზრები ღირსია მსოფლიოს მოეფინოსო და შინაურები კი ვერ აფასებენ ჩვენს პოეტსაო.

პროფ. გ. თავზიშვილმა უკვე აღნიშნა, რომ ხსენებული კრიტიკის მიზეზი ზოგიერთი გაუგებრობაც იყო⁴, მაგრამ ჩვენ დაეძინო, რომ მას მაინც ჰქონდა მნიშვნელობა, როგორც ფხიზელ აზრს და ნ. მარმაც გაითვალისწინა ის თავის შემდეგ მუშაობაში.

ი. გოგებაშვილი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიისა.

ი. გოგებაშვილს აწუხებდა ის გარემოება, რომ რუსთაველის პოემის თარგმანები არ არსებობდა და იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მასთან დაახლოებულ გერმანელ არტურ ლაისტს, ეს პოემა გერმანულ ენაზე ეთარგმნა. ამის თაობაზე ი. გოგებაშვილი თავის ერთ-ერთ მეგობარს სწერდა: რაკი ეს „იკისრა ლაისტმა, რომელიც სწორედ ზედგამოჭრილია ამ საქმისათვის, ჩვენ დაეაჩქარეთ ეს მარჯვე შემთხვევა...“⁵.

რუსთველოლოგიის ისტორიის უცოდინარობით შეიძლება აიხსნას, რომ ერთმა ამ დარგშიც პრეტენზიულმა ავტორმა დაბეჭდა: იაკობ გოგებაშვილს რუსთველოლოგიასთან მეცნიერული დამოკიდებულება არ ჰქონიაო!

ამ დარგის სპეციალისტი სოლომონ იორდანიშვილი კი წერდა: „ახალი დროის რუსთველოლოგიამ სავსებით დაადასტურა მისი (ი. გოგებაშვილის, — ი. მ.) ძირითადი შეხედულებები „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე“⁶.

ეს შეიძლება გადაჭარბებულად ეჩვენოს ვისმეს, მაგრამ ფაქტია, რომ ი. გოგებაშვილი სწორ თვალსაზრისს იმარჯვებდა რუსთველოლოგიის საკითხებისადმი, მისი მართლაც არა ერთი მოსაზრება დარჩა ძალაში. ი. გოგებაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალ-

4 გ. თავზიშვილი. ი. გოგებაშვილი, თბ., 1952.

5 ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 9, 1962, გვ. 314.

6 ს. იორდანიშვილი. იაკობ გოგებაშვილი და „ვეფხისტყაოსანი“. — ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 133; ლ. შენაბდუ. „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი (XIX საუკ. მეორე ნახევარი), თბ., 1967.

ღის წარმოსაჩენად პოემის გმირთა ხასიათებს იშველიებდა და მთელ პოემას საქართველოს ისტორიის ფონზე განიხილავდა⁷.

იგი იბრძოდა ქართული კულტურისადმი ნიჰილისტური ტენდენციების გამოვლენათა წინააღმდეგ⁸.

კიდევ უფრო დიდია დეაწლი გოგებაშვილისა, როგორც პოპულარიზატორის რუსთაველის სახელისა და „ვეფხისტყაოსნისა“.

ი. გოგებაშვილმა დაწერა წიგნი „ბურჯი ეროვნებისა“ (II შეესებულე გამოცემა — 1903). ავტორი თვით იყო ჩვენი განათლების საქმის ბურჯი, იცავდა ჩვენი ეროვნული სიდიადის ბურჯს⁹ — შოთა რუსთაველს და მის სახელს დიდების გვირგვინით ამკობდა.

⁷ შდრ. ლ. მენაბდე. ციტ. ნაშრომი, გვ. 148—150. აგრეთვე ა. ზურაბაშვილი. პერსონოლოგიური პრობლემები ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში — ეურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1971, № 7, გვ. 82—93; მისივე — „შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია“, თბ., 1966; ჩვენი წერილი „მწერლობა და პერსონოლოგია“. — გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“, 1971, 20 აგვისტო, № 34, გვ. 3.

⁸ იხ. ქვემოთ, ამასთანავე შდრ. ალ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 512. რუსთაველის ესთეტიკისა და ეთიკის შესახებ გ. ჩიბლაძის მონოგრაფია. „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, თბ., 1966. შდრ. Г. Н. Д ж и б л а д з е. Искусство и действительность, თბ., 1971, გვ. 46.

⁹ შდრ. უშანგიობოლაძე. ბურჯი ეროვნებისა. — გაზ. „კომუნისტი“, 1960, № 247, გვ. 3.

„აფხაზები კავკასიის ყველა ხალხზედ უფრო ახლოს არიან ქართველებთან“.

ი. გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილი ხალხთა მეგობრობის დიდი მოძღვარია იყო. ამას მოწმობს მისი დამოკიდებულება კავკასიის ხალხების — ქართველებისა და სომხების, აფხაზებისა და ოსების, დაღესტნელებისა და სხვათადმი¹ ქვემოთ ჩვენ თვალნათლივ დაინახავთ, თუ როგორ გულთბილად ეკიდება იგი აფხაზებს და გულისტკივილით განიცდის ქამთასიავისაგან აფხაზების დარბევს.

აფხაზთა ვინაობის შესახებ წერს გოგებაშვილი, რომ ისინი „ჩამომავლობით ქართველების მოდგმისა არ არიან და შეადგენენ ცალკე ტომს“, მაგრამ კავკასიელ ხალხთაგან ყველაზე უფრო ახლოს არიან ქართველებთან“. ეს განაპირობა იმან, რომ „შუა საუკუნეებში საქართველო და აფხაზეთი ერთად იყო შეერთებული და ერთს სამეფოს შეადგენდნენ; ამის გამო, აფხაზები ბევრით დამსგავსა საქართველოს“ (ტ. 6, თბ., 1958, გვ. 635).

კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის კეთილ ურთიერთობას ამკვიდრებდა არსებობის საერთო ინტერესები, მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლები, ყოფითი იმდენად დაახლოება, რომ მეზობლობა ბევრი ოჯახადანათესაებებაშიც გადაიზარდა (გათხოვა-მოყვანა, მძუძეობა, ძმადნაფიცობა) და სხვ. ყოფით სიახლოვეს აძლიერებდა იდეოლოგიური — ძველად რიგი საერთო წარმართული და შემდეგ — ქრისტიანული წარმოდგენები, სათანადო რიტუალების სახალხო ზეიმით შესრულების წესები და სხვ.¹

ი. გოგებაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ თავისი დროის პროგრესული ქრისტიანობა (წარმართობის მაგიერ) საქართველოდან გავრცელდა აფხაზეთში, რაც ანდრია მოციქულისა და სიმონ ქანანელის სახელებთანაა დაკავშირებული. „აფხაზური ენა, — ლაპარაკობს ისევ გოგებაშვილი, — ქართული ენის კი-

¹ ი. თ. კუ რ დ ლ ი ა. ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, წ. I, სოხუმი, 1974, გვ. 67; იქვე ვრცელაა წარმოდგენილი XIX ს. ქართველ მოღვაწეთა აზრები და ზრუნვა აფხაზებზე, ავრეთვე — აფხაზი მოღვაწეების ქართველებთან ერთობლივი საქმიანობა.

ლო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე(ა). როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“²... ავტორი ასახელებს ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ აფხაზური დამწერლობის შექმნას; ამავე საქმეში. აფხაზებს შემდეგ, იგი მთავარ როლს სოხუმში მოღვაწე ქართველებს აკუთვნებდა (იქვე). და აი, სწორედ ამ დროს, ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი ზახაროვი, რომელიც ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლებას კრძალავდა, პედაგოგიურ საბჭოს ალაპარაკებს: მას „ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ უნდა ასწავლოს აფხაზურ ენაზე“, ან როგორ უნდა ისწავლოს ოსურზე! (ტ. 1, გვ. 155).

სწორადაა შენიშნული, რომ წარმოდგენილი „აზრი უაღრესად არაკეთილსინდისიერია, ვინაიდან არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც არ მოხერხდება პირველდაწყებითი სწავლების მოგვარება“. (ო. ქურდულია. ნარკვევები, გვ. 69).

ისტორიამ ხომ მეტიც გვიჩვენა: ამავე ენაზე უმაღლეს სასწავლებელშიც სწავლობენ. მაზვეე ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება განვითარდა. პატრიოტ პედაგოგს მცირერიცხოვანი ხალხების ენები მიაჩნდა პირველ დედაენად. ხოლო გამოსული მაშინდელი ვითარებიდან. იგი რუსულ ენას მეორე დედაენას უწოდებდა. გოგებაშვილი წერდა: ქართველს „უყვარს თავისი ეროვნება და თავისი დედაენა, რომლებიც მან ათასწლოვან ბრძოლებში გადაარჩინა და დაიცვა მილიონობით მტრებისაგან; დიდი ხანია, რუსეთს თვლის თავისი სამშობლოდ და რუსი ერის თავისებურებათა და თვისებათა პატივისცემასა და სიყვარულში ნამდვილ მოსკოველს არ ჩამორჩება“².

ასევე ლაპარაკობს იგი აფხაზებზე. მათ ძველთაგან ჰქონდათ და აქვთ თავიანთი ენა, არ ჰქონდათ დამწერლობა; ამისათვის იყენებდნენ მეორე დედაენას — ქართულს. მით უფრო, რომაო, — შენიშნავს იგი, — „აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ“. აფხაზებმა ამიერიდან უნდა იზრუნონ „თავის დამწერლობაზე, თავის ლიტერატურაზე“ (ტ. 4, გვ. 201).

² ტ. 4, გვ. 200—201; ხაზი ჩვენია; ო. შ. იხ. აგრეთვე ო. ქურდულიას შემოღობულ ზემოდასახელებული „ნარკვევები“, გვ. 68.

³ ტ. 1, გვ. 162; ო. ქურდულია. ნარკვევები... გვ. 69.

რაც შეეხება წარსულს, ბაშინაო, — დასძენს იგი, — აშენდა ცნობილი ბიჭვინთის, დრანდის, ილორისა და კულტურის სხვა ძეგლები, შეიქმნა განათლების კერები.

XVI—XVII საუკუნეებში ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა საქართველოს ზღვისპირეთი. „ბევრის ხრიკების და შინაური ღალატის შემდეგ, ოსმალთა აფხაზეთი დაიკავეს XVIII საუკუნის დამდეგს. აღნიშნულია ისიც, რომ აფხაზები „მეტად ყოჩაღი, მხნე“ არიან, იბრძოდნენ თვითმყოფლობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ცეცხლითა და მახვილით მოქმედ მტერს ისინი ერთ დროს ვეღარ გაუმკლავდნენ, — „1775 წელს უკვე აფხაზეთი თათრის სჯულის მალიარებლად“ გამოაცხადეს; 1760 წელს ოსმალთა დაარბიეს და დაიკეტა აფხაზთა შვილების სამონასტრო — უდაბნო სასწავლებელიც⁴, აფხაზეთზე საქართველოს კულტურული გავლენა დროებით შესუსტდა.

დასახელებულია რიცხვები, რომ 1650 წ. ნახევარმილიონზე მეტი აფხაზი ცხოვრობდა. იგი 1770 წელს 400 ათასზე დავიდა; მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს კი იგივე „200 ათასი ძლივსა იყო“ (იქვე, გვ. 148; შდრ. ქვემოთ). აფხაზებს იტაცებდნენ ოსმალები, მათ ოჯახებში თითქმის „ყველგან ნახავდით აფხაზთა ლამაზ ქალ-ვაყებს. ზოგ ქალებს ცოლებად ირთავდნენ, ზოგს ვაყებს ისიძავებდნენ სილამაზის გულისათვის და ამით ამშვენებდნენ თვის ტომს, ბევრი და ბევრის ბევრიც ოჯახებში მონებად ჰყვანდათ“ (იქვე, გვ. 179).

იმავე წერილში გაზვიადებულია ზ. კიკინაძის განცხადება: „1680 წლებიდან 1780 წლამდე აფხაზები „სრულიად გათათრდნენ“, „მათში ერთი კაციც აღარ იყო ქრისტიანი დაშთენილი“ (გვ. 150).

ი. გოგებაშვილის საფუძვლიანი მსჯელობის დედააზრი კი ასეთია: აფხაზეთის მდებრივ მოსახლეობა მოტეხა უფრო ეკონომიურმა შვედურობამ, დევნამ, დაშინებამ, მოტყუილებამ (ვინც ისლამს იწაპებს, გადასახლებისაგან გავათავისუფლებთო), თორემ მაღალი წოდება ამოეთარა ქართველობას, მათ დაიკვეს თავიანთი აფხაზობა და არც რჯული უარუყვიათო. ავტორი ასკვნის: „ყველა აფხაზი კი არ მიქცეულან ოსმალების რჯულზედ; მთავრის სახლობამა და ბევრმა თავად-აზნაურობამ მტკიცედ დაიკვა ქრისტიანობა ჩვენს დრომდე. დაბალი კი ისევ წარმართობაში ჩავარდა“ (ტ. 6, გვ. 653).

ი. გოგებაშვილი იმასაც უწყევს ანგარიშს, რომ 1810 წელს აფხაზეთში ერთმორწმუნე რუსეთის ჯარის შესვლამ აფხაზთა ადრინდელი საერთო რწმენის აღდგენას შეუწყო ხელი. მაგრამ მალე იმავე ჯარის

⁴ ზ. კიკინაძე. აფხაზეთის გათათრება. მისი კრებული „ქართველებს გამაჰმადიანება“, თბ., 1915, გვ. 146.

უხეშობისა, მისი მთავრობის უტაქტობის გამო და ხალხის აღშფოთების ოსმალთა მიერ სააგიტაციოდ გამოყენების შედეგად. — „1867 და 1878 წლებში აფხაზეთში არეულობა მოხდა“. მაშინ ჯერ კიდევ ადგილზე მყოფ 74 ათას აფხაზთაგან სამშობლოში მხოლოდ 20 ათასამდე სული დარჩა (ტ. 6, გვ. 653).

მარალაც რომ დიდი იძულება უნდა შეხვედროდა აფხაზებს, თორემ სახლ-კარს ვინ მიატოვებს! ეს გადასახლება იძულებითი იყო, რაც იქიდანაც ჩანს, რომ რიგი გადასახლებულები პირველ შესაძლებლობისთანავე უკან დაბრუნდნენ; ადგილზე დარჩენილთაგანაც ბევრი რჩულშეცვლილი გლეხი და გვაროსანიც ადრინდელ ადათ-წესებს დაუბრუნდა. მოსახლეობაში კლასობრივად განსხვავებულ ორ ფენაში რწმენითაც განსხვავებული ორი ფენა წარმოიქმნა. მეორე პროცესის შედეგზე ი. გოგებაშვილი წერს: „სარწმუნოების განსხვავება აფხაზებს შუა მტრობასა და სიძულვილს არა ჰბადაეს. ბევრს ჯალაბობაში ზოგი ქრისტიანია, ზოგი — მაჰმადიანი, მაგრამ ამათ ერთმანეთში ჯეროვანი სიყვარული აქვთ“ (ტ. 6, გვ. 653).

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კლასობრივი და სარწმუნოებრივი ბარიერებიც წაიშალა.

ჩვენ ისევ ი. გოგებაშვილს დავუბრუნდეთ. იგი ყურადღებას აქცევს ქვეყნის გეოგრაფიულსა და ხალხის საარსებო პირობებს. იძლევა შემდეგ დახასიათებას: შავი ზღვის სანაპირო დაბლობებსა და მის ზეგნებზე განფენილი ქვეყანა „მშვენიერი სამყოფია“ ზამთარში, „თოვლი ძალიან იშვიათად ჩნდება; ამიტომ იქ „ბევრი იმისთანა ხეხილი ხარობს, რომელიც მხოლოდ თბილს ქვეყნებში იპოვება...“ მაგალითად, ზეთისხილისა და ლიმონის ხეებიც გარეთ, პაერში და პირდაპირ მიწაში იზრდება“. „წითელი ხე, კაკალი, იფნა და ბზის ხე“ აქ ტყეებად გვხვდება, „ხე-ტყე აქედან ოსმალეთში გააქვთ და კარგ ფასად ჰყიდინან“. აქვე მალღარი „ვაზები უხვად ხარობს“. დიდი მოვლის გარეშეც კი „ღვინო კარგი დგება“; იგი ყირიმში გააქვთ და კაი ფასადაც იყიდება. აფხაზეთის უმთავრესი საშუალება მაინც მიწათმოქმედება და მეცხოველეობაა, თვითონ აფხაზებს ვაჭრობა სამარცხვინო საქმედ მიიჩნიათ“ (ტ. 6, გვ. 654).

ი. გოგებაშვილის ათრომეულის გამომცემელმა სარედაქციო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ჩვენი პედაგოგი „გადაჭარბებულად აფასებს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების ფაქტორის მნიშვნელობას და ზოგჯერ მცდარ დასკვნამდე მიდის“—ო (ტ. I, გვ. 93, შენიშვნა). ოთ. ჭურღულია თვლის, რომ ეს „შეცდომა გულწრფელი, უანგარო იყო“⁵. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, რომ გოგებაშვილი ამ საკითხზე მაშინ-

⁵ ოთ. ჭურღულია. დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

დელ საერთო თვალსაზრისს იზიარებდა იმ განსხვავებით, რომ რა ნაკლსაც ამჩნევდა, იმას არ ფარავდა. მაგალითად, აფხაზეთის შესახებ წერდა: ამ წარმტაც ქვეყანაში ზაფხულობით ხალხს ციებ-ცხელება აწუხებსო... აღარ გვაგვარძელებთ იმაზე ლაპარაკს, რომ უკვე კარგა ხანია, ესეც აღარ არის, — აფხაზეთი კურორტების ქვეყანად იქცა...

ი. გოგებაშვილისათვის მთავარი მაინც არა გეოგრაფიული გარემო, არამედ მასში მაცხოვრებელი ხალხისა და ხალხების ზანამედროვე და ისტორიული ურთიერთობები იყო. ამასვე ითვალისწინებდა იგი სახელმძღვანელოების მასალის შერჩევასას. ამიტომ მიაჩნდა მას საჭიროდ, რომ აფხაზური „დედა-ენის“ შესადგენად თვით აფხაზებმა უნდა „შეჰკრიბონ აფხაზური სახალხო ლექსები, არაქები, ზღაპრები. გამოცანები და დაბეჭდონ“. ამასთანავე მათვე „ქართველების დახმარებით უნდა გადათარგმნონ აფხაზურად საუკეთესო ქართული საყმაწვილო და სახალხო მოთხრობები და გამოსცენ“ (ტ. I, 1910, გვ. 500).

ავტორი იმასაც ითვალისწინებს, როგორ გამოიციეს ყოველივე ეს და დასძენს: „თუ ადგილობრივ ვერ შესძლებენ ამ წიგნების დაბეჭდვას, გამოუგზავნონ თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და იგი დიდი სიამოვნებით გამოსცემს თავისი ხარჯით“ (იქვე).

ასეთი გამოცემების შესაფერისი მასალა კი შევიდოდა აფხაზურ „დედაენაში“, რაც ხელს შეუწყობდა აფხაზთა შემდგომ საერთო განათლებას, ხალხის შეგნების ამაღლებას. ამიტომ იგი ამბობს: „თუ შეგნებული აფხაზები დაახლოებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტკბებოდა კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან“.

ქართველ ტომებთან აფხაზების კავშირი ეწინააღმდეგებოდა მეფის რუსეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკას. ი. გოგებაშვილს აქაც ბრძოლა უხდებოდა მავნებლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის წერილი „უსამართლო ბრალდება მესამოცე წლების მოღვაწეებზე“.

მასში ი. გოგებაშვილი იგონებს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ 1877—1878 წლების ომის შემდეგ აფხაზები ოსმალეთში გადაასახლეს და „მათი სამშობლო თითქმის მთლად დაცარიელდა.

ხელმძღვანელობდა რა აფხაზებისა და ქართველების მუდმივ ერთიანობით, იმავე დროს იმით, რომ „დასავლეთის საქართველო ითმენდა... დიდს ნაკლებობას მიწა-წყლისას“ (იქვე), ი. გოგებაშვილი მო-

6 პირველად დაიბეჭდა გაზ. „წყაროში“, 1907 № 26=ი. გოგებაშვილი, ტ. I, 1910, გვ. 499—591=ტ. 4, 1955, გვ. 173—175.

წინავე ქართველ ინტელიგენტებთან ერთად „ცდილობდა დაეცვა თავისი ერის უფლება დაცარიელებულს ტერიტორიაზე“ (იქვე).

საკითხის გადაწყვეტა უმაღლეს მთავრობაზე იყო დამოკიდებული მისი ყურადღებაც რომ მიექცია, ამიტომ ი. გოგებაშვილს 1878 წელს „ტიფლისსკი ვესტნიკის“ ორ ნომერში მეთაური წერილები მოუთავსებია და ის აზრი გაუტარებია, რომ „საუკეთესო მოსახლეთა კონტინგენტს დაცარიელებულის აფხაზეთისათვის შეადგენენ მეგრელები, ბარის იმერლები და ბარისავე გურულები“⁷.

სოხუმის ოლქის უფროსს ვედენსკის სასტიკი საწინააღმდეგო წერილი დაუბეჭდავს „კავკაზში“.

ი. გოგებაშვილი ვერ შეუშინებია ამ გარემოებას და ვედენსკის ახირებული გამოსვლის წინააღმდეგ იმავე „ტიფლისსკი ვესტნიკის“ 12 ნომერში ზედიზედ მოწინავე წერილები მოუთავსებია. ვედენსკის პასუხის გაცემა ვეღარ მოუხერხებია და გაზეთის რედაქტორ ბებუთოვისათვის განუცხადებია: „ვსდებ კალამს და არამც თუ ერთ სიტყვა-საც აღარ ვიტყვი წინააღმდეგ, არამედ ამ დღიდან მოსარჩლე შევიქმნები იმ აზრისა, რომელიც სრული საფუძვლიანობით არის განმარტებული თქვენს გაზეთშიო“ (იქვე).

იაკობის წერილებს და მის საბუთებს სხვა დიდს პირზეც მოუხდენია გავლენა და ჩაუჩუმებია. კიდევ მეტიც, იაკობის აზრს კავკასიის „სანამესნიკოში“ მეორე ადგილის მქონე პირი — სტაროსელსკი მიმხრობია და ხსენებულ დაცალიერებულ მიწა-წყალზე ქართველების დასახლების პროექტი მასვე შეუდგენია. პროექტის საფუძვლიანობისათვის მასში ციტატები იაკობის წერილიდან შეუტანია და გაუგზავნია პეტერბურგს, რათა იგი უმაღლეს მთავრობას დაემტკიცებინა.

„მაგრამ, შეიტყო თუ არა ეს კატკოვმა, — წერს იაკობი, — რომელსაც მაშინ საარაკო გავლენა ჰქონდა მთელს რუსეთზე, მორთო ერთი ღრინაელები თავის გაზეთში — „Московские ведомости“, სტაროსელსკის აზრს იგი სთვლიდა მავნებელ აზრად, თითქმის, მოღალატეობას ადარებდა... კატკოვმა თავისი გაიტანა და წაღმა წარმართული საქმე უკულმა დაატრიალა“⁸.

იაკობი თვალყურს ადევნებდა აფხაზების საქმეებს და მას იგი სათანადოდაც პასუხობდა. თვითონ მან და მისმა „დედა-ენამ“ შეუწყვეს ხელი კ. მაჭავარიანსა და დ. გულიას შეედგინათ პირველი „აფხაზური ანბანი (1892 წ.). ისინი გოგებაშვილისებრ უწევდნენ ანგარიშს ბავშვთათვის ნაცნობსა და მახლობელ გარემოს ასახვას საანბანო საკითხზე წიგნში, ფრანგი ლუი არაგონს დ. გულიასათვის (1874—1960)

⁷ ი. გოგებაშვილი, ტ. 3, 1954, გვ. 316.

⁸ ი. გოგებაშვილი, ტ. 1, 1910, გვ. 385—ტ. 3, 1954, გვ. 317.

შემთხვევით არ უწოდებია „აფხაზი ხალხის დიდი მასწავლებელი“. ეს პედაგოგი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე საფუძვლიანად ლაპარაკობდა საქართველოსთან აფხაზების ისტორიულ კავშირსა და სიახლოვეზე, აკონებდა სასიმღერო ტექსტსაც:

„წაიყვანეს აფხაზეთში თამარ ქალი, დიელო-და!...“

ეს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები დ. გულამ წარმოაჩინა ლიტერატურულ ნაწერებსა და განსაკუთრებით წიგნში „აფხაზეთის ისტორია“⁹. ავტორი ეროვნულ ნიადაგზე იდგა, დედაენის დიდებას ღაღადებდა და ხალხის ინტერესებს იცავდა. მას უახლოესი კავშირი ჰქონდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები ისევე იხმარებოდა მაშინდელ აფხაზეთის სასწავლებლებშიც, როგორც საქართველოს სხვა სკოლებში და ავტორის სახელი პოპულარული იყო აფხაზეთის არა მხოლოდ ქართველ, არამედ საერთოდ მთელ მოსახლეობაშიც; მას დიდად აფასებდა დ. გულიაც.

ი. გოგებაშვილი 1907 წელს აღნიშნავს: „ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ სრულიად დააშორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოვონ და გაღიბირონ თავისკენ. მეორენი მონატურნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზეთისა ქართველებთან“, (ტ. 3, გვ. 317).

იაკობი, რაღა თქმა უნდა, უკანასკნელთა ჯგუფს უქერდა მხარს და რაკი საკითხი აფხაზური ენის სახელმძღვანელოს შედგენას ეხებოდა, იგი წერს: „სოხუმში მოიპოვებიან როგორც ქართველი, ისე აფხაზი პედაგოგები და მათ მოუწოდებდა: მიებაძათ ო ს თ ა მ ა გ ა ლ ი თ ი ს ა თ ვ ი ს, გამოეყენებინათ ქართული „დედა-ენა“ და შეედგინათ აფხაზური „დედა-ენა“. იაკობი თავის მხრივ კლიშეების უფასოდ თხოვებას ჰპირდებოდა, რაც დააჩქარებდა წიგნის გამოცემას და იგი შედარებით იაფიც დაჯდებოდა¹⁰.

საყურადღებოა ის გარემოებაც რომ ი. გოგებაშვილი, ერთის მხრივ, თბილისში 1906 წელს განზრახული საგანაფთხლო ქართული უნივერსიტეტის დაარსებზე ზრუნავს¹¹; ხოლო, მეორეს მხრივ, საერ-

⁹ Д. И. Гулиа. История абхазов. тб., 1925; იხ. აგრეთვე სპეც. კრებულები, Н. Я. Марр. О языке и истории абхазов, Москво-ленинград, 1938.

¹⁰ ი. გოგებაშვილი. ტ. 1, 1910, გვ. 499=ტ. 4, 1955, გვ. 173. აგრეთვე—ტ. 1. გვ. 500=4, გვ. 174, შდრ. ი. შეგრელიძე. ნიკო შარი და აფხაზური ენა.—გაზ. „საბჭ. აფხაზეთი“, სოხუმი, 1941 წ. 1 იანვარი, № 1, გვ. 4; 8 თებერვალი, № 32, გვ. 3. 9 თებერვალი, № 33, გვ. 4.

¹¹ გაზ. „მეგობარი“, 1906, № 55=ი. გოგებაშვილი. ტ. 4, 1955, გვ. 163.

თოდ კავკასიელთა განათლების ამალღებისათვის, საჭიროდ თვლის კავკასიის სახალხო უნივერსიტეტის შექმნას. „კავკასიის პრესას, — წერს ი. გოგებაშვილი, — სავესებით შეგნებული აქვს ახლო მომავალში ჩვენში ამ უნივერსიტეტის დაარსების მთელი აუცილებლობა და კეთილისმყოფელობა“¹².

ყოველივე აღნიშნულის უდავო დასკვნები სრულიად ნათელია: იაკობ გოგებაშვილი დაუღალავად იბრძოდა ქართული ენის დაცვისათვის მთელს საქართველოში, მაგრამ, ერთი წუთითაც არ დამსგავსებია ბნელეთის იმ მოციქულებს, რომლებიც ხალხს მშობლიური ენის წართმევას უქადდნენ; ი. გოგებაშვილი იბრძოდა აფხაზებისა და ქართველების მჭიდრო კავშირისათვის, მაგრამ ცნობდა, რომ აფხაზებს საკუთარი დედაენა გააჩნიათ და ხელს უწყობდა ამ ენის აფხაზურ სკოლაში დამკვიდრებას, ცდილობდა, რომ აფხაზ ბავშვებს აფხაზური დედაენის კარგი სახელმძღვანელოები ჰქონოდათ: ი. გოგებაშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ აფხაზეთის წარსული, აწმყო და მომავალი მჭიდროდ იყო, არის და იქნება დაკავშირებული საქართველოსთან, რომ აფხაზეთი ქართველებთან ერთად ერთიან ძალას წარმოადგენს და აფხაზების მტერთაგან დასაცავად „ქართველობას მრავალი სისხლი დაუღვრია“. ი. გოგებაშვილს სწამდა, რომ „მტკიცე კავშირი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავსებს“.

¹² დასახ. ტ. 4, გვ. 103.

„ოსებს ყოველთვის მკიდრო კაჟირი
ქონდათ საქართველოსთან“.

ა. გოგებაშვილი

ისტორიულად საქართველოსთან დაკავშირებულ ოსებს კარგად იცნობდა იაკობ გოგებაშვილი. იგი თავის „ბუნების კარზე“ აღსაზრდელ ქართველ მოწაფეებს და სხვებთან ამავე წიგნის მკითხველ თაობებს აცნობს ოსებს: ეს არის „მთის ხალხი. მას უჭირავს შუა წელი კავკასიონის ქედისა“. ოსების ნაწილი ცხოვრობს „ქედის ჩრდილო კალთებზედ; ზოგნი — აქეთ, სამხრეთ კალთებზედ. ამის გამო ოსეთი ორ ნაწილად განიყოფება — ჩრდილო ოსეთად და სამხრეთ ოსეთად. აქეთა ოსებმა თითქმის ყველამ იცის ქართული ენა, და ბევრი ქართული ზნე და ჩვეულება შეთვისებული აქვთ. იქით ოსებში კი უფრო რუსული ენა და ჩვეულებაა გავრცელებული. ოსური ენა გერმანული (ინდოევროპული ენების ირანული განშტოების, ი. შ.) ენის შორეული მონათესავეა“ (ტ. 6, გვ. 655 წ.).

ოსთა ასეთსავე დახასიათებას იძლევა ნ. მარიც. — „ეთნიკურად არიოევროპული, ირანული შტოს ჩრდილოელი ოსების ორიენტაციარუსებისაკენაა, სამხრელი ოსებისა კი — ქართველებისაკენ. ორივეს ახასიათებთ ევროპული თვითგამორკვევა“ (1920).

ი. გოგებაშვილი სწორად მსჯელობს: ოსები შთამომავლობით ქართველი მოდგმისა არ არიან, მაგრამ მათ, ისევე, როგორც აფხაზებს, ქართველებთან გვერდი-გვერდ უხდებოდათ ცხოვრება და საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ომების წარმოება. მართალია, — დასძენს ი. გოგებაშვილი, — „ძველს დროში აქეთა ოსეთი უმეტეს ნაწილად საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა. ჩრდილო ოსეთი ცალკე სამთავროს შეადგენდა, მაგრამ ამ მთავრებსაც ახლო კავშირი ჰქონდათ ქართველ მეფეებთან“, მათ შორის ზდებოდა დინასტიური ქორწინებებიც¹, — „თვით თამარ მეფის დედა იყო ოსეთის მთავრის ქალი“. ოსთა გოგებაშვილისეული მოკლე, მაგრამ საამაყო დახასიათება ასეთია: „ოსები არიან მხე და ნიჭიერი ხალხი, საღისა და წარმოსადეგი აგებულების პატრონი“².

¹ დაწვრილებით — გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1958, (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), თბ., 1958.

² ტ. 6, გვ. 655; ხაზია ჩვენია, ი. შ.

ავტორი სულ 150 ათას ოსს ასახელებს (1912, 1939, ეს რიცხვი 354 ათასია). იგი მათ შესახებ წერს: მთებში მცხოვრები ოსები ძნელ პირობებში არიან. იქ სხვა პურეული არ ხარობს, მოჰყავთ ქერი, რომლითაც იკვებებიან და მისგანვე ხდია „თავის საყვარელ ლუდსა“. მას „ღვინის მაგიერ ხმარობენ“. ოსთა ცხოვრების მთავარი საშუალება მეცხოველეობაა, განთქმულია ოსური ყველი; იგი „კავკასიაში ბევრგან იყიდება“.

„ოსებს თავისი საკუთარი დედა-ენა აქვთ“, მაგრამ ჩრდილოელ ოსების „სასახლეებში ქართული ენაც გაისმოდა“. სამხრელების უმრავლესობა კი, როგორც ზემოთაც ითქვა, ქართულადაც მეტყველებდა ადრე, გოგებაშვილის დროსაც და ლაპარაკობს ახლაც. სხვათა წესთაგან, — შენიშნავს ჩვენი პედაგოგი, — ოსები საერთოდ „ქართველ წეს-რიგს უპირატესობას აძლევდნენ“, ქრისტიანობაც აქედან მიიღეს და ადრე ოსეთში „წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდებოდა“³.

ი. გოგებაშვილს XIX საუკუნის ვითარება აქვს მხედველობაში, როდესაც წერს: ოსებმა ქართული ანბანის შემდეგ „რუსულის ანბანის ხმარება შემოიღეს, გადათარგმნეს ოსურს ენაზედ დაბადება, სახარება და საეკლესიო წიგნები; აგრეთვე თავის დედა-ენაზედ დააწესეს წირვა-ლოცვა; ბეჰდავენ გაზეთსა, წიგნებსა“, გაიხსნა სკოლები; ქალაქ კავკაეში „არსებობს გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, არღონში — სამისიონერო სემინარია“ (ტ. 6, გვ. 655—656).

ოსებზე უფრო სრული წარმოდგენისათვის ყოველივე ზემოაღნიშნულს უნდა დაუმატოთ, რომ ი. გოგებაშვილის შემდეგ გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით, ოსებში ქრისტიანობა კიევისა და საკუთრივ რუსეთიდანაც ვრცელდებოდა ბერძენი, სლავი და რუსი მისიონერების მიერაც. ცნობილი ზელენჩუკის ბილინგვის „ორენოვანი“ წარწერის მიხედვით გამოთქმულია ჰიპოთეზა: ოს-ალანებს დამწერლობა X—XIII საუკუნეში ჰქონდათ⁴.

ი. გოგებაშვილმა იცოდა, რომ ოსებში მუსულმანებიც იყვნენ. შირვანიდან უტევდნენ არაბები და სხვა მოდგმის მაჰმადიანები ჯერ კიდევ IX საუკუნეში; მათაც გამაჰმადიანებას უპირებდნენ დაღესტნელებთან ერთად. XV საუკუნეში ბიზანტიის დაცემის შემდეგ კი ოსებს ოსმალებიც მიეძალნენ. პირველთა მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ, როდესაც დაღესტნელ მაჰმადიანებს ქართლ-კახეთზე გადასვლა

³ შდრ. გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან..., მისი გვ. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორია (XV—XVIII სს.), თბ., 1969.

⁴ В. И. Аббаев. Осетинский язык и фольклор, I, მოსკოვ-ლენინგრადი, 1949, გვ. 260—270.

აღარ უხერხდებოდათ, ოსეთის გზით „გადადიოდნენ აფხაზეთში და მერე აქედამ ოსმალეთშიაც მიდიოდნენ თავიანთ თანამერჯულენისა-კენ“. ამას 1720 წლიდან ოსმალეთის მმართველებიც უწყობდნენ ხელს და საქმე ისე წარიმართა, რომ „1860 წლებს ოსთაგან უკვე ისლამთან დაკავშირებულთ რიცხვი ერთობ დიდია“⁵.

როგორც აფხაზეთიდან, ისე ოსეთიდანაც 1860-იანი წლებიდან ბევრი მაჰმადიანი გადასახლდა ოსმალეთში; ამ ოსებმა დაკარგეს დედაენა და გვარტომობაც...

ქართულ ანბანს ოსეთში ჭერ კიდევ არაბებმა, შემდეგ დალესტნელი ტომების ხოკებმა და მოლებმა, სპარსელებმა, ბოლოს ოსმალებმა და ყირიმისა თუ სხვა მხარის თათრებმა დაუპირისპირეს არაბული ანბანი ისევე, როგორც სახარებას — ყურანი. ოსები იყენებდნენ არაბულ ანბანსაც, მაგრამ მას საერთო საგანმანათლებლო მნიშვნელობა არ ჰქონდა. ოსების მუდმივი მკვიდრო კავშირი ქართველებთან აპირობებდა იმას, რომ „ოვსნი ქებულ იქმნენ, როგორადაც ადვილად შემთვისებელნი“ ქართული ანბანისა. მისი მცოდნენი დავით აღმაშენებლის დროიდან განსაკუთრებით „მრავლად იყო მოფენილი... ოსეთში ოსებს შორის“⁶ როგორც სასულიერო, ისე მეფეთა და დიდგვაროვანებში. ხსენებული მეფის დროს გიორგი ჭყონდიდელმა ოსეთში „...ოვსთა შვილთათვის დააარსა სასწავლებლები, უწყო მათ აღზრდა, გამოწვრთნა“⁷...

თამარ მეფის დედა ბურდუხანი ოსთა ქალებს „მრავლად ზრდიდა თავის ოჯახში“ და ცხადია, რომ ისინი ფრიად განათლებულნი იყვნენ. ი. გოგებაშვილი იმავე მეფის დავით სოსლანზე გათხოვების ამბის თხრობისას, ჩერდება ქართველი და ოსი ხალხების სიახლოვეზე და შენიშნავს: თამარმა გააძლიერა „ყოველ კავკასიის ტომში სახარების სწავლა“, ეკლესიები ააგო ოსეთშიცაო (ტ. 6, გვ. 676—677).

ცხადია, დავით სოსლანის „დასიძებამ ხელი შეუწყო ოსეთში ქართული მწიგნობრობის აღორძინებას“⁸.

მონგოლთა მიერ კავკასიის ხალხების დარბევითა და ბატონობის წლებში ქართველთა და ოსთა კულტურულ-ურთიერთობა შენელდა, მაგრამ როგორც კი ამ ხალხებმა ეს უღელი მოიშორეს, კვლავ ერთმანეთს დაუახლოვდნენ. 1640 წელს კახთა მეფე თეიმურაზმა „შეადგინა“

5 ზ. კიკინაძე. ოსების გამაჰმადიანება იხ. ავტორის კრებულში „ქართველების გამაჰმადიანება...“ თბ., 1915, გვ. 193—194.

6 ზ. კიკინაძე. ციტ. ნ. შრომი, გვ. 79. ტ. სარიშვილი. სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი სამხრეთ ოსეთში, ცხინვალი, 1952, გვ. 16—17.

7 იქვე, გვ. 152, მეორეში — გვ. 23.

8 ტ. სარიშვილი. იქვე, გვ. 28.

ოსთა ძეთა დასი და მათ მიუჩინა წერა-კითხვის მასწავლებელნი, რომელთაც ოსეთში გახსნეს სკოლები“⁹.

მათში აღზრდილი თაობებიდან არაერთი განმანათლებელია ცნობილი. ამის გარდაც, ოსების გამაჰმადიანებული ნაწილის ხელახლა მოქცევის საკითხზე რუსთა ყურადღება ქართველებმა გაამახვილეს 1742 წელს¹⁰ რუსეთის მთავრობამ სანქცია მიიღო 1743 წელს და 1745 წელს ოსთა სასულიერო კომისია უკვე ოსეთში იმყოფებოდა¹¹. ამიერიდან ქართველი და რუსი მისიონერები აქ ერთად მოქმედებდნენ.

ქართველი და ოსი ხალხების კეთილი ურთიერთობის შედეგია, რომ მათ შედარებით გვიანდელ სამყოფელში არსებობს ქართული წარწერებიანი თავდაცვითი და საკულტო ნაგებობები და ასეთებს ოსებიც იცავენენ. თავიანთ სააღმშენებლო ტექნიკასთან ერთად, შეისწავლეს ხსენებულ „ნაგებობათა ტექნიკაც, ოსტატობა, ხელოსნობა, ხელოვნება და სხვანი“¹².

ი. გოგებაშვილმა იცოდა, რომ განათლება მხოლოდ ანბანის შესწავლა არაა, იგი მრავალი კომპონენტისაგან შედგება და მათ შორის ტექნიკურ გამოცდილებათა გაზიარებასაც აქვს მნიშვნელობა.

ადრე ოსეთში მღვდელმსახურებისას ქართულ ხელნაწერებს იყენებდნენ. 1720-იანი წლებიდან კი ვახტანგ მეექვსისა და ქართულ სხვა სტამბებში ნაბეჭდი, აგრეთვე სხვაგან გამოცემული ოსური და რუსული წიგნებითაც სარგებლობდნენ.

ოსეთის ისტორიის ავტორები საფუძვლიანად აღნიშნავენ, რომ პირველი ხელნაწერი წიგნი (სასულიერო შინაარსისა) ქართულიდან ითარგმნა ოსურ ენაზე ქართული ანბანით, იღუმენ გრიგორის მიერ 1743—1753 წლებს შორის. ეს საქმე წარმატებით განაგრძო მოზდოკის ეპისკოპოსმა ქართველმა გაიოზმა (გაი, „ტოკაოვი“), რომელმაც ოს მღვდელ პავლე გენცაუროვთან (დაიბადა 1764 წელს) და სხვებთან ერთად შეადგინა ოსური ანბანი და საეკლესიო-სლავეური ანბანის გამოყენებით, ქართულიდან ოსურ ენაზე ითარგმნა „პირველდაწყებითი საქარისტიანო მოძღვრება“ და გამოსცა იგი პარალელური სლავეური ტექსტით მოსკოვში 1798 წელს. ამ ცნობის დიდი მნიშვნელობისა და მეტი სიზუსტისათვის რუსულ ტექსტსაც მოვიყვანთ: „Первыми

⁹ ზ. კიკინაძე. ოსების ჩამოსახლება ქართლში... თბ., 1916, გვ. 14; შდრ. ტ. ს. სარციშვილი. ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა, 1801—1921, 1965, გვ. 10.

¹⁰ История Северо-Осетинской АССР, მოსკოვი, 1959, გვ. 155.

¹¹ იქვე.

¹² ზ. კიკინაძე. ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულის წყაროებით, სურათებით, თბ., 1913, გვ. 8.

კიგამი (рукописными) «были переводы некоторых духовных книг с грузинского языка на осетинский, сделанные игуменом Григорием (между 1747 и 1753 гг.) грузинскими буквами. Эту работу по переводу на осетинский язык позже продолжал моздокский Эпископ Гайоз («Токаов»), который в месте со священником осетином Павлом Генцауровым и другими составил осетинскую азбуку на основе церковно-славянского алфавита и перевел с грузинского языка на осетинский с параллельным славянским текстом. «Начальное учение человеком, хатящым учпться книг божественного писания»... (მოსკოვი, 1798)¹³.

ვინც ეს არ იცის, მისთვის საინტერესო იქნება გაიცნოს გაიოზის (1746—1821) ვინაობა. მას უსწავლია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სემინარიაში (1775 წლამდე), ხოლო 1778 წელს კი მოსკოვის სასულიერო აკადემია დაუსრულებია. თბილისში რუსული სკოლისა და თელავში სემინარიის დაარსების ინიციატორი გაიოზი იმავე სემინარიის პირველი რექტორიც იყო. 1783 წელს მონაწილეობდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ტ რ ა კ ტ ა ტ ი ს მიღებისას გეორგიევსკში. 1785—1792 წლებში მოღვაწეობდა უკრაინასა და მოლდავეთში. იგი 1793 წელს დაუნიშნავთ ახალდაარსებული მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსად, და მასვე «ჩააბარეს გამგებლობა ოსებში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიისა»...¹⁴ აქვე მას გადმოუტანია მის მიერვე კრემენჩუგში შექმნილი ქ ა რ თ უ ლ ი ს ტ ა მ ბ ა (1796—1801)¹⁵.

გაიოზს გვარად ზოგან ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ა დ და ერთგან ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ა დ ა ც იხსენიებენ. არც ერთი ეს სწორი არაა. ოსტოის ისტორიაში იგი ტ ო კ ა ე ვ - ა დ წერია. მაშასადამე, თ ო ყ ა ს შ ვ ი ლ ი ა ნ თ ა ყ ა ს ძ ე იყო¹⁶. მისთვისვე ერეკლე მეორეს გვარი ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი უბოძებია¹⁷.

ცნობილია, რომ 1814 წელს შეიქმნა ო ს ე თ შ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს. აღმდგენი კ ო მ ი ს ი ა; 1860 წელს კი დაარსდა კ ა ვ - კ ა ს ი ა შ ი მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ უ რ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს აღმდგენი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა. 1870 წელს მოზდოკსა და ყიზლარში ჩამოყალიბდა ო ს ე ბ ი ს კ ო მ ი ს ი ა. ყველა ამათ ფრიად

¹³ История Северо-Осетинской АССР, გვ. 159.

¹⁴ ტ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 338—389.

¹⁵ პ. გუგუშვილი. ქართული წიგნი. 1629—1929, გვ. 74.

¹⁶ ტ. რ. რუხაძე. ქართული ეპოსი. «გარდამავალი ხანის» ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 98—99.

¹⁷ ტ. რ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბ., 1960, გვ. 357. აგრეთვე მაშია დარჩიას სპეციალური ნაშრომი გაიოზ რექტორზე.

ნეუწყვეს ხელ: ოსეთში მაჰმადიანობის შებოქვასა და ხალხის გათვითცნობიერებას. კიდევ უფრო დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი ისაა, რომ საქართველოში განათლებამიღებულმა ოსმა ივანე იალღუზიძემ (1775—1830) „1821 წელს თბილისში დაბეჭდა პირველი ოსური ანბანის წიგნი, შედგენილი ქართული გრაფიკის საფუძველზე; ქართული ენიდან თარგმნა სახარება ოსურ ენაზე და იმავე ანბანით სხვა წიგნებიც გამოსცა (1820—1824 წლები), მაგრამ ავტორის გარდაცვალების (1830 წ.) შემდეგ შეწყდა ამ ანბანით ოსური წიგნების ბეჭდვა «Так как с установлением в Осетии дарской администрации оно не соответствовало больше интересам русификаторской политики царизма»¹⁸.

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამს, რომ სკოლა ცარიზმის ხელში რუსიფიკატორული მიზნების მძლავრ იარაღს წარმოადგენდა. ი. გოგებაშვილის სიტყვებით, ცარიზმს სჭირდებოდა ხალხებს შორის შუღლის გაღვივება, „ძმური განწყობილების ჩაშლა“, „ეროვნული კულტურის განვითარების შეფერხება“, მეზობლების ურთიერთზე წაყიდება...¹⁹.

ოსი ხალხი სპეციალური მითითების საგანიც კი გამხდარა — 1871 წლის სათანადო დებულებაში პირდაპირაა ჩაწერილი: სწავლება, რუსულ ენაზე მიმდინარეობს, თათრული და ოსური ენები შეიძლება ისწავლებოდეს მხოლოდ საკლასო საათების შემდეგ და მასწავლებელს შრომა აუნაზღაურდება არა სახელმწიფოს, არამედ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერო...

«Язык татарский и осетинский полагаются вне классного времени и на уплату учителям этих языков Обществом восстановления христианства на Кавказе»²⁰...

ქართველ მოწაფეთათვისაც საგნები რუსულად უნდა ესწავლებინათ; შეიძლებოდა რომელიმე სპეციალური ცნების ქართული სახელის ხსენებაც, მაგრამ თუ კლასში არაქართველიც ერიო, მაშინ მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა ელაპარაკათ ისევე, როგორც ეს მე-4 კლასიდან საერთოდ იყო მიღებული. მაშინ იხმარებოდა სიტყვები: ნოსარი, ნოსომხარი და ა. შ. ასეთ ბავშვებს ი. გოგებაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით და სათუთად ეპყრობოდა. ამიტომაც აღუდგა იგი წინ დეკანოზ ვოსტარგოვის პროექტს და წერდა: თუ აქამდის „ქართველი გლეხობა ნოსართა და სომეხთ ძმურად

¹⁸ История Северо-Осетинской АССР, გვ. 161. გვ. 160-ზე ი. იალღუზიძე 1770 წელს დაბადებულად იხსენიება; უნდა იყოს 1775.

¹⁹ ტ. სარიშვილი. სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი სამხრეთ ოსეთში, გვ. 84.

²⁰ ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები), თბ., 1951, გვ. 33—34.

ეპერობოდა, და თავისიანებისაგან არ არჩეედა“, ახლა მათ ერთმანეთს უპირისპირებენ, მათ შორის მტრობას ნერგავენ. ხსენებულ ბავშვებს მზრუნველობას ვერ მოვაკლებთო. ამავე დროს ჩვენი პედაგოგი ოსეთის სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების მოწყობას ისევე მტკიცედ მოითხოვდა, როგორც „საქართველოში მოსწავლეთა აღზრდის მთელი საქმის დედაენაზე დამყარებას“²¹. თუკი რომელიმე არაოსს განათლებისათვის საყურადღებო რამ გაუკეთებია, ასეთთა შორის უმნიშვნელოვანესი იაკობ გოგებაშვილია. ამის დადასტურებაა, რომ „1879—1905 წლებში ოსეთის სკოლებში ქართული და რუსული ენები იაქ. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა“²².

ოსური გაზეთის „ნოე ცარდ-ის“ („ახალი ცხოვრება“, 1907 წ. № 24) კორესპონდენტი პედაგოგი ლაპარაკობს: „24 წლის განმავლობაში ვასწავლიდი ბავშვებს გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოთი“, რომელიც ყოველმხრივ სრულყოფილია“. შემდეგ გამოგზავნეს ბერძნული სკოლებისათვის შედგენილი კორხანიდის სახელმძღვანელო „ჟივოე სლოვო“, რომელიც თითქოს, ისევ გოგებაშვილის მეთოდით არის შედგენილი, მაგრამ მასში მასწავლებლობამ და მით უფრო მოწაფეობამ ვერაფერი გაიგოო...

ხსენებული ოსური გაზეთის (1907 წ. № 46) მეორე კორესპონდენტი წერს: „დღეს ჩვენს სკოლებში არ არის რუსული ენის არც ერთი კარგი სახელმძღვანელო“. უამისოდ ჩინებულ მასწავლებელსაც კი უპირს მუშაობა. „საქართველოში გამოჩნდა მეტად ჭკვიანი ადამიანი, სკოლის მცოდნე, გვარად — გოგებაშვილი. მან ქართული სკოლებისათვის შექმნა რუსული ენის სახელმძღვანელო, ეს წიგნი ძალიან კარგია, შედგენილია ოსტატურად. სხვა მსგავს წიგნთა შორის, იგი ისე ბრწყინავს, როგორც მზე ვარსკვლავთა შორის. ეს გონივრულად შედგენილი წიგნი „საყვარელი და გასაგებია“. ახლა (რეაქციის წლებში) კიო, — განაგრძობს კორესპონდენტი, — „გოგებაშვილი განდევნეს ჩვენი სკოლებიდან“, მის მაგივრად შემოიღეს მუნჯური მეთოდით სასწავლო წიგნი; დღეს სკოლაში მოწაფე გარინდულია და რალა უნდა შეითვისოსო, — და მოუწოდებს პედაგოგებს, — ისევ გოგებაშვილის წიგნით ასწავლეთო (ტ. სარიშვილი, იქვე, 76—77).

„ოსეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა კრებას დაუდგენია ოსთა ყველა სამრევლო-საეკლესიო სკოლებში რუსუ-

21 ტ. სარიშვილი. სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი სამხრეთ ოსეთში, გვ. 77—78.

22 ტ. სარიშვილი. ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა, თბ., 1955, გვ. 33.

ლი ენის სახელმძღვანელოდ ჩვენის პედაგოგის ი. გოგებაშვილის „რუს-სკოე სლოვო“ შემოიღონ“²³. ყაზანის გუბერნიის საერო გამგეობა თბილისიდან იბარებს გოგებაშვილის ამ სახელმძღვანელოს და ავრცელებს ყოველ მაზრაში²⁴. მასვე პეტერბურგშიც იწერდნენ და ძმები ბაშმაკოვების წიგნის მაღაზია ავრცელებდა (ი. გოგებაშვილი, ტ. 7, გვ. 615).

გამოჩენილი ოსი პედაგოგი, ავტორი სახელმძღვანელოებისა და საზოგადო მოღვაწე ხალაშპრე უ რ უ ი მ ა გ ო ვ ი (1870—1919) რუსულ გაზეთ „კაზბეკ“-ში „უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა ს ა ძ ლ ე ვ ს ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს „ რ უ ს ს კ ო ე ს ლ ო ვ ო “-ს ო ს უ რ ს კ ო ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს²⁵. თვითონ ი. გოგებაშვილიც აღნიშნავდა: ბ-ნი ურუი-მაგოვის აზრით, „რუსსკოე სლოვო“ „შედგენილია ბავშვთა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის კარგი მცოდნე ქართველის მიერ ქართველ ბავშვებისათვისვე. ყოველივე ექვს გარეშეა, რომ სახელმძღვანელოს ორსავე ნაწილის მასალა მეტად კარგად არის დალაგებულ-დაწყობილი და აღებულია ეს მასალა იმ წრის ცხოვრებიდან, სადაც ეს ბავშვები იზრდებიან“ (ტ. 7, გვ. 604).

ოსი პედაგოგი ათანასე გასიევი (1844—1915), ავტორი ოსური ენის სახელმძღვანელოსი, ი. გოგებაშვილის ნაშრომის მსგავსად დაწერილი „მასწავლებელთა დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოსი“ (1891), „ოსური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისა“ და სხვა წიგნებისა ი. გოგებაშვილთან ერთად იბრძოდა „ტიფლისსკიი ვესტნიკში“ ერთ-ერთი თბილისელი პედაგოგის ანტიპედაგოგიური შეხედულებების წინააღმდეგ და გოგებაშვილის პოზიციებს იცავდა. „ტერგვსკოე ვედომოსტიდან“ გაზ. „ივერიაში“ (1901 წ. №158) გადმობეჭდილი წერილიც იუწყება, რომ ადგილობრივ ყველა სამრევლო სკოლაში შემოულიათ გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“ (იხ. გაზ. „კვალი“, 1901 წ. № 14). გოგებაშვილის იგივე სახელმძღვანელო ოსეთის სკოლებში ყოფილა მიღებული (ი. გოგებაშვილი, ტ. 10, გვ. 136, № 187).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ოსური ლიტერატურის უთვალსაჩინოესი კლასიკოსი კოსტა ხეთაგუროვი, დიდად აფასებდა ი. გოგებაშვილის მოღვაწეობას საერთოდ და კერძოდ — მის კეთილ დამოკიდებულებას ოსთადმი. კ. ხეთაგუროვი გაზ. „სევერ-

²³ გაზ. „ივერია“, 1901, № 158.

²⁴ „ივერია“, 1903, № 171; ტ. 7, გვ. 614; ტ. ს ა რ ო შ ვ ი ლ ი. მნიშვნელოვანი ნაშრომი ი. გოგებაშვილზე (წინამდებარე წიგნის I გამოცემაზე). — გაზ. „სახალხო განათლება“, 1973 წ. 23 ნოემბერი, № 94, გვ. 4.

²⁵ ხ. უ რ უ ი მ ა გ ო ვ ი ს ნარკვევის ქართული თარგმანი იხ. „ივერია“, 1900 წ. № 78, გვ. 3.

ნიი კავკაზ“-ში (1901, № 88) წერდა: ჩრდ. ოსეთის საეკლესიო-სამრევ-
ლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ სასკოლო ცხოვრების მე-
ტად რთული ამოცანა წამოაყენა. „ცოტად თუ ბევრად გამოსადეგ
სახელმძღვანელოს უქონლობის გამო, ყრილობამ დაადგინა: ოსურ
სკოლებში შემოღებულ იქნას ცნობილი სახელმძღვა-
ნელო რუსული ენისა — იაკ. გოგებაშვილის — „რუსსკოე სლოვო“²⁶.

იგივე სახელმძღვანელო ბევრგან იხმარებოდა არა მხოლოდ კავ-
კასიაში, არამედ შორეულ ჩუვაშეთშიც კი²⁷. მისდამი რეაქციის
წლებში განსაკუთრებული დევნა აიხსნება იმით, რომ იგი, მართალია,
კავკასიელებს კარგად ასწავლიდა რუსულ ენას, მაგრამ იმავე დროს
აცნობდა ქართულ ენასა და წერა-კითხვასაც, რომელსაც არამცთუ
ოსურსა და აფხაზურს, არამედ მეგრულსა და სვანურ სკოლებშიც კი
კრძალავდნენ²⁸. აფხაზეთში ამ სახელმძღვანელოს სხვა წიგნით შეცვ-
ლას ზოგი ადგილობრივიც მიმხრობია. ასეთებს გოგებაშვილი
პრესაში უწოდებდა პოლიტიკანებს და აცხადებდა: დედა-ენის ავლითა
და მეზობლების ერთმანეთზე წაყიდებით არავის სიკეთე არ მოელ-
სო. თუ ახლა აფხაზეთში საკუთარი „დედა-ენის“ შედგენა კირს, მიჰ-
ბაძონ ჩრდილოელ ოსებს, — „ამათ ისარგებლეს ქართული „დედა-
ენით“ და მოკლე ხანის განმავლობაში შექმნეს „ოსური დედა-ენა“.
რადგანაც სურათების დამზადება დიდ ხარჯს ითხოვს, მეზობლურად
ითხოვეს ქართველებისაგან კლიშეები, რომელნიც მათ სრულიად უფა-
სოდ დაეოპოთ“: „დედა-ენა“ დაბეჭდეს და „მოპფინეს ხალხში. ზედ
მიაყოლეს თარგმანი ქართულის საყმაწვილო მოთხრობებისა. პირვე-
ლად გადათარგმნეს, სომხებსავეთ, „იავნანამ რა ჰქმნა?“, ამისათვისაც
მოითხოვეს მოთხრობების კლიშეები და შეუდგნენ ბეჭდვასა. სთარგმ-
ნიან აგრეთვე ქართულიდან სხვა მოთხრობებსაც“²⁹.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ. რომ
იაკობ გოგებაშვილი გახლდათ ოსი ხალხის ქე-
თილის მყოფელი და არა ოსთაგან ოსთა ერთ-ერთი

26 კ. ხეთაგუროვი. რჩეული ნაწერების კრებული, ტ. III, 1951. (რუს. გამო.),
გვ. 185; ტ. სარიშვილი. ოსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედუ-
ლებანი, ცხინვალი, 1968, გვ. 236; აგრეთვე — ტ. სარიშვილის წერილი „სახლ-
ხო განათლება“, 1973, 23 ნოემბერი, № 94, გვ. 2.

27 ი. გოგებაშვილი, ტ. 10, გვ. 182, № 787.

28 თ. ეორდანიას. 1. ქართული ენისათვის ბრძოლა 1882—1910 წლებში. 2.
ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სანრველო სკოლებში? ქუთაისი, 1913.
ი. მეგრელიძე. გუგუზნაეები, თბ., 1987, გვ. 42.

29 ი. გოგებაშვილი. ტ. I, 1910, გვ. 499—ტ. 4, 1955, გვ. 175.

გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ე ლ ი ც. ამის საბუთად მარტო იმ ზემოხსენებულ ფაქტის დასახელება კმარა, რომ 1879—1905, ე. ი. მთელი 26 წლის განმავლობაში, ოსეთის სკოლებში რუსული ენა საერთოდ და ქართული ენაც სამხრეთ ოსეთში ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა. ამის გარდაც, იმავე მოღვაწის მიერ მცირერიცხოვან ერთა ხალხების თვითმყოფობისა და ეროვნულ უფლებათა დაცვისათვის ბრძოლა ოსთათვისაც იყო სასარგებლო.

ეპიტაფიები

ჩვენს ერთ-ერთ მონოგრაფიას ეწოდება „სიძველეები ლი-
ახვის ხეობაში“ (თბილისი, 1984; მასში ეპიტაფიები იხ. გვ.
108—112). წინასწარ გამოქვეყნებული მისი მეთე ნაკვეთი შე-
იცავს მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე ქალაქ გო-
რიდან სოფელ შინდისამდე მდებარე სათანადო სიძველეთა აღწერა-
დახასიათებას¹. იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელი ვარიანი
ლიახვის ხეობის აღნიშნულ მონაკვეთზე მდებარეობს გორიდან 12
კმ-ზე.

სოფლის სიძველეთა შორის, როგორც ისტორიული ძეგლი, სხვებ-
ზე უფრო საყურადღებოა ძველი, ახლა უკვე სოფლის გარეთ მდებარე,
ვარიანის დედაღვთისას ეკლესიის ნანგრევები, რომლის ირგვლივ სა-
საფლაოცაა.

ნანგრევებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით გოგებაშვილების საფ-
ლავებია. მათზე ქვები დაუდგმევიანებია და ეპიტაფიები შეუდგენია
თვით იაკობ გოგებაშვილს, პირველზე მხატვრული ჯვარია გამოსახუ-
ლი და შემდეგ ადვილად იკითხება

„ეს ძვა დამადო თავისს ძვირფასს

დედას შვილმა იაკობმა (.)

(სამხრეთიდან)

მოიხსენიე (.) უფალო (.) სასუფაველსა შენსა (,)

ოღეს გონვიდე სუფავითა შენითა (.) სოფლის

ჟ(ოვლა)დ წინედის ლუთის შოგლის ეპლანისი-

მლუდლის სვიმონ

(ჩრთილოეთიდან)

გოგებაშვილის მიულლე მამადან (.) გარდაცვალე-

ბული ჩოგ-სა ფლის ნომგზის ე-სა დღესა

შობითგან ძ-სა ფლისა (.) აღმოგითხველნო (.)

შენდოგა უბრძანეთ (!)“

ჩოგ—1873 წ.;ძა—61.

იქვე, სრულიად ისეთსავე ქვაზე, როგორც მაგდანასია, ზემოდან
უწარწეროდ ჯვარია გამოკვეთილი და სამხრეთიდან წერია:

¹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა
ვანყოფილების ორგანო „მეცნიერება“, 1966, № 3, გვ. 245—259.

„ამა ლოდსა ძვეში განისვენებს გვაჲი სოფლის
პარიანის ყ(ოვლა)დ წმინდის მღუთის შოგლის
ეკლესიის მღუდლის სვიმონ გობეზაშვილისა (,)
რომელიც

ჩრდილოეთიდან

მიცვალა აშიერ სოფლით ჩუბთ-სა წელსა დეკემბ-
რის ზ-სა დღესა. შობიღბან ძღ-ს წლისა (.) აღმაშ-
კითხველნო (.) შენდობა უბრძანეთ (!) ეს ძვეა და-
ადო თავისს ძვირფასს მამას შვილმა იაკოვმა (.)“

ჩუბთ=1869; ზღ=64,

ეპიტაფიის უკანასკნელ სიტყვაში ადგილობრივი გამოთქმაა შეპა-
რული, ვარიანში გავიგონეთ იაკოფი, ნაცულად იაკობისა.

იქვე ქვაზე:

„ამომიხსენა (,) უფალო (,) ლოდსა ამასა ძვეში მღე-
ბარი პარიანის კ(რ)იჩადნიკი ივანე გობეზაშვილი (.)
გარდავიცვალა ოცდაცხრამეტი წლისა (.) აღმოგაპითხვე-
ლნო (.) ბთხოვთ შენდობა მიბრძანეთ (!)

ჩუბზ-სა წელსა მარტის იმ დღესა“.

ჩუბზ=1867 წელს; ივ=16.

გადმოგვცემენ, რომ ეს იყო იაკობის უფროსი ძმა; მან ხელი შე-
უწყო იაკობს სწავლაში (შდრ. დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ბიოგ-
რაფია, თბ., 1940, გვ. 17).

იქვეა საფლავის ქვები იაკობის ძმებისა: ანდრიასა და შაქროსი,
რომლებიც მთავარდიაკვნები ყოფილან.

მთავარდიაკონი ანდრია გოგებაშვილის მეუღლე ეკატერინე 1897
წლის 26 იანვარს გარდაიცვალა შობიდან 47 წლისა.

ვარიანშივე გვითხრეს: უკანასკნელი სამი საფლავის (ანდრიას, შაქ-
როსა და ეკატერინესი) ქვებიც იაკობის მიერაა ნაყიდიო. მთქმელები
კი შედარებით ახალგაზრდები იყვნენ. აქვე იაკობის მახლობელი მო-
ხუცები ვერ ვნახეთ და ჩვენ ვარიანიდან არც თუ ისე დაშორებული
სოფელ შერთულის (აქ ერთვის დიდ ლიახვს პატარა ლიახვი) მცხოვ-
რებ ლიზა ზაქარიას ასულ გოგებაშვილ-დადიანიძესთან (იაკობის ძმის-
წული, დაიბადა 1873 წ.) ავედით, რომელთანაც წინათაც ვყოფილვართ.

2 ი. მ. გ. რ. ე. ლ. ლიახვის ხეობის სიძველეები და მათი წარწერები, I.—ცხინ-
ვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, III. თბილისი-ცხინვა-
ლი, 1957 წ., გვ. 248., მ ის ი ვ ე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 110—111.

მან დაადასტურა, რომ მამამისის შაქროსა (ზემოხსენებული ზაქარას) და ვარიანელი გოგებაშვილების საფლავის ქვები იაკობის მიერაა ნაყიდი და წარწერებიც ბიძამისის, ე. ი. იაკობის მიერაა შეთხზული. ლიზა დასძენს, რომ ბიძაჩემი იშვიათად ჩამოდიოდა ვარიანში, დაშინებული ოყო ხაშმითო (მალარიით), მაგრამ როცა ჩამოვიდოდა ხოლმე, სოფლის სკოლას, გაჭირვებულ გლეხებსა და სასაფლაოებს უვილიდაო.

სხვათა შორის აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ლიზასთან 1954 წელს იაკობის უცნობი სურათი და „დედა-ენის“ ერთი ადრინდელი გამოცემათაგანის ეგზემპლარი ვნახეთ. ლიზამ ღიმილით თქვა: „ეგ წიგნი ძიამ (იაკობმა) მზითებზე დამიღო; სურათი კი თბილისში ჩასულ ჩემს მეუღლეს აჩუქა...“

დასახელებული წიგნი და სურათი ლიზამ თავისი ვაჟის — ეახტანგ დადიანიძისა და ამისი ასულის — ლიანას თანდასწრებით ჩვენ გვისახსოვრა. ეს წიგნი და ფოტოსურათის პირი იაკობ გოგებაშვილის დიდ მოამაგეს, დაუვიწყარ მეგობარ პროფესორ გიორგი თავზიშვილს გადავეცით...

ზედმეტი არ იქნება, ორიოდ სიტყვა თვითონ იაკობ გოგებაშვილის განსასვენებელსა და წინანდელ საცხოვრებელ ბინაზეც ვთქვათ.

ი. გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს თბილისში. ამასთან დაკავშირებული და მისი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალვის ამბები დაწერილებითაა ცნობილი³.

და მოხდა საოცრება: როდესაც ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, 1940 წელს ამ მოღვაწის ნეშტის მთაწმინდის პანთეონში გადასვენება გადაწყდა, საფლავის პოვნა გაჭირდა.

დაკითხულ იქნენ დაკრძალვის დამსწრენი; აღწერეს ისიც კი, როგორ იყო შემოსილი მიცვალებული, მაგრამ საფლავის ზუსტ ადგილმდებარეობაზე ვეღარ უთითებდნენ.

მთავრობის საიუბილეო კომისიის, მიცვალებულის ახლო ნათესაეებისა და რიგ მოქალაქეთა თანდასწრებით 1940 წლის 27 ოქტომბერს გაითხარა ნეკროპოლი საფლავი. მრავალმხრივ დადასტურდა, რომ ნეშტი უეჭველად ი. გოგებაშვილისა იყო.

სპეციალური საექიმო კომისიის მიერ (პროფ. ვ. ყლენტი და სხვ.) ნეშტის შესახებ სათანადო აქტის შედგენისა და საიუბილეო კომისიის მონაწილეობით ნეშტისავე ახალ კუბოში გადასვენების შემდეგ, იგი

³ საკითხის ბიბლიოგრაფია იხ. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 10, 1966, გვ. 236—237.

იმავე დღის 3 საათზე ასვენდა მთაწმინდის მწერალთა პანთეონზე და დაკრძალულ იქნა იქ ილია ჭავჭავაძის საფლავის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

საფლავის თავთან კვარცხლბეკზე დგას მოღვაწის ბიუსტი, თვით საფლავზე ძევის ქვაფილი, რომელიც გადაშლილ წიგნს მოგვაგონებს; მასზე წერია:

იაკობ გოგებაშვილი 1840	დედა ენა 1912
------------------------------	---------------------

ეს სწორი მინიშნებაა ი. გოგებაშვილის დამსახურებაზე.

ცნობილია სახლიც, რომელშიც ეს მოღვაწე უკანასკნელი თერთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. იგი მდებარეობს მთაწმინდისავე ფერდობზე ყიფიანის ქუჩის №1-ზე და მასზეა მიმაგრებული მემორიალური დაფა შემდეგი წარწერით:

**„ამ სახლში ცხოვრობდა
1901-1912 წლამდე და გარდაიცვალა
საქართველოს გამოჩენილი პედაგოგი
და საზოგადოებრივი მოღვაწე
იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი
1840-1912**

**В этом доме жил и скончался
Я. С. Гогобашвили“**

დასახელებული იუბილეს შემდეგაც დამსახურებული მამული-შვილის სახელის უკვდავსაყოფად სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაც განხორციელდა.

„ახურვალე ეროვნული გრძნობა არის უპირველესი რამ ქვეყნის ბედნიერებისათვის“.

ა. გოგებაშვილი

უქველად ძლიერი უნდა ყოფილიყო უძველესი ქართველი ტომების ნათესაური თვითშეგნება და თავდაცვითი კავშირი, რომლებითაც ქართველი ხალხი და ბოლოს ქართველი ერი ჩაიწყობებოდა. ეს ეროვნული თვითშეგნება ზოგჯერ, ალბათ, სუსტდებოდა კიდევ, მაგრამ იგი ძირითადად მზარდი იყო და ეს აღუღაბებდა ამ ერთ-ერთ უძველეს ხალხს, უამთა ორომტრიალს რომ გადაურჩა.

ჩვენი სამოციანი და მომდევნო წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ილია ჭავჭავაძე და მასთან ერთად აკაკი წერეთელი თავიანთ საქმეებსა და ნააზრევში უმთავრეს ადგილს ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და მასებში მის აღზრდას უთმობდნენ. მათი უახლოესი თანამებრძოლთაგანის იაკობ გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და მოღვაწეობის პირად მაგალითებზე თაობები იზრდებოდნენ. პატრიოტიზმის წარმმართველი იღუა ილია ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“ გადმოგვცა. იგი რომ 1861 წელს პეტერბურგიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, დაწერა და მოხვევის სიტყვებად დაბეჭდა: „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნენს“¹. მოხვევს ილიამ პასუხი კითხვით გასცა: „ეხლა რომ მშვიდობა არის?“² ილია და მისი თანამებრძოლნი საქართველოს რუსეთთან შეერთებას ამითაც ამართლებდნენ, — ამან გვარგუნა მშვიდობა, შეწყდა საქართველოზე თავდასხმები, ჩვენმა ხალხმა ფიზიკურად დაისვენა და გონებრივ საზრდოსაც დაეწაფა, გაძლიერდა ჩვენი ერის იდეურ-კულტურული წინსვლაო. ამავე აზრებს ავითარებდნენ შემდეგაც იგივე ილია, აკაკი, იაკობი და ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე და მათი თანამებრძოლები. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „საქართველო განუყოფელი ნაწილია რუსეთის საბელმწიფოსი, მაგრამ აწილი თავისებური, საკუთარი ენით, კულტურით, თვითმმართველობით“ (თხზულებანი, ტ. 4, გვ. 59).

აქედანვე ჩანს ისიც, რომ ხსენებული მოღვაწეები პატრიო-

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. 2, თბ., 1950, გვ. 2.

² იქვე.

ტიზმს უთავსებდნენ ინტერნაციონალიზმს. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამაგონებელია აკაკი წერეთლის სიტყვები: „იმას არ ეთქმის ადამიანი, ვინც ალიარებს მხოლოდ თავის ერს“.

ინტერნაციონალიზმის ამ ღალადისით ხელმძღვანელობდა იაკობი, როდესაც იგი, როგორც ზემოთაქვს დავრწმუნდით, დიდის გულისყურით ეპყრობოდა, უპირველესად ყოვლისა, მეზობლების — აფხაზების, ოსების, დაღესტნის ხალხებისა და სომხების საჭირობათა საკითხებს, — უაღრეს პატივს სცემდა თანამედროვე სომეხ კლასიკოს პედაგოგებს პეტრე შანშიევს (შარშიანცი), ლაზაროს ალაიანს (1840—1911) და სხვა ხალხების მოწინავე შვილებს, მთლიანად ხალხებსა და კერძოდ რუს ხალხს.

გასათვალისწინებელია კიდევ ის გარემოება, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ის თვალსაზრისი ნაციონალური კულტურის შესახებ, რომელიც ვ. ი. ლენინმა შემდეგ გამოთქვა: „არის ორი ნაციონალური კულტურა თვითვე ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების, და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლახანოვის სახელები“³. ასეთივე ორ-ორ კულტურას ასხვავებდა ლენინი უკრაინის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა კულტურებშიც.

ილია, აკაკი, იაკობი და სხვა ჩვენი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეები ემხრობოდნენ დიდი რუსეთის პროგრესულ ადამიანებს — ბელინსკის, გერცენს, დობროლუბოვს, ჩერნიშევსკის, ეწაფებოდნენ პუშკინის, ლერმონტოვის რუსულ ლიტერატურას და რუსულ ევროპიზებულ კულტურას; გმობდნენ ცარიზმის ნაციონალურ პოლიტიკას. ებრძოდნენ იმავე რუსეთის რეაქციულ ძალებს — კატკოვს, ლეონტიევს, პურიშკევიჩს, ლევიცკისა და მათდაგვართ.

ქართული ეროვნული თვითშეგნება განსაკუთრებით გააძლიერა თვით რუსეთის შიგნით წარმოქმნილმა წინააღმდეგობებმა და ცარიზმის დიდმპყრობელურმა პოლიტიკამ, სამოციან წლებში ბატონყმობის გადავარდნამ, 1876 წელს საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებამ (მის შესახებ იხ. ქვემოთ) და სხვა გარემოებებმა.

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ პირველი და უმთავრესი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩვენი მეთაურებისათვის იყო ეროვნული საკითხი, ჩვენ, ხაზს ვუსვამთ, რომ ეროვნების შენარჩუნების ძირითად ძალად რომანტიკოსი გრიგოლ ორ-

³ ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 20, თბ., 1951, გვ. 21.

ბელიანი ენას თვლიდა და ამიტომ წერდა: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს, ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმინდას“. ამავე აზრს იცავდნენ ჩვენი სამოციანელები. პირადად, იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა თხზულება „ბურჯი ეროვნებისა“, ეროვნება შენობას შეადარა და მის ბურჯად დედანა დაასახელა.

იაკობი წერდა: „მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი რამ ქვეყნის ბედნიერებისათვის“. მისივე სიტყვებით — „ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზედა სდგას, რამდენადაც ბევრი ჰყავს მას გულშემატყვიარი და ერთგული მამულიშვილი“⁴. ერთგულ შვილებში იგი არ რიცხავდა ცრუპატრიოტებსა და შოვინისტებს, ებრძოდა კოსმოპოლიტებს. ამავე დროს მან იცოდა, რომ ეროვნული სულისკვეთება — პატრიოტიზმი „არ არის თანდაყოლილი გრძნობა“, — იგი „აღზრდის საგანსა და შედეგს წარმოადგენს“⁵.

ამიტომ შეაქვეს ჩვენი პედაგოგიკის კლასიკოსს სახელმძღვანელოებში ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან. მაგალითად, „მოსწავლეებში პატრიოტული გრძნობის აღზრდისა და მათი ყოველმხრივი განათლებისათვის“⁶. ი. გოგებაშვილმა სახელმძღვანელოებში შეიტანა და ცალკეც გამოსცა ისტორიული მოთხრობა „სამასი თავდადებული გლეხი“. მასში აღწერილია, თუ როგორ გმირულად შეეწირა კრწანისის ცნობილ ომს სამასი გლეხი და ბრძოლის ველი კი არც ერთმა არ მიატოვა.

‘სტატია „ცხრა ძმანი ხერხეულიძენი“ გადმოგვცემს: ძმები „მხარდამხარ ებრძოდნენ მტერს. მათ არა ერთი იეროში სპარსელებისა უკუაქციეს“, მაგრამ სძლია მტრის მრავალრიცხოვანებაჲ. იქვე გაჩნდა დედა, იგი შვილებს ამხნევებდა, სასიკვდილოდ დაჭრილ ერთ ვაჟს რომ დროშა ხელიდან უვარდებოდა, დედა მას მეორე შვილს აწვდიდა და ასე გმირულად დაეცნენ ცხრანივე...

„დედა-ენაში“ შეტანილი სტატია „თავდადებული მღვდელი თევდორე“ მოგვითხრობს: ერთ ზაფხულს საქართველოს თათრები შემოესიენენ; მათ სურდათ სოფელ ახალქალაქში სააგარაკოდ მისული ქართველი მეფე შეეპყროთ. მტერმა მანგლისის ახლოს თევდორე მღვდელი დაიჭირეს და მოსთხოვეს, მეფესთან მიგვიყვანეო. მღვდელი მათ საწინააღმდეგო მხარეს, დაბურულ ტყეში შეუძღვა. თათრები მიხვდ-

4 ი. გოგებაშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1977, გვ. 25, — დ. ლორთქიფანიძის წინასიტყვაობიდან.

5 იქვე, შტრ. დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1955, გვ. 28.

6 დ. ლორთქიფანიძე, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 48.

ნენ, მათ მღვდელმა გზა აუქცია და ასო-ასოდ აკუწეს. მეფეს ეუწყა მტრის შემოსევა; თევდორეს მიერ დაყოვნებულ მტერს თავს დაესხა და გაანადგურა.

მღვდელი თევდორეს ლიტერატურული სახე იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ იგი ორეულია მ. ი. გლინკას ოპერის „ივანე სუსანიის“ მთავარი მოქმედი პირისა.

მოთხრობაში „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ ქარის ბრძოლაში გამარჯვებული ერეკლე ბედაურით შემოვიდა საინგილოში. „უცებ მეფეს თავზე ვილაცამ გადმოაყარა ზემოდან მთელი ბლუჯა ქლიავი“. „ხეზე თორმეთოდე წლის ინგილო გოგონა“ იყო.

მეფის მხლებლებმა მას შეუყვირეს: როგორ გაუბედე, ეს ჩვენს მეფესაო! გოგონამ ჩამოსძახა: ეგ რომ ჩვენი მეფე იყოს, სპარსულ ქუდს როგორ დაიხურავდაო... ერეკლემ გოგონა დააჩილდოვა და შემდეგ ის ქუდი აღარ ეტარებია.

მოთხრობას ახლავს ი. გოგებაშვილის შენიშვნა: „ეს ამბავი ქლიავის სროლისა ჩვენი მოგონილი არ არის, ხალხის თქმულებას შეადგენს“.

პატრიოტული მგზნებარებითვეა აღსავსე ი. გოგებაშვილის მიერ სახელმძღვანელოებში და სხვა კრებულებში შეტანილი ან ცალკე წიგნაკებად გამოცემული მოთხრობები: „ასპინძის ომი“, „სხივი წარსულისა“, „რანი ვიყავით გუშინ“, „ცოტნე დადიანი“, „იოთამ ზედგინიძე“, „გლეხი ბოსტავაშვილი“ და სხვ.

ამავე თვალსაზრისით სამახსოვროა რაფ. ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, რომლის შესანიშნავი ანალიზი მოგვცა ჩვენი პედაგოგის მიერ შედგენილ „დედა-ენასა“ და „ბუნების კარზე“ აღზრდილმა, გამოჩენილმა ქართველმა ფილოსოფოსმა მოსე გოგიბერიძემ. მისსავე „პრელუდიებში“ შთამბეჭდავადაა აღქმული ქართული პატრიოტიზმი არა საერთოდ, არამედ „ჯ ა ნ ს ა ღ ი პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი“⁷, რომელსაც ადრე იაკობი იცავდა.

ერისა და მამულის სიყვარულის სულისკვეთებითვეა გამსჭვალული იმავე სახელმძღვანელოებში დაბეჭდილი რიგი მოკლე მოთხრობები და ლექსები: ალ. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დ. მეგრელისა და სხვათა.

ნაწარმოებების შინაარსთა აღქმას ემსახურება იქვე მოთავსებული ილუსტრაციები — სურათები. ყველა ამათ შესახებ ი. გოგებაშვილი წერს: მხატვრული კმნილებანი ეკუთვნიან უმთავრესად „სახელოვან ქართველ მწერლებსა. დაწერილნი არიან ნამდვილი და წმინდა ქართუ-

7 მ. გოგიბერიძე, რჩული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 217 და შემდეგი. „ჯ ა ნ ს ა ღ ი პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ,

ლი ენით“ და „მაღალი მისწრაფებებით“. მხატვრულმა სურათებმა მოზარდ თაობაში, ენის ცოდნის გარდა, უნდა აღზარდონ „მხურვალე მამულიშვილის თვისებანი“. მათ უნდა „გაუთვალისწინოს მოსწავლეებს ჩვენი ერის ბედი და უბედობა, უმთავრესი ისტორიული მომენტები“. ავტორი იქვე დასძენს: „მასწავლებლებსა და მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ სამშობლოს ისტორიის შესწავლას უბრალო ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება არა აქვს მიზნად. დიდი ხანია ნათქვამია, ისტორია მოძღვარია ერისათ“ (ტ. 5, გვ. 242—243).

ერის მთლიანობის დაცვისათვის აუცილებელია საცხოვრებელი ტერიტორიის შენარჩუნება. ი. გოგებაშვილი ამის გამო წერდა: „მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“⁸.

ასეთივე ყურადღებით ეპყრობა იაკობი მშობლიური ბუნების, ფლორისა და ფაუნის, წიაღისეული სიმდიდრის, მთლიანად ქვეყნის ეკონომიურ საშუალებათა მიმართ პატრიოტიზმის აღზრდას ახალგაზრდობასა და უფროს თაობებში⁹.

ერის ტომობრივი, ტერიტორიული და ენობრივი მთლიანობის თაობაზე ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: „ისტორიულ მოთხრობებში ვხვდებით, ვარკვევთ, თუ რა ასუსტებდა წარსულში ჩვენს ერს და რა აყენებდა მას აყვავების გზაზე. მაგალითად, განცალკევება საქართველოს კუთხეებისა ნამდვილი მხამი იყო ჩვენი ერისათვის, ერთობა კი — უებარი წამალი“. ავტორი დასძენს: ჩვენ ხაზგასმით და არაერთხელ აღვნიშნავთ, — „ყმაწვილს ვუნერგავთ გულში, რომ ჩვენი ერის წარმატება და აყვავება ყოვლად შეუძლებელია ნაციონალური ერთობის გარეშე“. ამას ვნებს განხეთქილება მდიდარსა და ღარიბს შორის და პროვინციალიზმი, კუთხურობაო (იქვე, ხაზი ჩვენია. მ. შ.).

ენობრივი ერთიანობის, სალიტერატურო ენის მადულაბებელ მნიშვნელობაზე ერის მთლიანობისათვის ზემოთ არის ლაპარაკი, მას აქ აღარ გავიმეორებთ. შევჩერდებით ტერიტორიის მთლიანობის მნიშვნელობაზე ერის ცხოვრებაში. ი. გოგებაშვილი აღწერს მაშინდელი (უფრო სრული 900-იანი წლების) საქართველოს ნაწილებს, რომელ-

⁸ ი. გოგებაშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1977, გვ. 420, ხაზი ავტორისაა.

⁹ შდრ. ტ. სარიშვილი. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის აქტუალური საკითხები, თბ., 1978, გვ. 60.

თავან მესხეთ-ჯავახეთისა და აქარის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები: ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-ერუშეთი, ლივანა, ჭანეთი, საინგილო ახლა თურქეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიებზეა მოთავსებული. იგი ფერეიდანს უწოდებს „პატარა საქართველოს სპარსეთში“, აღნიშნავს ამ ქართველების ქიზიყიდან გასახლების ისტორიას, ასახელებს აფხაზეთსა და ოსეთს, „ამიერ-კავკასიის გუბერნიებსა“ და რუსეთს. ავტორს მათ შესახებ მოაქვს საუკეთესო ლექსები, წარმოადგენს ეთნოგრაფიული კუთხეების ტიპთა სურათებს და შენიშნავს: „ქართველებიც სილამაზით თავის სამშობლოს არ დაუვარდებიან, შთამომავლობით ისინი უწარჩინებულესს — კავკასიის — ტომს ეკუთვნიან და ნიჭიერ ხალხთა რიცხვში ურევიან“. შემდეგ კი იძლევა მეთოდოლოგიური მითითებებს: სამშობლოს დახასიათება მასწავლებელმა ბავშვებს უნდა დაუწყოს თავ-თავისი სოფლების, შემდეგ — მხარეებით: კახელებს კახეთით, ქართლებს, ქართლის იმერლებს იმერეთით და ა. შ. „და მხოლოდ შემდეგ დაიწყონ ამ წერილების (მხარეების აღწერის, ი. შ.) კითხვა და შესწავლა“, შემდეგ გააცნოს უცხოეთის მხარეები (ტ. 6, გვ. 572—573)¹⁰.

აქ თანმიმდევრობა ცოდნის გაფართოებაში მოხდენილად შეხამებული პატრიოტული გრძნობების შთანერგვასა და გაღრმავებასთან.

ტომებისა და ტერიტორიის, საარსებო საშუალებების (ეკონომიკის), ერთიანი სალიტერატურო ენის, მთლიანობაში წარმოდგენილი ერის — პატრიოტული მოტივების შემდეგ ი. გოგებაშვილი საგანგებოდ ჩერდება ინტერნაციონალურ მოტივზე. მისი სიტყვები: „კაი ხანია, რაც საქართველოს აღარ მტრობენ და აღარ აწუხებენ აღარც ლეკები, აღარც სპარსელები და აღარც სხვა წინანდელი მტრები. ამის გამო ჩვენც, ქართველებს, გემართებს ყოველ გვარს მტრობაზე მათ შესახებ ხელი ავიღოთ (და აღებული გვაქვს, საბედნიეროდ) და ვიქონიოთ კეთილი მეზობლობა, მეგობრული განწყობილება“. სამაგიეროდ, მაშინდელი მდგომარეობის მიხედვით, შენიშნავს ავტორი — მთელი ძალღონე შინაურ მტრებს — უსწავლელობასა და სიღარიბეს უნდა მოვახმაროთ (ტ. 5, გვ. 570).

ინტერნაციონალური მოტივის შესანიშნავი ნიმუშია ი. გოგებაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“ კახეთიდან გატაცებული პატარა გოგონა ქეთო 10 წელიწადს

¹⁰ „ბუნების კარის“ ამ 1912 წლის გამოცემის ტექსტს ვიმეორებთ უმთავრესად იმიტომ, რომ იგი გამოვიდა ი. გოგებაშვილის თვალმიდევნებით და მის შესახებ შემდგენელი წერდა: „ჩვენ ახლა სრულიად დამთავრებულად მიგვაჩნია „ბუნების კარი“ და ამიტომ მასში აღარ მოვახდენთ აღარავითარ ცვლილებას ახლო მომავალში“ (ტ. 6, გვ. 242).

იზრდებოდა დაღესტნელი ნაიბის ოჯახში და გალუკდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ რომ მამამ შეილი უკან გამოიტაცა, მშობლებს ველარ სცნობდა და აღმზრდელების ნატვრით იტანჯებოდა. შემთხვევით, ერთხელ დედამ ქეთოს „იავნანა“ უმღერა; ბავშვი გაერკვია, რაც მოხდა, დაუქავშირდა აღმზრდელებსაც, მშობლებიცა და ისინიც დედ-მამებად იწამა და ოჯახებიც დამეგობრდნენ. ოჯახთა მეგობრობა კი ხალხთა მეგობრობის ერთ-ერთი ბურჯია.

ეს ეხმაურება იაკობის სიტყვების ზემოციტირებულ იმ აზრს, რომ ოდინდელ მტერს თუ მოყვრობა სურს, ჩვენც ვემოყვროთ, ხალხთა მეგობრობა სასარგებლოაო. იგი სიამაყით ამბობდა: ქართველები „მოკლებულნი არიან ვიწრო ეროვნულ ინსტინქტს, გეარტომობის ცალმხრიობასა და აქვთ მიდრეკილება ფართო ადამიანობისადმი“¹¹. უნგარო „კაცთმოყვარეობა ქართველებს განასხვავებს თავიანთი ისტორიული არსებობის ყოველ ხანაში“¹².

ამავე დროს იაკობი იყო მტრებთან შეუურიგებელი, როგორც იგი ამას იჩენს დიდმპყრობელთა და ეროვნულ მჩაგვრელთა, ყოველგვარ ავაზაკთა, სიბოროტისა და სიყალბის ჩამდენთა მიმართ.

იაკობი სიკეთის მთესველი და მოძღვარია ჰუმანიზმისა; იგი ადამიანური გონიერულობისა და სულგრძელობის მქადაგებელი, სიმართლისა და სამართლიანობის ურყევი დამცველი, ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლია. ამიტომ იმეორებს სიტყვებს აკაკისა:

„მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს...“ (ტ. 6, გვ. 493).

ჩვენი პედაგოგი ცდილობდა „ადამიანში ადამიანობის, ჰუმანურობის, აღზრდას“¹³. იგი „მოითხოვდა აღზრდაში ასკეტიზმისა და განდევნილობის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრას“, აღსაზრდელებში ვაჟაკური, „ჩანმრთელი თვისებების განვითარებას“¹⁴. მოსწავლეთა ოპტიმისტური სულისკვეთებით გამსჭვალვას. იცოდა, რომ ოპტიმიზმი ჰუმანიზმის ერთ-ერთი მასაზრდოებელი ძალაა; ვინც მომავალს იმედითა და თვალნათლივ არ შეჰყურებს, იგი ოპტიმისტი ვერ იქნება.

ჰუმანიზმისადმი მხარდაჭერის შესანიშნავი ნიმუშია ი. გოგებაშვილის სტატია „სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავი ილიას მეუღ-

11 ი. გოგებაშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1977, გვ. 378.

12 იქვე, გვ. 379.

13 ციტ. კრებულში, დ. ლორთქიფანიძის წინასიტყვაობა, გვ. 26; უფრო ვრცლად — მისივე „დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1955.

14 იქვე.

ლისა“. მასში ვკითხულობთ: „გაზეტებში ლალადისი გაისმა ბოლო ხანს იმისა, რომ სამნი ილიას მკვლელები, რომელთაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუხაჯა, სიკვდილით არ იქნან დასჯილნი, რადგანაც ასეთი მათი დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგება კაცთმოყვარულ მიმართულებას უღმერთოდ მოკლულის პოეტისას“¹⁵.

თუ ეს ეროვნულსა და სხვა დიდ საერთო სახალხო საქმეს არ ენება, იაკობი მტრის შეწყალებასა და დანაშაულის პატიებას ამართლებს. ერთ-ერთ მაგალითს ასათაურებს „თავის განწირვა მტრისათვის“ (ტ. 5, გვ. 440—441). აქ ორ გადამტერებულ ყმაწვილთაგან ერთმა მეორე დახრჩობას გადაარჩინა. მას შემდეგ „წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები“.

იაკობს სწამს, რომ ბოროტება ისჯება, კეთილი და სიმართლე იმარჯვებს. იგი ასახელებს პირდაპირსა და ალეგორიულ მაგალითებს. მეორის ნიმუშებად მოაქვს: არწივი გაება გლეხის მახეში. მან იგი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა და გაუშვა. შემდეგ „მადლიერმა არწივმა ის ხიფათს გადაარჩინა, სამაგიერო სიკეთე გადაუხადა“.

დაბმულ ლომს თავგმა გადაუბრინა. ლომმა იგი დაიჭირა და უნდა შეექამა. თავგმა უთხრა ლომს: ჩემით მაინც ვერ გაძლები, გამიშვი და გამოგადგებიო. ლომს გაეცინა: რა უნდა მარგოს ამ უსუსურმაო, შემდეგ ლომი მონადირეებმა შეიპყრეს და დააბეს კიდეც. თავგმა თოკი გახრა და ლომი გაათავისუფლა.

ამით შეიძლება, ი. გოგებაშვილს იმის თქმაც სურდა, რომ სუსტებსაც შეუძლიათ დაეხმარონ ძლიერს. რუსეთი დიდია, მაგრამ მისთვის საქართველო და სხვა ასე მცირერიცხოვანი ერებიც სასარგებლოაო.

მაშინდელი მსოფლიო ვითარებების გამო, იაკობმა ეს ლომი დაბმულად წარმოსახა, — ასე ხატია იგი რუსული ენის სახელმძღვანელოს გარეკანზე და „დედაენაშიც“ (ტ. 3, 405), შეიძლება ესეც ალეგორია იყო მსგავსი იმისა, როგორც დიდ ილიას უყვარდა ს:სიმღერო ლექსი „მუმლი მუხასა“ და მღეროდა კიდეც“.

„მუმლი მუხასა გარს ეხვეოდა,
მუხა წაიქცა, მუმლი გადარჩა...“

ამავე შინაარსის სტატიებიც გვხვდება იაკობის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში. მაგალითად, — ლომი და კოლო (ტ. 6, გვ. 366—377) და სხვ.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში შეტანილი რიგი მასალა

¹⁵ ი. გოგებაშვილი. რჩული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, თბ., 1910, გვ. 549—550=ტ. 4, გვ. 222.

სხვისათვის უანგარო თავგანწირვის — ალტრუიზმის მაგალითებია და მათში მოქმედი სახეები ალტრუისტებად გვევლინებიან.

ი. გოგებაშვილი თავის ნაწერებსა და პედაგოგიურ რჩევა-დარიგებაში დიდ ადგილს უთმობს შრომის მოტივს. „ბუნების კარის“ პირველი — 1868 წლის გამოცემა იხსნება ლექსით „ჩერ სწავლა, მერმე ქეიფი“ (გვ. 15). ამას მომდევნო გამოცემაში შემდგენელი ცვლის ლექსით „ჩერ შრომა, მერმე ხტომა“.

იაკობი დროზე დასვენებასაც ურჩევს ყმაწვილს —

„გივლა, გეოფა სწავლა,
ახლა კარგია გავლა“.—

შრომის დიდება წითელ ხოლად გასდევს ჩვენს პედაგოგის რჩევა-დარიგებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავია სტატია „ორი სახნისი“. ორივე ერთმა მკვდელმა გააქეთა. ერთი კუთხეში ეგდო, მეორე ხნავდა. ისინი კაი ხნის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველმა ჰკითხა მეორეს: ეგრე რამ გაგალაპლაპაო. მან მიუგო: „შრომამაო“ (ტ. 5, გვ. 148).

იაკობი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კოლექტიურ შრომას. ამის ერთ-ერთ მაგალითად იგი იყენებს არაკს მეფესა და მის შვილებზე, მამამ სიკვდილის წინ ისრები მოატანინა შვილებს. შეჰკრა ერთად, მოსწია და ვერ დაამტვრია. მერმე კონა გახსნა და ცალ-ცალკე ყველა გატეხა. შვილებს უთხრა: აი, აგრე, თუ ერთად იქნებით, ვერ მოგერევიანო (ტ. 5, გვ. 271).

იაკობი ასახელებს ამავე შინაარსის სხვა მაგალითებსაც და ანდაზებს: წისქვილის ქვები რომ ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ, ცალმა რამდენიც უნდა იბრუნოს, ვერ დაფქვავსო“. „მარტოხელა პურის ჭამაშიაც ცოდვააო“ და სხვ. „რუსკოე სლოვოში“ შეაქვს რუსული ხალხური ზღაპარი „Реза“ — „თალგამი“. ბაბუამ თალგამი დარგო, დიდზე დიდი გაიზარდა. მარტომ ვერ მოთხარა, ცოლს დაუძახა. ორივე ეწევა ნაყოფს, კვლავ ვერ ამოიღეს. ქალმა შვილიშვილი გოგონა მოიხმო. უკვე სამნი ეწევიან; თალგამი მაინც ვერ მოთხარეს. გოგონამ ძალს დაუძახა, წლებზე ხელების მოკიდებით ერთმანეთს გადაებნენ, ბაბუა თალგამს ჩააფრინდა, მოსწიეს და მოთხარეს. (ტ. 7, გვ. 85, სურათი იხ. ზემოთ — № 9).

იაკობი გმობს შრომაში შეუთანხმებლობას („გედი“, „ქარიყლაპია და კუ“), სიჯიუტესა (ორი ჯიუტი თხა ხიდზე) და მკვეხარობას („მკვეხარა ქოთანია“, ტ. 5, გვ. 134); სძულს ბაქია და უყვარს მოკრძალებული. თავთავაშვერილსა და თავთავდახრილ პურის ღეროებს ადარებს ერთმანეთს, — თავაშვერილი უმარცვლო, ცარიელია, თავდახრილი მარცვლებითაა სავსეო.

იაკობი ებრაჱვის უმაღლრობას („კუ და მორიელი“, „ლორი მუხის ქვეშ“ და სხვ.), აქებს ჰკუჱმახვილობას (მეფე და მხატვარი“ და სხვ.), მდგომარეობისადმი მოქმედების შეფარდებასა და ყველაფერი იმას, რაც საჭიროა პატიოსანი ცხოვრებისათვის.

ეგოისტური ზრახვებისაგან შორს ყოფნისა და მომავლისადმი ზრუნვის ნიმუშია „დედა-ენაში“ სტატია „ბერიკაცი და ნამყენი“. ერთი ბერიკაცი ბაღში ვაშლებს ან: მყნევდა. მივიდა ყმაწვილი და უთხრა: რას იწუხებ თავს, მაგის ნაყოფს შენ ვერ მოესწრებიო. მოხუცმა უპასუხა: „ფუტკარიც კი მარტო თავისათვის არა შრომობსო“ (ტ. 5, გვ. 198).

ამავე მოტივეზეა აგებული „ბერიკაცის ნატვრა“ —

„ნეტავი ჩემი სასახლე მალა მთაზეა აგგო,
გამვლელ და გამომვლელისთვის ყოველ დღე კარი გაშელო“

(იქვე, გვ. 148)...

ჩვენი პედაგოგი გმირულ სულს უნერგავს აღსაზრდელს, იწონებს გამბედავს და მოხერხებულს, კიცხავს მშიშარასა და ლაჩარს.

ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას აქცევს გლეხის უმწეო მდგომარეობას. გლეხს ამეორებიანებს რ. ერისთავისა და ი. ჰავჭავაძის სიტყვებს:

„ე შავი მიწა მანც რომ სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ — რა ვიცი მე რალა დამაღონებდა“... (ტ. 6, გვ. 462).

„ერთ ბელ ქვეშა ვართ, ლაზავ, მე და შენ,
წილად გეარგუნეს შავი მიწა ჩვენ.“

შენ პირუტყვი ხარ და მე მტყუველი?
ეგ, ჩემო ლაზავ, ნუ შეგშურდება.
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება“.

(და სხვ., იქვე, გვ. 468).

მძიმე მდგომარეობისაგან გამოსვლის საშუალებად ჩვენი პედაგოგი თვლის ისევ შრომას, კერძოდ — განათლებას. სათანადო მოტივეების აუარებელი მაგალითია იაკობის სახელმძღვანელოებსა და დარიჯება-მითითებებში.

იაკობი წინ იცქირება, წარსულით თავის ქება, რომელიც უმთავრესად მოსახლეობის ქონებრივად შეძლებულ ფენებს ახასიათებდა, უაზრო და დასაგმობია. იგი ქადაგია იმისა, რომ თუ წინათ კარგნი ვიყავით, ახლა უკეთესი უნდა ვიყვნეთ; მომავალი კიდევ უფ-

რო კარგი უნდა გვექონდეს, — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

ამ მხრივაც ღრმავალი იაკობის მიერ სახელმძღვანელოში შეტანილი აკაკის არაკი „ბატები“. — აღაშინებს ეძინათ, როდესაც რომს მტრები შემოესივნენ. აყაყანდნენ ბატებო, აღაშინებმა გაიღვიძეს და ქალაქი იხსნეს. შემდეგ „გლეხი ბატებს მირეკავდა ბაზრისაკენ გასაყიდად“ და რომ არ დაგვიანებოდა, იმათ სახრეს გადაუქნევ-გადმოუქნევდა. აყაყანდნენ განწირულნი — როგორ გვიბედავ ამას, „იმ ბატების ნაშთები ვართ, რომ დაიხსნეს ერთხელ რომიო“... გლეხმა კი უპასუხა: „ვის რად უნდა, ვინ რა იყო ძველად“, თქვენ ხომ სხვად არა ვარგინხართ, „თუ არ ცეცხლზე შესაწველად“ (ტ. 6, გვ. 475).

დასახელებულთ გარდა, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსა და წიგნებში ცხოვრებისეულ მრავალ სხვა მოვლენასაც ვხვდებით, მაგრამ ყველა მათი აქ ჩამოთვლა და ანალიზი შორს წაგვიყვანს.

საერთო, განმაზოგადებელი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ი. გოგებაშვილის შემოქმედებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მოტივები არის პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. შრომის დიდება და ყოველგვარი მანკიერის უარყოფა. იაკობი ბრძანდება გონების კაცი. მის მოქმედებასა და ნააზრევში გონება მართავს გრძნობებსა და თვალს. ძირითადად იგი არის „ისეთი ტიპის დემოკრატი — განუანათლებელი, როგორც იყო კ. დ. უშინსკი“, ეროვნულ საკითხებში — უფრო ღრმა და მრავალმხრივიც.

მართალია, იაკობი „რადიკალურ-დემოკრატიულ, რევოლუციურ მსოფლმხედველობამდე ვერ ამაღლდა“ (დ. ლორთქიფანიძე), მაგრამ იგი არ ებღაუჭებოდა წარსულსა და დრომოკმულს. უარყოფდა რეგრესიულსა და ნეგატიურ მოვლენებს; თანმიმდევრულად უჭერდა მხარს, ნერგავდა და ავითარებდა პროგრესულ იდეებსა და ყოფით მხარეებს, სათანადო მოტივები შეჰქონდა სახელმძღვანელოებში, რომელთა საგრძნობი ნაწილი (200-მდე საბავშვო მოთხრობა და იგავ-არაკი) თვითონ მის მიერაა შექმნილი.

ამიტომაც, როგორც ეს აღნიშნულიცაა, იაკობ გოგებაშვილის სახელი ისე პოპულარულია ჩვენს ხალხში, როგორც ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა. აღზრდასთან დაკავშირებით საკმარისია ითქვას იაკობი. გასაგებია, რომ სიტყვა პედაგოგ გოგებაშვილს ეხება. იგი ეკუთვნის არა მხოლოდ წარსულს, არამედ თანამედროვეთა და მომავალსაც.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი ფილოლოგიური საქმიანობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წლის 15 მაისს დაარსდა. იგი ცარიზმის არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში იყო „ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა ქართველ ხალხს კულტურული საქმიანობით და ამით ხელს უწყობდა მის გათვითცნობიერებას“.

საზოგადოების დაარსების იდეა თერგდალეულებს დაებადათ. მათ სწადლათ ებრძოლათ არა მარტო ეროვნული, არამედ ისეთი ზოგადსაკაცობრიო იდეალებისათვის, როგორიცაა: ძმობა, ერთობ, თანასწორობა¹.

საზოგადოების ძირითადი მიზანი და პირდაპირი მოწოდება მაინც ეროვნული მნიშვნელობის იყო. ეს საზოგადოება იბრძოდა ცარიზმის კოლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. საზოგადოების მესვეურნი „ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდნენ ქართული ენისა და კულტურის დაცვას იმ საფრთხისაგან, რომელსაც მათ უქმნიდა მეფის თვითმპყრობელობა“².

ამისათვის საჭირო იყო ქართული სკოლების დაარსება და მათთვის კადრების მომზადება, ქართულად სწავლების შემოღება, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა და სცენისმოყვარულთა თეატრების შექმნა, სტამბის დაარსება და ქართული წიგნების (პირველ რიგში სასკოლო სახელმძღვანელოების) გამოცემა და გავრცელება.

მთავრობისაგან ნებართვის მიღებისთანავე შეუდგა საზოგადოება მოღვაწეობას. მის დამფუძნებლებს კარგად ესმოდათ საქმის გაშლის საჭიროება ზემოაღნიშნული ოფიციალური სამოქმედო პროგრამის გარეთაც. გამგეობის წევრები, როგორც ეს აღნიშნულია კიდევ მათი სხდომის ერთ-ერთ ოქმში, საზოგადოებას თვლიდნენ ჩვენი კულტურის თავშესაფარად და ეს მათ გაამართლეს კიდევ.

პირველ ხანებში საქმეს, მთავრობის მხრივ სამოქმედო პროგრამის შეზღუდვის გარდა, უსახსრობა აბრკოლებდა. საქმეს საზოგადოების დამფუძნებელთა და წევრთა მხოლოდ საწევრო გადასახადი არ ჰყოფნიდა. განმტკიცდა თუ არა საზოგადოების მდგომარეობა და გაიზარდა მისი ავტორიტეტიც. მას, მეტი წევრი გაუჩნდა. შეგნებული და შეძლებული ქართველები ახალ ორგანიზაციას სწირავდნენ ფულსა და ნივთებს. ზოგიერთმა მოღვაწემ მას მთელი თავისი უძრავ-მოდრავი

¹ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისი, 1950, გვ. XII.

² იქვე, გვ. XIII.

ქონებაც კი უანდერძა. როგორც, მაგ., ეს გააკეთეს ილია ქავჭავაძემ, დავით ჩუბინაშვილმა, ი. გოგებაშვილმა, ძმებმა ზუბალაშვილებმა, ნ. ლოლობერიძემ, ალ. ხახანაშვილმა, დავ. სარაჯიშვილმა, ა. წერეთელმა, კიტა აბაშიძემ და სხვებმა.

ცნობილია, რომ საზოგადოებას დაარსებისას (1879 წ.) მხოლოდ 245 წევრი გააჩნდა; 1913 წელს კი უკვე 2.883 წევრი ჰყავდა.

საზოგადოების ქონების საერთო ღირებულება 360.000 მანეთს აღემატებოდა 1914 წელს, ხოლო მისი საბრუნავი თანხა 123,437 მანეთს უდრიდა.

აღნიშნულ წელსავე საზოგადოება უკვე ინახავდა 18 სკოლას, რომლებშიც 26.763 ბავშვი იღებდა დაწყებით განათლებას. მასვე 1916 წელს 86 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა.

ახალმა ორგანიზაციამ უდიდესი ამაგი დასდო ქართულ კულტურას მითაც, რომ იგი „კრებდა და იცავდა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს: ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ხუროთმოძღვრების ნაშთებს, ძველ ქართულ მონეტებს, ფოლკლორულ მასალებს; ცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს, მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს, ხალხურ სიმღერებს, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს; საზოგადოება დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებს და საზოგადომოღვაწეებს, მოსწავლე ახალგაზრდობას და ქართულ კულტურულ დაწესებულებებს“³ საქართველოში და მის გარეთაც.

საზოგადოება, აღნიშნულია მისი არქივის⁴ საქმეში (№ 441, ფურც. 16), შეიძენს ქართულ წიგნებს და უცხო ენებზე ისეთებსაც, რომლებშიც კი რაიმე ცნობაა საქართველოსა და კავკასიის შესახებ, „შეიძენს ყოველნაირ ქართულს ხელნაწერს წიგნებს, კარტებს, გუჯრებს, ხრონოგრაფებს და სხვა ამ გვარსა“, რომლებითაც ისარგებლებენ არა მარტო წევრები საზოგადოებისა, არამედ ყველა, ვისაც კი ასეთები დასჭირდებოდა.

ხელნაწერების შეგროვების ერთი დამაბრკოლებელი მიზეზთაგანი იყო ის გარემოება, რომ ეკლესიაში დატულ ხელნაწერებს საეკლესიო ხელმძღვანელობა არ თმობდა.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრად არჩევის (1888 წ.) მეორე წელსავე, ე. თაყაიშვილს და ძველ წევრს ისტორიკოს დ. ბაქრაძეს მცხეთიდან მოაქვთ 58 ძველი ხელნაწერი და 50 სიგელ-გუჯარი. ამით

³ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, შ. ჩხეტიას და ა. იოელიძის რედაქციით, 1958 წ., გვ. XIX.

⁴ საქართველოს სსრ ცენტრარქივის 481 ფონდი: ქვემოთა, ყველგან, საქმის სათანადო ნომრის დასახელებისას იგივე ფონდი იგულისხმება.

საფუძველი ჩაეყარა „ქართულ საეკლესიო მუზეუმს“ იმ განზრახვით, რომ ოდესღაც ამ მუზეუმის ფონდიც საზოგადოების ხელნაწერებს მიემატებოდა, როგორც ეს შემდეგ მართლაც ასე მოხდა.

წიგნთსაცავის გაფართოების მიზნით, ე. თაყაიშვილის ინიციატივით საზოგადოება იძენს გარდაცვლილი დ. ბაქრაძის მდიდარ ბიბლიოთეკას, რომელშიც ხელნაწერებიც ბლომად იყო (1902 წ.). ე. თაყაიშვილი არ უშვებს არც ერთ შემთხვევას ქართული იშვიათი წიგნისა და ხელნაწერის შექმნის შესაძლებლობისა. ზოგიერთი ქართველი უფასოდაც უთმობდა საზოგადოებას წიგნებსა და ხელნაწერებს, რის ძვირფასი მაგალითი ადრევე უჩვენეს სხვებს ნიკო დადიანმა, რაფიელ ერისთავმა, გრიგოლ გურიელმა, დავით ქართველიშვილმა და სხვებმაც.

თუ რამდენად უანგარონი იყვნენ ამ შეწირულებებში შეგნებული ქართველები, უნდა დავასახელოთ დავით გიორგის ძე ქართველიშვილი. როდესაც ის საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს, მან გამგეობას მისწერა:

ერთხელ ილიას სადილი გაუმართეს თელავში და აქეს. მან უპასუხაო: ქართველები მარტო ფულის ხარჯვაში არ ყოფილხართ უხვი, ქება-დიდებაშიაც უხვი და მეტად მხარჯავი ხართო.

ასევეა, — განაგრძობს დ. ქართველიშვილი, — ჩემი საპატიო წევრად არჩევა. 9 თებერვალს, 1895 წლისა მოგართვით 763 ცალი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ ყდიანი და უყდო 210 ცალი, ვახუშტის „ისტორია“ 2.656 ცალი, „ვეფხისტყაოსნის“ სურათები 27 კლიშეთი და სხვა“. მათი გაყიდვით მიღებული თანხით საზოგადოებას სტამბა შეუქმენითო (ს.ქმე № 63).

1899 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ცალების ღირებულება 5.903 მანეთს უდრიდა.

1915 წლის იანვრისათვის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ინახებოდა 11.733 სახელწოდების ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. სიგელ-გუჯრებისა და სხვა დოკუმენტების რაოდენობა 1.341 ცალს შეადგენდა, ნუმიზმატიკური კოლექცია 5.340 ცალს აღწევდა (პროფ. ტრ. ხუნდაძე).

ხელნაწერებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობის ნივთების საზოგადოებაში თავმოყრამ მათი საიმედოდ დაცვის აუცილებლობის საკითხი დააყენა. გამგეობა სამუზეუმო ადგილის შექმნაზე ზრუნავდა. დაცულია ე. თაყაიშვილის მოხსენება (1905 წ.) საზოგადოების წიგნთსაცავისა და მუზეუმის უსაფრთხო ადგილზე მოთავსებისა და დაცვის შესახებ.

იგი წერდა: „ყველას კარგად მოგეხსენება, რომ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავი და მუზეუმი წარმოადგენს ერთადერთ დაწესებულებას ჩვენში, სადაც შეკრებილია მთელი ქართველთა ერის ცხოვრების, ლიტერატურის და მეცნიერების ნაშობი. ეს ისეთი განძია,

რომელიც ფასით არ იყიდება და თუ ერთხელ დაიკარგა, აღდგენა აღარ შეიძლება“. ახლა ისეთი დრო დადგა, — განაგრძობს ე. თაყაიშვილი, — კერძო პირებიც კი ვეღარ უვლიან თავინთ ქონებას; საზოგადოების წიგნსაცუი და მუზეუმი საშიშ ადგილზეა მოთავსებული, დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბოს გამგეობა მოწინავე ქართველობის თანდასწრებით და ეს საქმე მოაგვაროსო (საქმე № 967, გვ. 1).

მართლაც ხელნაწერები და ბიბლიოთეკა გადაიტანეს თბილისის ქართული გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის) შენობაში, და არ გასულა დიდი ხანი, რომ დაიწვა ქართული დრამატული თეატრის შენობა (1914 წ.) და მასთან არსებული ის ოთახიც, რომლებშიც აღრე აღნიშნული ხელნაწერები და წიგნები ელაგა.

ხელნაწერების მნიშვნელოვანი რაოდენობის საზოგადოებაში თავმოყრამ მათი დამუშავებებს საკითხიც დააყენა.

აქვე იქმნება „ქართულის ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე“. მისი ხელმძღვანელის ე. თაყაიშვილის გეგმით, წრემ უნდა მიაღწიოს იმას, რომ მან „გამოსცეს ყოველგვარი მასალა, რომელსაც ქართულის ისტორიისა და ლიტერატურისათვის აქვს მნიშვნელობა“.

ეს კი მოითხოვდა ფილოლოგიურ მუშაობას. აქ იგი იმ პრინციპებს დაეყრდნო, რომლებსაც მაშინდელი ტექნოლოგია ითვალისწინებდა. ე. თაყაიშვილი ძველი ხელნაწერების გამოცემას მოითხოვდა „იმ რიგად, იმ სახით და იმ ნიშნებით, როგორც ხელნაწერშია“ (საქმე № 546, ფ. 1—2, 1897 წ.).

შესწორებები, კომენტარები და ტექსტის ვარიანტები სხვა ხელნაწერების მიხედვით წიგნის შენიშვნებში უნდა ასახულიყო. ასევე ეპყრობოდნენ პოეზიისა და მხატვრული პროზის ახალ ტექსტებსაც.

რაც შეეხება გამოკვლევებსა და აღწერილობებს, აქ საზოგადოების გამგეობა აკისრებდა, თითოეული ასეთი წიგნის გამოცემის კომისიას ნაკლოვანებანი შეესწორებინა და საჭირო ადგილები შეევესო, გამოსაცემ მასალას უკეთებდნენ რედაქციას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რა თქმა უნდა, არ იყო საკვლევადიებო ინსტიტუტი, მაგრამ იგი ხელს უწყობდა უმთავრესად საზოგადოებაში და მის გარეთ შექმნილი სასარგებლო ნაშრომების გამოცემას და გავრცელებას. მას მწერალთა და მკვლევართა წასახალისებლად პრემიებიც კი ჰქონდა დაწესებული.

გამგეობის მიერ 1886 წლის 25 მარტს დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, საზოგადოებაში შეიქმნა საგამომცემლო კომისია.

ინსტრუქციის მეორე მუხლში წერია: „კომისიამ უნდა არჩიოს გამოსაცემად და ხალხში გასავრცელებლად იმისთანა წიგნები, რომელ-

ნიც გამოდგებიან სკოლებისათვის სახელმძღვანელოებად და სახალხო საკითხავად“ (საქმე № 123, ფ. 17).

გამგეობა აწარმოებდა მოლაპარაკებას ან მიწერ-მოწერას ავტორებთან ან მათ მემკვიდრეებთან. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით იწყება ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და სხვა ქართველი მწერლების ნაწერების გამოცემა (საქმე № 121, 1886 წ.).

საზოგადოებამ დიდი როლი ითამაშა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. ცნობილია, თუ რა მძიმე შრომა ეწეოდა ი. გოგებაშვილი სახელმძღვანელოების მასალის ფილოლოგიურად დამუშავებისა და პედაგოგიურად სრულყოფისათვის. საზოგადოებამ უზრუნველყო ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ I და II ნაწილების და „ბუნების კარის“ მეექვსე (1888 წ.) და შემდგომი გამოცემების ბეჭდვა და გავრცელება; აგრეთვე მანვე გამოსცა ი. გოგებაშვილის მიერვე შედგენილი „კოკორო ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, მე-10 გამ., შეკვლილი 1889 წ. 1894 წ. და 1900 წ. და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებიც.

აღნიშნული გამოცემების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ, როგორც ზემოთაა აღნიშნული, „დედა-ენა“ ნაწ. I, 1925 წლამდე 45-ჯერ გამოიცა, „დედა-ენა“ ნაწ. II, 1920 წლამდე 36-ჯერ დაიბეჭდა, ხოლო „ბუნების კარი“ 1918 წლამდე — 27-ჯერ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ი. გოგებაშვილი თვითონ ასწორებდა და დაიბარა კიდევ, მის შემდეგაც შესულიყო საჭირო ცვლილებანი მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში. საქმეებში აღნიშნულია: დადგა საჭიროება იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაში“ ცვლილებების შეტანისაო და მითითებაა გაკეთებული: „მიეწეროს თბილისის და ქუთაისის ქართული გიმნაზიის საპედაგოგო საბჭოს და აგრეთვე ბათუმის, კავკავის, სენაკის სკოლების საბჭოს და ეთხოვოს, თუ რა ცვლილება მიაჩნიათ მათ სასურველად შეტანილ იქნას ხსენებულ სახელმძღვანელოებში“ (შდრ. აგრეთვე საქმე №1643, 1916 წ.; 1817, 1918 წ. 2078, 1922 წ. და სხვ.).

1915—1916 წლებში დაისვა საკითხი ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოების მაჰმადიანთა სკოლებში სახმარებლად გადაკეთების შესახებ (№1510, 1915 წ.).

საზოგადოებამ 1898 წელს გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსანი“, ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილთათვის გ. იოსელიანის მიერ“, რომელიც, პოემის მოკლე შინაარსს გარდა, შეიცავს რუსთაველის აფორიზმებს და დიდაქტიკური მნიშვნელობის გამოთქმებს. მანვე უფრო გვიან გამოსცა: ივანე გომელაურის „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“, წ. II, გამოც. VIII (საზ. გამ., №203), თბ., 1920 წ. გიორგი ახვლედიანის „რუსული ენის გრამატიკა უმაღლეს დაწყებით სასწავლებ-

ლებისათვის, I, ფონეტიკა, II, მორფოლოგია" (საზ. №176), თბ., 1919 წ. და სხვ.

საზოგადოებას წინასწარ მიმოწერა ჰქონდა (1903) ჰქონდა ალ. ხახანაშვილთან, რუსულიდან ქართულად თარგმნა და გამოსცა მაშინ ერთადერთი სრული და თავის დროისათვის უმნიშვნელოვანესი წიგნი ავტორისა „ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის ვასელამდე)“, თბ., 1904 წ. (მე-2 გამოც., 1913 წ., მე-3—1919 წ.), მისივე „ქართული სიტყვიერების ისტორია (მე-19 საუკუნე)“, თბ., 1913 წ., 1917 წ.

საზოგადოებაზე გამოსცა აგრეთვე: ვასილ ბარნოვის „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, რვეული I“, თბ., 1919 (საზ. გამოც. №177), გიორგი ჯავახიშვილის „მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა (მიმოხილვა)“, ტ. I, 1920 წ. (მიმოწერა და ივ. გომართელის რედ. იხ. №1898, 1919 წ.), ხომლედი (ი. ფანცხავა), „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“ (1920 წ.) და სხვ.

საზოგადოება ზრუნავდა ჩვენი მწერლების ნაწერების გამოცემისათვის და მან თითქმის ყველა მათგანი გამოაქვეყნა.

მისი გამოცემებია:

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“, 4 პორტრეტით და 21 სურათით. მე-19 გამოცემა, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელი ლექსიკონით, თბ., 1903 წ. (იგივე მე-2 გამოც., 1920 წ. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დიდხანს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემათაგანი); იოანე შაეთელი. „აბღულ-მესიანი“, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობით და განმარტებით. 1920 წ.

ამათ გარდა, საზოგადოებამ გამოსცა ნაწერები, რომელთა ავტორები არიან: ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ი. გოგებაშვილი (მოთხრობები), ალ. ყაზბეგი, ე. ნინოშვილი (სამი ტომი), ნ. ლომოური, ე. გაბაშვილი, ი. ევდოშვილი, გ. ქუჩიშვილი, შ. მღვიმელი, შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, ლალიონი (ა. მამულაიშვილი „მოთხრობები“), გ. ქუჩიშვილი და სხვა მრავალი. ბევრი მათგანი რამდენიმეჯერაც კი გამოიცა.

ორიგინალურ ნაწარმოებებს გარდა, საზოგადოება აქვეყნებდა აგრეთვე თარგმანებს, საქმე №964 შეიცავს დადგენილებას ვაჟა-ფშაველას მიერ თარგმნილ „ორლეანელი ქალის“ (ქალწულის) გამოცემისა, რომელსაც ახლავს ი. ჭავჭავაძის შუამდგომლობა. საზოგადოებამ გამოაქვეყნა: კრილოვის იგავ-არაკები, რ. ერისთავის (1881 წ.) თარგმანი, იგივე ა. წერეთლის თარგმანი (რამდენიმეჯერმე გამოიცა), ს. ყიფიანის მიერ თარგმნილი შექსპირის „ოტელო“, „ჰამლეტი“; პუშკინის „თხზულებანი“ (1899 წ.), ნ. ყიფშიძის თარგმანი ჯოვანოლის „სპარტაკი“, ანასტ. თუმანიშვილის თარგმნილი დ. დეფოს „რობინზონ კრუზო“,

სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“ (ი. ცისკარიშვილის თარგმანი, 1904 წ.), ქრ. შმიდტის „მამის ერთგული“, „მტრედი“ (1895 წ.) და სხვ.

1895 წ. ერთ-ერთი საქმე შეიცავს ანგარიშებს ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „მაკბეტის“, „ოტელოს“, „რიჩარდ მესამისა“ და „ჰამლეტის“ შესახებ. გამოიცა აგრეთვე ნ. ურბნელის (ხიზანიშვილი ნიკო) „გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი“ (1889 წ.), ს. კაკაბაძის „გიორგი სააკაძე“ (1915 წ.), ერკმან-შატრიანის „გლეხი კაცის ისტორია“ (ფრანგულიდან ი. მაჭავარიანის მიერ თარგმნილი) და სხვა მრავალი.

წიგნების გამოცემა ხდებოდა ხელშეკრულებითა და შეთანხმებით. აქ ვაღვენთ ერთ-ერთი მათგანის ტექსტს.

„პირობის წერილი.

1896 წ. 13-ს იენისს მე ამის ქვემოთ ხელის მომწერელი ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი გაძლევთ ცალკე წიგნებად დასაბეჭდად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას შემდეგ ჩემს ნაწერებს: „ქუჩი“, „მთანი მალაღნი“, „დათვი“, „სოფლის სურათები“, „უძღური ვირი“, „ჩვენი მამალი“, „მელია კუდი გრძელია“ და აგრეთვე „მოთხრობანი“, რომელიც იყო დაბეჭდილი 1889 წელში და უკვე გაიყიდა. თვითეული წიგნაკი არ უნდა იყოს დაბეჭდილი ათას ორას ეგზემპლარზე მეტი და ფორმატიც უნდა ჰქონდეს თვითეულს წიგნის „მამის ერთგულისა“ (თარგმანი შუბათელისა) და თვითეულს ბეჭდურს თაბახში, ე. ი. ოცდათორმეტს გვერდში, უნდა მივიღო გამგეობისაგან ორი თუმანი, რომელიც წიგნის დაბეჭდვისთანავე გამგეობამ სრულიად უნდა ჩამაბაროს ჰონორარის ანგარიშში. წინდაწინვე მივიღე ოცდახუთი მანეთი.

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი)“.

საზოგადოების ყურადღება ექცეოდა ხალხური სიტყვიერებისა და ხალხური მუსიკის შეკრება-დამუშავებისა და გამოცემა-გავრცელების საქმესაც⁵.

ძალიან საყურადღებოა და მეცნიერულ პრინციპზეა დაყრდნობილი საზოგადოების მიერ გამოცემული „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“ (თბ., 1882 წ.).

მასში ვკითხულობთ: „წერა-კითხვის საზოგადოებამ განიზრახა შეჰკრიბოს და დაბეჭდოს ქართული სახალხო ლექსები, ზღაპრები, ან-

⁵ იხ. თ. ოქროშიძის წერილი — კრებ., „ლიტ. ძიებანი“, ტ. IV, თბ., 1947, გვ. 405—421; მ. ჩიქოვანი. ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 227—228.

დაზები და სხვ.“ (გვ. 2). მითითებულია ჩაწერის ადგილისა, მთქმელისა და ჩამწერთა ვინაობის, ანუ ტექსტის პასპორტიზაციის, აღნიშვნის საჭიროებაზეც (გვ. 5). საყურადღებოა ის გარემოება, რომ „პროგრამა“ ჩაწერის სიზუსტეს (გვ. 8) მოითხოვს.

საზოგადოების ამ საქმიანობამ გვიანდერძა მრავალრიცხოვანი და ძალიან მნიშვნელოვანი ფოლკლორული მასალა.

ე. გოგებაშვილი, სიტყვიერი ფოლკლორის გარდა, მუსიკალური ფოლკლორის შეკრებასაც მოითხოვდა.

მელიტონ ბალანჩივაძის რეცენზიით, საზოგადოება ია კარგარეთელისა და ზ. ჩხიკვაძის მიერ შეკრებილ ხალხური სიმღერების გამოცემის საკითხის გამო აღნიშნავს, რომ იხინი გამოცეცს უცვლელად, — ისე როგორც მათ ხალხი მღერის. თანაც საზოგადოება იჩენს ასეთ პრინციპულობას: ია კარგარეთელმა ქართული სიმღერები გამოსცეს, დასავლური ქართული კილოები კი მათმა უკეთესმა მცოდნემ ფ. ქორიძემ წარმოადგინოსო.

მუსიკის დარგში ქვეყნდება: ია კარგარეთელი. „ქართული სახალხო სიმღერები“ (თბ., 1889 წ.), ზ. ფალიაშვილის „ქართული რომანსი სახალხო ჰანგზედ“ (მოსკოვი, 1905), დ. არაყიშვილის „ქართული ეროვნული ერთხმოვანი სიმღერები“ (1905 წ.), ზ. ჩხიკვაძის, „სალამური“, სახალხო სიმღერები, გადაღებული ნოტებზე“ (1896 წ.), ფ. ქორიძის „ინდი მინდი, ფერად შინდი“ (1900 წ.), მისივე „მოგონება. ქართული სიმღერები: „პატარა საყვარელო“, „შავი შაშვი“, ძველი ჰანგებიდან: „საგალობელნი პირველი შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა“ (1901 წ.), „ქართული სიმფონია მეგრულის კილოზე“ (1900 წ.) და სხვ.

მეცნიერულ-ფილოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ე. თაყაიშვილმა საზოგადოების ხელნაწერები აღწერა რუსულად, რათა მათი მრავალფეროვნება და ღრმა შინაარსიანობა გაეცნო არაქართველ მკითხველთათვისაც (წ. I, ნაწ. 4, გვ. 11, გვ. 725). მათში აღწერილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და „მოქცევა ქართლისა“-ს შატბერდისა და ჭელიშის ვარიანტებიც.

სულ გამოიცა აღწერილობის 2 დიდი ტომი 8 წიგნად, რომლებიც შეიცავს არა მარტო აღწერას ხელნაწერებისა, არამედ მათი უმნიშვნელოვანესი ადგილების პუბლიკაციასაც, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს, არამედ ბიზანტიის, სომხეთის, 9. ი. მეგრელიძე

სპარსეთის, არაბეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების კულტურის შესწავლისათვისაც¹.

ამ ნაშრომმა მაშინვე მიიპყრო სპეციალისტ-აღმოსავლეთმცოდნეთა ყურადღება; ექვთიმე თაყაიშვილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დააჯილდოვა ოქროს დიდი მედლით (1907 წ.), რომელიც არა რუსს იშვიათად თუ რგებია. ამ აღწერილობებს დღესაც არ დაუპარგავთ მნიშვნელობა.

ე. თაყაიშვილი აქვეყნებს აგრეთვე რიგ ხელნაწერებს და სიგელ-გუჯრებს. მის წინადადებას: თბილისის თავადაზნაურობის მიერ გადაღებული 1000 მანეთით გამოიცეს ძველი გუჯრები, ახლავს საზოგადოების დასკვნა: გამგეობამ „დაადგინა რომ, სასურველია დაიბეჭდოს ძველი სიგელები და გუჯრები იმ სახით, როგორც უკვე დაიბეჭდა ამ სიგელთა და გუჯრების პირველი ტომი. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, და შემდეგ [გამოიცეს] ვახტანგ მეფის „ქანონები“ და „როსტომიანი“ (1902 წ.).

საზოგადოებამ დაბეჭდა: „ქართლის ცხოვრება. მარჩამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით“ (თბ., 1906 წ.), მისივე რედაქციით — „მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში: I (საბარათაშვილო, სომხითი, 1721 წ.), II, „აღწერა არაგვის ხეობისა“ (1774 წ., თბ., 1907 წ.) და სხვ.

საზოგადოება არა მარტო აქვეყნებდა წიგნებს, არამედ მათ პოპულარიზაციასაც უწყევდა ფართო მასშტაბით. დაცულია მიმოწერა საერთაშორისო მუზეუმის ქართული განყოფილების. (ბრიუსელი) თავმჯდომარე ბარბალე ყიფიანთან, წიგნების გამოფენაზე ლაიფციგში ქართული გამოცემების გაგზავნის შესახებ (საქმე №1437, ფ. 49, 1914—1915 წ.) და იქვე ინახება გასაგზავნი წიგნების ვრცელი სიაც.

წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება ხელს უწყობდა აგრეთვე ლექსიკოლოგიურ მუშაობას საქართველოში. აქ მხარდაჭერა პოვა პედაგოგ ალ. კიკინაძის მიერ ქუთაისში შედგენილმა „ქართული გრამატიკის ტერმინების“ გამოცემის აზრმა (საქმე №122, 1886 წ.) და ივ. რატიშვილის წინადადება ივანე ნიჟარაძის მიერ შედგენილი „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“ გამოცემის შესახებ (საქმე №873. გამოიცა „რუსულ-სვანური ლექსიკონის“ სახით, შიგვე ქართული შესატყვისებებიცაა; 1910 წ.).

საზოგადოების გამგეობა გულისხმეირად მოეპყრო პედაგოგ ბ. ჭარაიას მიერ შედგენილ „ქართულ-მეგრულ შედარებით ლექსიკონს“.

1 ალ. ბარამიძე. ექვთიმე თაყაიშვილი — ქართული მწერლობის მკვლევარი. — ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 7—14.

საქმეში დაცულია იბ. ვართაგავას. ი. აბულაძის, ალ. სარაჯიშვილის, ე. თაყაიშვილის და ნ. მარის რეცენზიები. უკანასკნელი წერდა: კვლევის საკითხს, პ. ჭარაიას მხრივ, თავი დავანებოთ; მისგან მეგრულის მასალის შეგროვებაც დიდი საქმეა. მისი წამოწყება „დიად, დიდის პატივისცემით და ფიანდაზად მისაგებელია“. შემდგენელი „ღრმა პრაქტიკულ ცოდნას და თან გულწრფელ მეცნიერულ დამოკიდებულებას და თვალსაჩინო შრომის მოყვარეობას“ იჩენს. „პ. ჭარაიას სკიორია როგორც ნივთიერი დახმარება, აგრეთვე ზნეობრივი ხელისშეწყობა, რათა მან შეიტანოს მისი ნიჭის კერძი მეცნიერებაში“, მიუხედავად მეცნიერული ნაკლოვანებებისა, „შრომა ღირსია დიდი ყურადღებისა და მოწონებისა“ (№1196, ფ. 13; შდრ. პუბლიკაცია ალ. ლლონტისა შენიშვნებით. უქრნ. „მნათობი“, 1964, №12, გვ. 136—137—138—139).

საპრემიო კომისია ჭარაიას ანიჭებს გრ. დადიანის პრემიას — 400 მანეთს და შემდგენელს შრომის დამთავრებას უსურვებს (1911 წ.).

1917 წლის საქმე №1716 შეიცავს ცნობას: ზუგდიდში სახალხო მასწავლებელთა კურსებზე შედგენილი იქნება „დედა-ენის“ პირველი და მეორე ნაწილის „ქართულ-მეგრული ლექსიკონი“. იგი ზუგდიდისა და განსაკუთრებით სამურზაყანოს მასწავლებლებს ძალიან სჭირდებათ, გამოეცით 1.000 ცალით. საზოგადოება 1.500 ცალის გამოცემას აღგენს (წიგნი აღარ გამოსულა).

1910 წელს ისმება საკითხი ქართული ლექსიკონის გამოცემისა. საზოგადოების გამგეობის დადგენილებაში წერია, რომ ეს გადაუდებელად საჭირო საქმეა, შედის საზოგადოების მოვალეობათა წრეში და იგი უნდა შევადგინოთ და გამოეცეთ, ოღონდ საჭიროა სწორედ ახალი ქართული ენის ლექსიკონი და სასურველია იგი „ქართულ-რუსულ-ფრანგული“ იყოს დიდი ციტატების გარეშე. ლექსიკონის შედგენა და რედაქტირება დაევალოს საზოგადოების ლინგვისტური განყოფილების უფროსს დ. კარიჭაშვილს. წიგნი 1912 წელს უნდა გამოსულიყო.

წამოწყებამ დიდი გამოხმაურება პოვა და გაღაწყდა მისი გადაუდებლივ შესრულება, მაგრამ ს. ხუნდაძე 1911 წელს იწერებოდა ქუთაისიდან: ასეთ საქმეში აჩქარება არ ვარგა, გამოსადენი ოფლი უნდა გამოვიდინოთ; მე ათი წლის წინათ გამოვთქვი სათანადო აზრით წიგნაკში „ცხოვრების სურათები“ (ქუთაისი, 1902 წ.).

აქ ავტორი წერდა: ლექსიკონის შესადგენად უნდა გადაიხედოს ჩვენი ძველი და ახალი მწერლობა, შემუშავდეს პროგრამა, შეიკრიბოს ხალხში ხმარებული ცოცხალი ტერმინები (გვ. 59—60).

„საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უნდა გაიგზავნოს ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კაცი ხალხის ზეპირსიტყვაობისა და ტერმინე-

ბის შესაკრებად“, ზაფხულობით გამოვიყენოთ მასწავლებლებიც, „ამ-
ნაირად ორი დიდი საქმე კეთდება: შეიკრიბება ხალხური სიტყვიერების
ყოველგვარი მასალა და შეიდგინება რიგიანი ვრცელი ლექსიკონი.
ორივე ეს საქმე მეტად საჩქაროა და დიდათ საჭირო ქართული ენის
წარმატებისათვის“ (გვ. 62; ლექსიკონი არ გამოსულა).

აქვე „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ გამოცემაზედაც ზრუნავ-
დნენ.

საზოგადოების მთელი არქივი გადაეცა თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტს და ახლა იგი საქართველოს სსრ ცენტრარქივის 481
ფონდს შეადგენს. საზოგადოების ისტორიულ-არქეოლოგიური კო-
ლექციები და ხელნაწერები, მათ შორის ფოლკლორული ჩანაწერე-
ბიც, შევიდა და ინახება საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის სა-
თანალო განყოფილებაში.

საზოგადოებას გააჩნდა შეწირულებათაგან გასაცემი გ. დადიანის
(3.000 მანეთის პროცენტი), ნ. ერისთავის (10.000 მ. პროცენტი) და
ნ. ლოლობერიძის (11.306 მ.) პრემიები.

პირველი მათგანი სამ წელიწადში ერთხელ იცემოდა, სხვები კი—
ყოველწლიურად. საუკეთესო ორიგინალურ (გამონაკლისის სახით
თარგმანისათვის) ქართულ ენაზე დაწერილ ნაწარმოებისათვის საქათ-
ველოს ისტორიის, ქართული ფილოლოგიისა და ქართული ენის დარგ-
ში და აგრეთვე ქართული პოეზიისა და მხატვრული პროზის საუკეთე-
სო ქმნილებისათვის.

პრემიის მიკუთვნების საკითხს სპეციალური კომისია წყვეტდა.
გ. დადიანის პრემია, როგორც ითქვა, პირველად პ. ჭარაიას მიენიჭა.
ნ. ერისთავის სახელობის პრემია 1917 წელს მიენიჭა ლ. ქიაჩელის
„ტარიელ გოლუას“ და სხვას. ერთ-ერთი პრემიის მინიჭებას ვაჟა-ფშა-
ველას უპირებდნენ ეთნოგრაფიული ნაწერებისათვის, მაგრამ იგი მის
მიღებას ვერ მოესწრო.

საყურადღებოა ასეთი ფაქტიც: ერთ-ერთი პრემიისათვის 1915
წელს თბილისში მომუშავე რიგ მკვლევართაგან ზოგიერთები არასწო-
რი გზითაც კი იბრძოდნენ. საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ყაზბეგმა
კი ივ. ჭავჭავიძელს მისწერა პეტერბურგში: „თქვენი ქართველი ერის
ისტორია“ (ორი ტომი, თბ., 1913 წ.) გვინდა წარვადგინოთ საპრემი-
ოდ, თქვენი თანხმობა საჭირო. ივ. ჭავჭავიძელმა უპასუხა: „მე ეს
„ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია; სხვებს, რომელთა წახალისება
და დახმარება სჭირდებათ, ვერ შევეცილები“, მე მაინც ვმუშაობ და
სხვები წახალისეთო (1915.IV.22).

საზოგადოება ხელმძღვანელობდა რიგ ქართველ მოღვაწეთა იუბი-
ლეებს, ცნობილ პირთა დაკრძალვებს და მათს საფლავებზე ძეგლე-
ბის დადგმას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
იყო ე რ ო ვ ნ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს დ ი დ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა -
ც ი ა .

1959 წ. აპრილი.

ნიკო მარი და ქართველი კელაგოგავი

ჩვენი თანამემამულე, სახელგანთქმული ფილოლოგი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნიკოლოზ იაკობის ძე მარი (1864—1934 წ.) დაკავშირებული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და მის აქტივთან.

ეს საზოგადოება ქართულ ხელნაწერებს აგროვებდა და იცავდა. სწორედ ახალგაზრდა ნიკო მარმა აღუწერა მას ხელნაწერების უმნიშვნელოვანესი, მაგრამ ძნელად გასაარჩევი კოლექცია და გამოაქვეყნა: „სია იმ ხელნაწერებისა, რომლებიც შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას ბ-მა მ. დ. ალექსი-მესხიშვილმა“¹.

ეს არ არის უბრალო ნუსხა. აქ წაკითხული, განსაზღვრული, დახასიათებული და ძირითადად დათარიღებულია ყველა ხელნაწერი, ძველი იშვიათი გამოცემა და სხვა დოკუმენტები. აქვე ნახვენებია, როგორ უნდა წარმოებდეს ხელნაწერის აღწერა, რაც შემდეგ ბრწყინვალედ განაგრძო ნ. მარის უახლოესმა მეგობარმა ე. თაყაიშვილმა.

თბილისში ჩამოსვლის დროს ნ. მარი მუშაობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ხელს უწყობდა ქართული კულტურის მაშინდელ ამ უძლიერეს ცენტრსა და მის თანამშრომლებს. ასეთთა შორის პირველი იაკობ გოგებაშვილი იყო.

ნ. მარისა და ი. გოგებაშვილის მეგობრულ, საქმიან დამოკიდებულებაში არის მცირე დრო, როდესაც მათი ურთიერთობა გართულდა. ი. გოგებაშვილის ერთ-ერთ წერილში ნ. მარი არც იყო მოხსენიებული, მაგრამ კრიტიკა მას ეხებოდა. ნ. მარს პასუხი არ გაუცია. ფაქტია, რომ შემდეგ ნ. მარსა და ი. გოგებაშვილს შორის უთანხმოებას ადგილი აღარ ჰქონია. მეტიც, როგორც ორივეს მეგობარი, აკად. ექვთ. თაყაიშვილი ამბობს: როცა ნ. მარის შრომა „ძველი ქართული მხეობტენი“ (1902 წ.) დაიბეჭდა, ი. გოგებაშვილის გარდა, ჩვენში ნ. მარის პატივისმცემელთა რიცხვს ბევრი მიემატაო.

ასეთთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც ნ. მარი გურულების 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას თანაგრძნობის წიგნით გამოეხმაურა და ქართველი ერისა და ქართული ენის დაუცხრომელი

¹ გაზ. „ივერია“, 1889, №№ 236, 238, 239, 240, 254.

მტრის დეკანოზ ვოსტორგოვისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ გამანადგურებელი წერილები გამოაქვეყნა.

მაშინდელი საქართველოს ეგზარქოსის დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტით სახალხო სკოლები ორ კატეგორიად უნდა დაყოფილიყო. პირველში დედაენა არ უნდა გაქაქანებულიყო. მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო სწავლა (მაგალითად: მეგრულში, სვანურში, აფხაზურში და ა. შ.), მეორეში კი (მაგ., „საკუთრივ ქართულში“) ქართული ენა შეიძლებოდა ერთხანს საგნად დარჩენილიყო, მაგრამ ბავშვებს ქართული წერა-კითხვა ხუცური ასოებით უნდა ესწავლათ და არა მხედრულით.

ქართული კულტურის დამამცირებელთა, ქართველი ერის შეურაცხყოფელთა წინააღმდეგ გაილაშქრეს ნ. მარმა და ი. გოგებაშვილმა².

ი. გოგებაშვილი დიდად აფასებდა ნ. მარის ტალანტსა და ფართო ერუდიციას. საამისოდ საემარისია დავასახელოთ მისი წერილი „ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი“, რომელიც ავტორმა პარიზის გამოფენისათვის რუსულად დაწერა და თარგმანები მაშინვე (1900—1901 წ.) ფრანგულად და ქართულადაც დაიბეჭდა.

მასში ი. გოგებაშვილი შენიშნავს: „ქართველთა მცირერიცხოვანმა ერმა რუსეთის უმაღლეს სკოლებს მოკლე ხანში არა ერთი პროფესორი და მეცნიერი შესძინა, რომელნიც გამოსულნი არიან სხვადასხვა წოდებიდგან³.

ავტორი წოდებებზე შეგნებულად მიუთითებს; ასახელებს მაშინდელ მოღვაწე სხვადასხვა წოდების ცნობილ ქართველ მეცნიერებს და ნ. მარის შესახებ წერს, რომ ქართველი გლეხი ქალის შვილია და ქართველია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი... მარი, „ახალგაზრდა მეცნიერი, ფრიად ნიჭიერი, რომელსაც ზოგიერთი რუსის სწავლული აღმომაველ ვარსკვლავს ეძახის“...

ნ. მარი წერდა: „ქართულ ენას შეუძლია სრულღირსეულად და დაუმახინჯებლად გადმოსცეს ცნებები განყენებული აზროვნებისა. ქართულად ადვილად ითარგმნება შემოქმედება როგორც აზიის, ისე ევროპული კულტურული საზოგადოებრიობისა“... ქართულმა ენამ „მისცა საყრდენი ქართველ ერს არსებობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“... იგივე ქართული ებრძოდა „უამრავ სხვა კულტურულ ენას და არათანასწორ ბრძოლებიდან მუდამ ბრწყინვალე გამარჯვებუ-

² Н. Я. Марр. Из гурийских материалов и впечатлений, СПб., 1905.

³ იხ. აგრეთვე თ. ვორდანი. ქართული ენისათვის ბრძოლა 1882—1910 წლებში. ქუთაისი, 1912.

ლი გამოდიოდა“, „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით“. „ქართული ენა შინაგანი ბუნებით მსოფლიურია“ (ხაზი ჩენია, თ. შ.).

ჩენი დედაენის შესახებ ი. გოგებაშვილი აცხადებს:

„ქართული ენა ისევე მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა... ქართული ენა ისევე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩენი ერის ისტორია...“ (ხაზი ჩენია, თ. შ.).

ი. გოგებაშვილი, მსგავსად ნ. მარისა, იცავდა ქართული ენის ინტერესებს, მაგრამ არ უცდია ქართული ენის იმ ხალხებისათვის თავზე მოხვევა, რომლებსაც საკუთარი სამშობლო და ენა ჰქონდათ.

მართალია, ვოსტორგოვი წერს, — შენიშნავს ნ. მარი, — ეკლესია ერიდებაო მიზანსა „გარუსებისა“, როგორც საზოგადოდ ერიდებაო ყოველ საპოლიტიკო განზრახვას, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა, „ვოსტორგოვს სწამს, რომ რუსული ენის სწავლება და შემოღება ყველა საგნების სწავლებისა რუსული ენის საშუალებით, არისო უმთავრესი და არსებითი მიზანი სასულიერო სკოლისა. მაგრამ იცის, რომ ამით არარუსებს გადაავარებს. ვოსტორგოვი ამახინჯებს მაცხოვრის მოძღვრებას ცნებაზე: „მ ი ე ც ი თ კ ე ი ს ა რ ს ა კ ე ი ს რ ი ს ა და დ ვ თ ი ს ა ლ მ ე რ თ ს“, როდესაც მოითხოვს, ყმაწვილებს ყოველივე ასწავლონ არამშობლიურ ენაზე.

ეს „ფსიქოლოგიური ხასიათით უცხოა საზოგადოდ კავკასიელი ხალხისათვის და განსაკუთრებით ქართველ ყმაწვილთათვის“, ვოსტორგოვი შორს მიდის არარუს ტომთა, კაცობრიულ უფლებათა დათრგუნვაში, — იგი მომხრეა მუნჯურის მეთოდით უცხო ენის სწავლებისა... ამ საშუალებით ადვილად შეიძლება მოუშთოს ბუნებითი მსგელლობა თანდაყოლილის სულიერის ნიჭის განვითარებისა ყველა მოსწავლეს, რომელიც შთამომავლობით რუსი არ არის“. ვოსტორგოვი, — განმარტავს ნ. მარი, — მომხრეა არა მარტო იმისა, რომ ამოჰგლიჯოს დედა-ენა მოზარდ თაობას, არამედ მოაშთოს მისი ბუნებით ნიჭიერებაც“⁴.

ნ. მარი დეკანოზის წინააღმდეგ კანონსა და ეროვნულ ისტორიასაც იშველიებს. იგი წერს: ქართველებს სასულიერო სკოლათა სამმართველოს პოლიტიკა ნებას აძლევდა და მით უფრო საქართველოს ისტორია, საქართველოს ეთნოგრაფიულ ფარგალში მაინც, აძლევს უფლებას ესწავლებინათ მოწაფეთათვის ნაციონალური სალიტერატურო ენა მთელი საქართველოსა. მე ვცდილობდი, — შენიშნავს ნ. მარი, — ჩვენს სამშობლო სოფელ საყვავისტყეში სამრევლო სკოლა გაეხსნათ, მაგრამ ყოველგვარი ცდა ამით გამოდგაო. ნ. მარი ქართულ ლიტერა-

⁴ ნ. მარი. ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, გვ. 30—32. დედნის სათაურია Грузинская нация.

ტურულ ენაზე სწავლების აზრს იცავს. იგი ამტკიცებდა, რომ ქართული კულტურა ქართველი ტომების საერთო კულტურაა, რომ „ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვე სვანურია და მეგრული, იმდენადვე გურულია და იმერული, რამდენადაც ქართლული. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა საქართველოს ყველა ტომისათვის“⁵.

ეს ორი პატრიოტი ებრძოდა რუს დიდმპყრობლებს, ხოლო რუს მშრომელებსა და რუსულ ენას უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა. ნ. მარი ი. გოგებაშვილს ნამდვილ რუსულ კულტურაზე გაზრდილ ქართველს უწოდებდა, ხოლო როგორც ზემოთ ითქვა, იაკობი წერდა, რომ არამშობლიურ ენებს შორის რუსული ქართველთათვის უსაქიროესი რამააო. რუსული „არის ენა ფრიად მრავალისა ერისა და მას მოელის ბრწყინვალე მომავალი ერთის მსოფლიოს ენათაგანის“⁶.

ქართველი ერისა და ქართული ენის შევიწროების საქმეში რუსეთის დიდმპყრობელები განსაკუთრებით 1900—1904 წლებში გაააქტიურდნენ.

ამ ავი საქმის სულის ჩამდგმელ ზემოხსენებულ შავრაზმელ დეკანოზ იოანე ვოსტორგოვს ყველაზე უფრო გაბედულად და საქმიანად ნ. მარი და შემდეგ ი. გოგებაშვილი აღუდგნენ წინ. ისინი ერთად იყვნენ ამ დიდს ეროვნულსა და სახიფათო ბრძოლაში, მათ წერილები დაბეჭდეს პეტერბურგის პრესაში.

ხსენებული რეაქციონერი ვოსტორგოვი და მისთანანი ნ. მარმა გაანადგურა; მან დაამტკიცა მათი სრული უვიცობა, გამოააშკარავა უბოროტესი ზრახვები, მკითხველს ნათლად უჩვენა, რომ ქართველ ერს მაღალი და ბრწყინვალე კულტურა აქვს. ნიკო მარის ეს შესანიშნავი ნაშრომი დაიბეჭდა პეტერბურგის გაზეთ „რაზვესტის“ 1905 წ. 14 და 15 მაისის №№ 68 და 69-ში. იგი მაშინვე ქართულად თარგმნეს და 1905 წელსვე სათაურით „ქართველთა ეროვნება“ გამოქვეყნდა ქუთაისში. 1906 წ. ეს წიგნი გაფართოებული სახით კვლავ გამოიცა პეტერბურგში რუსულ ენაზე.

ნ. მარის წერილებმა გაათამამა იაკობ გოგებაშვილი და მან იმავე გაზეთის „რაზვესტის“ 1905 №№112, 113, 116 და 119 ნომრებში დაბეჭდა რეაქციონერების მამხილებელი და გამანადგურებელი ნარკვევი⁷.

5 ნ. მარი. ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1940 წ., გვ. 43.

6 И. Гогобашвили. Воспитание грузинского языка и самых грузин в учебной области на Кавказе. Итаргмენა და დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“. 1908, № 5—6, გვ. 69—98. შესულია ავტორის ტ. I, 1910, გვ. 504—526—მისი ივე, ტ. 4, გვ. 208 და შემდეგი. უკანასკნელის ტექსტში შემოკლებები შეიმჩნევა. თანაც შენიშვნებში ხსენებული კი არ არის ნ. მარის ზემოაღნიშნული წერილი, რომელს შემდეგ ი. გოგებაშვილის სტატია დაიბეჭდა!

7 ი. გოგებაშვილი. ტ. II, 1940, გვ. 378.

ნ. მარი პირველ ნარკვევშივე წერს: „თუ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ მკედარია, თუ საქართველოს აზნაურობას ძალა არ შეწევს აღილოს ქედითა თვისით ტვირთი ისტორიულის მომენტისა, ეს მშრომელი ნაწილი საქართველოს ერისა ჯერ ხომ ძალა გამოუღვევლია და ხელშეუხებელი, ეს თვითმოქმედი მრავალტომოვანი გლეხობა საქართველოსა. რომელიც უთუოდ უფრო ენერგიულად თავს გამოიდებს, როგორც მებრძოლი არა მხოლოდ კლასობრივად, არამედ უეჭველია, კულტურის ინტერესებისათვის მრთელის საქართველოს ერისა. საჭირო იყო, რომ ეს რუსებს სცოდნოდათ“.

მსგავსად მსჯელობს ი. გოგებაშვილიც — „თითქმის მთელი ქართველობა სოფლადა ცხოვრობს. თითონ ქალაქშიაც მომეტებული წილი ქართველებისა მუშა ხალხს შეადგენს. ვაჭართა წოდება ჩვენში თითქმის არ არსებობს, თავადაზნაურობას, როგორც წოდებას, მომავალი არა აქვს. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ქვეყანა შედგება თითქმის მართო მშრომელი მდაბიო წოდებისაგან; ჩვენი ქვეყნის ბედი დაუბედობა დამოკიდებულია ამ წოდების აღორძინებაზედ, ხალხის წარმატებაზედ და მათდა საკეთილდღეოდ, მათ განათლებაზე უნდა ვიზრუნოთ პირველ რიგში“.

ნ. მარი ისედაც პოპულარული მეცნიერი იყო საქართველოსა და სომხეთში. ჩვენ გაგვიგონია, რომ მშობელს უთქვამს თავისი ყმაწვილისათვის: წიგნს კითხულობ, თორემ მარი არ გამოხვიდე, წამოდი, ყანაში მომეხმარეო.

სომხეთში წარმოებული გათხრების გამო მარი არქეოლოგის სინონიმად დასახეს. შემდეგაც კი სომხებს რომ არქეოლოგები სტუმრებიან, უთქვამთ: მარები მოვიდნენო.

ნ. მარი კიდევ უფრო პოპულარული გახდა ქართველებში, როცა მან რეაქციის წლებშიც კი გაბედა და ქართველი ერი დაიცვა. მისი ზემოდასახელებული 1905 წლის წერილის გამო მას ა. ფრონელი (ალ. ყიფშიძე) წერდა: ვინაიდან სატახტო ქალაქის გაზეთი ყველამ ვერ იშოვა, მასში დაბეჭდილი წერილი კოლექტიურად წავიკითხეთ ერთ წრეში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტ. ფურცელაძე და სხვები ესწრებოდნენ, „თქვენმა წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე და ავტორი, ესე იგი თქვენ, დაგაჩილდოვა კრებამ გულწრფელი ტაშის დაკვრით“.

ნ. მარი იყო კავკასიის ხალხთა ძმობისათვის მებრძოლი. იგი 1897 წელს წერს პუბლიცისტს გ. წერეთელს: „ქართველები და სომხები მუდამ მეზობლად დარჩებიან და საბოლოოდ იგი იმუშავენებს ვინც ქარ-

თველებსა და სომხებს შორის სიმძულვარის ხნარევის ამოვსებას ისურვებს“.

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, „ნ. მარი იყო დიდი მოციქული, დიდი მომხრე... კავკასიის ერების ერთობის და სოლიდარობისა, თუ ერთს თავს ესხმოდნენ, ის მის დამცველად გამოდიოდა“.

ნ. მარი ი. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო (1912 წ.) დეპეშას ანისიდან უგზავნის ქართველ ერს და უსამძიმრებს იმ „დიდ დანაჯლისს, რომელიც წილად ხვდა არა მარტო ქართველებს, არამედ ყველას, ვინც ძვირად აფასებდნენ განათლების უმაღლეს ინტერესებს ამიერკავკასიაში“ (ხაზი ჩვენია — ი. შ.).

ნ. მარი ხელს უწყობდა სამეცნიერო მუშაობაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანს დ. კარიჭაშვილს. იპ. ვართაგავას თქმით, დ. კარიჭაშვილს ბევრჯერ უთქვამს მისთვის: 1903 წელს რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამოვეცი, ნ. მარი მეხმარებოდა არა მარტო რიგი სიტყვების ახსნა-განმარტებაში, არამედ ტექსტის გამართვაშიცაო.

დ. კარიჭაშვილი წერდა: ნიკო მარი ქართულად აღიზარდა და გულით და სულით ნაძვლილი ქართველია... ნ. მარი ყოველთვის მედგრად იცავდა ქართველობას⁹.

მოკლედ შევნიშნავთ იმ ცნობილ ფაქტზეც, რომ ე. თაყაიშვილი იყო ნ. მარის სიყრმის მეგობარი და ისინი დიდად აფასებდნენ ერთმანეთს. ნ. მარი პედაგოგ ე. თაყაიშვილს ახალისებდა და ხელს უწყობდა სამეცნიერო მუშაობაში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ასეთი სპეციალური დაწესებულება არ იყო საქართველოში. მარის წარდგინებითა და დახმარებით ე. თაყაიშვილმა ნაშრომის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობის“ ორი ტომის 5 წიგნისთვის (სამი წიგნი შემდეგ გამოიცა) მიიღო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დიდი ოქროს მედალი (1907 წ.) და არქეოლოგიური ძიებებისათვის მასვე მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ოქროს მედალი მიენიჭა (1910 წ.). მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რა სიძნელეების გადალახვა იყო საჭირო, რომ მაშინ თბილისში მცხოვრებ ქართველ პატრიოტს მიეღო ჭილდოები პეტერბურგსა და მოსკოვში.

ზემოთ აღინიშნა თუ, როგორ გულისხმიერად მოეპყრო ნ. მარი პედაგოგ პეტრე კარაიას, როდესაც პ. კარაიამ „ქართულის და მეგრულის შედარებითი ლექსიკონი“ წარადგინა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და ნ. მარის დასკვნით მას გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის) სახელობის პრემია მიანიჭეს.

⁹ ეგრ. „განათლება“. 1909, № 1, გვ. 114.

ნ. მარმა წახალისა პ. ჯარაია: შემდეგ პ. ჯარაიამ დაწერა და ნ. მარმა გამოაქვეყნა ნაშრომი აფხაზური ენის ქართველურ ენებთან ურთიერთობის შესახებ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში (პეტერბურგი, 1912 წ.).

ასევე გულისხმობდა ნ. მარი აფხაზეთშივე მოქმედა პედაგოგს ნიკო ჯანაშიას, რომელსაც არა ერთი ნაშრომი გამოუქვეყნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოებში, აგრეთვე მაშინდელ პედაგოგებს, შემდეგ აფხაზ პოეტს დიმიტრი გულიას, ანდრია ჭოჭუას, სვან არსენ ონიანს და სხვებს.

ნ. მარს ქართველ პედაგოგთა შორის ჰყავდა მრავალი პირადი მეგობარი — თბილისში სერგი გორგაძე, მოსე ჯანაშილი, იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე), ქუთაისში — იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე. ფოთში — ზაქარია ცინცაძე, გურიაში — გიგო, ალექსანდრე და ერმილე შარაშიძეები, არსენ წითლიძე და სხვა მრავალი.

გაჭირვების დროს ისინი სწორედ ნ. მარს მიმართავდნენ. მას ერთ-ერთ წერილში ერმილე შარაშიძე წერს: მე და (ჩემს ძმას) ალექსანდრეს ჩვენს სოფელში (ბუკისციხე, გურიაში) რომ 1899 წლიდან ორკლასიანი სკოლა გვქონდა სამეურნეო განრიგით, ახლა იგი (1906 წ.) აღიხანოვმა დაგვიწვა და გვიშველო...

ნ. მარს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთისა და საქართველოს განათლების ხელმძღვანელ მუშაკებთან. მან ჯერ კიდევ 1905 წ. შეადგინა საქართველოს სამეცნიერო აკადემიის პროექტი (გამოქვეყნებულია¹⁰), 1907—1909 წლებში არსებობდა ე.წ. კობელთა უნივერსიტეტი თბილისში, მუშაობდა ქალთა უმაღლესი კურსებიც და სხვა, რომლებშიც ლექციებს ე. თაყაიშვილი ნ. მარის რეკომენდაციით კითხულობდა.

ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის თაობაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ნ. მარის მიერ მომზადებული კადრების, კერძოდ, მეცნიერული ძალების საქართველოს განათლების ფრონტზე მუშაობას და როგორ გულისხმობდა, სათუთად მზრუნველობდა მარი თავის თანამემამულეებს პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში¹¹.

ნიკო მარი იყო ქართული კულტურის უდიდესი მკვლევარი და ჩვენი კულტურის ფრონტის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოამაგეების — პედაგოგების დიდი მეგობარი.

1965 წ. იანვარი

¹⁰ პროექტის პუბლიკაცია ჩვენი შენიშვნებითურთ იხ. კრებულში „მარკსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბ., 1934, გვ. 328—333.

¹¹ ი. მ. გ. რ. ე. ძე. ნიკო მარი ვაჟა-ფშაველას შესახებ. — ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბ., 1961, გვ. 231—243.

სამეცნიერო და სასკოლო გრამატიკათა ურთიერთობის შესახებ

(აასუხი შაქიტხვაზი)

მოსწავლეთათვის შედგენილი ყველა გრამატიკა სასკოლოა, ანუ სასწავლო; იგი პრაქტიკული დანიშნულებისაა.

იაკობ გოგებაშვილის ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები სასკოლო გრამატიკის საკითხებით იფარგლებოდა. ასეთივეა ჩვენი საუქუნის ოციან წლებამდე გამოცემული ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები.

1925 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ნიკო მარის „ძველი ქართული ლიტერატურული ენის გრამატიკა“, რომელიც შეცნირულია.

1939 წლიდან რამდენიმეჯერ გამოცემულ და ახლაც მოქმედი „ქართული ენის გრამატიკა“ (ნაწილი I, მორფოლოგია. V—VI კლასის სახელმძღვანელო), რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფ. აკაკი შანიძის მიერ (ივ. იმნაიშვილისა და ლ. კვაჭაძის თანაავტორობით) არის ქართული ენის სასკოლო გრამატიკა, ხოლო იმავე ავტორის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (თბილისი, 1953 წ.) ქართული ენის მეცნიერული გრამატიკაა (აგრეთვე — მისივე „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, თბ., 1942).

სასკოლო გრამატიკის თეორიულ საფუძვლებსაც ზოგადი ენათმეცნიერება განსაზღვრავს, მაგრამ პირველის მასალის დამუშავება და სინთეზი სამეცნიერო გრამატიკის მიღწევებზეა დამოკიდებული. ამიტომ მეცნიერულად გამართული უნდა იყოს სასკოლო გრამატიკაც, მაგრამ მეცნიერულსა და სასკოლო გრამატიკებს შორის გვხვდება განსხვავებებიც გრამატიკული წესებისა და განმარტებათა სიადვილესა და მასალათა პედაგოგიკურ შერჩევაში, მეთოდოლოგიურ მხარესა და წიგნის მოცულობაში.

ასეთ განსხვავებებს ვაწყდებით აკაკი შანიძის ორ გრამატიკას შორისაც. ერთ-ერთი ასეთი განსხვავებათაგანი შეუნიშნავთ ქ. ცხინვალის № 1 საშუალო სკოლისა და მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ან. კახნიაშვილსა და ქ. ფსუ-

ტურს. ისინი გვეკითხებიან: რატომაა, რომ ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკაში“ სახელები ორ ჯგუფადაა დაყოფილი, ხოლო იმავე ავტორის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ — სამადო?

მართლაც, სასკოლო გრამატიკაში ა. შანიძე სახელებს ფუძეთა (დაბოლოების) მიხედვით ორ ჯგუფად (თანხმოვანფუძიანებად და ხმოვანფუძიანებად) ყოფს; სამეცნიერო გრამატიკაში კი — სამ ტიპად (გვ. 51). ვინც საკითხს ჩაუკვირდება, დარწმუნდება, რომ აქ წინააღმდეგობასთან არა გვაქვს საქმე.

თანხმოვანფუძიანი სახელები აქაც პირველ ჯგუფში, ანუ პირველ ტიპში ერთიანდება და ამ ჯგუფს, ანუ ტიპს, აქაც ორი (ფუძეუკუშველთა და ფუძეუკუშვად სახელთა) ქვეჯგუფი გააჩნია.

სასკოლო გრამატიკის მიხედვით მეორე ჯგუფად აღიარებული ბოლოხმოვნიანი სახელები მეცნიერულ გრამატიკაში გაცოფილია ორ ტიპად. ამიტომ მეორე ტიპს აქ შეადგენენ მხოლოდ ბოლოკვეცილი (ა და ე-დაბოლოებიანი) საზოგადო და მესამე — ბოლოუკვეცილი (ზოგიერთ სახლში -ი, ჩვეულებრივ -ო, -უ, პირთა სახელებში -ა და ე-დაბოლოებიანი და ა-თი წარმოქმნილი) სახელები.

აღნიშნულ ორ გრამატიკაში განსხვავებას ვხედავთ ზმნების კლასიფიკაციაშიც. მაგალითად, ზმნებს უღლების ტიპებად ა. შანიძე ქართულ სასკოლო გრამატიკაში ასე აჯგუფებს: პირველს შეადგენენ მოქმედებითი გვარის ზმნები, მეორეს — ვნებითის, მესამეს — თემის მონაცვლე და მეოთხეს — მწკრივნაკლი ზმნები.

„ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ კი ავტორი ძირითადად იმ ნიშნის მიხედვით აჯგუფებს, ზმნებს, თუ როგორია ურთიერთობა სამივე სერიის ფორმებს შორის წარმოების თვალსაზრისით და განმარტავს: „ამ ნიშნის მიხედვით მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებას უპირისპირდება დინამიკური ვნებითის ზმნათა უღლება, ხოლო ამათ ორივეს — საშუალისა და სტატიკური ზმნების უღლება. ამ უკანასკნელთა უღლებაც არ არის ერთგვარი. აქ ცალკე დგას მედიოაქტივი ზმნები და ცალკე — მედიოპასივი. ამას გარდა, მედიოპასივ ზმნებთან ერთად არის სტატიკური ზმნები“ (გვ. 504).

აღნიშნულის კვალობაზე პირველ ტიპს, ანუ ჯგუფს, როგორც ა. შანიძის სასკოლო გრამატიკაში, ისე სამეცნიეროშიც განეკუთვნება მოქმედებითი გვარის ზმნები, მეორეს — დინამიკური ვნებითის; ხოლო მესამესა და მეოთხე ტიპებს შეადგენენ საშუალო გვარისა და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნები ისე, რომ საშუალო გვარის ზმნები გაცოფილია ორ ჯგუფად, რომელთაგან მედიოაქტიური (საშუალომოქმედებითი) გვარის ზმნები შეადგენს მესამე ტიპს, ანუ ჯგუფს, ხოლო მედიოპასიური (საშუალოვნებითი) და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნები — მეოთხეს.

საშუალო გვარის ზმნების საშუალოქმედებითად და საშუალო-ვნებითად დაყოფა (ანალოგიურად დინამიკური ვნებითისა და სტატიკური ვნებითისა, გინდ საერთოდ მოქმედებითისა და ვნებითისა), სასკოლო გრამატიკისათვის შეიძლება ზედმეტი დაწვრილმანებაც იყოს, მაგრამ თვით ზმნათა უღლების ტიპებად დაყოფაში აღნიშნულ ორ გრამატიკას შორის წინააღმდეგობა არაა.

თანამიმდევრობის დაცვის გამო, ზმნათა აღნიშნული დაჯგუფების კვალობაზე, შემდეგაა კლასიფიცირებული მიმლეობანი იმავე ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“. ავტორი საშუალო გვარის მიმლეობებში ასხვავებს მედიოაქტივ ზმნათა მიმლეობებს (გვ. 598—599) მედიოპასივ ზმნათა მიმლეობებისაგან (გვ. 599).

აღნიშნულ ორ გრამატიკას შორის სხვა რიგი განსხვავებებიც შეიძინევა; თუნდაც, მაგალითად, ავტორს სასკოლო გრამატიკაში 7 ბრუნვა აქვს დასახელებული, სამეცნიეროში კი—მათ კიდევ სამი—ლოკალური (ადგილობითი): გამოსავლითი, მიწვევითი და სადაობითი (გვ. 74—77) ბრუნვებიც ემატება და სხვა, მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

1954 წ. 2 ავეისტო

ქართული და რუსული ენების უპირისპირებითი გრამატიკის ზოგიერთი საკითხი

ენას თავისი გრამატიკული წყობა აქვს, მაგრამ მისი ზოგი კატეგორია წარმოებით იდენტურია ან ჩამოჰგავს სხვა ენის იმავე კატეგორიას, ან სრულიად განსხვავდება მისგან, ან შეიძლება, იგი არც იყოს სხვა ენაში.

პრაქტიკული (ენის თვითმასწავლებელი, სასკოლო სახელმძღვანელო) ან მეცნიერული მიზნებითაც¹ ადგენენ ორი ან მეტი ენის უპირისპირებით გრამატიკას, ან გრამატიკულ რიგ კატეგორიათა უპირისპირება შეიძლება შეგვხვდეს არაუპირისპირებით გრამატიკაში².

სქოლიოში დასახელებულ წიგნებს გარდა, ძველ გამოცემათაგან შეიძლება ვახსენოთ „ქართულ-რუსულ-ფრანცუზული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ“ — Грузинско-русско-французский

¹ Г. Голетянши. Сопоставительная грамматика русского и грузинского языков, часть I, морфология, თბილისი, 1970.

² Б. Т. Руденко. Грамматика грузинского языка, мосკოვი-ლენინგრადი 1940.

В. Цулейский и П. Г. Чанишвили, Самоучитель грузинского языка, IV изд., თბილისი, 1960.

სლავარ, სოსთავენნიი დავიდიმ ჩუბინოვიმ. Dictionnaire géorgien-russe-français, composé par David Tchoubinof (სანკტ-პეტერბურგი, 1840).

ეს ლექსიკონი იწყება „ქართული მოკლე გრამატიკით“ (გვ. I—XV, ახლავს ექვსი ჩაკრული ფართო ტაბულა).

წიგნის სათაურს ცალკე გვერდზე აქვს წამძღვარებული სიტყვები „სამენეული ლექსიკონი“. ეგ „სამენეულობა“, რამდენადმე მაინც, ვრცელდება დასახელებულ გრამატიკულ ნაწილზეც, — მასში ქართული ენის სახელის, ზმნისა თუ მეტყველების სხვა ნაწილის პარალელად აქა-იქ წარმოდგენილია რუსული და ფრანგული შესატყვისებიც.

ასეთსავე რამდენიმე პარალელს ვხვდებით დ. ჩუბინაშვილის ნაშრომამდე 1629 წელს რომში გამოქვეყნებულს სტეფანე პაოლინის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“, 1670 წელს ისევ რომში დაბეჭდილ მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკაში“, ანტონ ბაგრატიონის (1720—1788)³, გაიოზ რეპტორის (1789)⁴, იოანე ქართველიშვილის (1809), გოდერძი ფირალოვის (ფირალიშვილის) რუსულ-ქართული ლექსიკონი ქართული ენის თვითმასწავლებლით (პეტერბურგი, 1820), მ. ბროსეს (1834) და სხვათა გრამატიკებში.

შემდეგაც იაკობ გოგებაშვილამდე ბევრი დაიწერა ქართული ენის გრამატიკის საკითხთა სხვა ენების იმავე საკითხებთან შედარებით შესასწავლად, მაგრამ შეპირისპირებითი გრამატიკა არ შექმნილა. მაშინ არც იყო ასეთი ტიპი გრამატიკისა. შეპირისპირების საკითხებზე კი რიგ საყურადღებო გამონათქვამებს ვხვდებით ადრინდელ ავტორთა და ჩვენი კლასიკოსი პედაგოგის ნაშრომებშიც.

მაშინდელი გრამატიკული აზროვნების დონის მიხედვით, ი. გოგებაშვილს ჰქონდა უფლება ეთქვა, და ამბობდა კიდევ, რუსული ენის გრამატიკებშიც არ არის ბევრი საკითხი ნათელი და გადაწყვეტილით, მაგრამ ჩვენ „უარეს მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენი გრამატიკა,

Проф. А. С. Гарнбян и Дж. А. Гарнбян. Краткий курс армянско-го языка. Пособие для самостоятельного изучения армянского языка, III изд., ереვანი, 1965.

3. ქეკელია. ქართული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლის რუსული განყოფილებისათვის, V გამოც., თბ., 1965, ნაშუალო სკოლის სახელმძღვანელოები და სხვ.

3. А. Цагарели. О грамматической литературе грузинского языка, санкт-петербурги, 1873. შდრ. ა. ფოცხიშვილი. ქართული გრამატიკული აზრის კვლევის ისტორია. — ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 25, თბ., 1973, გვ. 127—136; ვ. ბაბუნაშვილი. ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

4. გაიოზ რეპტორი. ქართული ლრამატიკა, ელ. ნიკოლაიშვილის პუბლიკაცია გამოკვლევათა და ლექსიკონით, თბ., 1970.

როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული“ (თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1954, გვ. 89).

პრინციპული მნიშვნელობის არის ის ფაქტი. რომ ი. გოგებაშვილი, ერთის მხრივ, მიმართავს ქართულ და რუსულ გრამატიკულ რიგ მოვლენათა შეპირისპირებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, მანვე იცის, — არ ასეობს უნივერსალური გრამატიკა, — ყოველ ენას თავისი გრამატიკა აქვს, მას კანონს თვით ენა აძლევს, ჩვენი პედაგოგი გამოთქვამს ლინგვისტურად საყურადღებო დებულებას: „თუ რუსული ალაბით ვზომთ ქართული ენა, ნამდვილს ბაბილონის ენათა არევას მოვახდენთ“ (ციტ. 2 ტომი, გვ. 98).

ი. გოგებაშვილი ქართული ენის სახელისა და ზმნის შესახებაც ასევე ქეშმარიტ დებულებას ბეჭდავს: — *Насколько грузинское склонение легче и проще, настолько грузинские глаголы сложнее и запутаннее русских* (ტ. 8. თბ., 1961, გვ. 66).

ქართული ზმნის ამ ურთულეს ხლართებში, მაგალითად, პირის ნიშნებში ზოგადად ალ. ცაგარელი⁵, და საერთოდ ზმნის სისტემაში, არსებითად პირველი, ნ. მარჩ⁶ გაერკვა. მან, ზმნის სტრუქტურასა და მორფოლოგიურ-სინტაქსურ მხარეებზე დაყრდნობით, ეს ზმნა სამ ჯგუფად დაყო. ამის თაობაზე არნ. ჩიქობავა წერს: ზმნის უღვლილების „ნაკვეთებად დალაგების პრინციპი... ქართულ გრამატიკაში ნ. მარჩა დანერგა (და ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა)“⁷.

შემდეგაც ისევ ნ. მარჩის, ა. შანიძის, გ. დეეტერისის, ა. ჩიქობავას, ვ. თოფურიას და სხვათა მიერ ქართულ და ქართველურ (სვანური, მეგრულ-ქანური) ენათა ზმნების სტრუქტურის მრავალი საკითხი გაშუქდა და ი. გოგებაშვილის აზრი, ქართული ზმნის სირთულის თაობაზე, რომელიც ზემოთ აღენიშნეთ, კიდევ უფრო განმტკიცდა. ვითარებას სწორად ასახავს დებულება: — „ქართული ენის ბურჯი ზმნაა და არა სახელი. გამომხატველობითი საშუალების სიმდიდრით ზმნა ქართულში ბევრად წინა დგას სახელზე“⁸.

ასევე მყარია ი. გოგებაშვილის მიერ გამოთქმული აზრი, — ძველი და ახალი ქართული ენა ერთიანი არის და არაა ერთიმეორისაგან ისე

5 О грамматической литературе грузинского языка, გვ. 95.

6 Н. М а р ч. Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, პეტერბურგი, 1908. ტაბ. XIII და სხვ.

7 არნ. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 89.

ავრეთვე — მისივე ქართული ენის ზოგადი დახასიათება. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 061.

8 არნ. ჩიქობავა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის წინასიტყვაობა ტ. I, თბ., 1950, გვ. 011.

დაშორებული, როგორც ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული ენა არისო (იხ. ქვემოთ).

აგრეთვე სწორია ი. გოგებაშვილის აზრები რიგ საკითხზე, მაგრამ აქ მათზე ველარ შევჩერდებით. კვლავ ქართული და რუსული ენების გრამატიკულ კატეგორიათა შეპირისპირების საკითხს დავუბრუნდეთ; განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი ფონეტიკა-მორფოლოგიის სფეროებიდან.

სწორია ი. გოგებაშვილის შენიშვნა: წერენო, *читает* ჩიტაეტ, მაგრამ აქაც კი, სადაც ასოთა შესატყვისობა დაცულია, ბგერები მაინც არ არიან ერთნაირი. მაგ., რუსული ბგერა *е* და ქართული *ე-ც* კი ერთი და იგივე არაა (ტ. 8, გვ. 328), ე. ი. ერთნაირად არ უღერენო. მით უფრო სხვადასხვაა რუსული ბგერა-ასო *т*, ქართული *ტ*, კიდევ უფრო — ქართული *თ*, რომელიც რუსულ წერაში ისევ *т* ასოთი გადმოიცემა.

ასევე, ჩვენი პედაგოგი საფუძვლიანად ედავება მოწინააღმდეგეს *გ-ს* და *ღ-ს* შესახებ — ქართული სიტყვები — *გორი* და *ღორი* რუსულში ორივე *г*-ასოთი იწერება. როდესაც ამ რუსულ ასო-ბგერას „უჭირავს შუაგული ადგილი *ღ-სა* და *გ-ს* შორის და უფრო ამ უკანასკნელ ასოს უახლოვდება“. ამიტომვეაო, — დასძენს იგი, — ამ ასოს პირველის მსგავსად წარმოთქმა „რუსულის მცოდნე ყურს ეჩოთირება“ (ტ. 8, გვ. 379—371).

მორფოლოგიიდანაც დავასახელოთ მაგალითი. მიხ. ნასიძემ დაბეჭდა, რომ გრამატიკული ფორმა პოეტად და სხვა ასეთები არა ბრუნვა, არამედ ზმნისზედააო.

ავტორი გააკრიტიკა ი. გოგებაშვილმა: — *Байрова я считаю великим поэтом* — ბაირონი მე მიმაჩნია დიდ პოეტად. რუსულს ენაში სიტყვა *поэтом* არის ბრუნვა. ქართულს ენაშიაც იგივე სიტყვა „პოეტად“, თუ სადმე სამართალი და საფუძვლიანობაა, უთუოდ ბრუნვად უნდა ჩაითვალოს“. მას ცვლილებათა ბრუნვა ეწოდება და ბრუნვის ნიშნად -ად, -დ უნდა დაეიკვათ და ვწეროთ (ტ. 2, გვ. 96—97).

შემდეგ გამოიცვალა მხოლოდ ბრუნვის სახელწოდება, — ცვლილებითეს ნაცვლად ვამბობთ ვითარებითი (ეწოდებოდა მიმართულე-ბითიც), ბრუნვის გაგება კი უცვლელი დარჩა.

ჩვენი სახელოვანი პედაგოგი სწორი იყო აგრეთვე მოქმედებითი ბრუნვის საკითხშიც. იგი წერს: *მოწაფითურთ* და სხვა ასეთ თანდებულთან ფორმებს რომ ზმნისზედად აცხადებენ, არ არიან მართალნი, — ურთ-ის გარეშეც, ფორმა *მოწაფით*, *მოწაფეებით* მოქმედებითი ბრუნვააო ისევე, როგორც რუსულში ბრუნვაა—*ученик-ом*, *ученик-ами* (ტ. 2, გვ. 104—105).

მანვე იმ დროისათვის საოცრად სწორი აზრი გამოთქვა მეორად ბრუნვაზეც. „ივანე მიდის თელავს“, — ლაპარაკობს ი. გოგებაშვილი, — ისევე ბრუნვაა, როგორც კლასიკურ ქართულში იყო „ივანე მიდის თელავად“. თელავად რომ ბრუნვა იყო და არა ადგილის გარემოებითი ზმნისზედა, ამას ისიც ამტკიცებსო, — წერს ჩვენი პედაგოგი, — რომ ირთავდა თანდებულს და გვაქვს გამოთქმა თელავამდე (თელავ-ად-მდე), თელავამდი (თელავ-ად-მდი; იქვე, 123).

ნანათესაობითარი მიცემითის შესახებ ი. გოგებაშვილი უკვე მაშინ ლაპარაკობს: მ ე ზ ო ბ ლ ი ს ა ს და ამის მსგავს ფორმებს დ. ჩუბინაშვილი ბრუნვად თელის, ნასიძე კი — არა, პირდაპირ გამოხატავს ადგილს, მაშასადამე, ზმნისზედააო. იგი განმარტავს: ორივენი ცდებიან: რუსულში „ზმნისზედას ცალკე ნიშანი“ აქვს, ქართულში კი მეზობლის ნათესაობითი ბრუნვაა დაემატება -ას, -ს, — „გამოდის, რომ „მეზობლისას“ არის მიცემითი ფორმა ნათესაობითის ბრუნვისა“ (ტ. 2, გვ. 99; ხაზი ჩვენია; ი. შ.).

აქ ძალიან საინტერესო დაკვირვებაა წარმოდგენილი, — არსებითად ეს ისაა, რასაც ახლა მეორად ბრუნვას, ან ნანათესაობითარ მიცემითს ვუწოდებთ. შესიტყვებაში: „სახლი მეზობლისა“ ნათესაობით ბრუნვაშია მსაზღვრელი, ისევე „იბრუნვის: მეზობლისა-მ მეზობლის-ას და შემდგომი“⁹. მსაზღვრელ-საზღვრულში „ორმაგი ბრუნვის ფორმები უკანასკნელ მსაზღვრელს აქვს“ (იქვე, 114).

ზმნურ კატეგორიათაგან დიდი მსგავსებაა ახალი ქართულისა და რუსული ენების ზმნის სახეთა (სრული, უსრული) წარმოებაში. ი. გოგებაშვილი ამ საკითხზეც საფუძვლიანად წერდა (იხ. ქვემოთ).

ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას, წარმოვადგინოთ დებულება: **იაკობ გოგებაშვილი არის ქართული და რუსული ენების შეპირისპირებითი გრამატიკის ერთი პირველდამწუვებთაგანი.** მისი სათანადო მსჯელობანი დღესაც ყურადსაღებია. ხსენებული გრამატიკის საკითხებზე ჩვენში იბეჭდება გამოკვლევები, ქვეყნდება წიგნები, იცავენ დისერტაციებს, მაგრამ ბევრ მათგანში ჩვენი დიდი პედაგოგის ეს დამსახურება არ ჩანს. ამიერიდან მისი ეს ღვაწლიც სათანადოდ უნდა დაფასდეს.

1970 წ. მაისი.

⁹ აკაკი შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 112.

დროისა და ასპექტის საკითხი ქართულსა და რუსულ გრამატიკაში*

ასპექტის საკითხი ამ ორ ენაში, ერთი შეხედვით, მარტივია, მაგრამ იგი რთული და მნიშვნელოვანია.

გრამატიკული დრო და ზმნის სახე, ანუ ასპექტი, იმდენად მკიდროდაა ურთიერთთან დაკავშირებული, რომ ასპექტის კატეგორია დიდხანს იყო დადგენილი და მას დროის სახეობად თვლიდნენ, — დროსა და ასპექტს ძველ გრამატიკებში ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავდნენ¹.

დროისაგან ასპექტის დაცილება და მისი ცალკე კატეგორიად აღიარება იწყება რუსულ ენათმეცნიერებაში, დასავლეთ ევროპის ენათმეცნიერებაზე დაყრდნობით, მეცხრამეტე საუკუნის პირველ მესამედში.

საკითხი რუსული ზმნის სახის შესახებ შემდეგაც იწვევდა დავას, — იგი ერთბაშად და ყოველმხრივ არ გარკვეულა. ამიტომაც, რომ ვ. ვინოგრადოვი, სათანადოდ დიდტანიან ნაშრომში, სახის კატეგორიის (категория вида) გარკვევას რუსულ ენაში წინ უმძღვარებს საგანგებო პარაგრაფს სათაურით: «Грамматическая борьба за признание категории вида и против старой теории времен в первой трети XIX века»².

ახლაცო, — შენიშნავს ვ. ვინოგრადოვი, — რუსული ზმნის სახის თეორია რუსული გრამატიკის ერთ-ერთი უფრო ძნელი, სადავო და დაუმუშავებელი განყოფილებაა³. და ეს იმ დროს, როდესაც სახის კატეგორია არის რუსული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია⁴. სახის კატეგორიის მორფოლოგიური მექანიზმი, — წერს ვ. ვინოგრადოვი, — უფრო რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე ზმნური სხვა კატეგორიები⁵.

* წინასწარ მოხსენდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრას 24.XII. 1958 წ., დ განმეორდა ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის სხდომაზე. იხ. ამ ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1959 წ.

¹ შტრ. ა. შანიძე. ქართული ენა, დრო, კილო, ასპექტი. განაკვეთი VIII, თბილისი, 1933 წ., გვ. 19 (დაუსწრებელი პედიინსტიტუტის ლითოგრაფიული გამოცემა).

² В. В. Виноградов. Русский язык. Грамматическое учение о слове, Москва-Ленинград, 1947, გვ. 577—582, § 24.

³ «Теория видов русского глагола — один из наиболее трудных, спорных и неразработанных отделов русской грамматики», — ციტ. ნაშრომი, გვ. 477.

⁴ «Категория вида является одной из основных категорий русского языка». — «Грамматика русского языка, I, — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, მოსკოვი, 1952 წ., გვ. 687, § 426.

⁵ «Морфологический механизм категории вида сложнее и разнообразнее, чем других категорий глагола». — იხ. ვ. ვინოგრადოვი. ციტ. ნაშრომი, გვ. 477, § 24.

ამ საკითხს აქ იმიტომ ვაქცევთ ყურადღებას, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასპექტის კატეგორიის დადგენა ქართულში რუსული ზმნის შესწავლისა და მისი სახის (ასპექტის) დადგენის ისტორიასთანაა დაკავშირებული. თანაც შეპირისპირებით, ამ შემთხვევაში ქართულისა და რუსული ენების ზმნათა შედარებითი განხილვით, საკითხი უფრო ნათელი ხდება და ჩვენც ამიტომ მივმართავთ ამ ხერხს.

წინასწარ საჭიროა, მოკლედ მაინც, მივუთითოთ ზმნის სახის შესწავლის თანამიმდევრობაზე სლავურსა და კერძოდ რუსულ ენაში. საკითხი ვრცლად აქვს მიმოხილული ვ. ვ. ვინოგრადოვს ზემოდასახელებულ ნაშრომში (1947 წ., იხ. გვ. 477—539, § 24—43). იქვეა წარმოდგენილი სათანადო ბიბლიოგრაფია (გვ. 652—662).

ვ. ვინოგრადოვი იმავე წიგნში ჩერდება აგრეთვე საკითხზე „Сопре-
менные грамматические разногласия и определении сущности
двух основных видов русского языка — совершенного и несовершенного“ (გვ. 493, § 28).

გამოჩენილი რუსი მეცნიერი მ. ვ. ლომონოსოვი (1711—1765 წ.) რვიდან ათამდე ფორმას ასხვავებდა რუსული ენის ზმნაში რასაც შემდეგ ოდნავი ცვლილებით იმეორებდა რუსული აკადემიური გრამატიკა (1802 წ.). აქ ჭერ კიდევ არაა ერთმანეთისაგან გამიჯნული დროისა და სახის ფორმები.

რუსული ენის ზმნის დროისა და სახის შესახებ ახალი თვალსაზრითხ ძირითად სახეს:

1. განუსაზღვრელს (неопределенный вид: пишу, сижу),
2. განსაზღვრულს (определенный: иду, бежал),
3. მრავალჯნისს (множественный: хаживал, ежикал).
4. ერთჯნისს (однократный: шагнул, вынес) და ასკენიდა, რომ

დასახელებულ თითოეულ ფორმას აქვს ორი სახეო: უსრული (несовершенный: вынашивать, выносить) და სრული (совершенный, вынести⁷, выносить, вытолкнуть).

რუსული ენის ზმნის დროისა და სახის შესახებ ახალი თვალსაზრისი გამოთქვა (1812, 1816 წ.) ა. ვ. ბოლდირევა (Болдырев). იგი წერდა, რომ რუსული ენის ზმნას დროის მიხედვით მხოლოდ ორი ფორმა აქვსო: სრული და უსრული. მაგ., дуть, дунуть, сдуть, сдунуть. მათ ა. ბოლდირევი თვლის არა ერთი ზმნის ფორმებად სხვადასხვა დროში, არამედ სხვადასხვა ზმნებად⁸. ის ამ ზმნებს ასხვავებს ერთიმეორისაგან სახის მიხედვით. ნ. კ. გრუნსკი, მიკლოშიჩზე დაყრდნობით, ამბობს: სა-

⁶ ტერმინი ერთჯნისი პირველად ნ. გრუნსკმა გამოიყენა.

⁷ В. В. Виноградов. Русский язык (1947 წ.) გვ. 481.

⁸ «Четыре разных глагола»...

ხით განსხვავებული ზმნები სხვადასხვა ზმნებია⁹. ზმნის სახის საკითხს ეხებიან შემდეგ ვ. გ. ბელინსკი (1872 წ.) და ვ. დობროვსკი (1883—1884 წ.). უკანასკნელი არჩევს ზმნის ორ სახეს: გაგრძობითს, ანუ უწყვეტელს (длительный) და მრავალ გზისს (многokratный). ამის შემდეგაც კი ა. ვეისმანი სამართლიანად შენიშნავდა (1899 წ.), რომ მოძღვრება სახის შესახებ ჭერ კიდევ არ შეიძლება მთლიანად დადგენილად ჩაითვალოს¹⁰.

გარკვეული დროისა და სისტემატური ძიების შედეგად, გ. კ. ულიანოვის, ფ. ფ. ფორტუნატოვის, ა. მაზონის, ა. ა. შახმატოვის, ვ. ა. ბოგოროდიცის, ა. მ. პეშკოვსკის, ს. ო. კარცევის და სხვათა შრომებით დადგინდა, განმტკიცდა და გავრცელდა თვალსაზრისი, რომლითაც რუსულ ენაში არის ზმნის ორი სახე: სრული და უსრული¹¹.

ამ ძირითად სახეობათა ნაირსახეობებიცაა ცნობილი. ასე, მაგალითად, სასკოლო გრამატიკა, — შენიშნავს ვ. ა. ბოგოროდიცი, — ჩვეულებრივ ასხვავებს ზმნებში ოთხ სახეს: სრულს, უსრულს, ერთგზისა და მრავალგზისს, მაგრამო, — დასძენს იგივე ავტორი — ყველა ესენი თანაბარ ღირებულებისად ვერ ჩაითვლებიან¹², — ერთგზისი და მრავალგზისი სრულისა და უსრულის კერძო სახეებია; აქ სახე აღნიშნავს ცალკეული მოქმედების ნიუანსებს. როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს ზმნაში ეს ნიუანსებია, — ვ. ბოგოროდიცის სიტყვით, — შესრულებადობა (совершенство) და შესრულება (исполненность)¹³.

შესრულებად მოქმედების ზმნაში ვ. ბოგოროდიცი ასხვავებს კიდევ კონკრეტულსა (მაგ. лететь) და აბსტრაქტულს (летать) მნიშვნელობებს¹⁴.

საერთოდ ძირითადი სახეები ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ი მოქმედების მიმდინარეობას და მის შესრულებას აღნიშნავს, ორივე ეს სახე მდიდარია დროებით, მაგრამ სრული სახე (მოქმედება) მაინც წარსულსა და მომავალში გვაქვს და, ჩვეულებრივ, არა გვაქვს აწმყოში.

სრული სახის ზმნის მომავლის ფორმები ორგვარია: მარტივი (решу, отучу) და რთული (буду решать, буду отучать). ე. ი. პირველში იცვლება თვითონ ზმნა, მეორეში კი — დამხმარე ზმნის ყოფნის (быть)

⁹ «Глаголы разных видов — в сущности разные глаголы». — В. В. Иоградов. ციტ. ნაშრომი, გვ. 491.

¹⁰ «Учение о видах является не вполне установленным». ვ. ვ. ი. ნ. გ. რ. ა. დ. დასახ. წიგნი, გვ. 490.

¹¹ ვ. ვ. ი. ნ. გ. რ. ა. დ. იქვე, გვ. 492.

¹² В. А. Богородицкий. Общий курс русской грамматики, მოსკოვ-ლენინგრადი, 1935 წ., გვ. 168.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

მომავლის ფორმას ნუდუ) ემატება ზმნის განუსაზღვრელი ფორმა *решать, обучать...* შდრ. ქართ. ეწერ და უნდა ეწერო, დაეწერ და უნდა დაეწერო). ამიტომ ეწოდება უკანასკნელს რთული მომავალი.

აწმყოს ფორმის ზოგიერთ ზმნას მომავლის მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს და ამიტომ მას აწმყო-მომავლის ფორმას უწოდებენ. მაგ.. 1. *учу* — ახლა ვასწავლი და 2. *учу* — საერთოდ ვასწავლი „т. е. *учение составляет мое обычное занятие*“¹⁵ (შდრ. ქართ. ვასწავლი ახლა, — აწმყო, მოიყვანე ბავშვი და ვასწავლი. — მომავალი. რას ვაკეთებ? ვასწავლი). ვასწავლი ახლას მნიშვნელობა არის კონკრეტული, ვასწავლი საერთოდ (ემასწავლებლობ) არის აბსტრაქტული. ქართულშიც ასეთი ფორმები აწმყო-მომავლისად იწოდება.

მუდმივ მოვლენებში კი ზმნა კარგავს დროულსა და მამასადაძმე, ასპექტის გაგებას: მზე ამოდის, ჩიტი ფრინავს, მასწავლებელი ასწავლის და ა. შ. ნიშნავს არა აწმყოს, არამედ საერთოდ მოქმედებას. ჩვეულებრივ საქმიანობას.

ვ. ვინოგრადოვი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას. რომ ზოგიერთი რუსი მკვლევარი გრამატიკოსი (მაგ.. ა. ს. ვოსტოკოვი, სასკოლო გრამატიკის ავტორები რ. ი. ოვანესოვი, ვ. ნ. სიდოროვი და სხვები; ზმნის სახეს აფასებს, როგორც მოქმედების სხვადასხვა ეტაპის გადმოცემის საშუალებას; სრული აღნიშნავს მოქმედების დასაწყისსა და ბოლოს, უსრული შუა მოქმედებას¹⁶.

საერთოდ ზმნის სახის განსაზღვრას უკავშირებენ მოქმედების მიმდინარეობას, მის საზღვრებს, ზმნის სრული სახე ჩვეულებრივ აღნიშნავს მოქმედების შედეგს, რეზულტატს.

რუსულ სამეცნიერო გრამატიკულ ლიტერატურაში ვკითხულობთ: «В попятни современного вида основным признаком является признак предела действия, достижения цели, признак ограничения или устранения представления о длительности действия“.

„Обозначение результата является одним из основных значений совершенного вида, но не единственным“¹⁷.

ზმნის სახის საერთო დახასიათება ასეთია: «Категория вида обозначает, что действие, выраженное глаголом, представляется: а) в его течениях, в процессе соверщения, а тем самым и длительности или повторяемости, напр.: *жить, цеть, работать, ходить, читать*; б) как ограниченное, сосредоточенное в каком-либо пределе со-

15 ვ. ა. ბოგოროდიცკი. ცტ. ნაშრომი (1935 წ.), გვ. 170.

16 ვ. ვინოგრადოვი. ცტ. ნაშრომი, გვ. 494.

17 იქვე, გვ. 497.

вершения, будет ли то момент возникновения, начала действия или же момент его завершения, его результат, напр.: занять, кончить, побеждать, пронеть, прийти, узнать, уйти.

Глаголы, обозначающие длительные или повторяемые действия, называются глаголами несовершенного вида; глаголы, обозначающие действие в какой-либо момент его совершения, действие в его пределе, в его результате, называются глаголами совершенного вида¹⁸.

რუსული ერთ-ერთი პოპულარული გრამატიკის მიხედვით „Виды это такие формы глаголов, которыми показывается, как протекает действие по времени“¹⁹.

ზმნის ორ ძირითად სახეთაგან სრული სახის ზმნას აქვს მოქმედების საზღვარი. გვიჩვენებს მოქმედების შედეგს, უსრულს კი ასეთი რამ არ გააჩნია, მაგრამ აქვს ნიუანსი მრავალგზისობის ან მოქმედების მიმდინარეობის გავრძელების. მაგ., სრული სახის იქნება: „ученик решил (решил) задачу“, — უსრულის კი „ученик решил (решает, будет решать) задачу“.

პირველი აღნიშნავს, რომ მოქმედება შესრულდა ან შესრულდება, იქნება შედეგი. მეორე აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდებოდა, მიმდინარეობდა ან მოხდება ხოლმე; зацветает — ყვავდება აღნიშნავს აყვავების დაწყებას, მაგრამ ბოლო არ ჩანს; зацвели — აყვავდნენ კი აღნიშნავს აყვავების პროცესის დასრულებას. აყვავდება ვაშლი გვიჩვენებს, რომ მისი აყვავება დაიწყება და დასრულდება კიდევ²⁰ — ამიტომაა ეს სრული სახის, ანუ სრული ასპექტის ზმნა, თორემ ფორმაში აყვავდება — მოქმედება ჯერ არც კი დაწყებულა. ამ აზრით ამბობენ, რომ დასრულებული მოქმედების (ან მდგომარეობის) აღმნიშვნელი ზმნა სრული სახის ფორმაა და უსრული მოქმედების (ან მდგომარეობის) აღმნიშვნელი ზმნა უსრული სახის ფორმაა²¹.

ზმნები, რომელთაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ განი-

¹⁸ Грамматика русского языка, I, სსკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა მოსკოვი, 1952 წ., გვ. 426, § 687—1960, გამოც., გვ. 424, § 687.

¹⁹ А. М. Земский, С. Е. Крючков, М. В. Светлаев. Русский язык, Учебник для пед. училищ. под редакцией акад. В. В. Виноградова, მოსკოვი, 1950, გვ. 200.

²⁰ იქვე, გვ. 159.

²¹ Г. С. Ахвледиани. Учебник грамматики русского языка, მე-7 გამ., თბილისი, 1958, გვ. 159.

ჩვეიან ერთმანეთისაგან სახით (სრული და უსრული), ქმნიან წყვილებს. (კეთება — გაკეთება, შენება — აშენება)...²².

ზმნის უსრული სახიდან სრული სახის წარმოების სხვადასხვა საშუალებებია სხვადასხვა ენებში. ასეთ საშუალებათაგან რუსულ და ქართულ ენებში გვხვდება როგორც ერთიანი ისე განსხვავებული ტიპები, ზმნის სრული სახის წარმოების საშუალებებია რუსულში:

1. სუფიქსი — и (—а. и): спасти — спасать, пленить, — пленять.

2. ზმნის ფორმის შიგა წარმოება: -па-, дать — давать, обуть — обувать, -ива-, оттаять, — оттаивать.

3. ზმნისწინი: писать — написать, списать.

4. ну-სუფიქსი: дингать — динуть, прыгать — прыгнуть.

5. უსრულიდან იწარმოება სრული სხვა ძირით: говорить — сказать, брать — взять.

6. ზოგიერთი ფორმა ორივე სახეს აღნიშნავს: дарю, образую, крепшу, казняю, вожую.

7. ზოგ ზმნას არა აქვს წყვილი, — უსრულს სრული ან სრულს უსრული, მაგ.: სრულთ უსრული არა აქვთ: заплакать, хлынуть. უსრულთ სრული არა აქვთ: преобладать, присутствовать, прихрамывать.

რუსული ენის ყოველი ასეთი ზმნა ერთ-ერთ სახეს მიეკუთვნება. საერთოდ კი, როგორც წესი, ზმნათა უმრავლესობას ორივე სახე აქვს²³. მაგ., поливать — რწყვა და полить — მორწყვა... ფორმათა ასეთი თანაფარდი წყვილები (соотносительные ряды форм) გადის მთელ უღლებაში (полывал — რწყა, полил — მორწყა..., ქართ. რწყავს — მორწყავს, რწყავს — მოურწყავს; ერწყა—მოერწყა, რწყოს—მორწყოს...), მოიცავს ზმნათა ფორმების მთელ სისტემას²⁴ და ამიტომაც, რომ, მაგ., რუსულ ენაში, სახის კატეგორიას ზმნის ერთ-ერთ უძირითადეს კატეგორიად²⁵ თვლიან.

²² «Глаголы, которые имеют одинаковые значение и отличаются друг от друга только своим видом (совершенным и несовершенным), образуют пары» — С. Г. Бархударов и Е. И. Досычева. Грамматика русского языка т. I, Москва, 1938 წ., გვ. 159.

²³ «[Как правило, глагол одного вида имеет соотносительный глагол другого вида с тем же лексическим значением]. — Грамматика русского языка, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, მოსკოვი, 1952 წ., გვ. 426, § 687 = 1960 წ. გამოც., გვ. 424 § 687; შდრ. ვ. ვინოგრადოვი. ციტ. ნაშრომი, გვ. 500—502.

²⁴ «Категория вида охватывает всю систему глагольных форм» — იხ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემული ზემო ციტ. «რუსული ენის გრამატიკა» 1952, გვ. 426.

²⁵ იქვე. ქართული ენის ასპექტის შესახებ იხ. ქვემოთ.

იაკობ გოგებაშვილი ქართული და რუსული ენების ზმნური ფორმების შეპირისპირებასაც მიმართავდა და იგი აქაც თავისი დროის გრამატიკული აზროვნების დონეზე იდგა. კონკრეტული მაგალითები ქვემოთ იხსენიება.

დროისა და ასპექტის საკითხი ახალ ქართულში

ზმნის უსრულ სახეზე ზმნისწინის დართვით რომ ქართულ ენაშიც ისევე, როგორც რუსულში, ზმნისავე სრული სახე იწარმოება, ეს ი. გოგებაშვილამდეც იყო შენიშნული. ჩვენმა პედაგოგმა საკითხი უფრო ნათლად გააშუქა და სათანადო წესი ჩამოაყალიბა. 1886 წელს პოლემიკაში შემოხსენებულ მიხ. ნასიძესთან ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: უსრულ სახეს ზმნისა დაერთვება თანდებული (წინდებული — *მ. შ.*), ზმნა სრული სახის გახდება— „სწერე—და-სწერე და სხვანი“¹ მაშასადამე, — ასკვნის იგი, — კანონიანო, — „სრულ სახედ გარდაქცევისათვის უსრულს თავში უნდა მხოლოდ მიემატოს თანდებული“ (იქვე, ხაზი ჩენიან, *მ. შ.*).

ი. გოგებაშვილმა უკვე იცის, რომ თითოეულ გრამატიკულ დროს თავისი ფორმა აქვს, გარდა მომავლისა (ვსწერ), რომელიც „სესხულობს აწმდგომი (აწმყოს — *მ. შ.*) დროის ფორმასა“ (გვ. 129). ავტორი შენიშნავს: ზოგი ტიპის ზმნებს მომავლის საკუთარი ფორმებიც გააჩნიათ (ვტირი — ვიტირებ, ვკითხულობ — ვიკითხავ). ამათი მნიშვნელობა „ჩაუფიქრებლად ცხადია ყველასთვის“ (იქვე).

საკითხის გასაშუქებლად ჩვენი პედაგოგი სხვა მაგალითსაც განიხილავს: „ვსწერ თავში ჩავურთოთ და მივიღებთ დავსწერე (წარსულის სრული სრულის სახისა), დამიწერია (წარსულის უსრულებსი სრულის სახისა), და დავსწერ (მომავალი დრო სრულის სახისა)“...

ეს შეხედულებაო, — დასძენს ავტორი, — „დაადგინეს ღრმად განვითარებულ პირთა, რომელთაც კარგად იცოდნენ და იციან ქართულიც, რუსულიც, ევროპული ენებიც ძველნი და ახალნი“... (129).

აქ წარსულს არა მხოლოდ ერთი დრო (ფორმა — *მ. შ.*), არამედ მეტი აქვს, — ნასიძე კი, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — მხოლოდ ერთ წარსულის ერთ ფორმას სცნობსო და ამიტომ მას მხოლოდ სამი დრო რჩებაო: აწმყო (ვსწერ), წარსული (ვსწერდი) და მომავალი (ვსწერ— იქვე, გვ. 130). ვსწერდი წარსულის გარდა, ქართულშივე წარსულია დავსწერე, დამიწერია, — ამათაც თავისი სახელი სჭირდებაო. რუსულშიო, — განმარტავს ავტორი, — ამათი შესაფერი თითო ფორ-

¹ ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 127.

მა არა გვაქვს; იქ არის ქართული სრულ-უსრულის—ვლექე²—დავ-
ლექე, ვხანი—დავხანი, მოვხანი, ვაშენე—ავაშენე, ვიტირე—გამოვი-
ტირე—ს ფარდი: *писал — написал, читал — прочитал*³.

სიტყვა რომ მოკლედ მოვჭრათ, ცხადია, ი. გოგებაშვილი ასპექ-
ტის საკითხშიც მაშინდელი გრამატიკული აზრისაა.

მაშინაც იყვნენ ისეთები, რომლებიც გრამატიკული ფორმის სის-
რულეს მოქმედების სისრულესთან აიგივებდნენ (დავწერე — ფორ-
მაც სრულია და მოქმედებაც დამთავრებულია, მაგრამ დავწერ —
ფორმა სრულად ითვლება, მოქმედება კი არც დაწყებულია; შდრ. ქვე-
მოთ) და ახლაც გვხვდება ასეთები, მაგრამ ეს გაუგებრობაა. აქ ლაპა-
რაკია ზმნის ფორმის სისრულეზე და არა მოქმედების დასრულებაზე...
აქ ჩვენთვის უფრო არსებითი ისაა, რომ შემდეგ ასპექტის ისეთი მხარე-
ებიც გაიჩვენა მეცნიერებაში, რაც მაშინ არ იყო გარკვეული, და ქვე-
მოთ შათზეც უნდა შეეჩერდეთ.



ზმნის ასპექტის კატეგორია ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ქარ-
თული ენის განვითარების ისტორიაში. იგი ერთი მთავარი განმასხვავე-
ბელი ნიშანთაგანია ძველსა და ახალ ქართულს შორის და ამიტომ ზე-
მოთ — სათაურშივე გამოვყავით ახალი ქართული.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ი. გოგებაშვილი სწორად მსჯელობდა ძვე-
ლისა და ახალი ქართული ენის ურთიერთობის საკითხზე. მან გამოაქვეყ-
ნა ვრცელი ნარკვევი „Классический грузинский и современ-
ный“ და აქ აღნიშნა, რომ ახალი ქართული არაა ისე დიდად დაცი-
ლებული ძველი ქართულიდან, როგორც, მაგალითად, ძველი ბერძნუ-
ლი და ახალი ბერძნული, რის გამოც პირველი მკვდარ ენად ითვლება.
ძველ ქართულ ბიბლიურსა და სხვა წიგნებს თანამედროვე ქართველიც
კითხულობს და იგებსო (ტ. 8, გვ. 74), მაშასადამე, ის არაა მკვდარი
ენაო.

მიუხედავად ამისა, ქართული ენის განვითარების სხვადასხვა სა-
ფეხურებზე ასპექტის ვითარება განსხვავებულია. მას ისტორიულ ას-
პექტში ან ცალ-ცალკეც — ძველისა და ახალი ქართულის მიხედვით—
ეხებოდა თითქმის ყველა ის ავტორი, რომლებიც ზემოთ დავასახე-
ლეთ.

² შდრ. ი. მეგრელიძე. უწყვეტლისა და მეორე კავშირებითის ადგილთათ-
ვის ქართული ზმნის დროთა სერიებში. — ცხინელის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-
სტიტუტის შრომები. ტ. VII, თბილისი-ცხინვალი, 1959, გვ. 181—190, იხ. ქვემოთ.

³ ი. გოგებაშვილი. ციტ. ტ. 2, გვ. 31—32.

ქართულ ენაზე გამოცემული გამოკვლევებისა და ზემოთვე დასახელებული ნ. მარის წიგნის „ძველი ქართული ენის ძირითადი ტაბულების“ (1908) გარდაც, უნდა მოვიხსენიოთ ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნდა რუსულსა და ევროპულ ენებზე.

Matériaux pour servir à l'étude du verbe géorgien moderne, recueillis par Eduard Liauzun (თბ., 1911)⁴;

A. Dirr. Theoretisch-praktische Grammatik modernen georgischen (grusinischen) Sprache (ვენა-ლაიფციგი);

И. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка (ლენინგრადი, 1925);

მისივე: La Langue géorgienne (პარიზი, 1931, ბ. ბრიერის თანავტორობით);

G. Deeters. Das kharthwelische Verbum (ლაიფციგი 1930);

Hans Vogt. Grammaire de la langue géorgienne (ოსლო, 1936. და გადამუშავებული 1971 წ. გამოცემები);

Б. Т. Руденко. Грамматика грузинского языка (მოსკოვი—ლენინგრადი, 1940);

K. H. Schmidt. Zu den Aspekten im georgischen und in indogermanischen Sprachen. (იხ. ჟურნალი „Revue de Kartvelologie“, ტ. XV—XVI, პარიზი, 1963);

Г. Г. Голетиаши. Сопоставительная грамматика русского и грузинского языков, I, морфология (თბილისი, 1970).

აქვეა დასახელებული ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, ივ. ქავთარაძის, გ. წიბახაშვილის, ზ. ქუმბურჩიძის სათანადო ნაშრომები და წერილები, ჩვენ ქვემოთ, თავ-თავის ადგილზე, სხვებსაც ვახსენებთ.

საკითხი ისტორიულ ასპექტში განსაკუთრებით ნათლად აკაკი შანიძემ გააშუქა. „ასპექტი, — წერს ის, — ძველ ქართულშიც იყო და ახალშიც არის, მაგრამ ის ძველად სულ სხვა პრინციპზე იყო დაფუძნებული, ვიდრე დღეს“⁵.

ძველში იგი „უღლების კატეგორია იყო და მწკრივში შედიოდა, როგორც მისი ელემენტი“; მაშინ ასპექტის საკითხში „ერთმანეთს უპირისპირდებოდა არა პრევერბიანი და უპრევერბო ფორმები როგორც;

⁴ ნაშრომი — „მასალები თანამედროვე ქართული ზმნის შესასწავლად“ — ლიტოგრაფიულად გამოიცა თბილისში 1911 წელს; გვ. 11. რეცენზია მასზე — ა. შ. დირისა იხ. Известия Русского археологического общества, ტ. XXI 1911—1912, გვ. 125. ეს მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომელშიც ქართული ზმნის აღნიშნულ კატეგორიას პირველად ეწოდა ახსენებ; ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კი იგი მოხსენებული არ ჩანს!

⁵ ა. შანიძე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 274.

ეს დღეს არის, არამედ მწკრივები...“ სერიების დაპირისპირების პრინციპი ძველ ქართულში „მოგვაგონებს ბერძნულს...“ ახალი „ქართული კი მისდევს იმ სისტემას, რომელიც წარმოდგენილია სლავურ ენებში და კერძოდ რუსულში“ (იხ. ზემოთ), მაგრამ შედგენილობით მათგანაც განსხვავდება (იქვე, გვ. 276).

მსცოვანი მეცნიერის დასკვნით, ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა „დიდი მოხვეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის. ამ მიჯნაზე ძვეს საშუალო ქართული, რომელიც ასახავს ამ ორი სისტემის პარალელურ არსებობას და ენის ცდას, უფრო და უფრო მეტი გასაქანი მოუპოვოს ახალ სისტემას და მივიწყებას მისცეს ძველი“.

„გრამატიკული კატეგორია ასპექტისა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ძველსა და ახალს ქართულს შორის“ (იქვე, გვ. 279; ხაზი ჩვენია — ო. შ.).

ამ დასკვნამდის ერთბაშად არ მისულა ჩვენი მეცნიერება. საკითხის შესწავლას თავისი ისტორია აქვს.



სახის ანუ ასპექტის კატეგორიის დადგენა, როგორც ეს ზემოთაც ითქვა, ქართულ გრამატიკაში რუსული ზმნის შესწავლისა და მისი სახის (ასპექტის) დადგენასთანაა დაკავშირებული⁶. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ქართულში, შედარებით რუსულთან, მაინც უფრო გვიან გაირკვა ეს კატეგორია⁷. მას არსებითად სწორად პირველი ჩვენში დ. ყიფიანი განსაზღვრავს, ის ამბობს რომ წერა ზმნა უსრული ფორმისაა. თუ ამას დაემატება, მაგ., და-, იქნება და-წერა, და-უწერა და მიიღება „სრული ანუ დამთავრებული სახე ზმნისა“. საკითხის შემდეგი ისტორია ძირითადად სრულად ისევ ა. შანიძეს აქვს წარმოდგენილი.

დ. ყიფიანის თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი პ. კვიციანიძის „ქართულ სწორმეტყველებაში...“ (თბ. 1888, გვ. 123—126) დრო და ასპექტი მაინც ვეღარაა გამოიჭნული. მას ზმნის სახის სისრულე და არასისრულე დაკავშირებული აქვს იმავე ფორმის მიერ გამოხატული მოკმედების სისრულე-უსრულობასა ან ერთდროულობასა და ხანგრძლიობასთან.

⁶ ქვემოწარმოდგენილი ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნ. „სკოლასა და ცხოვრებაში“, 1969, № 2.

⁷ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 286.

საკითხზე უფრო სწორი წარმოდგენის არის ს. ხუნდაძე, რომელიც წერს: „უსრული სახის ზმნები უმეტეს წილათ უთავსართოა. (ვწერ, კვითხულობ, ვაშენებ), სრულის სახის კი — თავსართიანი (დავწერე, წავიკითხე, ავაშენე)“⁸, მაგრამ ზოგიერთი ზმნა უთავსართოდ სრული სახისააო (ვისადილე, ვინადირე).

ასპექტის კატეგორია ქართულში კიდევ უფრო ზუსტად რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის სელექციის წევრმა ელუარდ ლიოზენმა განსაზღვრა: როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 63), ტერმინი ასპექტიც ქართული ზმნის მიმართ პირველმა მანვე გამოიყენა (იხ. აღნიშნული Liauzun E. Matériaux pour servir à l'étude du verbe géorgien moderne თბ., 1911, გვ. 11).

საკითხის ხსენებულ გაგებას შემდეგ ავითარებს ი. ნიკოლაიშვილი და კიდევ უფრო აზუსტებენ სხვები. ი. ნიკოლაიშვილი თავისი გრამატიკის გადამუშავებულ გამოცემაში სწორად განმარტავს, რომ ზმნის უსრული სახიდან სრულს ზმნისწინი (პრევერბი) აწარმოებს და „პრევერბები გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას“ (მივედი, მოვედი, ჩამოვედი), მაგრამ იგივე პრევერბები გვიჩვენებენ აგრეთვე „მოქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას“ (მაგ., წერა, დაწერა), ზოგ ზმნას კი იგი არც სჭირდება (მაგ. კვითხა — მოკვითხა, სთხოვა — მოსთხოვა)⁹.

ნ. მარის მიერ ჯერ რუსულად (ლენინგრადი, 1925) და შემდეგ ფრანგულადაც (პარიზი, 1931 წ.) გამოქვეყნებულ ძველი სალიტერატურო ქართული ენის ცნობილ გრამატიკებში ზმნისწინი დაბასიათებულია უმთავრესად ძველ ქართულში, მაგრამ იქვე არსებითი მნიშვნელობის აზრებია გამოთქმული ახალი ქართული ენის ასპექტის შესახებაც (დასახელებული 1925 წ. გამოცემა გვ. 125, 166; 1931 წ. ფრანგული გამოც.: გვ. 210).

გერპარდ დეტერსი ნაშრომში „Das kharthwelische Verbum“ — „ქართველური ენების ზმნა“ — (ლაიფციგი, 1930 წ.) ასპექტის საკითხსაც არსებითად ეხება.

ყველა წინაპარზე უფრო საფუძვლიანად საკითხი გაშუქებულია ა. შანიძის სამეცნიერო და სასკოლო გრამატიკებში. ავტორისათვის ამოსავალია ფორმის დაუსრულებლობა-დასრულება: აღნიშნულია, რომ „ასპექტი მოეპოვება ქართულში მოქმედებითი გვარისა და მიმდინარეობითი ვნებითის ზმნებს“¹⁰, რომ გვაქვს ზმნები უსრული სახისა

8 ს. ხუნდაძე. ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 107, გვ. 58.

9 ი. ნიკოლაიშვილი. ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1927, გვ. 29.

10 ა. შანიძე. ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი, 1930, გვ. 129.

(იმპერფექტული, ვწერ) და სრული სახისა (პერფექტული) და-ვწერ) ან ზოგი ზმნა განსხვავდება მხოლოდ დროის მიხედვით. მაგ. ვნაუავ აწმყოა, ვნახავ კი — მყოფადი (იქვე, (გვ. 129—130).

ეს თვალსაზრისია განვითარებული და გაღრმავებული ა. შანიძის გრამატიკების მომდევნო გამოცემებში, ა. ჩიქობავას, ჰანს ფოქტის, ბ. რუდენკოს, კ. ჩხენკელის, ა. მარტიროსოვის, ა. კიზირიას, ივ. ქავთარაძისა და ზოგიერთ სხვათა ნაშრომებში.

ზოგადად სწორია დებულება, რომ ასპექტი როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაში ზმნისწინით იწარმოება, მაგრამ ამ ორი ენის ეს კატეგორია, არც ისე იდენტურია, როგორც ამას ბ. რუდენკო თვლის (...тошно так же, как в русском-о, წერს ავტორი; იხ. მისი „Грамматика грузинского языка“, 1940, გვ. 109). აქაც გვხვდება როგორც ერთნაირი, ისე განსხვავებული ტიპები (იხ. ქვემოთ დასკვნები). მათში, უსრული სახე უზმნისწინაა, სრული კი — ზმნისწინაა. მაგრამ რიგი ზმნები უზმნისწინოდაც სრული სახისაა (ვისადილე, ვინადირე, ვუჩვენეთ) ან ზმნისწინაა უსრული სახის (მიმაქვს. მიმყავს, გავკვივი. იხ. ხუნდაძის გრამატიკა, 1907 წ.), ზმნისწინი ზოგჯერ მხოლოდ გეზს, ორიენტაციას (ძველის გადმონაშთით) და რიცხვს (აცხო — დააცხო, გაზარდა — დაზარდა) ან სხვა რაიმეს აღნიშნავს.

მოქმედებითი გვარის უსრული ასპექტის ზმნის ფორმისაგან სრული ასპექტის ზმნისწინით წარმოების მაგალითები იქნება: წერს — დაწერს, ხატავს — და-ხატავს, ტეხს — გა-ტეხს, ქსოვს — მოქსოვს... ფუძემონაცვლე ზმნები: გრეხს — და-გრეხს, გლეჯს — და-გლეჯს. მიმდინარეობითის ფორმები: დგება — და-დგება, თბება — გა-თბება. იღება — გა-იღება, იცვლება — გამოიცვლება, ეცლება — გა-ეცლება და ა. შ.

ა. შანიძე ცნობს, რომ ფუძემონაცვლე ზმნებში ე ახასიათებდა უსრულს, ხოლო ი. სრულ ასპექტს (შეკრებდა — შეკრიბა), თუმცა ახლა სრული ასპექტი ენიანი ფორმითაც გადმოიცემა (კრებს — შეკრებს)¹¹.

ნ. მარი ასპექტის მაწარმოებელს სხვა ი-შიც ხედავს: ამას მხარს უჭერს ჰ. ფოგტი.

ა წ მ ყ ო — ვ-გრძნობ,
 „ ვ-ჩურჩულებ
 „ ვ-მსახურობ

მ ყ ო ფ ა დ ი — ვ-ი-გრძნობ
 „ ვ-ი-ჩურჩულებ,
 „ ვ-ი-მსახურობ და ა. შ.¹²

¹¹ შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ.269.

¹² ნ. მარის ქართ. ენის გრამატიკა, ლენინგრადი, 1925, გვ. 167, მისივე — ფრანგულ ენაზე, პარიზი, 1931, გვ. 193, ჰ. ფოგტი, *Esquisse d'une grammaire du géorgien moderne*, ოსლო, 1936, გვ. 144, 158, 187—189; 1971, გვ. 180—195.

ბ. რუდენკო ხსენებული ი-ს სათავისო ქცევის ი-დ თვლის, მაგრამ უმატებს, რომ იგი საშუალო გვარის ზმნების მყოფადის ფორმებში ასპექტის სისრულეზე მიგვიითიბებსო (აწმყო — ვ-ტრიალებ, მყოფადი — ვ-ი-ტრიალებ). ამავე ფუნქციისაა ე-ცო (აწმყო — მაქვს, მყოფადი — შ-ექნება, იქვე, გვ. 110).

საინტერესოა ლიტერატურულ ქართულში ასახული კლოური ფორმებიც:

აწმყო	მყოფადი	წყვეტილი
ღრენს (ლიტ. ღრინავს)	ი-ღრენს	ი-ღრინა.
ქშენს (ლიტ. ქშინავს)	ი-ქშენს	ი-ქშინა,
ფრენს (ლიტ. ფრინავს)	ი-ფრენს	ი-ფრინა და ა. შ.

აგრეთვე თემის ნიშანს, არ იცვლიან აწმყო-მყოფადში ქართული ლიტერატურული ენის საშუალო გვარის ებ-იანი ზმნები:

აწმყო	მყოფადი	წყვეტილი
ბარბაცებს	ი-ბარბაცებს	ი-ბარბაცა,
კაშკაშებს	ი-კაშკაშებს	ი-კაშკაშა,
რაკრაკებს	ი-რაკრაკებს	ი-რაკრაკა,
ბიბინებს	ი-ბიბინებს	ი-ბიბინა

და ა. შ. (ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფუძვლები, I, გვ. 425—426).

ასეთები, რა თქმა უნდა, საჭიროა განვასხვავოთ ფორმებისაგან: ვახშობს, ი-ვახშობს, ი-ვახშობა; ყვირის, ი-ყვირა, ი-ყვირებს და ა. შ. (გ. დეეტერსი, გვ. 158).

იტყვის, ილოცავს და ა. შ. აწმყოდან ითვლება გადმოსულად მყოფადში, მაგრამ არც ესენი არიან მთლიანად ერთნაირი. მაგ., ი-ტყვის ფორმას აქვს საპირისპირო ფორმა ე-ტყვის, — ეს ემორჩილება ვნებითი გვარის ი-ს ე-დ შენაცვლების წესს (შდრ. ი-ბრძვის), ე-ბრძვის), მაგრამ „იტყვის“ შინაარსით არაა ვნებითი.

ეს ი არც სათავისო ქცევის ნიშანია. თორემ გვექნებოდა საპირისპირო ფორმები: „იტყვის“ ითქმება, „ა-ტყვის“, „უ-ტყვის“ კი — არა.

ი-ლოცავს, ი-ყილოს ი-ს ამავე ფორმაში (შდრ. ი-ტყვის — იტყვის) ე არ ენაცვლება (ე-ყიდება, ე-ლოცება სივთა, ი-გრას არც ა-ლოცავს იხმარება, გვხვდება უ-ლოცავს).

აწმყოდანვეა გადასული მყოფადში ნახავს და ჰკითხავს ფორმები, მაზრამ ი-ს არ იჩენენ.

მოქმედებითი გვარის ზმნის აკეთა — უსრული ასპექტისა და გააკეთა — სრული ასპექტის კვალობაზე იკაშკაშა უსრული ასპექტისაა

და გა-ი-კაშკაშა — სრულისა, მაგრამ აწმყოს „აკეთებს (უსრული ასპექტი) და მომავლის „გააკეთებს“ (სრული ასპექტი) მსგავსად „კაშკაშებს“ ზმნისწინით ვერ მოგვეცემს მომავალს. აქ ზმნას წინ ემატება ი-: ი-კაშკაშებს, გა-ი-კაშკაშებს. უკანასკნელი და მისთანანი, ერთთა მიხედვით, უასპექტო ზმნებია, მაგრამ შინაარსით უდავოა, რომ კაშკაშებს უსრული ასპექტის გაგებას შეიცავს, ი-კაშკაშებს კი — სრულისას. ამ თვალსაზრისით ამასა და ასეთ ზმნებს შეიძლება უასპექტო კი არა, ასპექტ-ნაკლი ფორმები დარქმეოდეთ (შდრ. დრონაკლი, პირნაკლი, რიცხვნაკლი ზმნები). ამით აღინიშნებოდა ის, რომ იკაშკაშებს სრული ასპექტისაა (ასევე იქნებოდა ზმნისწინიანი ფორმებიც: გაიკაშკაშებს, შდრ. „იმღერებს და დაიმღერებს“, — „სიმღერაც რომ არ იცოდეს, მაინც დაიმღერებს“).

აგრეთვე ზმნები: თქვა, ნახა, იყიდა, უთხრა... და მათი მყოფადის ფორმებიც: იტყვის, ნახავს, იყიდის და სხვა უზმნისწინოდაც სრული ასპექტის შინაარსისაა, მაგრამ იმავე ფორმებს არა აქვს წყვილები აწმყოსათვის, იმავე ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოები უსრული ასპექტის ფორმებს (აწმყო) შენაცვლებით იესებენ.

იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ფორმები სრული ასპექტის შინაარსს ატარებენ და ის ფორმები კი, რომლებიც მათ აწმყოში ენაცვლებიან — უსრულისას, თითოეულ მათგანს მაინც აქვს ერთ-ერთი ასპექტის გაგება და ამიტომ ისინი არა უასპექტო, არამედ ასპექტნაკლ ზმნებად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

თვით ე- (იცხოვრებს და მისდაგვარ ფორმებში), რომელსაც უფუნქციოს უწოდებს ზოგიერთი მკვლევარი, ფუნქციის მქონედ ჩათვლებოდა.

ა. შანიძის მიერ გამართქმულია მოსაზრება: „საშუალო ზმნათა ერთი ჭკუფი დანაკლის ფორმათა შესავსებად თავის ფუძეს მოქმ. გვარის ზმნათა ფორმებს იყენებს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით. პირდაპირ-ობიექტური პირის გამორიცხვით“. ასეთ ზმნებს სუბიექტი I სერიაში სახელობითში აქვთ, II-ში მოთხრობითში, III-ში მიცემითში, ე. ი. ემსგავსებიან მოქმედებითი გვარის ზმნებს; ცხოვრობს კაცი, იცხოვრა კაცმა, უცხოვრია კაცს!¹³

მოქმ. გვარის აღუღებს ზმნის საპირისპიროა საშუალო დულს, ვნებითი დულდება და უკანასკნელის აწმყოს დულს ფორმისაგან ზმნისწინის დართვითაც ვერ ვღებულობთ მყოფადის ფორმას. მაშასადამე, ვერც — სრული ასპექტის ფორმას. აწმყოს დულს მყოფადში შეეფერება ე-დულდება; უექველია, ამისი ფუძე მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძეა: კაცი წყალს ი-დულდება, მყოფადში — ა-ი-დულდება, და ამას სხვა

¹³ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 314; შდრ. იქვე, გვ. 514, 544.

ფორმებიც მოეპოვება: ა-ა-დულებს, ა-უ-დულებს; თვით ზმნაც მოქმედებითი გვარისა გახდა, მაგრამ გამოთქმაში „წყალი იდულებს“ ერთპირიანი ზმნის ო ქცევის ნიშნად ვერ ჩაითვლება და იგი ვერც ვნებითი გვარის ნიშნად გამოცხადდება (წყალი დულს, წყალმა იდულა; შდრ. ბავშვი იზრდება, ბავშვი გაიზარდა. პირველს ე-არ ენაცვლება, ფორმას კი აძლევს სრული ასპექტის შინაარსს)...

ზოგიერთი ზმნა ფორმითაც არ განსხვავდება აწმყოსა და მყოფად ში, მაგრამ კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა შინაარსისა (აწმყო-მომავლის ფორმები):

აწმყო		მყოფად	
ვჭამ	(ახლა)	ვჭამ (როცა შექნება),	
ვასწავლი	"	ვასწავლი (როცა მოვა),	
ვტყუორცი	"	ვტყუორცი (ხვალ),	
ვისვრი	"	ვისვრი (ხვალ)	
ვცემ		ვცემ (ხვალ) და სხვ.	

მაგრამ მეორე ფორმები ზმნისწინათაც შეიძლება ვიხმაროთ და მაშინ ასეთები მხოლოდ მყოფადის ანუ სრული ასპექტის ფორმით წარმოგვიდგება: მაგ., შე-ვასწავლი, შე-ვტყუორცი, გა-ვისვრი, ჩა-ვცემ. ამგვარად ვჭამ ახლა და ვჭამ შემდეგ-ს შორის „დროული განსხვავება წინადადებაში შემავალი სიტყვებით არის დამყარებული“¹⁴.

აწმყოს ზოგი ფორმა ზმნისწინს არ ირთავს და უასპექტოდ ითვლება. მაგ., არის, უყვარს, სწამს, სძულს, სძინავს, ღვიძავს, დგას, გდია, ვიცო, სწყურია, სშია, სცალია, სწერია, აჩნია, ხუმრობს, მასწავლებლობს, ზეინკლობს, სწავლობს, კითხულობს, სცემს და სხვ.

ასეთებადვე ითვლება ცნობილი ზმნები, რომლებიც ზმნისწინებს დაირთავენ, მაგრამ მათში ზმნისწინი მხოლოდ მიმართულებას აღნიშნავს და დროულ განსხვავებას ვერ იძლევა; მაგ., ცურავს — მი-ცურავს, ფრინავს — და-ფრინავს, ხტის — და-ხტის, გორავს — მი-გორავს, სდევს — მი-სდევს, რბის — და-რბის (შე-რბის)¹⁵, ელავს — მო-ელავს, ჩანს — მო-ჩანს და სხვ.

ამავე ჯგუფში შემოდის მეორეული წარმოების ზმნები „თევზაობს“ ტიპისა: ბანაობს, ცურაობს, ჭიდაობს, ქანაობს, გორაობს და სხვა. გარეგნულად ამავე ჯგუფს ეკედლება ა-ზე გათავებულ სახელთა ფუძისაგან ნაწარმოები ზმნები: ცივა-ობს, კოხტა-ობს“¹⁶.

¹⁴ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 223.

¹⁵ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 245; მისივე „ქართული ენის გრამატიკა“, I, ფონეტიკა და მორფოლოგია, V-VI კლასების სახელმძღვანელო, 1958, გვ. 69.

¹⁶ ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 314.

ზმნა, ვალ (ესეც აღნიშნულია) უზმნისწინოდ ახლა აღარ იხმარება; ზმნისწინის დართვით კი (მივალ, წავალ, გავალ და მისთ.) ჩვეულებრივ მყოფადია. ეს ზმნა გამონაკლისის შეადგენს იმ მხრივ, რომ საშუალი გვარის ზმნაა და ზმნისწინის დართვით აწმყოს ფორმა მყოფადისად არის ქცეული:

საერთოდ ქართული ზმნის ასპექტის მიმართ არა მარტო იკაშკაშებს და მისთანათა ო-ს ბუნება არ არის ყოველმხრივ გამორკვეული. არამედ ასპექტთან დაკავშირებული ბევრი საკითხიც ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ქართული ზმნის ასპექტის მიმართაც შეიძლება ითქვას იგივე, რაც თითქმის უკეთ შესწავლილი რუსული ზმნის ასპექტის მიმართაც თქმული, რომ აქაც საკითხის ბევრი მხარეა ჯერ გასარკვევი.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ. ასპექტისა და დროის ურთიერთობის საკითხი ქართულ ზმნაში რუსულთან შედარებით ასეთია:

ქართული ზმნის I სერიის მომავლის ჯგუფი და II და III სერიების ფორმები ასპექტის მიხედვით პოულობენ ერთგვარ პარალელს რუსულში, ხოლო I სერიის აწმყოს ჯგუფი — არა, ვინაიდან ის ქართულში მხოლოდ უსრული ასპექტისა და რუსულში კი შეიძლება სრულისაც იყოს. აწმყოს წრე ქართულში უსრული ასპექტისაა, მყოფადისა კი — სრულის; II და III სერიების მწკრივთა ფორმები შეიძლება იყოს როგორც უსრული, ისე სრული ასპექტისა.

ქართულში დროისა და ასპექტის ურთიერთობა სერიების მიხედვით ასეთია:

I სერია

ა წ მ ყ ო ს წ რ ე:

1. აწმყო — რას ვშვრები? ვიკვლევ, — მოქმედება ახლა მიმდინარეობს, ფორმა უზმნისწინოა, ასპექტი უსრულია.

აქედან იწარმოება უწყვეტელი.

2. უწყვეტელი — რას ვშვრებოდი? ვიკვლევდი, — მოქმედება წარსულში მიმდინარეობდა, ფორმა უზმნისწინოა, ასპექტიც უსრულია.

აქედანაა ნაწარმოები აწმყოს კავშირებითი.

3. აწმყოს კავშირებითი — რას ვშვრებოდე? ვიკვლევდე, მოქმედების გაგება ახლანდელისა აქვს, მაგრამ მყოფადისაც შეიძლება ექნეს (ხვალაც რომ ვიკვლევდე...).

მ ყ ო ფ ა დ ი ს წ რ ე:

ასპექტიან ზმნებში აწმყოსაგან იწარმოება მყოფადი, უწყვეტელისაგან — ხოლმეობითი და აწმყოს კავშირებითისაგან — მყოფადის კავშირებითი თითოეულ შემთხვევაში ზმნისწინის დართვით.

4. **მყოფადი** — რას ვიზამ? გამოვიკვლევ, — მოქმედება უსრულია, მაგრამ დასრულდება და ზმნის ფორმაც ზმნისწინიანია, ამიტომ ასპექტი სრულია.

5. **ხოლმეობითი** — რას ვიზამდი? გამოვიკვლევდი, — დრო წარსულია, ახლავს ზმნისწინი, ასპექტი სრულია.

6. **მყოფადის კავშირებითი** — რას ვიზამდე? გამოვიკვლევდე, — მოქმედება ჯერ არ დაწყებულა, მომავალში მოხდება, მაგრამ შესრულდება, ახლავს ზმნისწინი, ასპექტი სრულია.

II სერია

7. **წყვეტილი** — რა ვქენი? გამოვიკვლიე, მოქმედება დასრულებულია, წარსული, ასპექტი სრულია, მაგრამ ახალ ქართულში იგი უსრული ასპექტისაღ შეიძლება იყოს: ვიკვლიე.

აქედან იწარმოება II კავშირებითი.

8. **II კავშირებითი** — რა ვქნა? ვიკვლიო — უსრული ასპექტი; გამოვიკვლიო — სრული; მოქმედება მომავალში მოხდება.

III სერია

9. **I თურმეობითი** — რა მიქნია? მიკვლევია, — ასპექტი უსრულია, მაგრამ შეიძლება იყოს სრულიც — გამომეკვლია. მოქმედება წარსულისაა.

10. **II თურმეობითი** — რა მექნა? მეკვლია, ასპექტი უსრულია, მაგრამ შეიძლება იყოს სრულიც — გამომეკვლია. მოქმედება წარსულისაა.

11. **III კავშირებითი** — რა მექნას? მეკვლიოს — უსრული ასპექტი, გამომეკვლიოს — სრული ასპექტი. მოქმედება წარსულისაა.



ბოლოს გვინდა მოკლედ შევეხოთ ორ საკითხს.

1. ზოგიერთი პედაგოგი, სტუდენტი და მით უფრო მოწაფე ურევს ერთმანეთში მოქმედების სისრულესა და ესპექტის, ანუ ზმნის სახის, სისრულეს. ასეთები, მაგ., ფორმებს უწერია, სრული ასპექტის ფორმებად მიიჩნევენ, წერს ფორმის შესახებ მერყეობენ და დაწერს კი უსრული ასპექტის ფორმად აცხადებენ. რატომო? — ეკითხებით მათ, და გიპასუხებენ: უწერია (მაგრამ ვერ დაუსრულებია) აქ მოქმედება თუ მთლიანად არა, მისი რაღაც ნაწილი მაინცაა შესრულებული, „წერს“ — მხოლოდ დაიწყო მოქმედება, ხოლო „დაწერს“ გვეუბნება, რომ ჯერ არ დაწყებულა იგი, ეს როგორ შეიძლება სრული ასპექტის იყოსო!..

ფაქტია კი, რომ დაწერს სრული ასპექტის ფორმაა.

აქ ერთმანეთში ურევენ მოქმედების (ან მდგომარეობის) დასრულებას და ზმნის ფორმის სისრულეს. უწერია, წერია იმიტომაა უსრული ასპექტის ფორმები, რომ მათ ზმნისწინის მიმღები ზმნა მხოლოდ დაუწერია. დაწერა და ა. შ. ვ. ი. ზმნისწინის მიმღები ზმნა მხოლოდ მაშინაა სრული სახის, როცა მას ზმნისწინი აქვს. მაგ., ზმნა წერს აწმყო დროში არ მიიღებს ზმნისწინს, მაგრამ იმ დროებში, რომლებშიც იგი დაემატება, თუ ფორმას გამოეცვლება დროული გაგება, — იგი უკვე აღნიშნავს მყოფადს (დაწერს); მოქმედება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ზმნაა უკვე სრული, სანამ მას ერთი ზმნისწინი არ მოეცლება, მეორეს ვერ მიიღებს. ამიტომ იგი სრული ასპექტისაა, თუმცა მით გადმოცემული მოქმედება უსრულია, მაგრამ შესრულდება.

ამდენად რუსული ზმნის ასპექტისადმი მიყენებული განსაზღვრება — „დასრულებული მოქმედების (ან მდგომარეობის) აღმნიშვნელი ზმნა სრული სახისაა“ — ქართულისათვის არ გამოდგება, — „ქართული დრო და ასპექტი უნდა დავაცილოთ: ამას თავისი შინაარსი აქვს და იმას თავისი“ (ა. შანიძე).

2. როგორი თანამიმდევრობით უნდა ისწავლებოდეს ზმნური კატეგორიები და მათ შორის სადაა ასპექტის ადგილი?

სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის მიერ გამოცემულ ზემოდასახელებულ რუსული ენის გრამატიკაში ჯერ ზმნაა ზოგადად დახასიათებული, შემდეგ — გრამატიკული გვარი, შემდეგ — სახე (ანუ ასპექტი) და შემდეგ მიდის ზმნათა უღლება.

ამგვარად, ხსენებულ გრამატიკაში სახე გვარსა და უღლებას შორისაა მოთავსებული.

აკად. ვ. ვინოგრადოვი ზმნის ზოგადი დახასიათების შემდეგ განიხილავს ზმნათა სიტყვაწარმოებას და ზმნათა მორფოლოგიურ კლასების შემდეგ კი — ზმნის პირის კატეგორიას. ამის შემდეგ სახის კატეგორიაზე გადადის და განიხილავს დროს, კილოს, გვარსა და სხვა კატეგორიებს.

ა. ზემსკის, ს. კრუჩკოვის და მ. სვეტლაევის „Русский язык“-ში (მ., 1950; პედ. ინსტ. სახელმძღვანელო) ზმნის ზოგადი დახასიათების შემდეგ მოდის გვარი, სახე და შემდეგ — უღლება.

ს. ბარხუდაროვისა და ე. დოსიჩევის გრამატიკაში (სასკოლო სახელმძღვანელო, 1938 წ.) ზმნის საერთო დახასიათების შემდეგ განიხილულია ზმნის სახე და მას მოჰყვება კილო, შემდეგ — ზმნათა სუფიქსები.

ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, ზმნის ზოგადი დახასიათების შემდეგ, ჯერ უღლების კატეგორიებია წარმოდგენილი (რიცხვი, პირი, დრო, კილო, ჯერობა; აქტი, თანამდევრობა, მწკრივი).

და შემდეგ კი — წარმოქმნის კატეგორიები: ზოგადი, გეზი და ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა...

იმავე ავტორის „ქართული ენის გრამატიკა, I, ფონეტიკა და მორფოლოგია, V—VI კლასების სახელმძღვანელო“ (თბილისი, 1958 წ. და შემდეგ) იცავს თანამიმდევრობას: ზმნა, ზმნისწინი (გვ. 65—67, §§110—111), ასპექტი (გვ. 68, §§ 112—114), დრო (გვ. 69, § 115), კილო (§ 116) და მწკრივი (გვ. 71, § 117)...

უკანასკნელი თანამიმდევრობაა დაცული საქართველოს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდის განყოფილების მიერ შედგენილ „საშუალო სკოლის პროგრამებში“ (V-VII კლასები, თბ., 1958 წ., შდრ. შემდეგი წლების გამოცემები).

ჩვენი აზრით, ეს თანამიმდევრობა (ზმნა, ზმნისწინი, ასპექტი, დრო) მეთოდურად უფრო გამართლებულია, ვიდრე პირველი (ზმნა, დრო, კილო..., მწკრივი, გეზი, ასპექტი, გვარი, ქცევა).

ეს არ უშლის ხელს უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიების თავ-თავის ადგილზე დახასიათებას.

უწყვეთლისა და მეორე კავშირებითი ადგილთათვის ქართული ზმნის დროთა სერიუზი

გრამატიკა ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი სწავლობს ამა თუ იმ ენის სიტყვათა ცვლილებებისა (მორფოლოგია) და სიტყვათა და წინადადებათა შეწყობის (სინტაქსი) ნორმებს.

გრამატიკას, მეცნიერულს გარდა, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ იგი ძველი დროიდანვე საყოველთაოდ აღიარებული სასკოლო სწავლების საგანია.

გრამატიკული დროისა და სათანადო ტერმინთა შესახებ

გრამატიკულად მოქმედება ფართო მნიშვნელობით მდგომარეობასაც აღნიშნავს (რას ვერება? დგას, ზის, წყევს, სძინავს) და ჩვენ ქვემოთ ამ ერთი სიტყვით დავკმაყოფილდებით. ვილაპარაკებთ მოქმედების დროზე და არა მხოლოდ მომენტზე, ვინაიდან უწყვეტილი, ხოლმეობითი, თურმეობითი... დროის მეტ ხანგრძლივობას გულისხმობს, ვიდრე მის უმოკლეს მონაკვეთს, — მომენტს, მაგრამ უკანასკნელი ლაპარაკი (საუბრის) დროის აღსანიშნავად გამოდგება.

გრამატიკული დრო ეწოდება ზმნით აღნიშნული მოქმედების დროის მიმართებას ლაპარაკის მომენტთან.

ასეთი დრო სამია:

1. ახლანდელი — მოქმედება მიმდინარეობს ლაპარაკის (საუბრის) მომენტში, ე. ი. მოქმედება და მის შესახებ საუბარი ხდება ერთსა და იმავე დროს, — ქმნა და თქმა ერთდროულია.

2. წარსული — მოქმედება უსწრებს ლაპარაკს, ე. ი. ქმნა უსწრებს თქმას.

3. შოშავალი — ლაპარაკი უსწრებს მოქმედებას. ე. ი. თქმა უსწრებს ქმნას.

შინაარსებულად ასეთივე ტერმინები იხმარება რუსულშიც: 1. настоящее время, 2. прошедшее და 3. будущее.

ქართულ გრამატიკებში მიღებულია აგრეთვე, როგორც ცნობილია, ანტონ პირველის მიერ ხელოვნურად ნაწარმოები ტერმინები: 1. აწმყო, 2. ნამყო, 3. მყოფადი, რომლებიც უკუსაგდებათ თუნდაც იმიტომ, რომ შეიცავენ არქაიზმებსა და ძალიან პირობითებია: საქმის კურსში არმყოფს აწმყო ჰგონია არა ახლანდელი დრო, რომლის მნიშვნელობითაც იგი იხმარება, არამედ მომავალი; მყოფადი კი — არა მოსული დრო, არამედ ახლანდელი (ახლა მყოფი) და ნამყოც, ამ ფორმით, ვერ მიუთითებს ნათლად ნამყოფ-ზე. იმიტომაც, რომ აკად. ა. შანიძე წერს: „პირველ ორ მათგანს [აწმყოსა და ნამყოს, ი. შ.] ჩამოკვეცილი აქვს ბოლო მარცვალი: აწ-მყო(ფი), ნამყო(ფი); მყოფადი, მყოფადი, მყოფადი იგივეა, რაც ყოფადი, ე. ი. რაც იქნება, რაც უნდა იყოს“¹.

ამით ავტორი ამ ტერმინების შედგენილობასა და მნიშვნელობას განმარტავს, მაგრამ მაინც შენიშნავს: „აღნიშნული ტერმინები, ხელოვნურობის გარდა, რამდენადმე უხერხულიც არის ამჟამად, რადგანაც „აწმყო“-ში „აწ“ ძველი მნიშვნელობით არის ნახმარი: აწ—ეხლა, აწ-მყო(ფი) — ეხლა მყოფი, მაგრამ დღეს ტერმინის პირველ ნაწილს „აწი“-ს უკავშირებენ, რომელსაც დასავლურ კილოებში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: აწი — ამას იქით, ამიერიდან. ერთი სკოლის მასწავლებელი ჩიოდა: „აწმყო“ ბევრ ბავშვს მომავალი ჰგონიაო“².

ასეთივე საჩივარი არა მხოლოდ მოსწავლეთაგან, ბევრი სტუდენტისა და მასწავლებლისაგანაც გვსმენია.

ა. შანიძის მეცნიერულს (და აგრეთვე სასკოლო)³ გრამატიკებში დროის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინები: ეხლანდელი, წარსულ-

¹ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1942 წ., გვ. 193; შემდეგ გამოცემა მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953 წ., გვ. 203.

² იქვე.

³ იქვე.

ლი და მომავალი, ხოლო აწმყო, ნამყო და მყოფადი კი მიკუთვნებულა მწკრივებისადმი⁴. სხვები არც ასეთ დიფერენციაციას არ ახდენენ, — ისინი პირდაპირ პირველ ტერმინებს მეორეებისა და მეორეებს პირველთა მაგიერ ან ორივეს ერთად, სინონიმებად, იყენებენ. ჩვენი აზრით, ყველა შემთხვევაში ერთნაირობის დაცვა აჯობებს და უნდა შევეცადოთ, პირველი (ახლანდელი, წარსული, — უფრო თანადროული და ნათელი მნიშვნელობების) ტერმინები დავიცვათ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში. ამას დადებითი მნიშვნელობა ექნება როგორც სამეცნიერო, ისე, და განსაკუთრებითაც, სასკოლო გრამატიკისათვის.

არათანმიმდევრულია, რომ მეორე და მესამე სერიების კავშირებითებს რიგით რიცხვით სახელთა ნიშნებით ვწერთ და ვკითხულობთ ან ვასახელებთ (II კავშირებითი, III კავშირებითი), ხოლო პირველი სერიისას კი, რომელსაც კავშირებითის ორი ფორმა აქვს, უმთავრესად აწმყოს (ანუ ახლანდლის) და მყოფადის ან მომავლის კავშირებითებს. ვუწოდებთ.

უკანასკნელთა კვალობაზე, II სერიის კავშირებითი იქნებოდა წყვეტილის კავშირებით, ხოლო მესამეს — კი თურმეობითის, მაგრამ ეს ზმნის სერიების ფორმებში საწერადაა უხერხული. ამიტომ სჯობს, II და III სერიის (თურმეობითების) მსგავსად, რიგითი რიცხვითი სახელებით წერა. პირველი სერიის სათანადო მწკრივებიც ასევე აღვნიშნოთ და გვექნება:

I სერიაში I და I-ა კავშირებითი,

II სერიაში — II და III-ში — III (იხ. ქვემოთ).

პირველისა და მეორე სერიის მწკრივთა შესახებ

ქართული ზმნის ფორმები, ფუძის წარმოებისა და წინადადებაში ამ ფორმებთან შეწყობილი ქვემდებარისა და დამატების ბრუნვების მიხედვით, სამ ჯგუფად, ანუ სერიად, იყოფა.

ამ დაჯგუფების საფუძველთა გაუთვალისწინებლობის¹⁾ შედეგია, როდესაც ზოგიერთები ასეთ კითხვებს სვამენ:

1. რატომ შედის პირველ სერიაში ახლანდელი დროის ფორმებთან ერთად უწყვეტელიც, როდესაც ეს უკანასკნელი წარსული დროის უსრულ მოქმედებას აღნიშნავს?

2. მეორე სერია წარსული დროისაა და რატომაა, რომ II კავშირებითი მასში შედის, როდესაც ეს უკანასკნელი მომავალი დროის მოქმედებას აღნიშნავს.

მართლაცადა, როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში დროის

⁴ იხ. ზემოთ, გვ. 146.

გაგების ლოგიკური — აზრობრივი მხარე ეწინააღმდეგება ამ გრამატიკული ფორმების აღნიშნულ სერიებში შეტანას; უწყვეტლის (მნიშვნელობით წარსულის) პირველი სერიისადმი (ახლანდლის ჯგუფისადმი) და II კავშირებითის (შინაარსით მომავლის) მეორე სერიისადმი (წარსულის ჯგუფისადმი) მიკუთვნებას სათანადო ფორმების შინაარსეული მხარე არ ამართლებს. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, უფრო ლოგიკური იქნებოდა უწყვეტლის მეორე სერიისა და II კავშირებითის პირველ სერიაში შეტანა.

ამიტომ ასეთი კითხვაც დაისმის: ხომ არ აჯობებდა, რომ ქართული ზმნის ფორმები დროთა მიხედვით დაგვეჯგუფებინა?

ასე რომ მოვიქცეთ, ეშმდეგ სურათს მივიღებთ:

ახლანდლის ჯგუფი

ახლანდელი მწერალი ნაწერს ტოვებს

I კავშირებითი: მწერალი ნაწერს ტოვებდეს.

მომავლის ჯგუფი

მომავალი: მწერალი ნაწერს დატოვებს

I-ა კავშირებითი: მწერალი ნაწერს დატოვებდეს

II კავშირებითი: მწერალმა ნაწერი დატოვოს.

წარსულის ჯგუფი

უწყვეტალი: მწერალი ნაწერს ტოვებდა

ხოლმეობითი: მწერალი ნაწერს დატოვებდა

წყვეტალი: მწერალმა ნაწერი დატოვა.

I თურმეობითი: მწერალს ნაწერი დაუტოვებია

II თურმეობითი: მწერალს ნაწერი დაუტოვებინა

III კავშირებითი: მწერალს ნაწერი დაუტოვებინოს.

თვალსაჩინო. გახდა, რომ ახალ ქართულში წარსულის 6, მომავლის 3 და ახლანდლის 2 ფორმა გვაქვს, ე. ი. სულ — 11, საერთო ჯამში სწორია, მაგრამ რა მოხდა?

წარსულში სხვადასხვა თემის ზმნები, მაგ., უწყვეტელი — ტოვებ-და- (ებ და ასევე იქნებოდა სხვა თემისნიშნინებებიც) და წყვეტი-

5 ამ მწკრივის ზოგიერთ ფორმას მომავლის მნიშვნელობაც აქვს. მწკრივთა დროების შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I. ფონეტიკა და მორფოლოგია. სახელმძღვანელო V—VI კლასებისათვის, თბილისი, 1949 წ. გვ. 139—150.

6 ამ სერიის ზოგიერთ ფორმას მომავლის მნიშვნელობაც აქვს.

ლი — და-ტოვ-ა (უთემისნიშნო) ერთ ჯგუფში მოექცა, ე. ი. ზმნის ფორმათა ასეთი დაჯგუფება მორფოლოგიურმა პრინციპმა არ გაამართლა.

ასეთ დაჯგუფებას არც სინტაქსური პრინციპი არ ამართლებს: მომავლის ჯგუფის პირველ ორ მწკრივში ქვემდებარე (მწერალი) სახელობით ბრუნვაში დგას და პირდაპირი დამატება (ნაწერს) — მიცემითში. მესამე მწკრივში კი ქვემდებარე (მწერალმა) მოთხრობითში დგას, დამატება (ნაწერი) — სახელობითში.

ასევე აირია თემის ნიშნების (ტოვ-ებ, ტოვ-) და ქვემდებარე შემასმენლის ფორმები წარსულის ჯგუფში: უწყვეტელსა და ხოლმეობითში ქვემდებარე (მწერალი) სახელობითშია, დამატება (ნაწერს) — მიცემითში; წყვეტილში კი ქვემდებარე (მწერალმა) მოთხრობითშია, დამატება (ნაწერი) — სახელობითში; თურმეობით I და II-სა, დაკავშირებით III-ში ქვემდებარე (მწერალს) მიცემითშია, დამატება (ნაწერი) — სახელობითში.

მაშასადამე, ამ დაჯგუფებამ არევ-დარევა შეიტანა ზმნის ფორმების წარმოების მიხედვით დალაგებაში, — იგი ქართულისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა⁷. ეს იმიტომ მოხდა, რომ ქართული ზმნის ფორმების ასეთი დაჯგუფება არ ემთხვევა ქართული ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმებს. ეს გაურკვეველი იყო ნ. მარამდე და ქართული ზმნის ფორმებს დროის მიხედვით აჯგუფებდნენ.

ნ. მარამა გაარკვია ეს საკითხი⁸ და დაამკვიდრა (ქართული ზმნის სამ ჯგუფად (შემდეგ მათ სერიები ეწოდათ) დაყოფა, რასაც მორფოლოგიური და სინტაქსური საფუძვლები გააჩნია. ავტორის ამ დამსახურების შესახებ არან. ჩიქობავა წერს: ზმნის უღვლილების „ნაკვეთებად დალაგების პრინციპი... ქართულ გრამატიკაში ნ. მარამა დანერგა (და ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა)“⁹. ან კიდევ: „ნაკვეთთა კლასიფიკაცია წარმოების პრინციპზე დაყრდნობით ნ. მარამის დამსახურებას შეადგენს“¹⁰.

ზემოაღნიშნულ კითხვათა დამსმელები, თუ რატომ შედის უწყვეტელი I-სა და II კავშირებითი II სერიაში, მხედველობიდან უშვებენ, რომ „მწკრივს ფორმა ერთი აქვს, ფუნქცია კი ხშირად სხვადა-

7 სხვა ენისათვის შეიძლება კარგიც იყოს.

8 Н. Марам. Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, Петербург, 1908, ტაბ. XIII და შემდეგი.

9 არან. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948 წ., გვ. 80.

10 იქვე, გვ. 110 (ზაზი ავტორისიყვა) ან, უფრო ვრცლად, იხ. მისივე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950 წ., გვ. 061.

სხვა... აწმყოს მწკრივმა შეიძლება დრო მომავალი გადმოგვცეს და მყოფადის მწკრივმა — ეხლანდელი“¹¹.

პირველ სერიას ახლანდელი დროის ჭგუფი იმიტომ კი არ ეწოდება, რომ მასში შემავალი ზმნის ყოველი ფორმა ახლანდელ მოქმედებას აღნიშნავს, არამედ იმიტომ, რომ მასში შეტანილ მწკრივებს ახლანდელი დროის მოქმედების აღმნიშვნელი ზმნის თემა აერთიანებს... თვალსაჩინოებისათვის ავიღოთ ავ-თემისნიშნისაანი ზმნა.

I სერია

ახლანდლის წრე

ახლანდელი: კერ-ავ-ს

უწვევბილი: კერ-ავ-და

I კავშირებითი: კერ-ავ-დეს

მომავლის წრე

მომავალი: შე-კერ-ავ-ს

ხოლმეობითი: შე-კერ-ავ-და

I-ა კავშირებითი: შე-კერ-ავ-დეს.

II სერია

წვევბილი: შე-კერ-ო

II კავშირებითი: შე-კერ-ო-ხ

ნათლად ჩანს, რომ ახლანდლის წრის სამი მწკრივი ერთიმეორიდანაა ნაწარმოები და მათგანვე, სრულიად მარტივად, — მხოლოდ ზმნის წინის დართვით¹², იწარმოება მომავლის მწკრივები, რომლებშიც აგრეთვე ჩანს პირველი მწკრივის ფორმიდან მეორისა და მეორიდან მესამის წარმოება. იმავე ზმნის უღლების მიხედვით ნათელია, რომ მეორე კავშირებითის თემა წყვეტილის თემაა.

11 ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1942 წ. გამოც., გვ. 217; 1953 წ. გამოც., გვ. 228; ხაზი ჩეენია, ა. შ.

12 მოქმედებითისა და დინამიკური გვარის ზმნისწინები არა მარტო მომავლის მწკრივებს აწარმოებს ახლანდლისაგან, არამედ ასპექტსაც ასრულებს (წერს—და-წერს, იზრდება—გა-იზრდება...). ახალი ქართული საშუალო გვარის ზმნებში ასპექტის მწარმოებლად ი-ს (ბიბინებს — ი-ბიბინებს, ცხოვრობს—ი-ცხოვრებს...) ცნობენ: ნ. მარი, გ. დეეტერსი, პ. ფოტო (Vogel) ბ. რუდენკო, კ. ჩხენკელი და ჩეენც. ოლონდ ჩვენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასეთ ფორმებს მართლაც აქვთ სრული ასპექტის გაგება, რასაც, ალბათ, ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ მომავლის ფორმებს საერთოდ აქვთ სრული ასპექტის გაგება. იმავე ზმნების უსრული ასპექტის (ახლანდლის) მწკრივებს პირდაპირი წარმოებით სრული ასპექტი არ გააჩნიათ (იესებენ მოქმედებითი გვარის მსგავსად ნაწარმოები ფორმებით) და პირიქით, სრული ასპექტის (მომავლის) მწკრივებს არ გააჩნიათ უსრული ასპექტის ფორმები. ამდენად მათ ასპექტნაკლი ზმნები შეიძლებადა წოდებოდათ. აღნიშნულის კვალობაზე, ხსენებული ი, რომელსაც უფუნქციოს უწოდებენ, ფუნქციანაა გამოლის. ის კი სულ სხვა საკითხია, ეს ი რა წარმოშობისაა.

ახლა ჰერ ავიღოთ ზემოთ პირველად დასახელებული ზმნა ტო-
ვებს და მასთან შეწყობილ ქვემდებარისა და დამატების ფორმათა
ცვლილებასაც დავაკვირდეთ. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის, გან-
მეორებითი ფორმები მძიმეებით აღვნიშნოთ.

I სერია

1. ახლანდელი: მწერალი ნაწერს ტოვებს
2. უწყვეტილი: " " ტოვებდა
3. კავშირებითი " " ტოვებდეს.

მომავლის წრე

4. მომავალი: მწერალი ნაწერს დატოვებს
5. ხოლმეობითი " " დატოვებდა
6. I-ა კავშირებითი: " " დატოვებდეს.

II სერია

7. წვეტილი: მწერალმა ნაწერი დატოვა
8. II კავშირებითი: " " დატოვოს.

III სერია

9. თურმეობითი: მწერალს ნაწერი დაუტოვებია
10. II თურმეობითი: " " დაუტოვებია(ნ)
11. III კავშირებითი " " დაუტოვებია(ნ)ოს.

აქედან ცხადია: I სერიის ორივე წრის მწკრივებში ზმნის თემა
ტოვებ). ერთია და ქვემდებარე და დამატება (მწერალი ნაწერს. — სა-
ხელობითი და მიცემითი) უცვლელებია ამ სერიის ფარგლებში.

II სერიაში ზმნის თემა (და-ტოვ-) უნიშნოა და ქვემდებარე და
შემასმენელიც (მწერალმა ნაწერი — მოთხრობითსა და სახელობითში)
აგრეთვე უცვლელებია ამ სერიის მწკრივებთან.

მამასადამე, უწყვეტელი პირველ სერიაში იმიტომ შედის, რომ
მისი ფორმა პირველი სერიის ძირითადი დროის — ახლანდლის ფორ-
მიდანაა ნაწარმოები; წინადადებაში გარდამავალი ზმნის უწყვეტელ-
თან შეწყობილი ქვემდებარე ისევე, როგორც აწმყოს ფორმასთან შეწყ-
ობილი, სახელობით ბრუნვაში ღვას, ხოლო ამავე ზმნის პირდაპირი
დამატება კი. — მიცემითში სწორედ ისე, როგორც მას ვხედავთ ახ-
ლანდლის ფორმასთან.

II კავშირებითი მეორე სერიაში იმიტომ შედის, რომ იგი ამავე
სერიის ძირითადი მწკრივის — წვეტილის ფორმიდანაა ნაწარმოები
და მასთან შეწყობილი გარდამავალი ზმნის ქვემდებარე ისევე მოთხ-
რობით ბრუნვაში ღვას, როგორც წვეტილის ფორმასთან.

ამგვარად, პირველ სერიაში ზმნის თემისნიშნიაანი ფორმები გვაქვს გაერთიანებული; მეორე სერიაში კი — უთემისნიშნონი. ე. ი. ამ სერიებში ზმნის ფორმათა გაერთიანება მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით ხდება, რასაც საკვებით ამართლებს სინტაქსური პრინციპიც.

მესამე სერიის საკითხი

მესამე სერიაში ირყევა მორფოლოგიური პრინციპი, რაც ნ. მარს არ დარჩენია შეუქმნველი.

დავუბრუნდეთ ზმნა კ ე რ ა ს.

I თურმეობითი:	შე-უ-კერ-ავ-ს
II თურმეობითი:	შე-ე-კერა
III კავშირებითი:	შე-ე-კერ-ო-ს.

ვხედავთ, რომ პირველი მწკრივის თემა განსხვავდება ერთნაირ მეორისა და მესამე მწკრივის თემისაგან. აქაც თუ საკლასიფიკაციო ნიშნად მხოლოდ — თემის (მორფოლოგიურ) ნიშანს მივიღებდით, მაშინ I თურმეობითი აქ ვერ მოთავსდებოდა, იგი და ამ ტიპის ზმნები პირველ სერიაში შევიდოდა (შდრ.: ახლანდელი კერ-ავ-ს და I თურმეობითი — შე-უ-კერ-ავ-ს), ხოლო II თურმეობითი და III კავშირებითი კი მეორე სერიაში აღმოჩნდებოდა (შდრ.: წყვეტილი: შე-კერა და II თურმეობითი: შე-ე-კერ-ა; II კავშირებითი; შე-კერ-ო-ს და III კავშირებითი: შე-ე-კერ-ო-ს).

ყოველივე ამისა და მისგან გამომდინარე ვითარების განზოგადება და განმარტება გვაძლევს: „ზმნას პირველისა და მეორე სერიის მწკრივებში საზოგადოდ სხვადასხვა თემა აქვს; რაც შეეხება მესამე სერიას, აქ ზმნას განსაკუთრებული თემა არ გააჩნია და ჩვეულებრივ ან პირველი სერიის თემას იყენებს (უფრო ხშირად), ან მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპის მიხედვით აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველისა და მეორე სერიის მწკრივებში“¹³.

ე. ი. გარდამავალი ზმნის სამი სერიის მწკრივები რომ მხოლოდ თემის ნიშანთა მიხედვით დავალაგოთ, მესამე სერია დაიშლება და მისი მწკრივები შევა პირველსა და მეორე (ან, ზოგი ზმნის მიხედვით, მხოლოდ მეორე) სერიაში.

ამიტომ შენიშნა არნ. ჩიქობავამ, რომ სამი სერიის ორში გაერთიანება შეიძლებოდაო¹⁴, იგი ამ საკითხის შესახებ ასეც წერს: „წარმოების პრინციპს თანმიმდევრულად თუ დავიცვათ, უღვლილების ნაყ-

¹³ ა. შანიძე. ქართ. ენის გრამ. საფუძვლები, 1953 წ., გვ. 397.

¹⁴ არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. — ქართულ ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950 წ., გვ. 062 და იქვე შნშ. 1.

ეთები ორ წყებად დაიყოფა: აწმყოს წყებად და ნამყო ძირითადის წყებად¹⁵... ავტორი შენიშნავს: „ამ საკითხს სპეციალური განხილვა ესაჭიროება“¹⁶. იგი წინ დასახელებულ ნაშრომშიც ამბობს: „ჩვენ აქ ტრადიციულ სამ წყებას ვტოვებთ“¹⁷.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეც უნდა დარჩეს. რატომ? მართალია, არსებულ კლასიფიკაციას მესამე სერიაში ზმნის ფუძეთა მიხედვით ახასიათებს აღნიშნული არათანმიმდევრობა, მაგრამ ეს კლასიფიკაციის შედარებით უფრო მცირე ნაკლია, ვიდრე იქნება მორფოლოგიური პრინციპისავე სხვა მხარეებისა და სინტაქსური პრინციპის მთლიანად დარღვევა, რასაც, ცხადია, ექნება ადგილი, თუ სამ სერიას ორში გავერთიანებთ.

1. როგორც არნ. ჩიქობავა წერს, მესამე სერიის „ნაკვთები ერთნაირია აგებულებით: ან ინვერსიულია (გარდამავალ ზმნებში), ან აღწერითი (გარდაუვალ ერთპირიან დინამიკურ ზმნებში)“¹⁸. ეს ნიშნავს: გარდამავალი ზმნების I და II სერიის მწკრივების სუბიექტური (ვინის რიგის) და ობიექტური (მანის რიგის) ნიშნები პირდაპირი წყობითაა წარმოდგენილი, ხოლო მესამე სერიაში კი ეს პირის ნიშნები ინვერსიას განიცდიან. „გარდუვალმა ზმნებმა საზოგადოდ ინვერსია არ იცის, არ იცის ის არც გარდამავალმა ზმნებმა I-სა და II სერიაში“ (ა. შანიძე).

გარდაუვალი ერთპირიანი დინამიკური ზმნების მესამე სერიის მწკრივები აღწერითია იმიტომ, რომ მეშველ ზმნებს საჭიროებენ მაგ., ავიღოთ ზმნა ვიზრდები:

I თურმეობითი: გა-ვ-ზრდილ-ვარ-თ
გა-(ს)-ზრდილ-ხ-არ-თ

II თურმეობითი: გა-ე-ზრდილ-იყავ(ი)-თ
გა-(ს)-ზრდილ-იყ-ავ(ი), -თ
გა-ზრდილ-იყ-ო, გა-ზრდილ-იყვ-ნენ.

III კავშირებითი: გა-ვ-ზრდილ-იყ-ო,-თ
გა-(ს)-ზრდილ-იყ-ო,-თ
გა-ზრდილ-იყ-ო, გა-ზრდილ-იყ-ო-ნ.

2. ინვერსიიდან გამომდინარეა და საერთოა მესამე სერიის მწკრივებისათვის ის გარემოება, რომ მოქმედებითი გვარის ორ და სამპირიან ზმნის I და II სერიის მწკრივები III სერიაში თითო პირსკარგავს.

15 არნ. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948 წ., გვ. 110.

16 იქვე, გვ. 110, შწმ. 1.

17 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, გვ. 062, შწმ. 1.

18 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 062.

3. მესამე სერიის ზმნის ფორმებს ქცევის გაგება არა აქვთ.

4. ამავე სერიაში სხვაგვარად დგას გვარის (აქტივ-პასივის) საკითხი¹⁹.

5. მესამე სერიის ცალკე არსებობას სავსებით ამართლებს და თავის მხრივაც მოითხოვს სინტაქსური პრინციპიც. აქ გარდამავალი ზმნის ყველა მწკრივში ერთნაირად ქვემდებარე დგას მიცემით ბრუნვაში და დამატება კი — სახელობითში.

ამ სერიის უცვლელად დატოვებას მხარს უჭერს სხვა გარემოებაც. ა. შანიძე შემთხვევით არ წერს: „ეს სერია მეტად თავისებურია“²⁰.

სხვათა შორის, აქვე შევნიშნავთ, რომ ზმნის ფორმების სერიებად დაყოფის შემდეგ, როდესაც ნათელი გახდა, რომ გარდამავალი ზმნის I სერიის მწკრივებს სახელობით ბრუნვაში დასმული ქვემდებარე შეეწყობა, II სერიისას — მოთხრობითსა და მესამისას კი — მიცემითში, ქვემდებარის ეს ბრუნვები წინ წამოიწია²¹ და ერთიმეორის მიყოლებით დალაგდა. ეს სინტაქსური პრინციპის გამოა, მაგრამ აქვე მორფოლოგიური პრინციპიცაა დატული: — ფუძეკუმშვადისა და ფუძეკვეცადი სახელების ფუძეუცვლელი ფორმები ერთიმეორეს მიჰყვება და შემდეგ (იმავე მორფოლოგიური პრინციპის დაცვის გამო) მიდის შეკუმშული და შეკვეცილი ფუძეები.

ვაბრუნოთ კუმშვად და კვეცად სახელთა ტიპები ბრუნვათა ა. შანიძის რიგით²²:

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი:	რძალ-ი	და	სიძე
მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი:	რძალ-მა	და-მ	სიძე-მ
მ ი ც ე მ ი თ ი:	რძალ-ს	და-ს	სიძე-ს
ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი:	რძლ-ის	დ-ის	სიძ-ის
მ ო კ მ ე დ ბ ი თ ი:	რძლ-ით	დ-ით	სიძ-ით
ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი:	რძლ-ად	და-დ	სიძე-დ
წ ო დ ე ბ ი თ ი:	რძალ-ო	და-ო,-ვ	სიძე-ვ.

19 ა. შანიძე. ქართ. გრამ. საფუძვლები, 1953 წ., გვ. 301—302.

20 ა. შანიძე. ქართ. გრამ. საფუძვლები, 1953, გვ. 243; 1942 წ. გამოც., გვ. 230.

21 წინათ იგი რუსულ ბრუნვათა რიგის მიხედვით იყო დალაგებული, მაგრამ ვინაიდან ქართულში ვ ნ ე ბ ი თ ი (ВНИТЕЛНЪИ) ბრუნვა არაა და რუსულში კი — მოთხრობითი, მისი ადგილი ქართულში მოთხრობითმა დაიჭირა: — სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოკმედებითი, მიმართულებითი (ვითარებითი) და წოდებითი.

იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. წერილი კრებულში „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, თბილისი, 1956.

22 თითქმის ამავე რიგს იცავს 1906 წ. მ. ჭ ა ნ ა შ ე ი ლ ი. მას მხოლოდ ნათესაობითი უწერია მოთხრობითის შემდეგ.

ამ რიგიდან ვითარებითი, ანუ მიმართულებითი, ბრუნვის წინ გადასმას და მის მიცემითის შემდეგ მოთავსებას ამართლებს მორფოლოგიური პრინციპის ბოლომდე მიყვანა (შდრ. და-ს, და-დ, დ-ის, დი-თ), როგორც ამას მოითხოვს და იცავს კიდევ არნ. ჩიქობავა. მაგრამ ვითარებითი ბრუნვის გრამატიკული წონა, რა თქმა უნდა, ვერ უდრის ნათესაობითისას გინდ მოქმედებითი ბრუნვის წონას ენაში და ამიტომ შეიძლება ზემოდასახელებული რიგის დაცვაც. მით უფრო წოდებითი (ფუძის უკუმშველობის, უკვეცელობისა და ნართანიანი მრავლობითი რიცხვის მიხედვით) წინ უნდა წაწეულიყო (სახელობითის შემდეგ მოთავსდებოდა. შდრ. სახ. რძალ-ნ-ი, რძალ-ნ-ო; მოთხრ-მიც.-ნათ. რძალ-თა; და ვით. არ გააჩნია), მაგრამ არც მისი გრამატიკული წონა იძლევა ამის საბაზს და ამიტომ ა. შანიძე, რომელიც წოდებითს იცავს ბრუნვათა დარგში²³, მას ამ რიგის ბოლოში ათავსებს. არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია²⁴ კი წოდებითს არა ბრუნვის, არამედ მიმართვის ფორმად აღიარებენ და იგი ბრუნვათა რიგში არ შეაქვთ.

მაშასადამე, არა მარტო ზმნის ფორმებია ქართულში დაყოფილი სერიებად მორფოლოგიური და სინტაქსური პრინციპების მიხედვით, არამედ ბრუნვათა რიგიც იმავე პრინციპებს ეყრდნობა.

1951 წ. დეკემბერი

²³ ციტ. კრებ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, გვ. 48—55.

²⁴ იქვე, გვ. 36—47.

„წერა ძნელი პროცესია...“

„ჩემს მუშაობას მუდამ თან ახლდა მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მოხსენებანი“.

ი. გოგებაშვილი

ადამიანები უფრო ხშირად, ზეპირად მეტყველებენ, ვიდრე წერენ. პირველს შეუმჩნეველად ერევიან. წერა კი, თავიდანვე სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. იგი ძნელი პროცესია და მის დაძლევას დროც მეტი სჭირდება.

ი. გოგებაშვილის დროს რუსულსა და რუსეთში არსებულ ეროვნულ სკოლებში ზეპირი მეტყველების განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. სახელმძღვანელოებიც ისე იყო შედგენილი, რომ წერით სავარჯიშოებს მეტი დრო ეთმობოდა, ვიდრე ზეპირს. მეორის განვითარებას ეძლეოდა გასაქანი. ეს ისედაც იყო აუცილებელი, რადგან ეროვნულ სკოლებში მოსწავლეთა უმრავლესობა რუსულ ენას ვერ ფლობდა და თან იმგვარ ტექსტთა გაზეპირება უხდებოდათ. რომელთა შინაარსი მათ არ ესმოდათ. ამას კლასიკური ენებიც (ლათინური, ბერძნული, სლავური) ემატებოდა. მათ შესწავლაში რუსი ბავშვებიც იმ დღეში იყვნენ, რომელშიც ამავე ენებისა და რუსულის შემსწავლელნი იმპერიის ეროვნულ უმცირესობათა შვილები იმყოფებოდნენ.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები ამ მხრივაც გამოირჩეოდნენ; ისინი, შესაძლებლობის ფარგლებში, მოსწავლეებს მეტყველების ორივე მხარეს უვითარებდნენ. ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობა ჩვენი პედაგოგის მიერ ქართველ ბავშვთათვის შედგენილ რუსული ენის სახელმძღვანელოებში.

სასწავლებლებშიცაო, — წერს ი. გოგებაშვილი, — „ჩემს მუშაობას მუდამ თან ახლდა მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მოხსენებანი“; პეტერბურგიდან ჩამოსულმა ინსპექტორმა რომ შეამოწმა, მან „მოსწავლეთა წარმატება რუსულ ენაში, ჩინებულად და ყოველივე მოლოდინზე ზეადმატებულად მიიჩნია“ (ტ. 1, 1955, გვ. 152).

ზეპირი მეტყველების განუვითარებლობა წერით მეტყველებაზე აჩენს კვალს და პირიქით, წერის დაბალი დონე პირველის განვითარებას უშლის ხელს. სკოლის გარეშეც, წიგნიერმა მოქალაქემ, მშობელმა და განსაკუთრებით მასწავლებელმა უმთავრეს ხაზებში მაინც უნ-

და იცოდეს, ძირითადად რა განსხვავებაა მეტყველების ამ ორ სახეს შორის.

ზეპირი და წერიტი მეტყველება ცალკეული მომენტებია ერთი მთლიანი პროცესისა. ცნობილია, რომ მათ შორის, ნაწილობრივ მაინც, არსებობს უშუალო კავშირი და პირდაპირი დამოკიდებულება. აღნიშნული ორი მომენტის ეს მთლიანობა, განვითარების ეს ურთიერთდამოკიდებულება, მათი, თითქმის, თანაბარდონიანობა განსაზღვრავს მეტყველების კულტურის საერთოდ და ცალ-ცალკე კი ზეპირისა და წერიტი მეტყველების განვითარების დონეს.

რამდენადაც წერიტი მეტყველება თავისებური და უფრო რთული სახის მეტყველებაა, ვიდრე ზეპირი, რამდენადაც მას გააჩნია სრულიად სპეციფიკური მომენტები, იმდენად, როცა წერიტი მეტყველების კულტურის ამალღების შესახებ ვლაპარაკობთ, სათანადო ღონისძიებებში, უპირველეს ყოვლისა, წერიტი მეტყველების სპეციფიკურ მხარეებს უნდა გაეწიოს ანგარიში. მასწავლებელს მოუხდება სწორედ ამ სპეციფიკურობის გათვალისწინება, მის მიხედვით სწავლების პროცესის აგება. მან უნდა იცოდეს, რომ მეტყველების თვითეულ ამ სახეს სწავლების საკუთარი მეთოდოლოგია გააჩნია.

მოლაპარაკეს უშუალო კავშირი აქვს მსმენელთან. მომხსენებელიცა და მსახიობიც კი ატყობს მსმენელის ან მაყურებლის განწყობილებას, და მით უფრო თანამოსაუბრე გრძნობს ამას; ამის მიხედვით იგი ცვლის თავის მეტყველებას. მსმენელის სახის მოძრაობა, რეპლიკები, წამოძახილები, შეკითხვები ნაწილობრივ განსაზღვრავს კიდევ მოლაპარაკის აზროვნებისა და მეტყველების პროცესს. ეს არსებითი ხასიათის მომენტები არ არსებობს წერიტი მეტყველებისათვის, აქ მეტყველი მოწყვეტილია მას, ვისთვისაც იგი მეტყველებს.

ამიტომ ამბობენ: ნაწერს ოპტიკურად (თვალთ) აღიქვამთ, სიტყვას აკუსტიკურად (ყურით).

ზეპირი მეტყველება მდიდრდება ექსტით და მიმიკით, ე. ი. ზეპირი სიტყვის გაგება მარტო იმაზე კი არაა დამოკიდებული, თუ რას ვისმენთ, არამედ იმაზეც, რომ ვხედავთ მეტყველს. მომხსენებელსაც კი თვალბში შეაჩერდებიან ხოლმე, მის აზრს მაშინ უფრო ადვილად გებულობენ. მოლაპარაკისადმი თვალის დევნება და მისი ნათქვამის მოსმენა ერთსა და იმავე დროს აადვილებს ნათქვამის გაგებას.

ეს მხარე წერიტი მეტყველებისათვის არ არსებობს, და ამას ვერ ფარავს წერიტი მეტყველების უპირატესობა, რომ რამდენჯერმე შეიძლება გამეორებულ (წაკითხულ) იქნას და ზეპირი კი არა. წერიტი მეტყველების ის ხელსაყრელი პირობაც, რომ მრავალისათვის სრულიად სხვადასხვა დროს ხელმისაწვდომია და ჩასაფიქრებლად, ან კი-

დევ გასამეორებლად აღვილია, ზეპირმეტყველების იმ დადებით თვისებით იფარება თითქმის, რომ მსმენელს უშუალოდ შეუძლია მთქმელს შეკითხვის გზით გაამეორებინოს, აზრი უფრო ხატლად გაიგოს. მთქმელის სხვაგვარი გაგების მაშინვე გამოძღავენების მეტი შესაძლებლობაა ზეპირმეტყველების დროს, ვიდრე წერითის.

ზეპირმეტყველების დროს ენის გამომსახველობითი მხარე, აზრის გამაძლიერებელი ელემენტები: ექსტიკულაცია და მიმიკა, უხილავი, მეტყველების ყველაზე უფრო რთული მხარეები, — მახვილები (გრამატიკული, ლოგიკური), რიტმი, ტონი, ბგერის ძალა. მელოდია წერითში მხოლოდ ნაწილობრივ, ძლიერ სუსტად, სასვენი ნიშნებით აღინიშნება.

და თუ ინდივიდუალური მომენტების გამოვლენასაც გავითვალისწინებთ, მკითხველს კითხვის დროს ხშირად გამორჩება ის, რაც მეტყველს ახასიათებდა და შეეა ის, რაც არაა მთქმელისათვის (ამ შემთხვევაში დამწერისათვის) დამახასიათებელი, არამედ, რაც წამკითხველს ახასიათებს, ე. ი. იმპროვიზაციასთანაც გვაქვს საქმე, ადვილი გასაგები იქნება, ამ შემთხვევაში დიდი სხვაობა წერითსა და ზეპირ მეტყველებას შორის.

ზეპირი მეტყველება მოსწავლეს აიძულებს იცოდეს დედანის ორთოპედიული (მართლმეტყველების) პრინციპები: მახვილის, რიტმის, ლაპარაკის ტემბრისა და ტემპის (სიმაღლისა და სისწრაფის), მასთან ექსტისა და მიმიკის შეთანხმება, საერთოდ აზროვნების პროცესისადმი პროცესის დამორჩილება.

წერითი მეტყველებისათვის უფრო მეტი საჭიროება არსებობს აზროვნებისა და წერის ტემპის შეთანხმებისა და პირველის მეორისადმი დამორჩილებისა. რადგან წერა უფრო ნელი პროცესია, ვიდრე ლაპარაკი, წერის პროცესი აყოვნებს აზროვნების ტემპს, აქ მეტყველისათვის შემოხსენებული ორთოპედიული პრინციპების ცოდნის ნაცვლად, დედანის ორთოგრაფიული (მართლწერის) წესების ცოდნა, მისი ნორმების გათვალისწინება და სათანადო ჩვევებია საჭირო.

ამასთან ერთად, რამდენადაც წერით მეტყველებაში ზეპირი მეტყველების გამოსახვითი საშუალებანი სასვანი ნიშნებით (პუნქტუაციით) იცვლება, იმდენად სასვენი ნიშნების სწორი ხმარების ჩვევების გამომუშავებაა აუცილებელი.

წერაში აზრიდან აზრზე ლოგიკურად გადასვლას და აბზაცების დაცვას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ზეპირში.

ზეპირმეტყველებაში გვაქვს სინტაქსური კონსტრუქციების ძლიერი გამარტივება. ცნობილია, რომ აქ არაა იმდენად სავალდებულო შინაგანი კავშირი წინადადების წევრებს შორის, რამდენადაც ეს აუცილებელია და სავალდებულო წერითი მეტყველების დროს. მიუ-

ხედავად ამისა, პირველი, მეტყველების გამომსახველობითი მხარეების წყალობით, მაინც უფრო ეფექტურია. უზუსტესა სტენოგრამაც კი ვერ გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილების სიძლიერის მთავარ ნაწილს, რასაც ზეპირმეტყველების დროს ვღებულობთ.

ზეპირმეტყველების დროს, ასე ვთქვათ, პირდაპირ „თეთრად“ ვმეტყველებთ; არ გვაქვს სათქმელის „შავი“, ნაკლები შესაძლებლობა გვაქვს სიტყვებზე დაფიქრების, მათი გამოცვლის, შერჩევის, სტილისტიკურად წინადადების გასწორების, დახვეწის, აზრის გამახვილებისა და გადმოცემის ზუსტი ფორმების გამონახვის და შემდეგ წარმოთქმის. ზეპირი მეტყველება, როგორც წესი, ვერ ითმენს შესწორებებს.

წერითი კი ყველა ამის საშუალებას იძლევა, მისი მრავალჯერ გასწორება შეიძლება. წერის პროცესი გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მეტყველებისა. ნორმალური მეტყველი, როგორი ტიპისაც არ უნდა იყოს იგი, უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე წერს. წერა რთული პროცესია და მეტ ჩვევებს საჭიროებს. ვიდრე ლაპარაკი.

წერის კულტურის არა მხოლოდ სისტემატური შეგნებული წერა, არამედ სისტემატური კითხვასაც განაპირობებს და პირიქითაც — მეტყველების კულტურა ვითარდება მხატვრული ლიტერატურის ხმამაღალი კითხვითა და ზეპირი გამოსვლებით, სათანადო ვარჯიშითა და წერითაც. ი. გოგებაშვილის ამ ორივე კულტურის ძირითად სათავედ სკოლას თვლიდა და ამასვე ემსახურება მისი სახელმძღვანელოები და „ქართული წერის დედანი“ (ტ. 5, გვ. 648—652, 676—685).

წერითი მეტყველების განვითარების ძირითადი საშუალება ისევე წერაა, — სხვადასხვა სახის წერითი სამუშაო. ზეპირი მეტყველების ჩვევების გამოსამუშავებლად კი საჭიროა მეტი ლაპარაკი, თხრობა, კითხვა — კერძოდ ხმამაღალი და გამომეტყველებითი კითხვა¹.

1940 წ. სექტემბერი.

გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხები ი. გოგებაშვილის ნაწერებში

დიდი პედაგოგისა და ნიჭიერი მეთოდისტის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართულისა და რუსული ენების სახელმძღვანელოებზე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იხმარებოდა ჩვენში. ვარდა იმისა, რომ იგი მათ სისტემატურად გადაეშუშებოდასა და სრულ-

¹ ამ სტრუქტურების დაწერის შემდეგ გამოიცა და სასარგებლოა შოთა ქუჩაძის წიგნი „ზეპირი მეტყველების კულტურის საკითხები“, თბ., 1976.

ყოფას აუარებელ დროსა და ენერგიას ახმარდა, უხდებოდა აგრეთვე მათი დაცვა. კრიტიკაზე პასუხის გაცემა და დასაბუთება იმისა, რომ მოწინააღმდეგენი არ იყვნენ მართლები.

ეს გარემოებები იაკობისაგან მოითხოვდა გრამატიკის საკითხებისა და მათი სწავლების მეთოდის შესწავლა-დამუშავებას.

ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ავტორი ქართული ენის გრამატიკის საკითხებსა და მათი სწავლების მეთოდის სპეციალურად სწავლობდა. რის შედეგადაც მან, სხვადასხვა დროს, მრავალი საგულისხმო მოსაზრებაც გამოთქვა.

ი. გოგებაშვილის მოღვაწეობის ამ მხარესაც მიექცა ყურადღება. მის შესახებ ქართულ პრესაში ბევრი რამ საინტერესო დაიბეჭდა. ერთ-ერთი ასეთთაგანია ცალკე წიგნად გამოქვეყნებული შ. ლლონტის ნაშრომი, „ქართული ენის გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში“ (სოხუმი, 1953 წ., 160 გვ.). წიგნში, ავტორის ნარკვევთან ერთად, პირველად გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“ (1890), რომელიც გადაიბეჭდა გოგებაშვილის „თხულებანი“-ს მე-9 ტომში (თბ., 1962, გვ. 375—486) სათანადო ცნობებით (იხ. აგრეთვე ტ. 10, გვ. 153, №358, შდრ. 99). მეორე გამოცემის ტექსტი დაზუსტებულია.

პირველ გამოცემელს გამოკვლევაში უტღია თავი მოეყარა ი. გოგებაშვილის მოსაზრებებისთვის ქართული ენის გრამატიკის საკითხებისა და მათი სწავლების მეთოდის შესახებ, აგრეთვე განესაზღვრა ის ადგილი, რომელიც მათ უჭირავთ ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში.

წიგნის არსებითი ნაწილი თავის დანიშნულებას ამართლებს.

სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი წყაროა პირველად მასშივე გამოქვეყნებული ი. გოგებაშვილის „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“, რომელიც სათანადო არქივში ინახება¹.

ი. გოგებაშვილის ეს ნაშრომი საბჭოთა გამოცემებსა და სათანადო ლიტერატურაში წინათაც მოახსენიება, მეტიც, — მისგან რამდენიმე გვერდი და ციტატაც იყო ცნობილი.

ამ ხელნაწერის აღწერილობა და შინაარსი პირველი გამოცემის IV თავშია მოცემული (გვ. 43—55). გრამატიკის შედგენის დროის შესახებ აქ წერია: „ვფიქრობთ, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1879—1886 წლებში“ (გვ. 46—47). არა, იგი, შედგენილია კი 1890 წელს.

¹ მისი პირველი გამოყენებისას იგი დატული იყო ჩვენი სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში (ფონდი S—5331 (0—74)). ახლა იგი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. აიკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში იმავე შიფრით.

წიგნის სხვა წყაროთაგან აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის გამოუქვეყნებელი წერილი „ნ ა ბ ო ლ ა რ ა (საგრამატიკო შენიშვნა“; ახლა — იხ. მისივე ტ. II, გვ. 410 და შემდეგი), რომელიც დათარიღებულია 1891 წლის 3 დეკემბრით.

გამომცემელი იყენებს აგრეთვე ისეთ ნაწერებსაც, რომლებშიც ი. გოგებაშვილი გრამატიკის საკითხებისა და გრამატიკის შედგენისა და სწავლების მეთოდის შესახებ მსჯელობს.

ასეთთაგან უფრო საყურადღებოა ი. გოგებაშვილის წერილები „საგრამატიკო ბაასი“ და „შეორე საგრამატიკო ბაასი“ (რეცენზიები მის. ნასიძის სათანადო წერილების შესახებ იხ. ი. გოგებაშვილი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“, ტ. 1, თბ., 1910 გვ. 170—191, ტ. 2, 1954, გვ. 89—101).

წიგნის V თავია „ი. გოგებაშვილის შეხედულებანი ქართული ენის გრამატიკის საკვანძო საკითხების შესახებ“ (გვ. 56—65).

VI თავი და მთავარი, რასაც ნაშრომი წარმოადგენს. ესაა: „ქართული ენის გრამატიკის სწავლების პრინციპები და მეთოდები ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“ (გვ. 66—117). ნაშრომის ამ თავს ათი პარაგრაფი და სხვა ხასიათის სავარჯიშოები შეადგენს.

წიგნის აღნიშნულ თავებში გამოყენებული მასალა კარგადაა აღწერილი და ანალიზიც ძირითადად გაუჭიანურებელი და საქმიანია. წიგნს ღირსებას მატებს დამატების სახით დართული 6 თავი (XIV, XV, XVI, XVII, XVIII და XIX) ი. გოგებაშვილის ხელნაწერი გრამატიკიდან (გვ. 120—142) და ზემოხსენებული წერილი: „ნაბოლარა“ (საგრამატიკო შენიშვნა: გვ. 143—149). უკანასკნელი წერილი საყურადღებოა ი. გოგებაშვილის თვალსაზრისის დასადგენად გრამატიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

აღნიშნულთა შემდეგ ნაშრომს დართული აქვს „გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია“ (გვ. 150—154) და „პირთა საძიებელი“ (გვ. 155—156).

გამომცემლის ძირითადი დასკვნების ნაწილი ცნობილი იყო, მაგრამ ამ ახალ ნაშრომში ისინი დამატებით დასაბუთებას პოულობენ, ზოგიც კი ახლებურად შექმდება, წიგნშივე რამდენიმე ახალი დებულებაა წარმოდგენილი.

მაგ., არაა ახალი, მაგრამ სწორია, ავტორის შენიშვნა, რომ „ი. გოგებაშვილი იბრძოდა კემპარიტი ეროვნული სკოლის შექმნისათვის. ამას უშუალოდ უკავშირდება მისი შეხედულებანი ქართული ენის სწავლების მნიშვნელობისა და ადგილის შესახებ სკოლაში“.

ასევე შეიძლება ითქვას ავტორის იმ დასკვნის შესახებ, სადაც იგი წერს: „ი. გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ ქართულ გრამატიკას სკო-

ლის სასწავლო გეგმაში პირველი ადგილი დასთმობოდა. საეალდებულო საგნად გამხდარიყო ყველა ქართველისათვის და ა. შ. (იხ. ზემოთ).

გამომცემელი სწორია, რომ წერს: ეს გრამატიკა „დაუმთავრებელია და შავს წარმოადგენს“, მაგრამ საყურადღებოა როგორც გრამატიკული მოვლენების გაშუქების, ისე მეთოდოლოგიური დამუშავების თვალსაზრისით“, და დასძენს: „ავტორის მიერ გამოყენებული „განსაზღვრებანი მრავალმხრივ არის საგულისხმო“ (გვ. 48). „ი. გოგებაშვილის მთელი რიგი საკითხები ახლებურად აქვს დასმული და გადაწყვეტილი“ (გვ. 55). ასეთი ი. გოგებაშვილისეული ახსნა საეხვებით შეეფერება საენათმეცნიერო აზროვნების იმდროინდელ დონეს“ (გვ. 25).

რამდენად ორიგინალურია ი. გოგებაშვილის აზრები, ეს გამოცემაში არაა გარკვეული, მაგრამ გამომცემელი სწორად იქცევა, რომ ანგარიშს უწევს ფაქტს: „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“ არ ყოფილა ი. გოგებაშვილის გრამატიკული აზროვნების საბოლოო დასკვნა. ი. გოგებაშვილის შეხედულებანი (ქართული ენის გრამატიკის, — ე. შ.) საკვანძო საკითხების შესახებ ყალიბდება მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. ეს შეხედულებანი კი მისი მეთოდოლოგიური მემკვიდრეობის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს“ (გვ. 55).

აღნიშნულ დებულებათა დამადასტურებელი საილუსტრაციო მაგალითები მოტანილია თვით ი. გოგებაშვილის ნაწერებიდან.

ჩამოთვლილ დადებით მხარეებთან ერთად დასახელებულ წიგნს ზოგიერთი ნაკლიც გააჩნია.

ნაშრომის პირველი სამი თავი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ ისეთ საკითხებს ეხება, რომლებიც წიგნის შემდეგ თავებთან არც თუ მთლად ორგანულადაა დაკავშირებული.

მაგ., წიგნის პირველი თავის სათაურია „მარქსიზმის კლასიკოსები მშობლიური ენისა და მასზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ“ (გვ. 3—11). საკითხი ძალიან აქტუალურია, მაგრამ ი. გოგებაშვილი ამ თავში ერთხელაც არაა ნახსენები. წიგნი კი უკანასკნელის მემკვიდრეობას განიხილავს! აქაც შეიძლება, ზოგი რამ ი. გოგებაშვილზეც ყოფილიყო ნათქვამი. მაგალითად, ი. გოგებაშვილი ცნობს და ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ენა ისტორიული კატეგორიაა, იგი იცვლება დროთა განმავლობაში...

იგივე კერძო საკითხზეც წერს: „ორაზროვნება სიტყვისა ენის სიღარიბის მომასწავებელია, შეადგენს ნამდვილს მის ნაკლოვანებას. როგორც ლექსიკონის სიმდიდრე მომასწავებელია აზრების სიმდიდრისა, ისე ფორმების... სხვადასხვაობა უნდა ჩაითვალოს ენის სისრულის ნიშნად, მის უქველ ღირსებად“².

² ა. ი. ოკუბე. იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები), თბ., 1951, გვ. 187. გამოცემის ტექსტში რაღაც გაუგებრობაა. ხაზი ჩვენია; ე. შ.

სარეცენზიო წიგნის მეორე თავია „ქართულ საზოგადო მოღვაწეთა ბრძოლა მშობლიური ენის უფლების დაცვისათვის“ (გვ. 12—19). როგორც წიგნისა და ამ თავის სათაურების შედარებიდან ვხედავთ, უკანასკნელი თემა წიგნის პირდაპირ საგანთან არაა დაკავშირებული.

მეორე თავის პირველი პარაგრაფია „ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის როლი ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრების საქმეში“.

მშობლიური ენის უფლების დაცვისათვის ბრძოლა იყო მიმართული რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ახალი ქართული ენის ლიტერატურაში დამკვიდრებისათვის თავდადება კი იყო ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ახალ ისტორიაში ცნობილი ერთ-ერთი საკითხთაგანი — ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის. მაშასადამე, ეს ორი სრულიად სხვადასხვა საკითხია; სარეცენზიო წიგნში კი ეს სხვაობა არ ჩანს!

ამავე მეორე თავის მეორე ქვესათაურია „ი. გოგებაშვილი როგორც ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თანამებრძოლი“ (გვ. 17—19). აქაც ზემოხსენებული ორი განსხვავებული საკითხი განურჩევლადაა წარმოდგენილი და თანაც საკითხის ისტორია არ ჩანს. ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს ახალი ქართული ენის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეშიც ჰყავდათ წინამორბედნიცა და თანამებრძოლიც.

როგორც უკვე ვთქვით, ი. გოგებაშვილი იყო ის, ვინც პირველმა ახალი ქართული ენის ლიტერატურაში საბოლოო გამარჯვებისათვის საკირო ნიადაგი მოამზადა და რომლის სახელმძღვანელოებმა საშუალო ქართულზე ახალი ქართულის გამარჯვება დააჩქარა.

ნაშრომის მესამე თავია „ი. გოგებაშვილი ქართული ენის გრამატიკის სწავლების მნიშვნელობისა და ადგილის შესახებ სკოლაში“ (გვ. 22—24). ეს თავი უფრო ახლოსაა წიგნის თემატიკას. კიდრე მეორე, მაგრამ ავტორი საკითხის ისტორიას აქაც გვერდა უვლის. ასახელებს მხოლოდ ერთ ავტორს და ციტატაც ზუსტი არაა; საჩქაღობრ, ავტორი გვ. 20-ზე ეკამათება პროფ. გ. ახვლედიანსა და მის თანაავტორს: — „არ იქნებოდა ზუსტი, თუ ვიტყოდით“, — შენიშნავს იგი და ათავსებს ციტატას, რომელშიც არაა ტექსტის ის მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელსაც ჩვენ აქ ფრჩხილში აღვადგენთ. ციტატა ასეთია: „ი. გოგებაშვილის მთელი (გრამატიკული) მოღვაწეობა განსაზღვრა პედაგოგიურმა მოთხოვნილებებმა“. მაშასადამე, ციტატაში ლაპარაკია ი. გოგებაშვილის მოღვაწეობაზე არა საერთოდ, არამედ მხოლოდ გრამატიკულ მოღვაწეობაზე (შდრ. ზემოთ).

იმავე წერილიდან აქვე სხვა ადგილებიც არის გამოყენებული, მაგრამ ასეთებს ყოველთვის არა აქვთ მითითება. ასევე აღნიშნულ წერილში ნათქვამია მიხ. ნასიძისეულ „თურთ“ — თანმდებულისაგან

ურთ — თანდებულის ი. გოგებაშვილის მიერ გამოყოფისა და სწორად შეფასებაზეც. (იხ. მისი ნაშრომი, გვ. 47, 59, 60 და 65), მაგრამ წერილზე არაა მითითებული.

სათაურის მიხედვით წიგნის თემატიკას შეეფერება IV თავი „ი. გოგებაშვილის დროინდელი რუსული და ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოთა მიმოხილვა“ (გვ. 25), მაგრამ სათაურს ქვეშ ისევ ისეთი ამბებიცაა შეტანილი, რომლებიც, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სახით ამ წიგნში არ უნდა ყოფილიყო (მაგ., ასეთებია გვ. 26—42).

აქ იწყება და გრძელდება განხილვა, თუ რას წარმოადგენდა კ. გოგოროვის რუსული ენის „ელემენტარული გრამატიკა“ (გვ. 27—30), ასევე — კ. დ. უშინსკის „პირველდაწყებითი პრაქტიკული გრამატიკა“ (გვ. 30—34), აგრეთვე ნ. ბუნაკოვის „რუსული გრამატიკის კონცენტრირული სახელმძღვანელო“ (გვ. 34—36) და შემდეგ იმავე წესითა და მეთოდითაა განხილული იმავე ეპოქის პ. იოსელიანის „პირველდაწყებითი კანონი ქართულისა გრამატიკისა“ გვ. 36—39), დ. ჩუბინაშვილის „მოკლე ქართული გრამატიკა“ (გვ. 39—41) და დ. ყიფიანის „აბალი ქართული გრამატიკა“ (გვ. 41—43).

დასახელებული გრამატიკები რუსული ენისა შეიძლება აქ არ გარჩეულიყო, რადგან ისინი რუსულ ენათმეცნიერულსა და მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი, საკმარისი იქნებოდა არსებული ლიტერატურის გამოყენება და მათზე მითითება.

ეს სხვა მხრივაც აჭობებდა. სახელდობრ, ი. გოგებაშვილის გრამატიკა 1890 წელსაა დასრულებული. რუსული გრამატიკები კი დაწერილია 1873, 1870 და 1875 წლებში. ი. გოგებაშვილმა ზემოაღნიშნულ რუსულ გრამატიკებზე ადრე გამოსცა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865, 1867 და 1868 გამოცემები). მამასადამე, ის სხვა გრამატიკებსაც იცნობდა.

სარეცენზიო ნაშრომი ზოგ დაზუსტებას და შესწორებას საჭიროებს. მაგალითად: გვ. 21-ზე და შემდეგ ლაპარაკია დედაენის მნიშვნელობასა და მისი სპეციფიკის შესწავლის აუცილებლობის შესახებ. არაა აღნიშნული, რომ „დებულდება ენას კანონს თვითვე ენა აწლებს“ ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს და არა ი. გოგებაშვილს.

ავტორი რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ დედაენის შესწავლით ი. გოგებაშვილი ფიქრობს უცხო ენის შესწავლის გაადვილებასაც; ესეც ცნობილი დებულებაა. თანაც არაა ხაზგასმული, რომ უცხო ენითაგან გოგებაშვილი, სრულიად შეგნებულად, პირველ რიგში რუსულ ენას აყენებდა აქ საამისო არც ის მოსაზრებებია აღნიშნული, რომლებსაც ი. გოგებაშვილი ასახელებდა³.

³ ი. გოგებაშვილი. ტ. II, 1940, გვ. 378-ტ. 2, 1954, გვ. 223.

წიგნის მე-40 გვერდზე ვკითხულობთ: „დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში კარგადაა დამუშავებული ზმნა. იგი ეხება ზმნისწინებს. გვარისა და კონტაქტის კატეგორიას, დროთა წარმოებას. ქცევით ზმნებს უწოდებს მიჩემებით ზმნებს“.

ნამდვილად კი ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებიდან კარგადაა ცნობილი, რომ სწორედ ქართული ზმნა, ყოველ შემთხვევაში. ა. შანიძის გამოკვლევის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა“ (1920 წ.) გამოქვეყნებამდე, კარგად არ ყოფილა შესწავლილი. მაშინ ზმნა არა თუ „კარგად დამუშავებული“ არ იყო, არამედ ძირითადი ზმნური კატეგორიების დადგენაშიც კი აბნეულობას ჰქონდა ადგილი.

სარეცენზიო წიგნისავე 41 გვერდზე ლაპარაკია ეტიმოლოგიის შესახებ მორფოლოგიის მნიშვნელობით. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ვინაიდან ახლა ეტიმოლოგია სრულიად სხვა დარგია ენათმეცნიერებისა სათანადო შენიშვნაც იყო საჭირო.

იქვე სიტყვას ეწოდება ლექსი, რაც დღეს სულ სხვა მნიშვნელობისაა და მისი ძველი მნიშვნელობა ბევრმა აღარც იცის. მაშასადამე, ესეც უნდა განმარტებულიყო.

ყოველივე ამის შემდეგ ავტორი იწყებს საუბარს თავისი წიგნის პირდაპირ თემაზე. ესაა ნაშრომის მთავარი და სასარგებლო ნაწილი.

ი. გოგებაშვილის მოკლე გრამატიკის დაუმთავრებლობას გამომცემელი ქართული ენის მაშინდელი დაუმუშავებლობით ხსნის (გვ. 46).

მთავარი მიზეზი კი მართო ამაში როდი უნდა ვეძიოთ. როგორც ითქვა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გოგებაშვილი ენათმეცნიერი არ ყოფილა...

არც ესაა ზუსტი: „ი. გოგებაშვილის სახელს უკავშირდება ქართულ გრამატიკაში ბრუნვათა რიცხვის იმ სახის დადგენა, როგორც ეს დღესაა მიღებული ქართული ენის სასკოლო გრამატიკაში“ (გვ. 50).

ჩვენც ასე ვმსჯელობდით 1941 წელს ი. გოგებაშვილის შესახებ გამოცემულ ნაშრომში (გვ. 51—52), მაგრამ ეს მთლად ასე არაა. ჭერ ერთი, აქ მართო რიცხვი შვიდი არ განსაზღვრავს საქმეს. ბრუნვათა თანრიგსაც აქვს მნიშვნელობა, რაც გოგებაშვილს სხვა ჰქონდა, ვიდრე ახლაა მიღებული სასკოლო გრამატიკაში. ბრუნვათა სახელწოდებებიც სხვა იყო. მეორეც, ვინც ანტონ პირველის „ქართული გრამატიკას“ იცნობდა, მისთვის ძნელი აღარ იყო ქართულში შვიდ ბრუნვაზე შეჩერება. ანტონის რვა ბრუნვათაგან წრფელობითი რომ ახალ ქართულში დამოუკიდებლად უკვე აღარ იხმარებოდა, ეს ცნობილი იყო და მას ვერც ი. გოგებაშვილი შეიტანდა ბრუნვებში. ანტონის დაწყებითი

ბრუნვა, რომ ცალკე ბრუნვას აღარ წარმოადგენდა, არც ეს იყო ძველი შესამჩნევი და მის ადგილზე იაკობმა დასვა განვითარებითი ანუ მოქმედებითი ბრუნვა, რომელსაც ის ცვლილებებითაც უწოდებს. მეტადრე, რომ ი. გოგებაშვილსაც „მოკლე გრამატიკაში“ რვა ბრუნვა აქვს და მისი მყოფობითი ბრუნვა (კაცის) ანტონთან დაწყებით ბრუნვად (კაცისაგან) იწოდება.

როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილი ქართული ბრუნვების იმავე რიცხვს და თითქმის იმავე რიგს იცავს „მოკლე გრამატიკაში“, რასაც ანტონი (უკანასკნელს მოქმედებითი ბრუნვა არ ჰქონია, მაგრამ ის მაინც ცნობილი იყო). ი. გოგებაშვილი შვიდ ბრუნვაზე მხოლოდ შემდეგ შეჩერდა. არ. ქუთათელაძის „ქართული გრამატიკაც“ (თბ., 1888 წ.) სრულიად იმავე შვიდ ბრუნვას სცნობს, რასაც ი. გოგებაშვილი და იმავე რიგით. მიმართულებით ბრუნვასაც ღ-ზე აბოლოებს.

აქვე ვკითხვლობთ: საგულისხმოა ი. გოგებაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების გენეტიური (გენეტიკური, — ი. შ.) ურთიერთობის შესახებ“. საბუთად იქვე მოტანილი ი. გოგებაშვილის ციტატა კი „გენეტიურ ურთიერთობაზე“ არაფერს არ გვეუბნება. აქ ი. გოგებაშვილი ლაპარაკობს მხოლოდ ამ ბრუნვების კავშირზე ცვლილების მიხედვით (გვ. 50., შდრ., გვ. 51).

მსჯელობა (გვ. 54) ი. გოგებაშვილის თვალსაზრისის წმინდა ლოგიკისტურობის შესახებ და მისი რუსული და კერძოდ კ. გოვოროვის გრამატიკით ახსნა არც თუ მთლად სწორია, რადგან ეს მაშინ საერთო ენათმეცნიერული შეხედულება იყო. თვით რუსი გრამატიკოსებიც კლასიკური ენის გრამატიკებიდან იყვნენ დამოკიდებულნი.

ი. გოგებაშვილი რომ წინადადებებსა და საკუთარ სახელებს დიდ ასოებით წერს და ამ წესის დაკანონებას მოითხოვს, ამის შესახებ აქ ნათქვამია, რომ ავტორი, „ემყარება რუსულ ორთოგრაფიას ანდა ძველი ქართულის ტრადიციასო“ (გვ. 54—55).

აქ ძველი ქართული არაფერ შუაშია, რადგან ნამდვილ ძველ ქართულში ჩვეულებრივ მრგლოვანი ასოები ერთ ტექსტში ერთნაირად იწერებოდა, ხოლო ნუსხურში მრგლოვანი ასოების ხმარების შემთხვევები არ ემთხვევა იმ წესს, რომელსაც გოგებაშვილი ავითარებს. მისთვის გამოსავალი არც მარტო რუსულ ორთოგრაფიაა; რუსული თვითონ იმეორებს ე. წ. ევროპული ორთოგრაფიის წესს. აქაც ი. გოგებაშვილი უწევს ანგარიშს ფონეტიკურ (ანბანიან) ენებში (ევროპულსა და მათ შორის რუსულშიც) უფრო გავრცელებულ წესს და მაშინდელი ფსიქოლოგებისა და მეთოდისტ-პედაგოგების მოსაზრებებს, რომ დიდი ასოთი დაწყებული წინადადება და საკუთარი სახელები მკითხველისათვის ადვილი აღსაქმელია.

⁴ ი. გოგებაშვილი. ტ. I, 1910, გვ. 167—ტ. 2, 1954, გვ. 97.

ს. ხუნდაძესთან ი. გოგებაშვილის კამათი ისეა ახსნილი, თითქოს ს. ხუნდაძე ენაში ძველი ფორმების აღდგენას მოითხოვდა (გვ. 63, 64) იქვე მოტანილი ს. ხუნდაძის ციტატა: „ყოველი ენა ახლდება, იცვლება, მაგრამ ისე კი, რომ საძირკველათ, ანუ სარჩულათ, მაინც ძველი ენა აქვს“, და „ვიხელმძღვანელოთ ენის უცვალებელ კანონებით, ძველი ენის შესწავლით“... იმ კონტექსტში, რომელშიც ეს ს. ხუნდაძეს აქვს, არ ნიშნავს იმას, როგორადაც მას ჯერ ი. გოგებაშვილი და შემდეგ სხვები იგებენ.

ყველასათვის ცნობილია, რომ ს.ხუნდაძე ახალი, ცოცხალი ქართული ენისათვის მებრძოლი იყო. ის აღნიშნულ ციტატაშიც ამბობს: „გავათავისუფლოთ ჩვენი დღევანდელი ენა ძველი ენის მძიმე ფორმებისაგან“. ძველი ქართული რომ ახლის საფუძველია, არც ამის უარყოფა შეიძლება.

ზოგიერთ ავტორს დასჩემდა ს. ხუნდაძის, ი. გოგებაშვილთან უთანხმოებათა ისე დახატვა, თითქოს მასში ი. გოგებაშვილი იყო მუდამ მართალი! რომ ეს ყოველთვის ასე არაა, ამისათვის საკმარისია ვიხილოთ 1911 წელს გაზეთ „კოლხიდაში“ (№ 188) მოთავსებული ს. ხუნდაძის წერილი.

ისედაც ი. გოგებაშვილს რომ ლიტერატურული ქართულის მიხედვით ყველგან ყველაფერი იდეალურად არა აქვს. ამის მაგალითად თუნდაც ეს ერთი აბზაცი კმარა, რომელიც ი. გოგებაშვილის დედნის მიხედვითაა გამოცემული. მაგ., იგი წერს: „და მისდის ძმას სანახავათ, ძმა კი ემალება დასა“ (მთვარე და მზე)!.. წინადადების კითხვა-მიგების მეთოდით გარჩევისას იგი განაგრძობს: — „შესმენილი — მისდის. ვინ მისდის? და—ქვემდებარე, ვის მისდის? ძმასა—შემავსებელი სიტყვა შესმენილისა. რისთვის მისდის? სანახავათა“ (სარეცენზიო წიგნი, გვ. 92).

ამას წერს ის, ვინც სიტყვის ორაზროვნებას ებრძოდა სასტიკად: წიგნის გვ. 64—65-ზე აღნიშნულია 15 მუხლი, რომლებშიც ჩამოთვლილია ი. გოგებაშვილის მიერ სწორად გადაჭრილი საკითხები ქართული ენისა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი იაკობის გარეშეც ასევე იყო გაშუქებული.

მეორე მხრივ, მათში არაა მოხსენებული, ის, რაც მართლაც ი. გოგებაშვილს ეკუთვნის. მაგ., ქვემდებარის შემასმენელთან რიცხვში შეწყობის საკითხი⁵.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წესს თვითონ ი. გოგებაშვილი ვერ იცავს ყოველთვის. მაგალითად, ის, ერთის მხრივ, წერს: ეროვნული

⁵ ი. გოგებაშვილი, ტ. 1, 1910, გვ. 93=ტ. 1, 1955, გვ. 277, ზემოთ, გვ. 42.

ასოები „არ დაიწერება ორ ხაზს შუა“⁶. მეორე მხრივ, ბეჭდავს: „წყაროები სულ სამხრეთისაკენ მიდიოდნენ, გზაზე ერთმანეთს ერეოდნენ და აჩენდნენ მოზრდილ ფშანებსა“, „ციფრები აგრეთვე არ ამართლებენ იმ აზრსა“ და სხვა⁷.

როგორც ჩანს, აქ მხოლოდ გასულოვნება არ წყვეტს საქმეს: აქ ავტორის ნაწერში პრაქტიკა სძლევს თეორიას ასეთივე შემთხვევა გვაქვს იქაც. სადაც ი. გოგებაშვილი მოითხოვს ლიტერატურული ენის სიწმინდის დაცვას, მაგრამ ზოგჯერ კილოურ (ქართლურ) ფორმას იყენებს. და ეს მაშინდელ ვითარებაში არც მოულოდნელია.

წიგნში წერია, რომ „რთული წინადადების სახეების დამუშავებას... ი. გოგებაშვილი არ შეხებია, მაგრამ მათ აუცილებლად (!) განიხილავდა, თავისი შრომა, რომ დაემთავრებინა“ (გვ. 68). ასეთი კატეგორიული განცხადების საფუძველი კი არ არსებობს.

იგივე ავტორი მსჯელობს ენის ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის შესახებაც (გვ. 2—76), რაშიც სადავო ბევრია, მაგრამ აქ მათზე სიტყვას ვერ გავაგრძელებთ.

ავტორს მოტანილი აქვს არნ. ჩიქობავას ციტატა იმის შესახებ, რომ ძველი სასკოლო გრამატიკისათვის: „ისტორიული თვალსაზრისი უცხო იყო“ (გვ. 79). ნამდვილად კი კ. გოვაროვი, თ. ბუსლაევი და სხვები, — განსაკუთრებით ყველა ისინი, რომლებიც კლასიკური ენის დამცველები იყვნენ, ახალი ენის ფორმის შესახებ მსჯელობისას, ძველს ფორმებს მიმართავდნენ. ესაა ისტორიული თვალსაზრისის გამოყენების ერთი საყურადღებო მხარეთაგანი.

ამიტომ ისტორიზმის ელემენტების ი. გოგებაშვილის მიერ გრამატიკაში ისეთი გამოყენება, როგორსაც ავტორი ახერხებს, არ წარმოადგენს იმ პრინციპულ სიახლეს, რომელსაც მას მიაწერენ (გვ. 79—83).

ი. გოგებაშვილი გრაფიკული თვალსაზრისით მეთოდის, კითხვა-პირებათის, შეპირისპირებისა და შენაცვლების ხერხების, ორთოგრაფიულ ჩვევათა, განმეორების და სავარჯიშოების გამოყენებით იმაზე უფრო მეტადაა დავალებული თავის წინაპრებისაგან, ვიდრე ეს სარეცენზიო წიგნშია ნაჩვენები.

წიგნის დამატებაში გამოქვეყნებულია სარაქივო მასალები (გვ. 120—142 და 143—149). მათ ტექსტთა შესახებ გამომცემელი ამბობს, ჩემ მიერაა დადგენილი (გვ. 120, შნშ. 1). აქ გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებისაც, თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში, ი. გოგებაშვილი პრინციპული წინააღმდეგი იყო (მაგ., მიმართულებითა

⁶ ტ. I, 1910, გვ. 194=ტ. 5, 1957, გვ. 674.

⁷ ი. გოგებაშვილი, ტ. I, 1910, გვ. 229=ტ. 2, 1954, გვ. 159.

ბრუნვაში დ-ს ნაცვლად თ-ს ხმარება; შდრ. შ. ლლონტის წიგნი, გვ. 85 და სხვა). ასეთები ტექსტის გამომცემელს ტექსტშივე უნდა გაესწორებინა და შენიშვნით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მით უფრო, რომ ი. გოგებაშვილის ამ ნორმას ახლანდელი ჩვენი ორთოგრაფიაც ემთხვევა).

დანარჩენ წვრილმანებს რომ აღარ შევეხოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს ი. გოგებაშვილის შესახებ არსებული ლიტერატურა ვრცლად და უფრო ზუსტად უნდა გამოეყენებინა. იგი სარეც. ბიბლიოგრაფიაში ასახელებს ზოგიერთ ისეთ ერთეულს, რომელიც მას არ გამოუყენებია; არ ასახელებს კი ზოგიერთ ისეთს, რომლითაც მას უსარგებლია...

წიგნში ისიც უნდა აღნიშნულიყო, რატომ თვითონ ი. გოგებაშვილმა არ გამოსცა თავისი გრამატიკა?

ნაშრომი მოიგებდა, რომ მას დასკვნითი დებულებები ჰქონოდა დართული.

მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა და უდავო ნაკლოვანებებისა, სარეცენზიო ნაშრომი მაინც მნიშვნელოვანი წვლილია ი. გოგებაშვილის გრამატიკული მემკვიდრეობის პუბლიკაციისა და ნააზრევთა შესწავლის საქმეში.

თბილისი, 20.IX.1953

იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შედგენილი კიდევ ერთი სახელმძღვანელო

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახლაც არი სხვადასხვა ტიპის კლასი არსებობს.

პირველ მათგანში მოწაფე წერა-კითხვას სწავლობს. მაშასადამე, იგი (განსაკუთრებით სოფლელი) ანბანს აქ ეცნობა.

ასეთთათვისაა შედგენილი ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის „დედაენა“, I კლასის სახელმძღვანელო, იაკობ გოგებაშვილის მიხედვით, რომელიც 1973 წელს ოცდამეათეჯერ გამოიცა. ესაა სახელმძღვანელო იმ სკოლებისა, სადაც მოსამზადებელი კლასი არ არის (-ბ. „რვაწლიანი სკოლის პროგრამები, დაწყებითი, I, II, III, თბ., 1973—1974 სასწ. წელი).

მეორე ტიპის I კლასი წერა-კითხვას მოსამზადებელ კლასში ითვისებს. ამ კლასს აქვს ზემოხსენებულ პირველ კლასისაგან განსხვავებული პროგრამა, რომელიც პირველად 1969—1970 სასწავლო წელს გამოიცა. სათანადო სახელმძღვანელო კი 1973 წელს გამოქვეყნდა. ამიტომ აწერია მას „დედაენა პირველი კლასისათ-

ვის (რომელმაც მოსამზადებელი კლასი გაიარა). შეადგინა ვ. რამიშვილმა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით“ (თბ., 1973).

მისი შემდგენელი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვ. თ. რამიშვილი ავტორია „ქართული ენის სწავლების მეთოდისა პედაგოგიური სასწავლებლებისათვის“ (თბ., 1953 წ.), სხვა სახელმძღვანელოების და სამეცნიერო ნაშრომებისა.

დაისვა პირველი კლასის ორი სახელმძღვანელოს ურთიერთობისა და სხვა საკითხებიც. მათ შესახებ ვ. რამიშვილმა გამოაქვეყნა წერილები:

1. „მოსამზადებელი კლასის „დედაენის“ აგებულება და გამოყენება“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1973 წ., 24 აგვისტო, გვ. 2—3).

2. „უკეთესი უნდა შევარჩიოთ“ (გაზ. „სახ. განათლება“, 1973 წ., 17 ოქტ., გვ. 3);

3. „I კლასის „დედაენის“ აგებულება და გამოყენება“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1973 წ. 28 ნოემბერი, გვ. 2—3).

3. რამიშვილი აცნობს მკითხველს, თუ რით განსხვავდება ეს ახალი სახელმძღვანელო ადრე შედგენილი და ახლაც მოქმედი წერა-კითხვის სასწავლო პირველი კლასის სახელმძღვანელოსაგან.

ჩვენდათავად უნდა შევეხოთ საკითხებს:

1. რამდენად პასუხობს ეს ახალი, — მეორე სახელმძღვანელო იმ პროგრამას, რომელიც წინასწარ შედგა;

2. რაკი წიგნს აწერია, შედგენილია ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით, რამდენად სწორადაა აქ მომარჩეველი ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს აგების პრინციპები;

3. როგორი ხასიათისა და შინაარსისაა ახალ წიგნში შეტანილი ლიტერატურული მასალა.

პასუხები:

1. ახალი წიგნი უეჭველად არსებული პროგრამის მიხედვითაა შედგენილი. თუ ამ წიგნში მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რაიმე ნაკლი ან უზუსტობა შეიმჩნევა, ასეთები უმთავრესად პროგრამიდან მოდის.

2. აგრეთვე უდავოა, რომ ახალი სახელმძღვანელო ი. გოგებაშვილის სათანადო სახელმძღვანელოს პრინციპებზე და ძირითადად მის მასალაზეც არის აგებული.

3. ახალ წიგნში შეტანილი ლიტერატურული მასალა სათანადო ასაკის ბავშვის შემეცნებით შესაძლებლობებს შეეფერება; მასში დაცულია თვალსაჩინოების პრინციპიც (ახლავს სურათები).

ამ წიგნის სიახლე, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რომ მასში ი. გოგებაშვილის წიგნიდან განსხვავებით, ასახულია საბჭოთა სინამ-

დვილის თემატიკა და იგი წარმოდგენილია მხატვრულ ნაწარმოებთა სახით.

სახელმძღვანელოს მთელი მასალის თანმიმდევრობით შესწავლა სავალდებულო, მაგრამ თუ რომელიმე გარკვეულ თარიღთან დაკავშირებული გაკვეთილის მასალა რომელიმე მიზეზის გამო, ამ თარიღს არ დაემთხვევა, მასწავლებელს მისი გადაწვევ-გადმოწვევის უფლება აქვს. მაგ., ოქტომბრის რევოლუციის, ახალი წლის, რვა მარტის ან პირველი მაისის ამსახველი მასალა სათანადო თარიღის დროს შესწავლებლა.

სხვა შემთხვევაში სეზონურობიდან გადახვევაც არის დაშვებული, თუმცა ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო და პროგრამა სრულ შესაბამისობაშია. ერთმანეთთან, მაგრამ „ამ ორ დოკუმენტში მასალა ზუსტად ერთი პრინციპით არაა დალაგებული. პროგრამაში თემატიკურ-სეზონური პრინციპია მთავარი, სახელმძღვანელოში კი დომინირებს თემატიკურ-ჟანრობრივი პრინციპი“.

ახალი „დედაენის“ დადებითი მხარეა, რომ პროგრამაში თემატიკურად დაჯგუფებული საკითხავი მასალის ყველა ტექსტია შეტანილი, რაც უფრო არსებითია, მასში პედაგოგიური და მხატვრული თვალსაზრისით შერჩეული საუკეთესო მასალაა შესული. სულ „122 საკითხავი მასალიდან ხალხურია 10, მწერლობისა — 144; აქედან 46 კლასიკური მწერლობიდანაა შერჩეული“. საბჭოთა საბავშვო მწერლობიდან 60 ერთეულია აღებული. 26 საკითხავი მასალა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებიდან არის შერჩეული; საბჭოთა თემატიკა მხატვრული ნაწარმოებებითაა წარმოდგენილი. ტექსტების ენა ბუნებრივი და კარგი ქართულია, ემორჩილება სწავლების გონივრულ პროცესს, გამართლებულს ჩვენი დროის მეთოდოლოგია და პედაგოგიკით. მისი საშუალებით ისწავლება საკლასო საგნები და უცხო ენაც.

თანამედროვე პედაგოგია მეთოდოლოგიური მეცნიერების ძირითად ამოცანად თვლის დედაენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას, — „ბავშვმა თავიდანვე სიყვარულითა და შეგნებულად უნდა მოეკიდოს დედაენის შესწავლას“.

მიზანია თავიდანვე არა მხოლოდ კითხვის სწავლება, არამედ მოწაფეთა მეტყველების განვითარებაც. ამიტომ დაშვებულია დიალოგიური ტექსტი და მისი წაკითხვა-გასცენიურება, როლებად კითხვა, რის საშუალებასაც სახელმძღვანელოს ბევრი ერთეული იძლევა. მაგ., ახალი სახელმძღვანელოს გვ. 39-ზე დაბეჭდილია შიო მღვიმელის ლექსი „მკვებარა მამალი“. ორ-სამ გაკვეთილზე მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს იგი წერით სამუშაოდაც გამოვიყენოთ.

ასევე ორივე მიზნისათვის გამოსადეგია უაღრესად აღმზრდელობითი მნიშვნელობისა და ბავშვთათვის შინაარსეულადაც საინტერესო

ი. გოგებაშვილის ქმნილებანი: „თხა და გოგო“ (გვ. 14). მისივე „ჩიუტი თხები“ (გვ. 15). „ლომი და თაგვი“ (გვ. 142). კ. უშინსკის „თალგამი“ (გვ. 122), ი. აბაშიძის „მიმიხარია სოფლისაყენ“ (გვ. 140), სოსელი „დილა“ (გვ. 129). ისევ ი. გოგებაშვილის „ადამიანის სხეულის ნაწილების ჩხუბი“ (გვ. 37), მარიჭანის „ბეერზე ბეერი“ (გვ. 57), საბა ორბელიანის „მეფე და მხატვარი“ (გვ. 67—68), პლუმნიკოვის „მახეში გაბმული ჩიტი“ (გვ. 74, თარგმანი ა. წერეთლისა) და სხვა.

შემდგენელი ლაპარაკობს: „დედაენის პირველ გამოცემას ახლავს ზოგი ხარვეზი, რომელიც შემდგომ გამოცემაში გამოსწორდება“ („სახალხო განათლება“, 1973 წ. 24 აგვისტო, გვ. 3). რა შეიძლება შეიცვალოს, ამაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა იმსჯელონ პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა. ჩვენი მხრივ კი შევნიშნავთ, რომ ამ წიგნის ზოგიერთი მასალა პირველი კლასის ასაკისათვის, თუ ძნელად არა, მოზრდილად მაინც გვეჩვენება. მაგ., ასეთებად გამოიყურებიან: „სამი დათვი“ (50—53), „ხუთი გოჭის ამბავი“ (გვ. 70—73), „ერუ და მართალი“ (109—112)..., მაგრამ სჯობს მათზეც პრაქტიკოსმა პედაგოგებმა იმსჯელონ.

ახლა აქ ჩვენთვის მთავარი არა ეს და ამდაგვარი საკითხებია, არამედ ისაა, რომ წიგნი აგებულია სახელოვანი წინაპრის სახელმძღვანელოს პრინციპებზე, რაც სასკოლო გამოცდილებამ გაამდიდრა და ხანგრძლივმა პრაქტიკამ გაამართლა. ამით ვ. რამიშვილი იცავს კულტურული მემკვიდრეობის ათვისების ლენინურ თეორიას, ითვისისწინებს ბავშვის შემეცნებით უნარს, ამართლებს პედაგოგიკურ ძირითად მოთხოვნას, — სწავლების პირველი ეტაპი უნდა წარიმართოს ნაცნობიდან უცნობისაკენ; აქვე გათვალისწინებულია ბავშვის ფსიქოლოგია; აწვდის იმას, რაც ენობრივად უნაკლოა და დიდაქტიკურად გამართული, საინტერესოა და ადვილად დასაძლევია.

თბილისი, 1971 წ., თებერვალი

ივანე გომელაური

საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის 50 წლისთავის
გამო

ხანგრძლივ მოქმედი სახელმძღვანელოს — „ქართული მწერლების“ — შემდგენელი ივანე (ვანო) მიხეილის ძე გომელაური ცნობილი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც. იგი დაიბადა 1867 წელს მირზაანში (ქიზიყი) საშუალო შეძლების ოჯახში. 8 წლის ვანო გომელაური მირზაანის დაწყებით სკოლაში მიაბარეს. მას იქ საოსტატო სემინარიის კუსდამთავრებული ახალგაზრდა მასწავლებელი — მ. გავაშელი ასწავლიდა, რომელიც სხვაგან გადაიყვანეს და მის ადგილზე უვარგისი მასწავლებელი დანიშნეს; მესამე განყოფილების მოწაფემ, ვანო გომელაურმა, ახალი მასწავლებლის გამო სკოლას თავი მიანება.

მშობლებმა პატარა ვანო სიღნაღის სამოქალაქო სკოლაში მიაბარეს. აქ მას სიმონ ბეგიაშვილმა შეაყვარა ქართველი მწერლები. ვანო გულმოდგინედ შეუდგა ლიტერატურის კითხვას, შეიყვარა წიგნი და სკოლაშიც კარგი მოწაფის სახელი გაუფარდა.

სიღნაღის სკოლა მან 1885 წელს დაამთავრა. იმავე 1885 წელს იგი თბილისის სამასწავლებლო (საოსტატო) ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებლის უკანასკნელ კლასში მიაღებინეს; იგი მთელი ზაფხული ემზადა და ამის შემდეგ ხსენებულ ინსტიტუტის პირველ კლასში ჩარიცხეს.

წარჩინებული სწავლისათვის, მეორე კლასიდან მოყოლებული, ვანო გომელაური აქ სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდა. ინსტიტუტში 4 წელს სწავლობდა; დაასრულა 1890 წელს. 1890 წლის 1-ლ სექტემბერს ივანე გომელაური გაამწესეს ოზურგეთის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლის თანამემწედ¹, — დაიწყო მისი დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივი მოღვაწეობა.

ნიჭიერი ახალგაზრდა ვერ დაკმაყოფილდა ცალმხრივი პედაგოგიური მოღვაწეობით, — ივანე გომელაური ახალჩასული იყო, რომ

¹ ვახ. „კომუნისტური განათლება“, № 31 (131), 24 დეკემბერი, 1935 წ.

იგი ოზურგეთში ალგილობრივ მსახიობებს დაუკავშირდა და გამოვიდა სცენაზე ა. ცაგარლის კომედია „მათიკოს“ მესამე მოქმედებაში. მან განაგრძო წარმოდგენებში მონაწილეობა, და როდესაც ქალთა სკოლის დარბაზში მოეწყო მუღმივი სცენა, სადაც იმართებოდა წარმოდგენები, ლიტერატურული კითხვები, საუბრები და „ჯადოფანარის“ გამოყენებით სახალხო კითხვა, ივ. გომელაური გამოვიდა ქართული სიტყვით. მას ხალხი ალფრთოვანებით შეხვდა. ამის შესახებ დამსწრე კორესპონდენტს მაშინდელ გაზეთშიც დაუწერია² ამბავმა კავკასიის ოლქის მზრუნველ კირილე იანოვსკიმდე მიაღწია; უკანასკნელი განრიხსდა, — სკოლების დირექტორსა და იმ სკოლის ინსპექტორს, რომელშიც ივ. გომელაური მსახურობდა, ცალ-ცალკე უღებემა: — „რა უფლებით მართავთ სახალხო კითხვებს და ისიც ქართულ ენაზე?!“.

ივანე გომელაური არ შეუშინდა მუქარას, იგი განაგრძობდა არჩეულ გზას, — მასწავლებლობდა, მონაწილეობდა წარმოდგენებსა და ქართული კითხვის საღამოებში, ქართულ ბიბლიოთეკას ამდიდრებდა, მოწაფეებს აკითხებდა ქართულ წიგნებს, აცნობდა ჩვენი მწერლების შემოქმედებას.

ახალგაზრდა მასწავლებლის ნორჩ მეგობრებს კიდევ უფრო გაუტკბათ აკრძალული ხილი, — კიდევ უფრო შეიყვარეს ქართული წიგნი და მისი კითხვა.

ეს მასწავლებელი იმითაც იყო საყვარელი, რომ ახლოს იდგა მოწაფეებთან, მათ ავარჯიშებდა პრაქტიკულ საგნებში, — ხელგარჯილობასა და მეაბრეშუმეობაში, ასწავლიდა ქართულ ენას.

ოზურგეთში 6 წლის მოღვაწეობის შემდეგ იგი გადაიყვანეს ზუგდიდში და დანიშნეს შტატის მასწავლებლად.

მაშინდელ სამეგრელოს სკოლებში, როგორც სამინისტროსა, ისე სამრევლოში, ქართული ენის სწავლება აკრძალული იყო, მაგრამ ამას არ შეუშინდა ივანე გომელაური, განაგრძო ქართული წარმოდგენებისა და საჯარო კითხვების მოწყობა, აქაც „ჯადოფანარის“ იყენებდა; მოწაფეებს აკითხებდა ქართულ წიგნებს, მათ ქართული ბიბლიოთეკაც შეაქმნევინა. აქ, საბედნიეროდ, სხვებთან შედარებით უფრო დემოკრატი ინსპექტორი შეხვდა. — ცელოვალნიკოვი და ქართული ენის სწავლებაში ხელს არ უშლიდა, მაგრამ მალე ივანე გომელაურს იქიდან გუდანაბადის აკვრა მოუხბდა.

ივანე გომელაურმა თავი შეათარა სასულიერო უწყების მიერ დაარსებულ ე. წ. ორკლასიან სასწავლებელს, — სოფ. ტირქნისში, რომელშიც წერა-კითხვის მასწავლებლებს ამზადებდნენ. აქ იგი უფროსი მასწავლებელი იყო, მაგრამ ბედს ვერ ეწია, — დამხვდულ-

² იხ. «Новое обозрение», № 3076, 2 დეკემბერი, 1890 წელი.

რი მღვდელი, სასწავლებლის გამგე, საღმრთო სჯულის საწინააღმდეგოს სკოლაში არაფერს აჭაჭანებდა, ლიტერატურას კი საშიშ საგნად თვლიდა; თანაც მღვდელი უფრო იმან დააფრთხო, რომ ივ. გომელაური ქართულ ენას ასწავლიდა...

ივანე გომელაური მოეწყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში აღმზრდელად; მან მაშინ სასკოლო მთავრობის მიერ ნებადართული ალ. ნათაძის სახელმძღვანელოს „ბავშვის მეგობრის“ შესახებ ჟურნალ „კვალში“³ საწინააღმდეგო წერილი — „ახალი სენი ჩვენს პედაგოგიაში“ — დაბეჭდა და ეს გახდა მიზეზი, რომ ივ. გომელაურს თბილისი დაატოვებინეს⁴.

ახლა იგი საქართველოში წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სენაკის ქართულ სკოლაში გაგზავნეს, რომელიც ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსამზადებელ კლასს წარმოადგენდა. ბედმა არც ახლა გაუღიმა ივ. გომელაურს. ის სკოლაში ძველი თაობის დამცველი-ინსპექტორის წინააღმდეგ შეთქმულ მესამე დასელების მხარდამპერი აღმოჩნდა; სხვა მასწავლებლებთან ერთად, ივანე გომელაურიც მოხსნეს, — ორივე სასკოლო უწყებიდან გაძევებული უადგილოდ დარჩა.

მოაშურა ისევ თბილისს, ქართველ კათოლიკეთა სკოლის მასწავლებლად მოეწყო. ამავე დროს დაიწყო მუშაობა არსენ მამულაშვილის (ლალიონის) მიერ გახსნილ სკოლა-პანსიონშიც, აქ მას ვალები ედებოდა, მიატოვა ეს სკოლა-პანსიონიც და წინამძღვრიანთ კარში, ილ. წინამძღვარიშვილის სამეურნეო სკოლაში, საზოგადო საგნების მასწავლებლად მოეწყო.

ივანე გომელაურს, როგორც სამხედრო ვალდებულს, რუსეთ-იაპონიის ომის დროს (1904 წ.) ჯარში გაყვანას უპირებდნენ, მაგრამ მოასწრო ბაქოს საზღვაო სკოლის მასწავლებლად მოწყობა, აქ მან 1 წელი იმსახურა.

1905 წელს კიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ახლად დაარსებული უმაღლესი დაწესებულებით სკოლის ქართული ენის მასწავლებლად ივანე გომელაური მიიწვია. ამ სკოლაში ქართული ენის თავისუფალი სწავლება იყო (თანაც, კვირაში 4 გაკვეთილი). აქ ივანემ მოითქვა სული, იგი მასწავლებლობდა, მსახიობობდა, საჯარო კითხვას აწყობდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კიათურის ახალ გახსნილ ფილიალში მდივნად მუშაობდა და სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობაშიც მონაწილეობდა. 1907 წ. კიათურის სკოლის სამ მასწავლებელს: ივ. გომელაურსა და მის ყოფილ ოზურგეთელ მოწაფეებს, — ნ. წუწუნაევს და ალ. მითაიშვილს, „დააბრალეს მო-

³ იხ. ჟურნ. „კვალი“, 1898 წ. № 22.

⁴ იხ. ჟურნ. „განათლება“, № 6—7, 1920 წ., გვ. 42.

წაფეთა შორის პროპაგანდის გაწევა; ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ იაზიკოვის განკარგულებით სამივეს მიესაჯა ვიატკის გუბერნიამში გადასახლება, მაგრამ შავი ქვის მრეწველთა „საბჭოს თავმჯდომარის გ. ზდანოვიჩის მეცადინეობით, ნამესტნიკმა გააუქმა გუბერნატორის განკარგულება, მასწავლებლებიც თავის ადგილზე დარჩნენ“⁵. მოწაფეებს მთელი სექტემბერი და ოქტომბრის 20 დღე გაუცდათ, მაგრამ იმავე გ. ზდანოვიჩის პასუხისმგებლობით მასწავლებლებს ხელფასი ეგზანენებოდათ და სხვა მასწავლებლები მოწვეულნი არ ყოფილან.

რევოლუციის შემდეგ თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირმა ივანე გომელაური სახალხო სკოლების ინსპექტორად აირჩია. იგი კიათურიდან წამოვიდა. მას შორდებოდნენ კიათურის სკოლის ატრემლებული მოწაფეები და ხალხი, რომელთა წრეშიც მან 13 წელი გაატარა (იხ. „თეატრი და ცხოვრება“, № 3, 1918, გვ. 5.).

სახალხო სკოლების ინსპექტორად ივ. გომელაური 1919 წლის აპრილამდე დარჩა. ისევ მასწავლებლობა ამჯობინა და 1920 წელს კვლავ სკოლას დაუბრუნდა; იგი მიიწვიეს თბილისის ქალთა მეშვიდე გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლად. აქ მას მოუსწრო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ; აქედან მოყოლებული იგი დამშვიდებით მუშაობს და თბილისში ცხოვრობს.

1922 წელს თბილისში დაარსდა ქართული სამხედრო სკოლა. მასში ქართული ენის მასწავლებლად ივ. გომელაური მიიწვიეს; იქ 1931 წლამდე ასწავლიდა. იმავე დროს ივანე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უკვე ტექნიკუმად გადაკეთებულ (V ტექნიკუმში) ქალთა გიმნაზიაში ასწავლიდა 1926 წლამდე.

1924 წლიდან 1930 წლამდე ივ. გომელაური იყო ქართული ენის მასწავლებელი ამხანაგებთან ერთად დაარსებული ქართული ენისა და საქმის წარმოების კერძო კურსებზე.

1930 წელს, სამხედრო სკოლიდან წასვლის შემდეგ, იგი მოიწვიეს სატყეო ინსტიტუტში არაქართულ ჯგუფებში ქართულის მასწავლებლად. 1933 წლიდან ივ. გომელაური დანიშნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკში ქართული ენის მასწავლებლად და ამავე უნივერსიტეტის პირველი კურსის ქართველი სტუდენტების ქართული ენის პრაქტიკუმებს ხელმძღვანელობდა. აქ იგი 1937 წლამდე მუშაობდა.

ივ. გომელაური, მიუხედავად ხანდაზმულობისა, 1938 წლიდან მუშაობს ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავ-

5. იხ. „თეატრი და ცხოვრება“, № 3, 1918, გვ. 5.

ლებლო ინსტიტუტში. იგი აქ ქართული ენის კათედრის აქტიური წევრია, ქართულ ენას ასწავლის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის რუსული სექტორის დაწყებით ჯგუფს და მონაწილეობს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობაში.

ივანე გომელაურის პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოში აქვს თავისი ისტორია და დიდი მნიშვნელობა მით, რომ იგი მრავალმხრივ საყურადღებო სახელმძღვანელოების შემდგენელი და გამომცემელია. ქართული პედაგოგიკის კლასიკოსის, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის ერთ-ერთი მეგობარია და მისი საქმის გამაგრძელებელია.

ივანე გომელაურმა ჯერ კიდევ 1895 წ. გამოსცა მოწაფეთათვის საკითხავი ლექსების კრებული, სახელწოდებით—„საჩუქარი“. სხვათა შორის, მასში დაბეჭდილი იყო ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილიდან“: „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“.

ივ. გომელაურმავე შეადგინა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“. ამ წიგნის პირველი ნაწილი იაკობ გოგებაშვილისა და ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მატერიალური დახმარებით პირველად 1906 წელს გამოიცა.

სახელმძღვანელო „ქართველი მწერლები“ კარგი გამოდგა; 1908 წელს მისი მეორე და 1910 წელს მესამე გამოცემა დაიბეჭდა. 1910 წელსივე სახელმძღვანელო „ქართველი მწერლების“ მეორე წიგნი გამოვიდა, ხოლო 1919 წ. მას მესამე ნაწილიც მოჰყვა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილიც დაიბეჭდა და უკვე V, VII და VIII კლასებისათვის ცალკე თითო წიგნი იყო განკუთვნილი.

1906 წლიდან მოყოლებული 1927 წლამდე (უკანასკნელი გამოცემა 1926 წ. დაიბეჭდა), — მთელი 20 წლის განმავლობაში, — ივანე გომელაურის სახელმძღვანელო „ქართველი მწერლების“ თითოეული ნაწილი, თითქმის ყოველწლიურად იცემოდა. გამოკიდა დაახლოებით 165.000 ცალი და მათზე აღიზარდა მრავალრიცხოვანი ქართველი მოწაფეობა. ამავე დროს იგი მასების საკითხავი წიგნია, მან დიდად შეუწყო ხელი ჩვენი მწერლების პოპულარიზაციის საქმეს.

8 იხ. ივ. გომელაურის წერილი „იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი“. დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო კრებულში“, თბილისი, 1940 წ., გვ. 284—285.

7 იხ. ივ. გომელაურის ჩვენ მიერ ზემოდასახელებული წერილი ი. გოგებაშვილის შესახებ. „საიუბილეო კრებულში“, გვ. 291—292.

8 ივ. გომელაურის სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები, წიგნი მეოთხე, შრომის-სკოლის მერვე წლის კურსი, თბილისი, 1923 წელი.

ივ. გომელაურის აღნიშნული სახელმძღვანელო ი. გოგუაშვილის „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ გაგრძელებაა. მიხი ქრესტომათიები იყო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შესანიშნავი თაიგული, და ამიტომ იგი ძლიერ შეიყვარეს მოსწავლე ახალგაზრდობამ და ფართო მასებმა. მისმა შემდგენელმა ვრცლად გააცნო ქართველ მოწაფეობასა და მასობრივ მკითხველს ჩვენი მაშინდელი ახალგაზრდა მგონებები; გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, იონა ვაკელი, ალექსანდრე აბაშელი და სხვები.

ივ. გომელაურმა ქრესტომათიაში სათანადო ადგილი დაუთმო ისეთი ქართველი მწერლების შემოქმედებას, რომლებსაც წინათ ნაკლებ ადგილს უთმობდნენ. მაგ., ვაჟა-ფშაველას, ეგ. ნინოშვილის, ირ. ევლოშვილისა და სხვათა.

სახელმძღვანელო „ქართველი მწერლები“ სასარგებლო იყო მითაც, რომ პირველ გამოცემას მწერლების სურათები და სიტყვების ახსნა ჰქონდა დართული; შემდეგ გამოცემებს ივ. გომელაურმა მწერლების მოკლე ბიოგრაფიები და ზეპირი და წერიითი სავარჯიშოებიც დაუმატა. აღნიშნული სახელმძღვანელო პედაგოგიურად ისე კარგადაა შედგენილი, რომ ასეთი ქრესტომათიების შემდეგი გამოცემლება თითქმის იმეორებენ მის გეგმასა და მასალის უმთავრეს ნაწილსაც კი.

ივ. გომელაურის მონაწილეობით შედგა და 1925 წელს გამოიცა „ქართული ენის თვითმასწავლებელი“ რუსთავერს (ტირაჟი 8.000 ცალი), და „ქრესტომათია არა ქართველთათვის“ (ტირაჟი 5.000): ასევე მისი მონაწილეობით შედგა და 1927 წელს გამოიცა ქრესტომათია „სხივი“, 1928 წელს გამოვიდა სახელმძღვანელო „ტალღები“.

სახელმძღვანელოებს გარდა, ივანე გომელაურს გამოცემული აქვს საკუთარი და ნათარგმნი რამდენიმე პედაგოგიური წიგნაკი. იგივე ავტორია პუბლიცისტურ-კრიტიკული ხასიათის წერილებისა.

ივ. გომელაური სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1892 წელს (წერილი „ივერიაში“, № 258). 1896 წელს თარგმნა და დაბეჭდა ვლ. კოროლენკოს „აჩრდილნი“ („მოამბე“, IX); 1900 წ. დაბეჭდა „ბიბლიოგრაფია... თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი“ („კვალი“ № 11, 1901 წ.). „ქ. დ. უშინსკი (მისი ცხოვრება და მოღვაწეობა)“ („კვალი“ № 2); 1902 წ. თარგმნა ანტონ ჩეხოვის რამდენიმე მოთხრობა („ალიაქოთი“ — „კვალი № 30, „მღვდელთმთავარი“. — „ცნობის ფურცელი“, № 2500, 2600 და სხვა); 1898 წ. გამოვიდა ჯერ თბილისში და შემდეგ ქუთაისში მისი ნათარგმნი „მოწაფის ჰიგინა“. არსებობს მისი 4 გამოცემა. იგი ათას ცალობით ვრცელდებოდა ქართულ სკოლებში; მან დიდი სარგებლობა მოუტანა მასწავლებლობასა და მოსწავლე ახალგაზრდობას. ამავე 1898 წ. ვ. გომელაურმა თარგმნა და ცალკე გამოსცა წიგნაკი „რა არის ხარკი და რისთვისა ჰკრებენ?“.

1908 წ. ივ. გომელაურმა დაბეჭდა „პედაგოგიური აზრები ილია ჭავჭავაძის თხზულებებში“ (ყურნ. „განათლება“ № 1); ასევე წერდა ი. გოგებაშვილის („განათლება“, № 8, 1913 წ.), ვაჟას, ილიას, აკაკისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შესახებ.

ივ. გომელაურმა თარგმნა აგრეთვე გ. ჰაუპტმანის „სულითობონი“ (დრამა 5 მოქმედებად), და „მიხეილ კრამერი“, ანტ. ჩეხოვის „უფროსი მებაღის ნაამბობი“ (1914 წ.), მ. გორკის „ბავშვობა“ (1937 წ.), ი. გოგებაშვილის 5 რუსული წერილი; 1927 წელს სახელგამმა გამოსცა ივ. გომელაურის ნათარგმნი „სახალხო სკოლა და შრომის დასაბამი“.

ივ. გომელაურს ადგილს უთმობდა: „ივერია“, „კვალი“, „ჭეჭილი“, „ნაკადული“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „თეატრი და ცხოვრება“ და „განათლება“.

ივანე გომელაურს აქვს დაბეჭდილი 98 სახელწოდების შრომა და სახელმძღვანელოების ათეული სხვადასხვა გამოცემა. მანვე იმოგზაურა და შეაგროვა ქართული ფოლკლორული მასალები თუშეთსა და ქართლ-კახეთში (მასალები ინახება საქართველოს მუზეუმში).

პედაგოგიურ-ლიტერატურულ მოღვაწეობის გარდა, ივ. გომელაური შესანიშნავია, როგორც სახალხო წარმოდგენებისა და კითხვების („ჯადოფარნის“ დახმარებით) მომწყობი და მონაწილე.

დაბა-ქალაქებში, სადაც კი მას უმსახურია, ყველგან თეატრი გამოუცოცხლებია. ზაფხულობითაც კი ქიზიყში დასასვენებლად ჩასული ივ. გომელაური, სოფელ ქვემო მაჩხაანში ცნობილ ხალხოსან დ. მაჩხანელთან და ამავე სოფლის მასწავლებელ ილ. მენტეშაშვილთან ერთად ერთგულად და გატაცებით მონაწილეობდა სახალხო წარმოდგენებში. მისი საესტრადო-მსახიობური მოღვაწეობა 1890 წლიდან 1917 წლამდე გრძელდება. მას მრავალრიცხოვან დადგმებში ბევრი საპასუხისმგებლო როლი შეუსრულებია, მის თამაშს მაყურებლები გაუტაცებია. ივ. გომელაურის სცენის მოყვარეობაზე მაშინდელ გაზეთებში დადებითი რეცენზიებია დაბეჭდილი.

ივ. გომელაურის ყოფილი მოწაფეებიდან დღეს მრავალი მოწინავე ადამიანი ვიცით; მათ შორის არიან პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, არტისტები, ექიმები, ინჟინრები და სხვა; თვითეული მათგანი სიამოვნებით იგონებს საყვარელ მასწავლებელს.

ივ. გომელაური მოწაფეების ძლიერ მოსიყვარულე და მოწაფეთა საყვარელი მასწავლებელი იყო. მისთვის დასვენება და დროს ტარება გახლდათ მოწაფეებთან ბაასი, მათთან ურთიერთობა.

ივ. გომელაური მუდამ მოწაფეებსა და მათ შრომლებს შორის ტრიალებდა, მუდამ მათ განათლების საქმეზე ზრუნავდა; მაგ., უფრო ნიჭიერსა და დარიბ მოწაფეებს ასაჩუქრებდა სასწავლო ნივთებით. და

უფასოდ ამზადებდა სხედასხვა სკოლებისათვის, ეხმარებოდა მათ განეგრძოთ სწავლა რომელიმე სპეციალურ სასწავლებელში. მისი რჩევა-დახმარებით ბევრმა დაამთავრა სამასწავლებლო ინსტიტუტი, საოსტატო სემინარია, რკინიგზის სკოლა და სხვა სასწავლებელი.

ივ. გომელაური თბილისსა და ქიათურაში მუშებდა და ნოქრებს კვირადღეობით უყრიდა თავს და წერა-კითხვას უფასოდ ასწავლიდა, ქართველი მშრომელების საკეთილდღეო საქმეებზე ჟურნალ-გაზეთებში წერილებს ათავსებდა. მის მიერვე დაბა-ქალაქებიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებში მკითხველებს აუწყებდა მშრომელების გაჭირვებასა და მათ სწავლა-განათლებით შეიარაღების აუცილებლობის შესახებ. წერდა არა ჰონორარისათვის, არამედ საქმის სიყვარულისა და გულშემატკივრობის გამო.

ივ. გომელაური ეკუთვნის იმ პედაგოგთა რიცხვს, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნებოდა, ხალხისაგან შორს კი არ ექირა თავი, არამედ მზადაა ემსახუროს ხალხს ნებაყოფლობით და ხალხით.

ივ. გომელაურის პედაგოგიურ-ლიტერატურულ-თეატრალური მოღვაწეობა იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ მას სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ჯერ კიდევ 1935 წელს მიანიჭა საქართველოს შრომის გმირის სახელი და დაუნიშნა პერსონალური პენსია.

1941 წ.

P. S.

იმავე წელს ივანე გომელაური ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების კათედრის წევრი იყო. ამ კათედრას 1939—1942 წლებში წინამდებარე სტრიქონების ავტორი ხელმძღვანელობდა და ივანეს დამსახურებას დიდად აფასებდა.

ივ. გომელაურს აქ არაერთხელ უთქვამს: თუ რამ გამიკეთებია, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმაღლოდღო. ჩემ მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს გამოცემის საქმე რომ თითქმის ჩაიკეტა. გოგებაშვილს მიემართეო. მან წიგნის მხოლოდ სათაურს გადახედა, წამიყვანა იმ მესტამბესთან, რომელიც „დედა-ენას“ ბეჭდავდა და უთხრა: ბატონი გომელაურის ეს წიგნიც ჩემს ქალაღზე დაბეჭდეთო...

ეს მან იმითობაც გააკეთა, დასძენდა ივ. გომელაური, რომ მასზე ამბობდნენ, სხვის სახელმძღვანელოებს გზას უხშობსო. ეს რომ სწორი არ იყო, ჩემი წიგნის ისტორიიდანაც ჩანს: ი. გოგებაშვილი ცუდ სახელმძღვანელოებს არ უქერდა მხარს, თორემ კარგის ავტორს ეხმარებოდაო.

საინტერესოა ივ. გომელაურის ასეთი მოგონებაც: ვაჟას „სამი საყმაწვილო ამბავი“ დავბეჭდე და წიგნაკში ავტორის ბიოგრაფიაც შევიტანე. უკანასკნელში ვაჟამ უზუსტობა შეამჩნია და დაბეჭდა: „თუ ბიოგრაფია იწერება, უნდა დაიწეროს სიმართლით, ნამეტნავად სიყალბე უნდა შესწორდეს ჩემ სიცოცხლეშივე, რადგან იგი ჩემი სიკვდილის შემდეგაც იბარტყებს საკმაოდ“¹.

უშუალოდ შეხვედრისა და ამავე საკითხზე საუბრისას, — თქვა ი. გომელაურმა, — ვაჟამ მითხრა: თუ ჩემი რაიმე გამოსცეთ, დაბეჭდეთ ზუსტად, ისე, როგორც მე მიწერია, თორემ თქვენ ერთგან „კან“ დაგისტამბავთ იქ, სადაც „კე“ მაქვს; ეს არ შეიძლებაო.

ივ. გომელაურმა ამას დასძინა: სხვები მეხვეწებოდნენ, ოღონდ კი დაბეჭდეთ და ჩემი ნაწერი როგორც გინდათ, ისე გამოიყენეთო. ვაჟა კი ამაყი იყო, ის ასეთ რაიმეს არ გთხოვდათო.

ივ. გომელაურის შესახებ წინათაც არა ერთხელ თქმულა პრესაში, მაგრამ მას განსაკუთრებული ყურადღება მაშინ მიექცა, როდესაც მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი 1948 წელს იუბილე-თი² აღინიშნა.

ივ. გომელაურისადმი ჩვენი უფროსი თაობა ისეთ პატივისცემას ავლენდა, რომ, მაგალითად, აღნიშნულ იუბილეზე მას აკად. ე. თაყაიშვილმა მისალმება და თავისი წიგნი — „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“ (პარიზი, 1937 წელი) — გაუგზავნა. ამისი გადაცემა უკანასკნელმა ჩვენ დაგვავალა და გვთხოვა, ისიც გვეთქვა, თუ რატომ თვითონ ექვთიმე თაყაიშვილი ვერ ესწრებოდა იუბილეს.

ი. გომელაური იყო ბევრის მნახველი და კიდევ მეტის გამგონე, მაგრამ მოგონებების წერისაგან თავს იკავებდა. მხოლოდ განსაკუთრებული თხოვნის შემდეგად დაგვიწერა ზემოაღნიშნული რამდენიმე მოგონება ი. გომელაურისა და გადმოგვცა წერილი „სწავლა-განათლების ისტორიიდან საქართველოში“³.

ზემოხსენებული ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების კათედრის ხაზით 1942 წლის დასაწყისშივე დავგეგმეთ, რომ ივ. გომელაურის თანაავტორობით შეგვედგინა „ქართული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლების რუსული განყოფილებისათვის“. გრამატიკული ნაწილი ამ სტრიქონების ავტორს უნდა დაეწერა; ქრესტომათიის მასალები, როგორც დიდი გამოცდილების მქონეს, ივ. გომელა-

1 იხ. ვაჟა-ფშაველას ტ. VII. 1956, გვ. 337.

2 იხ. მისდამი მიძღვნილი ვაზ. „სახალხო განათლების“ (№ 49, 1948 წ. 2 ლექსები) სპეციალური მე-3 გვერდი.

3 უკანასკნელი იხ. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1942, გვ. 223—226.

ურს უნდა შეერჩია და ტექსტები ერთად უნდა დაგვედგინა; მათზე ლექსიკონიც უნდა დაგვეერთო. კათედრის მაშინდელმა ერთ-ერთმა ახალმა წევრმა გეთხოვა, ამ საქმეში მეც მიმაღებინეთ მონაწილეობაო. შემდეგ ისე მოხდა, რომ წიგნი ამ უკანასკნელმა შეადგინა და გამოსცა კიდეც.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ივ. გომელაური კვლავ განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და საერთოდ შრომაც კარგად დაუფასდა; როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდეც 1935 წლის 26 ნოემბერს იქნა აღიარებული შრომის გმირად, 1944 წელს დამსახურებული მასწავლებლის წოდებაც მიენიჭა, ხოლო 1948 წელს იუბილეთი აღინიშნა მისი დაბადების 80 და მოღვაწეობის 60 წლისთავი.

ამაგდარი ივანე მიხეილის ძე გომელაური ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 85 წლის ასაკში 1951 წლის 8 ნოემბერს⁴. 60 წელზე მეტი ემსახურა იგი ქართულ სკოლას და 20-ზე მეტი წლის განმავლობაში მოქმედებდა მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „ქართველი მწერლები“.

ივ. გომელაურს ვერ დაივიწყებს ჩვენი პედაგოგიკის ისტორია.

1968 წ. ნოემბერი.

⁴ ამხანაგების ჩგუფის ხელისმომწერით ნეკროლოგი იხ. გაზ. „სახალხო განათლება“. 1951 წ., 10.XI, გვ. 4. შდრ. ვ. ქაჭია. ივანე გომელაური, თბ., 1947. ჩანს, რომ ჩვენ 1941 წელს და ვ. ქაჭიას 1941 წელს ერთი და იგივე წყარო (ივ. გომელაურის ბიოგრაფიული რეზიუმე) გვქონდა ხელთ, მაგრამ შედეგთა შორის განსხვავებაა.

РУССКОЕ СЛОВО

или

классное руководство къ русскому языку
для грузинскихъ школъ.

Составилъ

Яковъ Топошвили



въ изданіи, второе и третье.

Изданіе Кавказской Книжной Торговли.

Тифлисъ, 1887.

Типографія Е. И. Хеладзе.

ЯКОВЪ ГОГЕБАШВИЛИ.

РУССКОЕ СЛОВО

И Л И

учебное руководство къ русскому языку
для грузинскихъ школъ.

ЧАСТЬ ВТОРАЯ


КНИГА ДЛЯ ЧТЕНІЯ



ИЗДАНИЕ ШЕСТНАДЦАТОЕ.

Въ предыдущихъ изданіяхъ этотъ учебникъ былъ одобренъ въ
качествѣ учебнаго руководства и Святейшимъ Синодомъ и По-
вѣстительскимъ Совѣтомъ Кавказскаго Учебнаго Округа на пра-
вахъ Ученаго Комитета Министерства Народнаго Просвѣщенія

Правилсаніе по Гроту.



Т И Ф Л И С Ъ.

Споропечатна С. М. Лосаберлае, Моск. улица соб. цофъ, № 1

1913.

ლევანდები ბულბულა

„ბულბულისებური გალობა
მხოლოდ ბულბულს შეუძლიან“.

ი. გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოქვეყნებული „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (თბ., 1865 წ.) არსებითად არის შემდეგ მის მიერვე შედგენილი „დედა-ენის“ პირველი გამოცემა, წიგნის განყოფილებაში „ფრინველები“ დაბეჭდილია წერილი „ბულბული“¹.

1868 წელს გამოქვეყნდა „ბუნების კარის“ პირველი გამოცემა. შემდგენელს უკვე აქ გადმოუტანია ზემოხსენებული განყოფილება „ფრინველები“².

მამასაღამე, შემდეგ წერილი „ბულბული“ პირველ საკითხავ წიგნში აღარ იბეჭდება, მაგრამ „დედა-ენის“ პირველი სურათებიანი გამოცემის გარეკანზე ხატია ტოტზე დასკუპებული ბულბული³.

რამდენიმეჯერ გადამუშავებული წერილის რედაქციაში („ბუნების კარი“, 1912 წ.) ვკითხულობთ: „ბულბული არის პატარა, მშვიდი ფრთხილი და გულკეთილი ფრინველი. ჩიტსა ჰგავს⁴, ცოტათი კი უფრო წვრილისა და ლამაზის ტანისაა. მიწაზედ სწორე ჯდომა ეხერხება და მარდადაც დახტის“ (ტ. 6, გვ. 284).

„ბულბული სკამს სხვა-და-სხვა ჭია-ლუასა,... წყლის სმა მალ-მალე იცის“, თბილ დარში „ყოველს დღეს წყალშივე ბანაობს“. ამიტომ ბუდის „გაკეთება წყლის ახლოს უყვარს“ ჯაგებში. ისინი მოფრინდებიან თბილი ქვეყნიდან და დედალი „სდებს ოთხ-ხუთ კვერცხსა; მამალი ბულბული დედალს ჰშველის შვილების გამოჩეკასა და გაზრდაში, უგალობს კიდეთაო. სამი კვირის ბარტყები ფრენას იწყებენ. სამური საყურებელია, როცა „დედალ-მამალნი შვილებს გარშემო შემოისხამენ და გალობას ასწავლიან. მამლები უფრო კარგად მღერიან, გაზაფხულზე, დილითა და საღამოთი, ღამითაც.

ჰუმანისტი პედაგოგი შენიშნავს: ზოგიერთ ქვეყანაში უგუნური

1 ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1957, გვ. 45—46.

2 იქვე, გვ. 103; შტრ. მისიკე, ტ. 6, თბ., 1958, გვ. 285.

3 იხ. ზემოთ, გვ. 15.

4. აქ ჩიტი ბელურას ნიშნავს, იხ. ი. გოგებაშვილის თხზულებანი, ტ. 5, გვ. 37.

„ამ მშვენიერ პაწია ფრინველებს საკმელად ზოცავენ“, ჩვენ კი კატე-
ბისა და ბავშვებისაგანაც უნდა დავიცვათ ბულბულიო (გვ. 286).

ფრიად ღრმააზროვნანია წინამდებარე წერილისათვის ეპიგრაფად
წამძღვანებული ი. გოგებაშვილის აფორიზმი — „ბულბულისებური
ვალობა მხოლოდ ბულბულს შეუძლიან“ (ტ. 6, გვ. 285).

ავტორი იცნობს ბრემისა და სხვათა აზრებს ბულბულზე, მაგრამ
მას საკუთარი შეხედულება და ფანტაზიაც აქვს ტექსტში ჩართული.
და მით უფრო დასანანია, რომ ი. გოგებაშვილის დროს არ იყო გა-
მოვლენილი ქართული ლეგენდები ბულბულზე, თორემ რომელიმე
მათგანს ისიც გამოიყენებდა.

ხალხი ასხვავებს სხვადასხვაგვარ ბულბულს. ნამდვილი ბულბუ-
ლიო, — ამბობენ, — უფრო მეტად კვერცხისდებისა და ბარტყიანო-
ბის დროს ვალობსო. ეს დრო ემთხვევა მცენარის ყვავილობას, რო-
მელზეც ბულბულს უყვარს ჯდომა. ფაქტი გაუაზრებია ხალხს და ლე-
გენდები შეუქმნია. ქვემოთ მათზე შევჩერდებით.

ვენახის მაგვარ ტყიურ მცენარეს — სვას (ქანური ბარდიბინეხი
— ბარდვენახი) დასავლეთ საქართველოში ფშალა ეწოდება (მეგრუ-
ლი ფშალა, ფშალე; სვანური — ფშალა, სვიჯ; კილოებში; გურული —
ფშალა, ფშალო, იმერული — მშრალა, აქარული — შრალაი).

ფშალა ფორმიდან ნაწარმოები სიტყვა მაფშალია, მეფშალია კი
ბულბულს, იადონს (გურული — გაიდონა) ნიშნავს.

მეგრული ლეგენდით, მაფშალია (ბულბული) ტყის მეფემ (ტყა-
ში-მაფა) დანიშნა მაფშალიას ყვავილის მომღერლად. თუ მან არ იმ-
ღერა, ფშალა ამოუვა ენაზეო.

ეს ლეგენდა ასახულია კ. სამუშიას მიერ შედგენილსა და აპ. ცა-
ნავას რედაქციით გამოქვეყნებულ „ქართული ხალხური პოეზიის“
მეგრული ნიმუშების წიგნში (თბილისი, 1971 წელი).

ჩვენ ამ წიგნზე რეცენზია გამოვაქვეყნეთ გაზ. „კომუნისტში“
(1972 წ. 3 სექტემბერი. გვ. 3). მასში ამ ლეგენდაზე გავამახვილეთ
ყურადღება. მას რამდენიმე მკითხველი გამოეხმაურა რედაქციისა და
ჩვენი მისამართით.

გურიაში ცნობილი ლეგენდებისა და ხალხური სიმღერების
მცოდნეს, დაბა სუფსაში მცხოვრებ 85 წლის მოხუც ილიკო გუჯაბი-
ძეს წაუკითხავს და გვწერს: „ლეგენდა ბულბულზე ზოგმა ისე იცის,
როგორც თქვენ დაბეჭდეთ, მაგრამ მე აგრეც გამიგონია: მაფშალიას—
ბულბულის წინაპარს — ლამით ხის ტოტზე დაუძინია. ხეზე ფშალა
ყოფილა შეზრდილი; ყვავილობისას სწრაფად მზარდი ეს მცენარე
ჩაძინებულ ბულბულს კისერზე შემოხვევია და იგი დაუხვრჩევია“.

ამის შემდეგო, — განაგრძობს თქმულება, — სანამ ფშალა იზრ-

დება და ყვავილობს, ბუღბული არ იძინებს და ღამითაც გალობს, არ ჩამეძინოსო...

ზემოხსენებული თქმულების ვარიანტი, რომელიც ჩვენ ფოთიდან თბილისში გადმოსახლებულმა მოხუცმა ვერა გოგინავამ გვიამბო, „მაფშალია (ბუღბული) იმიტომ დასტვენს ფშალას, რომ ეს დროის (საფუარის) ყვავილია. იგი ათრობს ამ ჩიტს და მღერის. როცა ფშალა აღარ ყვავილობს, ეს ჩიტი აღარ მღერის“.

ამავე ლეგენდის ერთ-ერთი გამოქვეყნებული ვარიანტი ამბობს: ბუღბული და ვაზი დამეგობრდნენ. „შემოჯდებოდა ბუღბული ვაზზე და საამურად გალობდა. ისმენდა ვაზი და ცრემლად იღვრებოდა“.

ერთხელ ბუღბული ისე გაერთო, რომ მთელი ღამე სტვენდა. ამ სიმღერის ეშხით ვაზის პწკალები (უღვაშები) ისე სწრაფად გაიზარდა, რომ ბუღბულმა ვერც კი გაიგო, მას ერთი პწკალთაგანი ფეხზე დაეხვია. დაბმული ბუღბული დილით ვეღარ გაფრინდა, მას „ადგილზევე სული აღმოხდა“... ამის შემდეგ „ბუღბულის მოდგმამ შეიძულა ვაზი“, და მას აღარ ეკარება⁵.

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ზემო ქანათში ნაცხოვრები და შემდეგ თბილისში გადმოსახლებული ნატალია კვაჭაწე გვეწერს: „თვითონ 70 წლისა ვარ; მამაჩემისა და ჯუმათელი მოხუცებისაგან თქვენ მიერ გამოქვეყნებული ლეგენდა აგრე გამიგონია: „გაიდონა (ბუღბული) დღისით არ ჩდება, შუაღამისას იწყებს გალობას; მერე შიგადაშიგ ჩაეძინება, მაგრამ მსწრაფლ გონს მოვა, დასტვენს და შემდეგ მთელი ღამე გალობს“.

ბარათის ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს: ბუღბული „მაშინ გალობს, როცა ბარტყობა იწყება... ბარტყები რომ გამოუჩეკია, ამოსულა ფშალა, დახვევია პწკალი კისერზე ბარტყს და დაუხრჩვია“. ამის შემდეგ დაუწყია დედას ბარტყების „დარაჯობა, ძილფხიზლობა და სტვენა; ღამე არ დაიხრჩოსო ბარტყებით“, და მაფშალია იცავს მათ, სანამ არ დააფრენსო... ეს „მიუთითებს, — ასკენის ნ. კვაჭაძე, — დედა ჩიტის მზრუნველობა-მოვალეობაზე შვილისადმი“ და უფრო სწორი უნდა იყოს, ვიდრე დანარჩენი ვარიანტებით (30.X.1972).

კახური ფოლკლორული ტექსტების ჩამწერმა და გამომქვეყნებელმა დიმ. გონაშვილმა ჯერ მოგვეწერა და შემდეგ გამოაქვეყნა კიდევ ამავე ლეგენდის ქიზიყური ვარიანტი, რომელიც მას მთქმელ შაქრო ბეროშვილის სიტყვებით ანაგაში ჩაუწერია. მოგვაქვს გამოცემული ტექსტი:

„ერთ ბაღში, ვარდის ბუჩქზე, ბუღბულს ბუღე ჰქონდა გაკეთებული და შებინდებიდან გათენებამდე საამურად სტვენდა. მის ხმას

⁵ ხალხური სიბრძნე. ქართული ეპოსი, ტ. III, თბ., 1954, გვ. 345.

პირველად, სულიერი თუ უსულო, ყველა გარინდებული უსმენდა, მოუსვენარი ნიავეც კი საღლაც ფოთლებში მიინაბებოდა, მერე კი ძილბურანი შეეპარებოდათ და ტკბილად ჩაეძინებოდათ.

არ ეძინა მხოლოდ ვაზის თალარს (ტალავერი). შურით შეპყრობილი ბულბულს ებუზღუნებოდა:

— რა ნახე მაგ ზღარბის ეკლიან ბუჩქში, რომ ბარტყებსაც მანდ ზრდი და ყოველ ღამე მაგას ატკობ შენი სიმღერით? მე რითა ვარ მაგაზე უარესი, თვალმიუსვლელი?! ერთხელ ჩემთანაც მოფრინდი, მეც მასმინე შენი ტკბილი გალობაო!

ბულბულმა შეიწყნარა ვაზის თხოვნა და მეორე ღამეს თალარზე გადაინაცვლა, შემოჯდა ერთ რქაზე, მილულა თვლები და უფრო მეტი ეშხით ააყენესა თავისი ხმა. მთელ ღამეს განუწყვეტლივ სტვენდა, თავისივე სიმღერით ტკბებოდა თვითონაც და ატკობდა მთელ არემარესაც.

შურის გრძობამ ვაზი უფრო გააბოროტა, გაიფიქრა: ვაითუ, დილაზე გაფრინდეს და საპუღამოდ ხელიდან წამოვიდეს ეს მშვენიერი მგალობელიო და თავისი ბწყალი ფეხებზე შემოახვია.

გათენდა. ბულბული გასაფრენად მოემზადა. იქით მიაწყდა, აქეთ მოაწყდა, ერთხანს თავდაღმაც დაეკიდა, მაგრამ ვერა და ვერ გაითავისუფლა თავი. ბოლოს ვაზს შეეხეწა:

— გამიშვი, ნუ ჩადგები ჩემი შვილების ცოდვაში! ვაზი კი გაიძახოდა:

— შენი შვილები არ მენაღვლება, მე მინდა ჩემთან დარჩე სამუდამოდ!

ბულბულმა დიდხანს იწვალა, მხოლოდ შებინდებისას იხსნა თავი. ფეხებზე შეხვეული ბწყალი კი მაინც თან გაჰყვა. ამბობენ: იმ დღიდან ბულბულის მოდგმას ფეხები მართლაც ვაზის ბწყალს მიუგავსო“ (გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1973. XI. 18, № 268, გვ. 4).

ამ ლეგენდის ვარიანტი, რომელიც ჩვენ ზემოთ დავასახელებთ (შნშ. 5) რუსულადაც ითარგმნა და დაიბეჭდა ალ. ლლონტის მიერ შედგენილ კრებულში „Грузинские народные повеллы“, მეორე გამოც. დიდი ტირაჟით, თბ., 1974, გვ. 366). შენიშვნებში აღნიშნულია, რომ იგი ჩაწერილია ილ. მაისურაძის მიერ კახეთში და ელ. ვირსალაძემ შეიტანა კრებულში „ხალხური სიბრძნე“ (III ტ., თბ., 1964, გვ. 245, შნშ. გვ. 291).

დიდი ქართველი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი (1658—1725) ბულბულს განმარტავს: „ვარდის ჩიტი“.

„შ. რუსთაველი კი ბულბულს ვარდის მიჯნურს უწოდებს, რამდენჯერმე ასახელებს მას და მოიხსენიებს აფორიზმშიც:

14. ი. შვარციძე

უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბუღბულს აფხაზურად არა მესვია, მაფშალია (შდრ. მალაღური, გურ. მეღღღია), არამედ პირდაპირ სვიას, ფშალას ჩიტი ჰქვია (იხ. ქვემოთ).

ჩვეულებრივ, თარგმნით ლექსიკონში თქმულებები არ შეაქვთ. ნ. მარს კი ასეთებიც შეუტანია „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“ და ეს სასარგებლო გამოდგა. მეცნიერი წერს: აყარმა სვიააო (ფშალა) და იქვე შენიშნავს: კ. ფ. ძიძარას განმარტებით, აყარმა ბარდა ტირიფია (выд ползучей травы), რომლითაც კალათებს წნავენო. აყარმაწგს კი — ბუღბულია, სიტყვა-სიტყვით — სვიას (ფშალას) ჩიტი.

ნ. ს. ჯანაშიას მიერ ჩაწერილი ლეგენდით, — დასძენს ნ. მარი, — „Если соловей перестаёт петь, то через него прорастает хмель, потому он поет непрерывно“.

თუ ბუღბული არ იგალობებს, მას ფშალა წამოიცივამსო (გახვრეტს).

ნ. მარი იმავე ლექსიკონში ბუღბულის აფხაზური მეორე სახელსაც ათავსებს — ანცარწგს — ბუღბული (გვ. 122 ბ).

ქ. ლომთათიძე ამ სიტყვას აგრე ხსნის: ანცა — ღმერთი, აწგს — ჩიტი, უფრო ზუსტად — ღმერთთა ჩიტი⁷, ხოლო მეორე სახელს ისიც ფშალას ჩიტად თარგმნის, ოღონდ სიტყვის პირველ ნაწილს — აყარმას-ს ჩიტის გურულ სახელს — ყარანა-ს⁸ (იხ. ქვემოთ) უკავშირებს.

ხალხში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული აზრია, რომ შემოდგომიდან ბუღბული რომ აღარ გალობს, ის ყარანად იქცევაო.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თქმულება სეზონის მიხედვით ბუღბულის სახეცვლილების შესახებ სულხან-საბა ორბელიანს „ქართულ ლექსიკონში“ შეუტანია: „იადონი ზამთარ-ზაფხულ დაუცადებლად მოქიჰინეაო. ბუღბული სამ თვე ოდენ სტვენს და დაღუმდების“ (იხ. იადონი).

საბა იადონის სინონიმად აედონს ხმარობს (იხ. აედონი).

მაშასადამე, ს. ორბელიანი ბუღბულსა და იადონს განასხვავებს, ნიბლიას კი ბუღბულის სინონიმად თვლის. მისივე განმარტებით, ნიბლიას „პირველად ბუღბული ეწოდება, კათათვეში — ნიბლია და აწლის დროს — ყარანა“ (იხ. ნიბლია; ხაზი ჩვენია; ი. შ.).

6 Н. Марр. Абхазско-русский словарь, Ленинград, 1926, гв. 91.

7 ქართველთა წარმოდგენით, ღვთის (ღმერთის) ჩიტი მერცხალია.

8 ქ. ლომთათიძე. ბუღბულის სახელწოდების ყარანა-ს გამო. — საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, 1944 წ. ტ. V, №1, გვ. 121—122.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით კი იადონი, ბულ-ბული, ყარანა და მეფშალია ერთი და იგივეა აქ ვკითხულობთ: ბულ-ბული არის „მონაცრისფერო პატარა ჩიტი, განთქმული თავისი გალობით (სინონიმი — იადონი, ყარანა, მეფშალია“ (ტ. I, 1950).

სამაგიეროდ, იგივე ლექსიკონი სწორად განასხვავებს ბულბულსა და ნიბლიას. აქ ბულბული „მონაცრისფერო პატარა ჩიტია“ (ტ. I); ნიბლია კი „პატარა კრელი ჩიტია“ (ტ. 5).

ტოვო გულდავას წინასიტყვაობითა და გამოკვლევით გამოქვეყნებულ წიგნში — „ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია“ (თბ., 1975), მაფშალია ბულბულად და იადონადაც არის თარგმნილი, —

„მაფშალია — გალიაშა“...

ბულბული — გალიაში“

(გვ. 145,62);

„მაფშალია, მე ამბე რე,
გურიჰვილო ჰვიტანქუნი?“

„იადონო, რა ამბაეია,

გულდამწვარი რომ უსტენი?“...

(გვ. 142,42).

მეგრულშივე სიტყვა იადონი-ც იხმარება —

„იადონიშ ტოლი ბირა“...

„იადონის მსგავსი⁹ სიმღერა“.

ხუტა ბერულავას ცნობილ ლექსში მაფშალია ბულბულია. ლიტერატურულ ქართულ ენაში იადონი და ბულბული ერთნაირად ესმით. დასავლეთ საქართველოში ხალხი განასხვავებს იადონს (გურული — გაიდონა), ბულბულსა და ყარანას. სიტყვა ნიბლია კი აქ არ იციან. იადონი ბულბულზე მომცროა. ყარანა, ხალხის გაგებით, სხვა ფრინველია, — მიწავე, გულწითელა ჩიტია და ბულბულივით არ გალობს.

ისე კი ყარანაც მგალობელი უნდა იყოს, რადგან გურია-აჭარაში ერთ ძველ სიმღერას „ყარანაი“ ეწოდება და ზეპირსიტყვიერებაში სათანადო, შინაარსის ბევრი ლექსი არსებობს: „ყარანაი ყანაშიო ძლიერ გასუქებულაო... დავიჰირე მის დაკვლავზე დიდი ცული გავტეხეო; იმდენი ხორცი დაცვინდა, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში მცირე იყო“ და სხვ...¹⁰.

ზოგი ჩიტ-ყარანას *канарейка*-სთან აიგივეებს და მასაც კანარის კუნძულებიდან (ჩრდილო-დასავლეთი აფრიკა) მოფრენილად

⁹ იქვე, გვ. 195, ქვემ. შეიძლება, მსგავსად თარგმნის მაგიერ, დედნის სიტყვა ტილო დარჩენილიყო. შდრ. ი. ყიფშიძე. მეგრული გრამატიკა, ქრესტომათიითა და ლექსიკონით, 1914, გვ. 229.

¹⁰ ამბეე შინაარსის მეგრულ ლექსში ყარანა კინკრაქათია შეცვლილი. იხ. ტ. გულდავას ზემოცნ. გამოცემა, გვ. 20—21.

თვლის. ყარანა ცოტა უფრო მოზრდილი ჩიტია, ვიდრე „კანარეკა“. მაგრამ შეიძლება მისივე სხვა სახეობა იყოს (пеночка).

სახელწოდება ყარანა კი შეიძლება, მართლაც კანარის კუნძულების სახელთან იყოს დაკავშირებული ისევე, როგორც ამერიკის ინდიელების ფრინველს ინდოური (индейка) ეწოდება.

ყარანა და ბულბული რომ ერთი და იგივე არ არის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, ევროპელი ხალხები მას კანარ-ს, რუსები კანარეიკას (კანარის ჩიტს) და სხვებიც ამავე სიტყვის სახეცვლილებას უწოდებენ. ბულბულისათვის კი თვითეულ მათგანს სხვა სახელი აქვთ (ფრანგული — „რისსიგნოლ“, გერმანული — „ნახტიგალ“, ინგლისური — „ნაითიგელ“, რუსული „სოლოვეი“ და სხვ.).

ქართულში კანარა — სახელი ყარანა-დ შეცვლილა (ყ, ეგებ, აფრიკულ ძველ სახელშივე იყო).

ყარანა შეიძლება ბულბულის სახეობა იყოს, მაგრამ უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან იადონი და ბულბული, შემდეგ — ნიბლია და ბოლოს ყარანა.

1972 წ. ნოემბერი

И. В. МЕГРЕЛИДЗЕ

**ЯКОВ ГОГЕБАШВИЛИ И ЛИТЕРАТУРНЫЙ
ГРУЗИНСКИЙ ЯЗЫК, УЧЕБНИКИ,
ВОПРОСЫ ГРАММАТИКИ**

РЕЗЮМЕ

Автор данной работы, часть которой была напечатана в первом томе сборника «Труды Тбилисского государственного учительского института им. А. С. Пушкина» (Тбилиси, 1941 г., стр. 31-55), выделяет следующие моменты:

1. Многогранная деятельность крупнейшего грузинского педагога — Якова Семеповча Гогешашвили (1840-1912) — замыкается в пределах грузинской действительности, а распространяется шире. Я. С. Гогешашвили является деятелем более широкого масштаба, чем это считают некоторые авторы.

Обращает на себя внимание то обстоятельство, что Я. С. Гогешашвили в эпоху порабощения малых народов при царизме, являлся одним из борщиков грузинского национально-освободительного движения. Одновременно он был публицистом, педагогом-методистом, автором учебников грузинского и русского языков и детским писателем. Его детские рассказы переводились на языки народов, проживающих в соседстве с грузинами, а его учебники русского языка и принципы их построения использовались иногда и другими народами.

Деятельность педагога Я. С. Гогешашвили распространяется за пределы Грузии еще и потому, что он боролся за равноправие народов и их языков, требовал, чтобы школьное обучение велось на родном языке. «Во всех губерниях, — говорит Я. Гогешашвили, — обязательным предметом обучения должен считаться только тот язык, на котором говорит большинство населения данной губернии».

Я. Гогешашвили боролся за то, чтобы родной язык стал предметом систематического обучения и чтобы ему предоставлялось

первое место в школе. Он же разъяснял народу огромное значение родного языка вообще и устанавливал правильное соотношение в преподавании родного и неродного языков.

Исходя из специфического положения Грузии второй половины XIX и начала XX столетий, Я. Гогобашвили придавал важнейшее значение изучению грузинами русского языка; по его убеждению, изучение русского языка необходимо для каждого грузина, во-первых, потому, что русский язык является государственным языком, а, во-вторых, это — язык многочисленного народа, на нем уже создана огромная литература, и, кроме того, Я. Гогобашвили предвидел, что этому «языку предстоит прекрасное будущее — выступить в роли одного из мировых языков».

Составляя учебники грузинского и русского языков, Я. Гогобашвили печатал методические статьи для правильной постановки их преподавания; он непрестанно боролся против царских реакционеров, выступал против их великодержавных взглядов, защищая права и интересы грузинского народа. Это имело значение и для общей освободительной борьбы, направленной против самодержавия.

2. В понимании значения родного языка Я. Гогобашвили опирался на взгляды К. Д. Ушинского (1824-1870) и других классиков педагогики и современных им педагогов; бывало, он повторял и ошибки своих авторитетов, но никогда не был лишен оригинальности, подходя к вопросам по-своему, определяя и решая их, исходя из специфических условий тогдашней Грузии.

При решении вопросов общенационального, народного, литературного языка, соотношения языка и говоров, понимания внутренних законов языка, определения сущности грамматики и ее значения, лексического состава языка и пр., Я. Гогобашвили уже тогда, в основном, стоит на правильном пути.

Пути и способами установления и укрепления родного языка в жизни в школах Я. Гогобашвили считал: семью, школу, учебники (построенные на педагогически выдержанных устных и письменных материалах).

3. В процессе изучения родного языка Я. Гогобашвили преследовал цель облегчить также овладение народным русским языком, и, наоборот, путем изучения русского языка он стремился защитить и укрепить положение родной речи. Поэтому учебники грузинского языка «*თავის ენა*» («Родная речь») и русского языка «Русское слово» (оба по две части) дополняли друг друга и слу-

жизни делу укрепления в жизни поволитературного грузинского языка и изучения грузинами русского языка.

Джоуингом Я. Гогешавили являлось: «В единой Грузии — единый литературный язык». Защищая грузинский язык, он защищал единство грузинского народа, и посредством объединения грузинских племен он выбрал новогрузинский язык.

Я. Гогешавили считал «нижнее сословие грузинского народа более талантливое и трудолюбивое, чем высшее», главной движущей силой, по его мнению, было именно это нижнее сословие, «счастье или несчастье нашей страны зависит от положения данного сословия», и поэтому в центре внимания должен стоять именно тот живой язык, на котором говорят эта масса, его нужно укреплять в литературе и развивать.

4. Учебники грузинского языка, используемые в Грузии до Я. Гогешавили, помимо того, что были составлены методически неудовлетворительно, были написаны на среднелитературном грузинском языке и игнорировали новогрузинский язык. Я. Гогешавили наметил правильный путь, составив учебник на поволитературном грузинском языке.

Руководителем общественных деятелей, установивших новогрузинский язык в литературе, справедливо считают Илью Чавчавадзе. Огромную роль в этом деле сыграл также предшественники и современники И. Чавчавадзе, но до появления нашей первой статьи (1941 г.) по этому вопросу ни разу не упоминают среди них Я. Гогешавили. Не упоминают именно того, кто ближе всех остальных стоял к И. Чавчавадзе, кто создал возможности для становления и укрепления новогрузинского языка в литературе; именно составленные им учебники грузинского языка и его деятельность способствовали победе новогрузинского языка.

5. Создание и разработка методики обучения грузинской грамоте и составление прописей грузинского письма — одна из величайших заслуг Я. Гогешавили, которая обеспечила ему первое место среди теоретиков и практиков грузинской педагогики.

В основе составленного Я. Гогешавили учебника «ქართული აზბუკი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეობისა» («Грузинская азбука и начальная книга чтения для учащихся»; первые 2 издания — 1865 и 1867 гг.) так же, как и «Русской азбуки» Студитского и Золотова, лежал аналитический метод, тогда как третье издание (1868 г.) построено по синтетическому методу, подобно

учебнику Н. А. Корфа — «Руководство к обучению грамоте по звуковому способу» (1867 г.).

Именно, означенная книга Н. А. Корфа побудила Я. Гогобашвили, вместо аналитического метода обучения грамоте, применить синтетический метод.

В 1876 г. вышло первое издание учебника Я. Гогобашвили «*დღღა ებ*» («Родная речь»), составленного на основе аналитико-синтетического метода обучения грамоте.

Причинами такого объединения методов являлись, с одной стороны, знакомство составителя с учебником К. Ушского «Родное слово», а с другой, — учет положительных и отрицательных сторон этих двух отдельно взятых методов.

Б. Я. Гогобашвили убежден, что «повторение есть мать учения», и его учебники построены таким образом, что часто новый урок представляет собою повторение наиболее сложных и важных моментов предыдущего; новый материал усваивается путем сочетания со старым, а это облегчает его запоминание.

Составитель практикует такое повторение в пределах одного урока, подбирая материал, оправдывающий этот принцип.

Эволюционный путь обучения Я. Гогобашвили иногда сознательно нарушает, допуская всего рода скачок в том случае, если это позволяет легкость материала.

Чтобы представить значение деятельности Я. Гогобашвили в деле распространения грамотности среди грузин, достаточно указать, что составленный Я. Гогобашвили учебник «*დღღა ებ*, I» («Родная речь», I) до 1925 г. переиздавался 45 раз, а вторая часть этого же учебника до 1920 г. выдержала 36 изданий; третий его учебник, «*ბუნების კარი*» («Ключ к природе») до 1918 г. вышел в 27 изданиях; много раз переиздавались обе части его учебника «Русское слово».

На упомянутых учебниках в течение полувека воспитывались грузинские дети, в частности, учебник «*დღღა ებ*» («Родная речь»), первая часть которого, с предшествовавшим ему букварем, служила учебным пособием в течение 60 лет, являлся самой популярной и любимой книгой для чтения детей в дореволюционной Грузии.

И современные учебники грузинского языка Н. Боцвадзе и К. Бурджанадзе «*დღღა ებ*» «Родная речь», ч. I, и II, как это указано на этих книгах, составлены по учебникам того же названия Я. Гогобашвили. Здесь представляется статья: «Еще один

учебник, составленный по учебнику «Родная речь» Я. Гогобашвили («Дедана» для первого класса, подготовленный класс», составитель В. Ф. Рамишвили, Тбилиси, 1973).



Кроме упомянутой последней статьи, в настоящее, второе, издание книги включены исследование «Яков Гогобашвили — детский писатель», и др. статьи (см. Оглавление). Гогобашвили отстаивал принцип народности в общем образовании; его детские рассказы пронизаны чувствами патриотизма и интернационализма, гуманизма и справедливости, — дидактические взгляды нашего педагога основаны на высокой морали. Я. Гогобашвили впервые в Грузии разработал ряд проблем и вопросов по теории воспитания. Автор образцовых учебников по родному и русскому языкам, яркий публицист и большой общественный деятель встал перед фактом, что существовавшая тогда на родном языке детская литература не может удовлетворять требованиям, которые предъявляются к учебникам, и сам взялся за осуществление этой задачи.

Замечательный поэт родной страны А. Церетели по случайности называл Я. Гогобашвили «წარსულის შვილი, მომავლის მამა და მუოვადის ვალი» — «Сын прошлого, отец будущего и воспитатель настоящего».

Огромную роль сыграли и играют рассказы Я. Гогобашвили в деле общеобразовательного, нравственного и художественного воспитания многих поколений грузинской молодежи. Великий И. Чавчавадзе справедливо считал его «ქართული საბავშვო მწერლობის შემქმნელი» — «Создателем грузинской детской литературы».

Разумеется, детские стихи, рассказы и сказки были известны в Грузии до Гогобашвили. В частности, ими богат грузинский фольклор, но особая его заслуга заключается в том, что классик грузинской педагогики явился также и классиком грузинской детской литературы. Он создал более 150 детских рассказов. Кроме того, с учетом дидактических приемов, он переработал десятки народных сказок и рассказов, переводил образцы литературы для детей из сочинений К. Ушинского, Г. Вагнера и др. Гогобашвили еще в 1874 году издал «საუბავშვლო კონა» — «Сборник детских рассказов», а в 1883 году опубликовал «პატარა ბიბლიოთეკა» — «Маленькую библиотеку» и др. книги. Попечительский Совет

Кавказского учебного округа «поставовпл 16 декабря 1896 года: одобрить для фундаментальных и ученических библиотек средних, низших и начальных учебных заведений округа» рассказы Я. Гогобашвили (см. Соч. Я. Гогобашвили, т. 10, Тбилиси, 1965, стр. 323, на груз. яз.).

Как раньше, так и впоследствии рассказы для детей младшего и среднего возраста Я. Гогобашвили издавались неоднократно.

Я. Гогобашвили явился также одним из первых видных критиков и теоретиков детской литературы.



В статьях — «Я. Гогобашвили об абхазах» и «Я. Гогобашвили об осетинах» также излагаются гуманистические взгляды и интернациональные устремления нашего педагога. Из них становится ясным, какую большую поддержку он оказывал школам соседних народов, какую роль сыграли ученики Я. Гогобашвили в просвещении абхазов и осетин, и как он помогал педагогам соседних народов в составлении учебников на родном языке. Показателем один пример, в 1879-1905 гг., т. е. в течение 26 лет, в осетинских школах дети обучались русскому языку по учебнику Я. Гогобашвили «Русское слово», а грузинскому языку в Юго-Осетии — по его же учебнику «ფეცე უბა» «Родная речь». Далее Я. Гогобашвили помог осетинским педагогам составить самостоятельные учебники и безвозмездно предоставлял им клише собственных учебников, вследствие чего книги печатались быстрее и стоили дешевле.

Я. Гогобашвили настойчиво требовал: «Родной язык учащихся во всех местных школах должен быть обязательным предметом обучения», он боролся «против стеснения прав родной речи при обучении», доказывал, что «родная грамота должна прокладывать дорогу к легкому усвоению русской грамоты», пропагандировал необходимость изучения русского языка. Он убежденно писал, что «знать любой иностранный язык, это хорошо, но нам, в первую очередь, нужно овладеть русским языком. Он говорил: «Наш народ желает знать русский язык. Это желание — надо правду сказать — настолько значительно, что народная школа, в которой не будет места русскому языку, не сумеет завоевать полной симпатии народа».

Соседины с Грузией народам он советоваи: «аначопно русскогo языка великое благо для всех кавказцев, так как дает им возможность быть полноправными гражданами великого государства, приобщаться к богатой русской литературе и чувствовать себя, как дома, на необъятном пространстве своего отечества, занимающего шестую часть всей земной суши»¹. Это было сказано свыше 85 лет назад, но созвучно требованиям наших дней по этому весьма актуальному вопросу.



Определенный интерес представляют также высказывания Я. Гогешавили о Руставели и его творчество. Так, например, он пишет: «Широко разнослась слава о Руставели и его «Витязе в тигровой шкуре». Во время бесед и споров, желая подтвердить свою мысль, грузины приводили слова из «Витязя в тигровой шкуре». Поэтому многие высказывания Руставели превратились в пословицы»..

«Витязь в тигровой шкуре», — отмечает Я. Гогешавили, — является доказательством того, что Руставели был не только талантливейшим поэтом, но и мудрецом, который по своим взглядам и мыслям намного опережал свое время.

В книге «Ключ к природе» Я. Гогешавили напечатал известный в народе «Стих об Автаидиле», чем способствовал популяризации как этого стиха, так и «Витязя в тигровой шкуре» в целом.

Ссылаясь на мнения известного эпатика восточной и, в частности, персидской литературы Гулака, немецкого учелого Зутнера и других, Я. Гогешавили считал мысли Руставели достойным того, чтобы облететь весь мир.

Я. Гогешавили глубоко сожалел, что в его время не существовало русского перевода поэмы Руставели «Вепхисткаосани», и всемерно способствовал его созданию.

Я. Гогешавили не жалел сил и энергии для пропаганды и популяризации великой поэмы Шота Руставели. Чтобы ознакомить молодое поколение с поэтом и его бессмертным творчеством,

¹ Я. С. Гогешавили. Как улучшить кавказскую народную школу, Тифлис, 1903; его же. Избранные педагогические сочинения, под ред. Н. А. Константинова, Москва, 1954, стр. 104.

помочь учащимся полюбить и познать его, он написал очерк, который включил в школьный учебник и в свою книгу для чтения «Ключ к природе». В учебниках и других написанных им книгах Гогобашвили неоднократно использовал афоризмы Руставели, сопровождал их своими пояснениями.

В книге «Ключ к природе», перечисляя важнейших деятелей истории культуры Грузии, он пишет о Руставели: «Шота является представителем и выразителем силы мышления грузинской нации», его поэма «имела и имеет несравненное значение в нашей литературе». Прошли века, и «Витязь в тигровой шкуре» по сей день является и ценнейшим, и лучшим сокровищем для разума и сердца грузина. Такое неувядаемое значение всегда было делом только гения, и Руставели всюду признан гением».

По версии Гогобашвили, поэт родился в Месхетском селе Рустави, потому его и называют Руставели. Он рано осиротел, воспитывался у дяди, учился в Тбетской и Икалтойской академиях, затем его направили в Афины, где он изучил философию, богословие, поэзию, ораторское искусство, астрономию, греческий, латинский языки. На родину он вернулся «в середине царствования Тамар». Царица сделала его своим казначеем. Должность солидная, требующая много времени, однако она несколько не нарушала творческой жизни поэта и не мешала его писательской деятельности.

Руставели написал поэму, в которой изобразил царицу Тамар во всей ее красоте, прелести и мудрости, показал жизнь Грузии своей эпохи, а также достоинства и обычаи грузин. Так как неудобно было прямо называть современников, он придал поэме форму сказки, перенес действие в Аравию и другие страны.

Я. Гогобашвили обогащает биографию Руставели народными преданиями; в частности, он использует сказание о том, что «Витязь в тигровой шкуре» был прочитан на пире, специально устроенном царицей Тамар, где все признали, что поэма является замечательным произведением. Когда поэт закончил чтение, Тамар сняла с пальца дорогое кольцо и в знак благодарности и особой царской милости преподнесла автору. Ее супруг Давид снял с себя саблю и собственноручно опоясал поэта. Присутствующие преподнесли Руставели золотое перо в оправе из драгоценных камней.

•
•

В приложенных к данной работе статьях «Общество по распространению грамотности среди грузинского населения и его филологическая деятельность», «Н. Марр и грузинские педагоги», «О соотношениях научной и школьной грамматики», «Ивал Гомелаури» (1887-1951) в исследованиях: «Вопросы грамматики и ее преподавания в трудах Я. Гогобашвили», «Некоторые вопросы сопоставительной грамматики грузинского и русского языков», «Вопросы грамматического времени и вида глагола в новогрузинском языке», а также в статьях «Устная и письменная речь» и «Легенды о соловье» тоже немало говорится о Я. Гогобашвили и о его отношении к важнейшим вопросам общественной жизни тогдашней Грузии.

В нашу эпоху не только изучаются и творчески развиваются лучшие взгляды передовых людей прошлого, но и практически осуществляются и претворяются в жизнь наилучшие чаяния Я. С. Гогобашвили.

⁷ Ср. Я. С. Гогобашвили. Избранные педагогические сочинения, сост. проф. К. Е. Бендриков под ред. действ. чл. Ак. пед. наук РСФСР проф. Н. А. Константинова». Изд. Академии педагогических наук РСФСР, Москва, 1954.

Проф. Д. О. Лордкипанидзе. Выдающийся грузинский педагог Яков Гогобашвили, изд. «Знание», Тбилиси — Москва, 1960.

Проф. Г. Я. Тавизишвили. Яков Гогобашвили Общественно-педагогическая и литературная деятельность, Тбилиси, 1957.

Акад. А. Д. Зурабашвили. Персонологические проблемы в творчестве Якова Гогобашвили. — Журн. «Литературная Грузия», 1972, № 4, стр. 65-69.

Акад. Г. И. Джибладзе. Искусство и действительность, Тбилиси, 1971.

Ольга Романченко. Рядом с будущим (О Я. С. Гогобашвили). Изд. «Детская литература», Москва, 1971. Книга удостоена премии имени Я. С. Гогобашвили.

რ რ ე უ ლ ი

მედიკოგიური და მუბლიცისტური

ნ ა წ ე რ ე ბ ი

იაკობ გოგუბაშვილისა.

ბოში კირველი



თ ბ ი ლ ი ბ ი

ქუბტ-მეჩე. სტემა. ხ. დოსანენიძისა, მისკოცის ქეჩა. სეკო. სიხ. N 5.

1910.

საქართველოს სსრ განათლება სამინისტროს ი. გოგებაშვილის
სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

იაკობ
გოგებაშვილი
თხზულებანი

10

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი
1985

საკუთარ სახელთა სპიენგელი

ა

აბაევი ვ. 98
 აბაშელი ა. 199
 აბაშიძე კ. 123
 აბაშიძე ი. 193
 აბულაძე ი. 131
 აბულაძე ს. 542, 60
 ავალიანი ვ. 60
 ალექსიშვილი იხ. ვაიოზ
 რექტორი
 ალექსი-მესხიშვილი მ. 134
 ალიხანოვი 140
 ალფეროვი ა. 35, 54, 56

ანდერსენი 74
 ანტონ კათალიკოსი
 იხ. ბაგრატიონი ანტ.
 არაგვისპირელი შ. 127
 არაგონი ლ. 94
 არაყიშვილი დ. 129
 არდაზიანი ლ. 29, 127
 აფანასევი პ. 46
 ალაიანი დ. 81, 112
 აღნიაშვილი ლ. 59
 ახვლედიანი გ. 13, 60, 126,
 152, 184

ბ

ბაბუნაშვილი ე. 143
 ბაგრატიონი ანტ. 42, 141, 144
 ბაგრატიონი ვ. 141
 ბაირონი 146
 ბარათაშვილი ნ. 127
 ბარათაშვილი (ისტორიკოსი)
 86
 ბარამიძე ალ. 88, 130
 ბარნოვი ვ. 127
 ბარხინი კ. ბ. 36
 ბარხუდაროვი ს. 165
 ბაქრაძე დ. 123, 124
 ბებუთოვი 94
 ბეგიაშვილი თ. 61
 ბეგიაშვილი ს. 150
 ბელინსკი ვ. 44, 56, 112

ბენი ალ. 36
 ბერდნაიკოვი კ. 221
 ბერულავა ხ. 221
 ბობროვსკი 46
 ბოგოროდიცი ვ. 151
 ბოდუენ დე კურტენე 11
 ბოლდირევი ა. 149
 ბომე 46
 ბობუდაროვი ს. 153
 ბოსტაშვილი 81, 114
 ბოცვაძე ნ. 72, 190, 216
 ბროსე მ. 34, 143
 ბუალო 74
 ბუნაკოვი ნ. 42, 183
 ბურჯანაძე კ. 190, 217
 ბუსლაევი ფ. 32, 36, 189

7 ზემოთ, ტექსტში რუსული და სხვა ანბანით მოხსენიებული პირები აქ, სა-
 ძიებელში, ქართული ფორმებითაა აღნიშნული.

გაბაშვილი გ. 127
 გაბელაძე გრ. 46
 გავაშვილი შ. 192
 გაი 100
 გაიოზ რექტორი 42, 101,
 141, 144
 გამსახურდა სვ. 58
 გარეკელი თ. 9
 გედიკე ფრ. 43
 გენცაუროვი პ. 100
 გერცენი 112
 გიკე 36
 გილდებრანტი 36
 გიორგი (გოტიე) 22
 გლინკა 114
 გოგებაშვილი ანდ. 107
 გოგებაშვილი ეკ. 107, 108
 გოგებაშვილი ი. 5—119 და ა. შ.
 გოგებაშვილი ივ. 108
 გოგებაშვილი ლ. 109
 გოგებაშვილი მ. 107
 გოგებაშვილი სვ. 107, 108
 გოგებაშვილი შ. 107, 108
 გოგებაშვილი-დადიანიძე ლ. 107,
 108, 109

გოვიბერიძე შ. 114
 გოვინაძე ვ. 156
 გოგოლევი 44
 გოგოლი ნ. 34, 75
 გრიგოროვი კ. 18, 75, 189
 გოლეთიანი გ. 156, 157
 გომარათელი ივ. 127
 გომელაური ივ. 126,
 194—203, 221
 გონაშვილი დიშ. 208
 გორგაძე ს. 140
 გორკი მ. 200
 გრაზური 46
 გრეჩი 149
 გრიგოლ იღუმენი 100
 გრიში 75
 გრაშაშვილი ი. 199
 გრუნსკი ნ. 149
 კუგუნაძე ს. 21
 გუგუშვილი პ. 101
 გუდაძე ტ. 211
 გულია დიშ. 85, 94, 140
 გულაქი ნ. 87. 219
 გუსფელდი 36
 გუჩკოვი 112
 გუჯაბიძე ილ. 209

ღ

ღიღიანი გ. 132
 ღაღიანი ნ. 31
 ღაღიანიძე გ. 109
 ღაღიანიძე ლ. 109
 ღაღიანი ც. 114
 ღავეთი იხ. სოსლანი
 ღარჩია პ. 101
 ღვეტერსი გ. 145, 146,
 158, 160, 171

ღვევი 36
 ღვეფო დ. 74, 127
 ღირი ა. 156, 157
 წიქტერევი ა. 46
 ღიობროესკი ვ. 150
 ღობროლიუმბოვი ნ. 44, 56,
 112, 150
 ღოსიჩევა ე. 153, 165

ჟ

ვედოშვილი ირ. 129, 199
 ჯოპე 74
 ჯრეკლე შეფე 114
 ჯრისთავი გ. 33
 15. ი. შვეტრელიძე

ჯრისთავი ნ. 132
 ჯრისთავი რაფ. 38, 79,
 120, 127
 ჯრემან-შატრიანი 128

ვაგნერი 217
 ვაკელი ი. 199
 ვაქერნაგელი 31
 ვაჟ-ფშაველა 29, 111, 114,
 127, 128, 132, 199, 202
 ვართაგავა იბ. 131, 139
 ე ბტანგ მე-6, 67, 130
 ე სკეროვი 44
 ეედენსკი 94
 ეუსმანი ა. 150

ვესელი 20
 ვიგოტსკი ლ. 37
 ვინოგრადოვი 136, 148—152
 ვირსალაძე ელ. 209
 ვირსოვი 36
 ვოდოვოჯოვი 3, 46
 ვოინიჩი 74
 ვოსტოკოვი ა. 14, 17, 151
 ვოსტოროვი ა. 17, 66, 136, 137
 ვუნდტი ვ. 11

ზ

ზავდსკი მ. 17
 ზანდუკელი მ. 56, 73, 75, 82
 ზანანოვიჩი გ. 151
 ზედგინაძე ი. 114

ზემსკი ა. 152, 165
 ზოლოტოვი 43
 ზუბალაშვილი პ. 211
 ზურაბაშვილი ა. 88

თ

თავიშვილი გ. 5, 41, 61, 67,
 74, 87, 109, 221
 თალაკვაძე მ. 13, 42, 44
 თამარ მეფე 99, 220
 თაყაიშვილი 124, 125, 129—131,
 139, 140, 202

თოგოშვილი გ. 97, 98
 თეოდორე მღვდელი 113, 114
 თოფურია ვ. 28, 49, 145, 176
 თუმანიშვილი ან. 127
 თხორევესკი 58

ი

იალღუზიძე ივ. 102
 იანოვსკი 17
 იმნაიშვილი ივ. 141
 იოანიკე (მეტროპ.) 20
 იოვიძე ა. 39, 61—102, 123, 193

იორდანიშვილი ს. 66, 87
 იოსელიანი გ. 126
 იოსელიანი პ. 28, 185
 ისარიშვილი ლ. 42
 ისტრინა ე. ს. 36

კ

კათალიკოსი ან. 38, 67
 კაკაბაძე ს. 128
 კალანდარიშვილი გ. 58, 59
 კალაძე ია იბ. ცინცაძე ი.
 კალოშნიკოვი 35
 კარაპეტიანი ლ. იბ. აღაიანი ლ.
 კარგარეთელი ი. 129
 კარიჭაშვილი ლ. 131, 139

კარლე მეხუთე 22
 კარცევი ს. 150
 კასრაძე დ. 5, 107
 კატკოვი 17, 44, 94, 112
 კახნიაშვილი ან. 141
 კეკელია შ. 143
 კეკელიძე კ. 101
 კერესელიძე ივ. 42

კერსკი 17
კვაკაძე 141
კვაკაძე ნ. 208
კვიციანი პ. 157
კიზირაძე ა. 159
კიკნაძე გ. 44
კიკნაძე ზ. 5, 60
კლდიაშვილი დ. 25, 127
კონსტანტინოვი ნ. 8, 219

კოროლენკო ელ. 199, 200
კორდი ნ. 44, 69, 215
კორხანიძე 103
კრამერი მ. 148
კრილოვი ი. 74, 127
კრუპენიკოვი მ. 59
კრუჩკოვი ს. 152, 165
კუვშინსკი ი. 17

ლ

ლაისტი ა. 56, 87
ლალიონი ა. 127, 144
ლანდსონი 36
ლაფონტენი 74
ლევიცი 17, 114
ლემანი 36
ლენინი ე. 16, 23, 102, 112
ლეონტიევი 17, 44, 112
ლერმონტოვი მ. 44, 112
ლიბერმანი 60

ლიოზენი ე. 156, 158
ლიხანოვი 17
ლოკი ჯ. 36
ლომთათიძე ქ. 200
ლომონოსოვი მ. 24, 149
ლომოური ნ. 29, 58, 127
ლორთქიფანიძე დ. 5, 21, 58,
113, 117, 221
ლუბენი 46

მ

მაზონი ა. 150
მაისურაძე ილ. 209
მამულაშვილი არ. იხ. ლალიონი
მარი ნ. 9, 10, 12, 14, 67, 86, 87, 95,
131, 134—141, 145—159,
170, 210
მარიამ დედოფალი 130
მარტიროსოვი ა. 159
მატიასი ა. 31, 36
მაქსიმოვიჩი თ. 42
მაჩაბელი ივ. 29, 128
მაჭავარიანი ი. 128
მაჭავარიანი კ. 94
მაგლობლიშვილი ს. 29
მდივანოვი ს. 42

მეგრელი დ. 114
მეგრელიძე ი. 6, 21, 95,
107, 140, 155
მელიქსეთ-ბეგი ლ. 81
მენაბდე ლ. 87, 88
მენტეშაშვილი ილ. 200
მერკელიძე ს. 21
მესხი ს. 29
მეშჩერსკი 17, 44
მითაიშვილი ალ. 148
მიკლოშიჩი 149
მიჩაინიშვილი ანდ. 9
მიუნხი ვ. 31
მღვიმელი შ. 14, 127, 192

ნ

ნასიძე მიხ. 38, 165
ნაცვლიშვილი 101 იხ. გაიოზ
რეპტორი
ნევეროვი ი. 15
ნიკოლაძე ნ. 29

ნინოშვილი ე. 127, 199
ნიკოლაიშვილი ელ. 143
ნიკოლაიშვილი ი. 158
ნიქარაძე ივ. 130

ო

ობოლაძე უ. 88
 ოღოვეი 17
 ოვანესოვი რ. 151
 ოლერტი 36
 ონიანი ა. 140
 ორბელიანი გ. 28, 126

ორბელიანი აღ. 32
 ორბელიანი ს.-ს. 199, 210
 ოსტროვსკი 36
 ოქროშიძე თ. 128
 ოცხელი ი. 140

პ

პაოლინი ს. 141, 144
 პაულსენი ფრ. 30, 31, 46
 პეშკოვსკი ა. 150
 პლეშჩიკოვი 193
 პობედონოსევი 17, 44

პოტებნია 19
 პროკოპოვიჩი 42
 პურიშკევიჩი 17, 112
 პუშკინი ა. 44, 112

ჟ

ჯაკობო ჟ. 42
 ჯელიაბოვსკი 17

ჯორდანია თ. 67, 115, 135
 ჯღენტი ვ. 109

რ

რაბლე 74
 რაზიკაშვილი 127, 128
 რამიშვილი ვ. 43, 191,
 192, 217
 რატიშვილი ივ. 130
 რაფიელი (ერისთავი) 33

რომანჩენკო ო. 221
 როსტომაშვილი ივ. 59
 რუდენკო ბ. 27, 143, 146, 159,
 160, 171
 რუსთაველი შ. 29, 67—69, 219, 220
 რუხაძე ტრ. 101

ს

სააკაძე 128
 სამუშაი კ. 207
 სანაძე გ. 9
 სარაჯიშვილი აღ. 131
 სარაჯიშვილი დ. 123
 სარიშვილი ტ. 8, 9, 99 125, 115
 სერვანტესი 74
 სვეტლაევი მ. 152
 სვიფტი 74
 სიდოროვი ვ. 151
 სიხარულიძე ქ. 77
 სლავინსკი 17
 სოლოვიოვა 44

სოსელი 193
 სოსლანი დ. 99
 სპენსერი 36
 სპერანსკი ნ. 29
 სტაროსელსკი 94
 სტახოვი 46
 სტეროვსკი ს. 17
 სტეფანა ჯ. 42
 სტოიუნინი 36
 სტრუვე 112
 სტუდიტსკი 42
 სუსანიანი ი. 111
 სუვორინი 17, 44

ბ

ტაბიძე გ. 199
ტიხომიროვი 46

ტოკაევი 101
ტურგენევი 75

უ

ულიანოვი გ. 150
უმიკაშვილი პ. 42.
ურბნელი ნ. 128
ურუშიაგოვი 104

უსლარი პ. 46, 67
უმინსკი კ. 6, 11, 12, 16, 21, 25,
31, 34—39, 44—50, 54, 55, 58,
72, 121, 193, 211, 216

ფ

ფალიაშვილი ზ. 129
ფანცხაია ი. 127
ფარეშიშვილი ი. 13, 144
ფირალოვი გ. 141, 143, 144
ფლეროვი 46
ფოგელი 46
ფოტი პ. 156, 158, 159

ფორტუნატოვი ფ. 11, 150
ფოცხიშვილი ო. 143
ფოტი 159, 171
ფრინელი ე. 137
ფსეტური ქ. 142
ფურცელაძე ა. 42, 60
ფურცელაძე დ. 42, 60.

ქ

ქაეთარაძე ივ. 6, 157, 159
ქართველიშვილი დ. 123
ქართველიშვილი ი. 141, 144
ქაჯაია ვ. 5, 203

ქიაჩელი ლ. 132
ქორიძე ფ. 129
ქუჩიშვილი ბ. 127

ღ

ღარიბიანი არ. 144
ღარიბიანი გ. 144, 209
ღლონტი აღ. 131

ღლონტი შ. 181, 190
ოლოზბერიძე ნ. 132

ყ

ყაზბეგი აღ. 127
ყაზბეგი გ. 127, 132
ყიფიანი ზ. 130
ყიფიანი დიპ. 38, 41, 185

ყიფიანი ს. 136
ყიფშიძე აღ. 136
ყიფშიძე ი. 211
ყიფშიძე ნ. 127

შ

შავთელი ი. 127
შამელაშვილი რ. 9
შანიძე ა. 38, 141, 147,
148, 157, 162, 165, 169, 171,

173, 186, 195,
შანშივეი პ. 112
შარაშიძე აღ. 140
შარაშიძე გ. 140

შარაშიძე მ. 140
შარაშიძე ერ. 38, 140
შარაშიძე ქრ. 12
შარაძე გ. 204
შაუმიანი გ. 16
შაბატოვი 150

შენგელია გრ. 45
შექსპირი 127
შლახერი ავგ. 11
შმიდტი კ. 128, 157
შუბათელი 85

ჩაჩიბაია ა. 75
ჩერნიშევსკი ნ. 50, 112
ჩეხოვი ანტ. 75
ჩიქობავა არნ. 80, 155, 157,
145, 156, 170, 174, 189

ჩიქოვანი მ. 56, 128
ჩუბინაშვილი დ. 38, 67, 123, 143, 185
ჩხენკელი კ. 159, 171
ჩხეთია შ. 123
ჩხიკვაძე ზ. 129

ც

ცაგარელი ალ. 144, 145, 195
ცანავა აბ. 207
ცახელი ბო
ცელოვალნიკოვი 192
ცინდელიანი უ. 53

ცინცაძე ზ. 140
ცინცაძე ი. 140
ცისკარიშვილი ი. 128
ცხედაძე ნ. 58

წ

ძიმარია კ. 210
ძიმიგური ვ. 43

ძიმიგური შ. 6

წ

წერეთელი ა. 6, 23, 29, 34,
75, 111, 114, 123, 129, 184,
193, 200, 217
წერეთელი გ. 28, 138

წიბახაშვილი გ. 157
წითლიძე ა. 140
წულეისკირი ვ. 143
წუწუნავა ნ. 197

ჭ

ჭაქვაძე ალ. 130
ჭაქვაძე ი. 6, 13, 23, 28—31,
69, 73, 80, 109—114, 120, 123,
125, 127, 184—185, 200, 215
ჭალადიძელი ბო
ჭანიშვილი პ. 27, 42, 144
ჭარაია პ. 131, 132,

ჭიკინაძე ალ. 130, 131, 140
ჭიკინაძე ზ. 91, 99, 100
ჭონქაძე ანდ. 29, 127
ჭოჭუა ანდ. 140
ჭუმბურიძე ზ. 6, 157
ჭურღულია ით. 89, 90, 92

ბ

ბაზაროვი 17
 ბახანაშვილი ალ. 123, 127
 ბეთაგუროვი კ. 105
 ბელაძე ე. 204
 ბერბეულიძე 81, 113
 ბიზანიშვილი ნ. იხ. ურბნელი ნ.

ბომლელი (ი. ფანცხავა) 127
 ბობლენკო გ. 19
 ბუნდაძე ს. 131, 140, 158, 159,
 187, 188
 ბუნდაძე ტრ. 19, 125, 140
 ბუციშვილი ს. 84

ჯ

ჯაბაძარა ნ. 86
 ჯავახიშვილი გ. 127
 ჯავახიშვილი ივ. 85, 132
 ჯანაშია ნ. 59, 140, 210

ჯანაშვილი მ. 127, 140, 176
 ჯაფარიძე ლ. 60
 ჯიბლაძე შ. 73, 74--88
 ჯულელი ა. 42

კაუტემანი გ. 200

კუმბოლდტი ვილ. 11

სურათების სია

1. იაკობ გოგებაშვილი	4
2. იაკობ გოგებაშვილი	7
3. „დედა-ენის 1876 წლის გამოცემის გარეკანი	10
4. „დედა-ენის“ 1912 წლის გამოცემის გარეკანი	18
5. დარიგება მასწავლებელთათვის 1872 წლის გამოცემის გარეკანი	42
6. „ბუნების კარის“ 1868 წლის გამოცემის გარეკანი	70
7. „აკიდოს“ 1901 წ. გამოცემის გარეკანი	71
8. „Русского слово“-ს 1887 წ. გამოცემის გარეკანი	204
9. „Русского слово“-ს II ნაწ. 1913 წლის გამოცემის გარეკანი	205
10. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, — 1910	222
11. იაკობ გოგებაშვილი, თბზულეზანი, ტ. X, 1965	223

УКАЗАТЕЛЬ ИЛЛЮСТРАЦИИ

1. Я. Гогобашвили	4
2. Я. Гогобашвили	7
3. Обложка учебника Я. Гогобашвили «Родная речь», изд. 1876 г.	10
4. Обложка «Родной речи», изд. 1912 г.	18
5. Обложка книги Я. Гогобашвили, «Наставление учителям», изд. 1872 г.	42
6. Обложка учебника Я. Гогобашвили «Ключ природы», изд. 1968 года	70
7. Обложка книги детских рассказов Я. Гогобашвили «Акидо», изд. 1901 г.	71
8. Обложка учебника Я. Гогобашвили «Русское слово», изд. 1887 г.	204
9. Обложка учебника Я. Гогобашвили «Русское слово», изд. 1913 г., II ч.	205
10. Я. Гогобашвили, Сочинения, I, 1910	222
11. Я. Гогобашвили, сочинения, т. 10, 1965	223

თ ა ე ი I

1. იაკობ გოგებაშვილი და ახალი სალიტერატურო ქართული ენა	5
2. ი. გოგებაშვილის ძირითადი შეხედულება-ნი ენის საკითხებზე	11
3. დედაენის მნიშვნელობა და ადგილი სკოლაში	16
4. არამშობლიური ენის მნიშვნელობა	21
5. ახალი ქართული ენის დამკვიდრება ლიტერატურასა და სკოლაში	26
6. საშუალებები ახალი ქართული ენის გამარჯვებისათვის	30
7. სახელმძღვანელოების ენა	32
8. ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობა დედაენის შესწავლაში	34
9. გრამატიკის მნიშვნელობა დედაენის შესწავლაში	35

თ ა ე ი II

10. გოგებაშვილის დედაენის სახელმძღვანელოები და მათი შედგენის მეთოდიკა	39
11. „დედა-ენა“ და „Русское слово“	36
12. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მნიშვნელობა	62

თ ა ე ი III

13. ი. გოგებაშვილი საქართველოსა და ქართული ენის მთლიანობის დაცვისათვის	63
14. დასკვნები	67
15. იაკობ გოგებაშვილი— საბავშვო მწერალი	73
16. იაკობ გოგებაშვილი და რუსთველოლოგია	84
17. იაკობ გოგებაშვილი აფხაზების შესახებ	39
18. იაკობ გოგებაშვილი ოსების შესახებ	97
19. ეპიტაფიები	107
20. იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის მოტივები	111
21. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი ფილოლოგიური საქმიანობა	122
22. ნიკო მარი და ქართველი პედაგოგები	134
23. სამეცნიერო და სასკოლო გრამატიკათა ურთიერთობის შესახებ	141
24. ქართული და რუსული ენების შეპირისპირებითი გრამატიკის ზოგადი საკითხი	143
25. დროისა და ასპექტის საკითხი ქართულსა და რუსულ გრამატიკებში	148
26. დროისა და ასპექტის საკითხი ახალ ქართულში	154
27. უწყვეტელისა და მეორე კავშირებითის ადგილათვის ქართული ზმნის დროთა სერიებში	165
28. ზეპირი და წერილი მეტყველება	177
29. გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხები იაკობ გოგებაშვილის ნაწერებში	130
30. იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შედგენილი კიდევ ერთი სახელმძღვანელო	170
31. ივანე გომელაური	191
32. ლეგენდები ბულბულზე	206
33. Яков Гогобашвили и новолитературный грузинский язык, ученики, вопросы грамматики. Р е з ю м е	213
34. საკუთარ სახელთა საძიებელი	224
35. სურათების სია	252

რედაქტორი ა. ქორდანია
მხატვრული რედაქტორი თ. გელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. დოგუზაშვილი
უფრ. კორექტორი ნ. დგებუაძე
კორექტორი დ. ყვავაძე
გამომშვები ქ. ნიკოლაშვილი

ИБ № 2849 Учебное издание

გადაეცა ასაწყობად 10.06.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.04.88. ქალაქის ზომა
60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 1. ბეჭდვის ხერხი მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 14,75.
პირ. ნაბეჭდი თაბახი 13,72. პირობ. საღებავგატარება 13,72. სააღრ.-საგამომც. თა-
ბახი 13,5. უე. 08440. ტირაჟი 5 000. შეეც. № 1508.

ფასი 1 მან. 80 კაბ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатლება», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50
1988

380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ., მედქალაქი,
II სსწ. კორ., სიქ. სსრ გამსახკომის № 4 სტამბა.
380060, გ. თბილისი, პრ. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп., Типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.